განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო

ქართული ლიტერატურა 9

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი



ლალი დათაშვილი, ივანე ამირხანაშვილი,
ლელა ელისაშვილი, ქეთევან რეხვიაშვილი

ქართული ლიტერატურა 9

მოსწავლის წიგნი
პირველი ნაწილი

სახელმძღვანელო შექმნილია
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
თბილისი
2026

ქართული ლიტერატურა
IX კლასი, I ნაწილი
მოსწავლის წიგნი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
პირველი გამოცემა, თბილისი, 2026 წ.

ავტორები:
ლალი დათაშვილი,
ივანე ამირხანაშვილი,
თანაავტორები:
ლელა ელისაშვილი,
ქეთევან რეხვიაშვილი

საგნის ექსპერტ-კონსულტანტი: თინათინ ცერაძე
სამეცნიერო რეცენზენტები: გია მურღულია, ნანა მაჭავარიანი
ფსიქოლოგი-მეთოდისტი: ნუცა საღარაძე
რედაქტორი: ნაირა ცხვედიანი
ილუსტრატორი: ხატია აფციაური
დამკაბადონებელი: ლაშა გაბელია
ყდის დიზაინერი: ნინო ხვინგია

სახელმძღვანელო განკუთვნილია IX კლასის მოსწავლეებისთვის და შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. გამოცემა მიზნად ისახავს მოსწავლეებში ქართული ლიტერატურის ცოდნის გაღრმავებას, კითხვის, წერის, ზეპირი და წერითი კომუნიკაციის, ტექსტის გააზრებისა და კრიტიკული აზროვნების უნარების განვითარებას. სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ქართული ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის ნიმუშები, პრაქტიკული დავალებები და აქტივობები, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებითი და ანალიტიკური შესაძლებლობების განვითარებას.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია მასალები თვალსაჩინოებისთვის ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკიდან, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან, საქართველოს ეროვნული არქივიდან, დამკაბადონებლის და ავტორების მიერ გადაღებული ფოტოები.

სახელმძღვანელოს კომპლექტის შემადგენლობა:
მოსწავლის წიგნი I და II ნაწილები;
მასწავლებლის წიგნი I და II ნაწილები.



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო
ISBN 978-9941-8-8906-6

საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები - დროშა, გერბი და ჰიმნი





თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომაყალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.



მოუსმინეთ ჰიმნს

ლექსი დავით მაღრაძისა
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილისა
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ

სარჩევი

ძველი ქართული ლიტერატურა, ნაწილი პირველი 7

ქრისტიანობა და ქართული კულტურა 12
ქრისტიანული კულტურის კერები 13
ქრისტიანული მწერლობის დარგები: ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია 14
ქართული მწერლობის დასაწყისი 15
„შუშანიკის წამების“ თანადროული ისტორიული ეპოქა 16
იაკობ ხუცესი 17
„შუშანიკის წამების“ დაწერის თარიღი 18

იაკობ ხუცესი - წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი 19

თავი 1 20
თავი 2 20
თავი 3 26
თავი 4 30
თავი 5 30
თავი 6 35
თავი 7 36
თავი 8 41
თავი 9 42
თავი 10 46
თავი 11 46
თავი 12 48
თავი 13 51
თავი 14 51
თავი 15 54

იოვანე საბანისძე - აბოს წამება 63

არაბეთის სახალიფო აბო თბილელის ეპოქაში 64
აბოს ცხოვრებისა და წამების დრო 64
წელთაღრიცხვის სისტემები და აბოს წამების თარიღი 65
იოვანე საბანისძე 66
„აბოს წამების“ კომპოზიცია 67
„აბოს წამების“ დაწერის თარიღი 67

წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი 69

პირველი თავი - მოკსენებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი 70
მეორჱ თავი - ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი 74
მესამჱ თავი - წამებაჲ წმინდისა ჰაბოჲსი 84
მეოთხჱ თავი - ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი 98

უდაბნოთა ქალაქმყოფელი
გიორგი მერჩულე - გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება 107
ლიტერატურული დღიური 108
ტაო-კლარჯეთში დაიწყო დიდი აღმშენებლობა 108
გიორგი მერჩულე და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ 110

შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მის თანა ჯსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ 111
თავი 1 112
თავი 2 114
თავი 3 116
თავი 4 120
თავი 5 128
თავი 6 130
თავი 7 135
თავი 8 139
თავი 9 146
თავი 10 154
თავი 11 160
თავი 12 161
თავი 13 163
თავი 14 171
თავი 15 176
თავი 16 181
თავი 17 190
თავი 18 199
თავი 19 203

დიდი ათონელები - სამკაულნი ნათესავისა ჩვენისანი 215
სამონასტრო ცენტრები - დაახლოება ევროპასთან 216
ექვთიმე ათონელი 228
გიორგი ათონელი 220

ქართული ჰიმნოგრაფია 223
ქართული ჰიმნოგრაფია 224
იოანე ზოსიმე - ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ 226
დემეტრე-დამიანე - შენ ხარ ვენახი 235

QR-კოდები დამატებითი მასალებისთვის 238
წიგნში გამოყენებული ხელნაწერთა ფრაგმენტების ფოტოები: 239

სახელმძღვანელოში გამოყენებული პირობითი ნიშნები

 ლექსიკონი

 დააკვირდით

 კითხვები და დავალებები

 წერითი დავალება

 თვალსაზრისი

 დისკუსია

 პრეზენტაცია

 ლიტერატურული პარალელები

 შემოქმედებითი სახელოსნო

 შემოქმედებითი დავალება

 ციფრული ლაბორატორია


 ლიტერატურული მეგზური

 ეს საინტერესოა

ქართბოტი

ძველი ქართული ლიტერატურა

ნაწილი პირველი



„აბოს წამების“ ხელნაწერი



წმ. ნინოს ტაძარი სამთავროსთან, მცხეთაში




ჯვართამაღლების რელიეფი მცხეთის ჯვრის მონასტრიდან




ბოლნისის სიონის წარწერის ფრაგმენტი




„მამული, ენა, სარწმუნოება.“





„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი.“





მეტეხის ტაძარი, XIII ს. თბილისი.

თქვენ წელს შეისწავლით უაღრესად მრავალფეროვან ძველ ქართულ ლიტერატურას, რომელიც 15 საუკუნეს მოიცავს (მეოთხე-მეხუთე საუკუნეებიდან მეთვრამეტე საუკუნის ჩათვლით). ამ ნაწარმოებების გაცნობის კვალდაკვალ გაიაზრებთ, რა ახარებდათ თუ აწუხებდათ ჩვენს წინაპრებს, რას ესწრაფოდნენ; როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთთან, წუთისოფელთან, ღმერთთან; რა იყო მათთვის სასურველი და რა - მიუღებელი, რადგან ყველაზე კარგად ეს ყოველივე ლიტერატურაში აისახება, რომელიც ერის სულს გამოხატავს და მისი ფიქრისა თუ ოცნების ნიუანსებს წარმოაჩენს.

ნაწარმოებებს ქრონოლოგიური (შექმნის დროის მიხედვით) პრინციპით შეისწავლით, რაც საშუალებას მოგცემთ, თვალი გაადევნოთ ჩვენი წინაპრების ცხოვრებისა და ფიქრის პროცესს, გაიაზროთ, როგორ ყალიბდებოდა ჩვენი ერი, როგორ უძლებდა ისტორიულ ძნელბედობას, რომელ საუკუნეს რა მოჰქონდა საქართველოსთვის.

ვიმედოვნებთ, ძველი ქართული ლიტერატურის სიღრმისეულად შესწავლა დაგაახლოებთ წინაპრებთან და უკეთ გაგააზრებინებთ, რას ნიშნავს, იყო საქართველოს ღირსეული მოქალაქე.

წარმატებას გისურვებთ.



ვიდრე კითხვას შეუდგებით, გაეცანით, რას ნიშნავს ყურადღებით წაკითხვა

სასურველია, კითხვის დაწყებამდე მოიმარჯვოთ ფანქარი და თქვენთვის საინტერესო თუ საყურადღებო ადგილები მონიშნოთ. შესაძლოა ჩანაწერების გაკეთებაც;

რამდენიმე აუცილებელ კითხვას უნდა გასცეთ პასუხი ტექსტის კარგად გასაგებად. ამიტომ გირჩევთ, წინასწარ გაეცნოთ მათ და კითხვის დროს გაითვალისწინოთ:

• რა მიზნით შეარჩია მწერალმა სათაური (თუ უსათაუროა, რატომ დატოვა ავტორმა ნაწარმოები უსათაუროდ)?

• როგორ იწყება ნაწარმოები (პირველი სიტყვა, წინადადება, სტროფი თუ აბზაცი) და რა ფუნქცია ეკისრება ასეთ დასაწყისს?

• რა არის ტექსტის მთავარი სათქმელი და რატომ მიგაჩნიათ ასე?

• რა ემოცია ან განწყობა გადმოგცათ მწერალმა?

• თქვენც ასე ფიქრობთ ამ თემაზე თუ არა?

• ვინ არის/არიან მთავარი გმირი/გმირები? რა არის თქვენთვის მოსაწონი და რა - მიუღებელი მის (მათ) ქცევებში?

• რამდენად შეესაბამება პერსონაჟის ხასიათი მის საქციელს? ნებისმიერ ეპიზოდში სწორედ ისე მოიქცეოდა, როგორც ვკითხულობთ ნაწარმოებში?

• როგორ მთავრდება ნაწარმოები (ბოლო სიტყვა, წინადადება, სტროფი თუ აბზაცი) და რა ფუნქცია ეკისრება ასეთ დასასრულს?

• რომელი მხატვრული ხერხი/ხერხები მოგეწონათ და რატომ? რა ფუნქცია ეკისრებათ მათ ტექსტში?

• ეს ჟანრი რატომ შეარჩია ავტორმა? ფილმად რომ იყოს/არის გადაღებული, რომელი უფრო შთამბეჭდავი იქნებოდა/არის, ნაწარმოები თუ ფილმი?

ამ კითხვებზე გაცემული პასუხები გონებაში დაალაგეთ, გაიაზრეთ. ჩამოიყალიბეთ გეგმა და შეაფასეთ: ნაწარმოებმა როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე; რა მოგეწონათ, რა - არა; რომელ აზრსა თუ ამბავს დაიმახსოვრებთ და გამოიყენებთ შემდგომში. მოემზადეთ: ტექსტის ასე წაკითხვა ანალიტიკური ესეს დაწერისასაც გამოგადგებათ და პრეზენტაციის მოსამზადებლადაც.

გარდა ამისა, ძველ ქართულ ანბანში იყო კიდევ ხუთი ასონიშანი, რომლებიც შეგხვდებათ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებში (მათ შესახებ ისწავლით ქართული ენის გაკვეთილზე). სიტყვა რომ სწორად წარმოთქვათ, დაიმახსოვრეთ, როგორ იკითხება ეს ასო-ბგერები:

ჲ - ი (მოკლედ, სწრაფად ითქმება); ღმრთისაჲ - ღმრთისაი;

ჱ - ეი (ი მოკლედ, სწრაფად ითქმება), ძჱ- ძეი;

ჳ - ვი, უი, თჳსით - თვისით;

ჴ - ხ; ჴელი - ხელი;

ჶ - ჰოჲ; ჶ კაცო! - ჰოი კაცო! წოდებით ბრუნვასთან გვხვდებოდა.



ქრისტიანობა და ქართული კულტურა

ისტორიული გადმოცემების თანახმად, საქართველოში ქრისტიანობა უკვე პირველ საუკუნეში იქადაგეს ქრისტეს მოციქულებმა: ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა, ბართლომემ და მატათიამ.

მოციქულებმა დასავლეთი საქართველო მოიარეს და გააქრისტიანეს, ამიტომ ჩვენი ქვეყანა „სამოციქულოდ“ იწოდება.

აღმოსავლეთ საქართველოს გაქრისტიანება, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, სვეტიცხოვლის ტაძრის აშენება წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება. ამის შესახებ წაიკითხავთ „ქართული მწერლობის დასაწყისში“.



სვეტიცხოვლის ტაძარი, XI ს.

ქრისტიანობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის ისტორიაში, მანვე დაიცვა ჩვენი ქვეყანა მრავალი განსაცდელისგან, რადგან მხნეობას გვმატებდა მამულის დასაცავად ბრძოლისას.

ქრისტიანობამ შემოიტანა გარკვეული ზნეობრივი იდეალები, ახლებური მსოფლმხედველობა და განათლება (რადგან მონასტრებთან, როგორც კულტურის კერებთან, არსებობდა სკოლები), საყოფაცხოვრებო წესები და ჩვეულებანი, მწერლობის მრავალფეროვანი ჟანრები, სატაძრო ხუროთმოძღვრება, ფრესკული ხელოვნება, ხატწერა, საგალობლები. ამ რელიგიის გაძლიერებასთან ერთად ქართულ ფოლკლორსა და მითოსში გამოჩნდა ქრისტიანული შრეები.

როგორც ვხედავთ, ქრისტიანობას ეფუძნება ქართული კულტურის უდიდესი ნაწილი.

ქრისტიანული კულტურის კერები

ქრისტიანული კულტურის კერები მონასტრები ან მათთან არსებული სასწავლებლებია. აქ ითარგმნებოდა და მრავლდებოდა წიგნები, იქმნებოდა ორიგინალური ქართული ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, ასწავლიდნენ ბავშვებს, ავრცელებდნენ ქრისტიანობას და აძლიერებდნენ მოსახლეობას, რომ მრავალრიცხოვანი დამპყრობლისთვის გაეძლოთ.

საქართველოში მეოთხე საუკუნეში აუშენებია მირიან მეფეს სვეტიცხოველი.



პალესტინა. პეტრე იბერიელის მონასტრის მოზაიკა, V ს.

ჩვენი წინაპრები მეხუთე საუკუნიდან იერუსალიმსა და მის შემოგარენში არსებულ მონასტრებში მოღვაწეობდნენ. ამ ქალაქის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება იმით იყო განპირობებული, რომ იესო ქრისტეს სახელს უკავშირდება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იუდას უდაბნოში ქართველი სასულიერო მოღვაწის, პეტრე იბერიელის, მიერ აშენებული მონასტერი, რომლის გათხრის დროსაც აღმოაჩინეს 422-423 წლებით დათარიღებული პირველი, უძველესი, ქართული წარწერა.

მეექვსე საუკუნეში ასურელი მამების დამსახურებით საქართველოში დიდი სამონასტრო მშენებლობა გაჩაღდა. ისინი ცამეტნი იყვნენ და იოანე ზედაზნელის მეთაურობით მოვიდნენ საქართველოში. მათ სახელებს უკავშირდება ქაშვეთი, მამადავითი, ზედაზენი, შიომღვიმე, გარეჯა, სამთავისი, წილკანი, ალავერდი, ნეკრესი და სხვა მონასტრები.

მერვე საუკუნიდან კი სამონასტრო მშენებლობის ცენტრმა სამხრეთ საქართველოში გადაინაცვლა. ხანძთა, შატბერდი, ზარზმა, პარეხი, მიძნაძორი, ბერთა და სხვა უამრავი ტაძარი აშენდა მამა გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეებისა თუ მიმდევრების მიერ.



ბოლნისის სიონის წარწერა, ფრაგმენტი, V ს.

ქრისტიანული მწერლობის დარგები: ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია

წელს თქვენ შეისწავლით მრავალფეროვანი ქრისტიანული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ჟანრს - ჰაგიოგრაფიას, და ჰიმნოგრაფიის (ანუ ქრისტიანული პოეზიის) რამდენიმე ნიმუშსაც გაეცნობით.

ტერმინი „ჰაგიოგრაფია“ ბერძნულიდან მოდის და „წმინდა ნაწერებს“ ნიშნავს. ხოლო ამ ტიპის ნაწარმოების შემქმნელს ჰაგიოგრაფი ეწოდება.



მოჩუქურთმებული ჯვარი, სვეტიცხოველი, XI ს.

ჰაგიოგრაფიული ჟანრის მწერლობა ორ ნაწილად იყოფა. ესენია: „წამებანი“, ანუ „მარტვილობანი“, რომელთა მთავარ გმირებსაც მოწამეები, ანუ მარტვილები, ეწოდებათ (რადგან სიკვდილით არიან დასჯილნი და თავიანთი სიცოცხლით ამოწმებდნენ, ანუ ადასტურებდნენ ქრისტიანობის ჭეშმარიტებას) და „ცხოვრებანი“, რომელთა მთავარი გმირები მოღვაწე წმინდანები არიან.

თითქმის ყველა ქვეყანაში საწყის ეტაპზე ქრისტიანობა იდევნებოდა, ამიტომ „წამებათა“ ჟანრი უფრო ძველია, შემდეგ კი, როცა ეს სარწმუნოება გზას გაიკაფავდა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა, ჰაგიოგრაფები უფრო მეტად ინტერესდებოდნენ მოღვაწე წმინდანთა ცხოვრებით.

შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ჰაგიოგრაფიას ორი თავისებურება აქვს:

1. „წამებათა“ ჟანრის ნაწარმოებები არ შეწყვეტილა მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, რადგან ჩვენი ქვეყანა მუდმივად იყო გახვეული დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ქარცეცხლში და სულ საჭირო ხდებოდა როგორც სარწმუნოებისთვის, ისე სამშობლოსთვის მოწამებრივი სიკვდილი, ამიტომ ახალ წმინდანებზე იწერებოდა „მარტვილობანი“, პარალელურად კი იქმნებოდა მოღვაწე წმინდანთა „ცხოვრებანი“;

2. ქართველ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული ჰაგიოგრაფიის პირველი ძეგლი „ნინოს ცხოვრებაა“ (ანუ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“) და, შესაბამისად, სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, „წამებათა“ ნაცვლად, „ცხოვრებათა“ ჟანრით იწყება ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორია.

ქართული ჰაგიოგრაფია უამრავ ნაწარმოებს აერთიანებს. ჩვენ ვსწავლობთ სამ მათგანს: „შუშანიკის წამებას“, „აბოს წამებას“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“.

ქართული მწერლობის დასაწყისი



წმ. ნინოს ფრესკა, შიომღვიმის მონასტერი. IX ს.

დღეს, ძირითადად, ორი თვალსაზრისი არსებობს ქართული მწერლობის დასაწყისთან დაკავშირებით. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ პირველი ქართული ძეგლი წმინდა ნინოს ცხოვრებისა და ღვაწლის ამსახველი ნაწარმოებია, მეორენი კი მხარს უჭერენ ქართული ლიტერატურის „შუშანიკის წამებით“ დაწყებას.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში საქართველოში შემოვიდა კაბადოკიელი ქალწული წმინდა ნინო. მისი ქადაგება ირწმუნეს მირიან მეფემ და ნანა დედოფალმა. მათი გადაწყვეტილებით, ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ეს მოხდა 326 წელს.

წმინდა ნინომ ფეხით მოიარა ქართლ-კახეთის მრავალი ქალაქი თუ სოფელი. მოგზაურობის დროს მას თან ახლდნენ მორწმუნეები. ისინი იწერდნენ ყველაფერს, რაც წმინდა ნინოს მოღვაწეობას უკავშირდებოდა. ფაქტობრივად მათ შექმნეს წიგნი წმინდა ნინოს ცხოვრების შესახებ. ამ წიგნს ეწოდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. საუკუნეთა განმავლობაში წიგნი შეივსო სხვადასხვა ეპიზოდით. მაგრამ ძველი, წმინდა ნინოს დროინდელი, ჩანაწერები მათგან გამოირჩევა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ წმინდა ნინოს ცხოვრების ზოგიერთი ეპიზოდი ყველაზე ძველი ლიტერატურული ძეგლია ქართული მწერლობის ისტორიაში. თუ ამ შეხედულებას გავიზიარებთ, მაშინ უნდა ითქვას, რომ ქართული მწერლობის ისტორია იწყება მეოთხე საუკუნეში, ქრისტიანობის მიღებისთანავე.



რელიეფი, სვეტიცხოველი, XI ს.

„შუშანიკის წამების“ თანადროული ისტორიული ეპოქა

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ აღწერილი მოვლენები - ეს არის პერიოდი 467 წლიდან 476 წლამდე - სპარსთა მეფის, პეროზ I-ის, კარზე ქვემო ქართლის მმართველის, ვარსქენის, გამგზავრებიდან მისი მეუღლის, წამებული შუშანიკის, გარდაცვალებამდე.

საქართველოს ისტორიაში ეს ის დროა, როდესაც მეფე ვახტანგ გორგასალი ეპოქალურ ცვლილებებს იწყებს.

ეს ის ხანაა, როდესაც მსოფლიო მნიშვნელობის ძვრები ხდება:

მთავრდება ანტიკურობა და იწყება შუა საუკუნეები;

ეცემა დასავლეთ რომის იმპერია და ძლიერდება აღმოსავლეთ რომის იმპერია;

იწყება ხალხთა დიდი გადასახლება;

ჰუნები, ატილას მეთაურობით, აწიოკებენ მთელ ევრაზიას.



ვახტანგ გორგასლის ძეგლი თბილისში, მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელი

ვახტანგ გორგასლის მთავარი მიზანია ქართლის სამეფოს გაძლიერება. ამიტომ შემოიერთა ლაზიკა-ეგრისის ნაწილი, კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი. გაამაგრა ჩრდილოეთისა და სამხრეთის საზღვრები. დაიწყო ზრუნვა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.

საქართველოს ეროვნული ინტერესები, ბუნებრივია, უპირისპირდებოდა ორი მეზობელი იმპერიის - ბიზანტიისა და სპარსეთის - ინტერესებს.

ბიზანტიელებიცა და სპარსელებიც აქტიურად ერევიან ქართველთა შინაურ საქმეებში. ეს არის დასავლეთისა და აღმოსავლეთის ბრძოლა საქართველოსათვის.

ვახტანგი დასავლეთის ორიენტაციას ირჩევს და ცდილობს, თავი დააღწიოს სპარსეთის გავლენას. ის ცოლად ირთავს ბიზანტიის იმპერატორის ასულს, ელენეს. მჭიდრო ურთიერთობებს ამყარებს კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან და მცხეთიდან აძევებს ზოროასტრ (ცეცხლთაყვანისმცემელ) ქურუმებს.

სპარსეთი საპასუხო ზომებს მიმართავს: ამკაცრებს პოლიტიკას. იწყებს სამხედრო მუქარას, ეკონომიკურ შანტაჟს, სარწმუნოებრივ აგრესიას.

სპარსელები ქართლის ერისმთავრებს შორის ეძებენ მომხრეებს ვახტანგ მეფის წინააღმდეგ. ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდა ქვემო ქართლის მმართველი ვარსქენ პიტიახში.

ქრისტიანობაზე უარის თქმისა და სპარსეთში გავრცელებული სარწმუნოების - მაზდეანობის (ცეცხლთაყვანისმცემლობის) მიღების შემდეგ ვარსქენს დიდი ამბიციები გაუჩნდა, მტრის სამსახურში ჩადგა და ვახტანგს ღიად დაუპირისპირდა...

შუშანიკის გარდაცვალებიდან შვიდი წლის შემდეგ ვახტანგ გორგასალმა შეიპყრო ვარსქენი და სიკვდილით დასაჯა.

იაკობ ხუცესი

ქართველ მეცნიერთა უმეტესობა „შუშანიკის წამებას“ ჩვენამდე მოღწეულ პირველ ქართულ ლიტერატურულ ნაწარმოებად მიიჩნევს. რადგან არ შემორჩენილა იმდროინდელი სხვა ლიტერატურული თუ ისტორიული თხზულება, ამიტომ ამ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ავტორის ვინაობა თუ მსოფლმხედველობა ამავე ტექსტზე დაყრდნობით უნდა შევისწავლოთ.

„შუშანიკის წამებაში“ ავტორი პერსონაჟადაც გვევლინება, რაც საშუალებას გვაძლევს, მის შესახებ ინფორმაცია ტექსტიდან ამოვკრიბოთ და ვიმსჯელოთ მასზე, როგორც მწერალსა და პიროვნებაზე. ამ მხრივ რამდენიმე საინტერესო დეტალს ვხვდებით:

ავტორი თავს გვაცნობს, როგორც დედოფლის მოძღვარი, როდესაც აფოც ეპისკოპოსის შესახებ საუბრისას ამბობს: „მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი თანა ვყვანდი ეპისკოპოსსა მას“. ცხადია, დედოფლის მოძღვრობა მის ავტორიტეტსა და კეთილგონიერებაზე მიუთითებს, რაშიც მალე ვრწმუნდებით კიდეც;

ვიგებთ მის სახელსაც - იაკობად მოიხსენიებს მას ვარსქენის მსახური ჭაბუკი, როდესაც ეძებს, რათა გადასცეს, რომ პიტიახში თავისთან იხმობს: „იაკობ მანდა არსა?“

შუშანიკი გარდაცვალებისას აფოც ეპისკოპოსს აბარებს იაკობს და სთხოვს, მასზე იზრუნოს, როგორც მამამ და აღმზრდელმა. „ვითარცა მამასა და მამამძუძესა, შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე,“ - წერს ჰაგიოგრაფი. საგულისხმოა, რომ, ქრისტიანული თვალსაზრისით, ადამიანს მამამძუძე, ანუ აღმზრდელი და მრჩეველი, სჭირდება ოცდაათი წლის ასაკამდე (რადგან უფალი ამ ასაკში შეუდგა მოღვაწეობას, მიიჩნევა, რომ ეს არის დამოუკიდებლად მოღვაწეობის, ზრდასრულობის ასაკი). ამიტომ, სავარაუდოა, რომ წმინდანის გარდაცვალების დროსაც კი იაკობი ჯერ არ იყო ოცდაათი წლის. წინააღმდეგ შემთხვევაში, წმინდანი ეპისკოპოსს მის მამობას სთხოვდა, მაგრამ არა - მამამძუძეობას.

ამგვარად, ტექსტის მიხედვით ვიცით, რომ ავტორი არის იაკობ ხუცესი.

რაც შეეხება იმას, გახდა თუ არა იგი ცურტავის ეპისკოპოსი (ანუ ცურტაველი), ეს ვარაუდი გამოთქმულია არაქართულ წყაროებზე დაყრდნობით. აკადემიკოსმა კორნელი კეკელიძემ შეისწავლა 506 წელს დვინში გამართული საეკლესიო კრების დამსწრე ეპისკოპოსთა სია, რომელთა შორის იყო იაკობ ცურტაველი. მან ივარაუდა, რომ, თუ ამდენ ხანს იცოცხლებდა (31 წელია გასული შუშანიკის გარდაცვალებიდან), ეს იგივე იაკობ ხუცესია. მეცნიერი არგუმენტებად ასახელებს იმას, რომ იაკობს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, რაც ხელს შეუწყობდა მის ეპისკოპოსად



იაკობ ხუცესი - მხატვარი ზურაბ სამხარაძე

არჩევას და სახელი „იაკობიც“ დიდად გავრცელებული არ არის ჩვენს ქვეყანაში (როგორც, მაგალითად: გიორგი, დავითი ან იოანე...), რაც ნაკლებად სავარაუდოს ხდის, რომ ერთ ეპარქიაში ორი იაკობ ხუცესი ყოფილიყო.

ამგვარად, „შუშანიკის წამების“ ავტორი შეგვიძლია, მოვიხსენიოთ, როგორც „იაკობ ხუცესი“ ან, როგორც - „იაკობ ცურტაველი“.

„შუშანიკის წამების“ დაწერის თარიღი



ეპოქის თანადროული რელიეფური ჯვარი, ბოლნისის სიონი, V ს.

„შუშანიკის წამების“ დროინდელი სხვა ლიტერატურული თუ ისტორიული თხზულება არ შემორჩენილა, ამიტომ ამ ნაწარმოების დაწერის თარიღი სავარაუდოა და თვით მასში გადმოცემული მოვლენების ანალიზს ეყრდნობა.

ქართველმა მეცნიერებმა „შუშანიკის წამების“ დაწერის დროდ დაადგინეს 476-481 წლები. პირველი (ქვედა) თარიღი გამოთვლილია ორ მოვლენაზე დაყრდნობით: სპარსეთის შაჰის - პეროზის გამეფების მიხედვით, რადგან იაკობ ხუცესი გადმოგვცემს, რომ მისი გამეფებიდან მერვე წელს წავიდა ვარსქენ პიტიახში სპარსეთში, და შუშანიკის გარდაცვალების შესახებ ტექსტში არსებული ინფორმაციით, რომელიც 475 წელზე მიგვანიშნებს;

ხოლო მეორე (ზედა) თარიღი ვახტანგ გორგასლის ბრძანებით ვარსქენის სიკვდილით დასჯას უკავშირდება, რაც 482 წელს მომხდარა. დედოფალი წინასწარმეტყველებდა, რომ ვარსქენი დაისჯებოდა მისი წამების გამო. ჯოჯიკთან საუბრისას იგი ამბობს: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში... მიაგოს მას უფალმან... ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის“. სავარაუდოა, რომ იაკობი აუცილებლად აღნიშნავდა ახდენილი წინასწარმეტყველების შესახებ, თუმცა ნაწარმოები ამაზე არაფერს გვეუბნება.


ამიტომ, სავარაუდოა, რომ „შუშანიკის წამება“ დაწერილია პიტიახშის სიცოცხლეში, ერთი წელი ემატება დედოფლის გარდაცვალებას და ერთი წელი აკლდება ვარსქენის დასჯას, რადგან, ცხადია, დრო სჭირდებოდა ნაწარმოების დაწერასაც და გავრცელებასაც.

კითხვები

- რომელმა მოციქულებმა იქადაგეს საქართველოში ქრისტიანობა?
- ვინ ააშენა მონასტერი, რომელშიც პირველი ქართული წარწერაა?
- რატომ ითვლება მონასტერი კულტურის კერად?
- რატომ ფიქრობენ, რომ შესაძლოა, პირველ ქართულ ნაწარმოებად „ნინოს ცხოვრება“ მივიჩნიოთ?
- საიდან ასკვნიან, რომ „შუშანიკის წამების“ ავტორის სახელი „იაკობია“?
- რას ეფუძნება ვარაუდი, რომ იაკობ ხუცესი ეპისკოპოსი გახდა?
- რატომ ფიქრობენ, რომ „შუშანიკის წამება“ დაწერილია ვარსქენ პიტიახშის სიცოცხლეში?

იაკობ ხუცესი


წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი



"შუშანიკის წამების" ხელნაწერის ფრაგმენტი, პარხლის მრავალთავი, X ს.
დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ეროვნულ ცენტრში

წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ აღსასრული წმიდისა და სანატრელისა შუშანიკისი:



ფრაგმენტი „შუშანიკის წამების“ ხელნაწერიდან, პარხლის მრავალთავი, X ს

I. იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა, კარად სამეფოდ წარემართა ვარსქენ პიტიახში, ძჱ არშუშაჲსი, რამეთუ პირველ იგიცა იყო ქრისტიანე, ნაშობი მამისა და დედისა ქრისტიანეთაჲ. და ცოლად მისა იყო ასული ვარდანისი, სომეხთა სპაჲპეტისაჲ, მამისაგან სახელით - ვარდან და სიყუარულით სახელი მისი - შუშანიკ, მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თჳსით.

გული გამუდმებით უგრძნობდა შუშანიკს ქმრის უკეთურობას და ყველას ევედრებოდა, მისთვის ელოცათ, რათა ღმერთს მისი უგუნურება ქრისტიანული გონიერებით შეეცვალა. ამ უბადრუკ და სამგზის საწყალობელ ვარსქენს ვინ არ მიიჩნევს სრულიად განწირულად, რადგან მან უარყო ქრისტეს სანატრელი სარწმუნოება. ან ვინ არ დაიტირებს მას, ვისაც არც გაჭირვება უნახავს, არც - შიში, არც - მახვილი, არც - პატიმრობა ქრისტეს გამო.

რამეთუ რაჟამს წარდგა იგი წინაშე სპარსთა მეფისა, არა თუ პატივისა მოღებისათჳს, არამედ ძღუნად თავსა თჳსსა შესწირჳდა მეფისა მის მიმართ, უვარის-ყოფითა ჭეშმარიტისა ღმრთისაჲთა და თაყუანის-სცემდა ცეცხლსა, რამეთუ ყოვლით კერძოვე თავი თჳსი ქრისტჱსგან განაგდო.

ეს საწყალი ცოლს ითხოვდა სპარსთა მეფისგან, რათა თავი მოეწონებინა მისთვის და ეუბნებოდა: „ჩემს კანონიერ ცოლსა და შვილებსაც ჩემსავით მოვაქცევ შენს რჯულზე“. ამას ჰპირდებოდა, თუმცა შუშანიკისგან არ ჰქონდა თანხმობა მიღებული.

მაშინ გაიხარა მეფემ და ბრძანა, მეფის ასული მისი ცოლი გამხდარიყო.

II. წამოვიდა პიტიახში სპარსთა მეფისგან.

და ვითარცა მოიწია იგი საზღვართა ქართლისათა, ქუეყანასა მას ჰერეთისასა, ზრახვა-ყო, რაჲთა აუწყოს და წინამიეგებნენ მას აზნაურნი და მისნი ძენი და მსახურნი მისნი, რაჲთა მათ გამო, ვითარცა ერთგული, სოფლად შევიდეს. და წარმოჰმართა სადიასპანოჲთა ცხენითა მონაჲ თჳსი, ვითარმცა მოვიდა დაბასა, რომელსა სახელი ჰრქჳან ცურტავ.

კაცი წარდგა შუშანიკის, ჩვენი დედოფლის, წინაშე და მოიკითხა, ხოლო სანატრელმა შუშანიკმა

და აწ დამტკიცებულად გითხრა თქუენ - ახლა კი დაზუსტებით მოგითხრობთ.

აღსასრული - გარდაცვალება.

იყო მერვესა წელსა სპარსთა მეფისასა - იყო სპარსთა მეფის (იგულისხმება პეროზი) მეფობის მერვე წელს. პეროზ პირველი ირანის შაჰი იყო 459-484 წლებში.

პიტიახში - სპარსულად იგივეა, რაც ერისმთავარი.

ვარსქენ პიტიახში - ქვემო ქართლის ერისმთავარი, ანუ პიტიახში, დაახლოებით 472-482 წლებში. იგი ვახტანგ გორგასალმა პოლიტიკურ-სარწმუნოებრივი ღალატის გამო სიკვდილით დასაჯა 482 წელს და ამით დაიწყო აჯანყება სპარსეთის წინააღმდეგ.

არშუშა პიტიახში - ქვემო ქართლის პიტიახში მეხუთე საუკუნის შუა წლებში.

ვარდანი - ვარდან მამიკონიანი - სომეხთა სპასპეტი, მთავარსარდალი, სპარსეთის წინააღმდეგ აჯანყების მეთაური, 451 წელს ბრძოლაში მოკლეს.

პირველ იგიცა იყო ქრისტიანე - თავდაპირველად ისიც ქრისტიანი იყო.

სპაჲპეტი - მხედართმთავარი.

მოშიში ღმრთისაჲ, ვითარცა-იგი ვთქუთ, სიყრმითგან თჳსით - როგორც უკვე ვთქვით, ბავშვობიდან ღვთისმოშიში.

რაჟამს - როდესაც.

პატივისა მოღებისათჳს - წოდების, თანამდებობის მისაღებად

ძღუნად თავსა თჳსსა შესწირჳდა - სრულ მორჩილებას ჰპირდებოდა.

თაყუანის-სცემდა ცეცხლსა - ცეცხლს ეთაყვანა, ანუ მიიღო ცეცხლთაყვანისმცემლობა, მაზდეანობა, რომელიც სპარსელების იმდროინდელი რელიგია იყო.

მაზდეანობა - ცეცხლთაყვანისმცემლობა, ატროშანი, ზოროასტრიზმი. უზენაესი ღვთაებაა აჰურა-მაზდა, აქედან მოდის სახელი „მაზდეანობა“.

ყოველით კერძოვე თავი თჳსი ქრისტჱსგან განაგდო - მთელი არსებით განუდგა ქრისტეს.

ჰერეთი - საქართველოს ისტორიული მხარე, ქართლ-კახეთის აღმოსავლეთით.

ზრახვა-ყო, რაჲთა აუწყოს და წინამიეგებნენ - განიზრახა, რომ შეეტყობინებინა და შეჰგებებოდნენ.

წარმოჰმართა - გამოგზავნა.

სადიასპანო ცხენი - შიკრიკის (დესპანის, ელჩის, მალემსრბოლის) ცხენი.

ვითარცა მოიწია - როდესაც მოვიდა.

დაბა - დასახლებული ადგილი, რომელიც ჩვეულებრივ სოფელზე დიდია.

ცურტავი - დაბა ქვემო ქართლში, თბილისიდან 48-ე კილომეტრზე, მდინარეების - მაშავერასა და ხრამის შესართავთან.



რელიეფი. ქვემო ბოლნისის ტაძარი, VI საუკუნე.

წინასწარმეტყველივით უთხრა:

- უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა. უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ!

კაცმა ვერ გაბედა სიტყვის თქმა. შუშანიკი კი აფიცებდა და დაჟინებით ეკითხებოდა. მაშინ მან სიმართლე უთხრა: „ვარსქენმა უარყო ჭეშმარიტი ღმერთი“. ეს რომ მოისმინა შუშანიკმა, დავარდა, მიწას თავს ურტყამდა და მწარე ცრემლით ამბობდა:

- საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსქენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი ღმერთი და აღიარა ატროშანი და შეერთო იგი უღმრთოთა. და აღდგა და დაუტევა ტაძარი თჳსი და ღმრთისმოშიშებით ეკლესიად შევიდა.

თან წაიყვანა თავისი სამი ძე და ერთი ასული. დააყენა ისინი საკურთხევლის წინაშე და ასე ილოცა:



- უფალო ღმერთო, შენნი მოცემულნი არიან და შენ დაიცვენ ესენი, განათლებულნი წმიდისაგან ემბაზისა,

მადლითა სულისა წმიდისაჲთა, ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა!

და ვითარცა მწუხრისა ჟამი აღასრულეს, სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწარითა სავსე და მიეყრდნა ყურესა ერთსა და მწარითა ცრემლითა ტიროდა.



უკუეთუ სულითა ცხოველ არს - თუ სულით ცოცხალია.
უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ - თუ სულით დაცემული ხართ.
მოკითხვაჲ ეგე შენი შენდავე მოიქეცინ - ეგ შენი მოკითხვა შენვე დაგიბრუნდეს.
ატროშანი - იგივე ცეცხლთაყვანისმცემლობა, ანუ მაზდეანობა, ძველი სპარსული სარწმუნოებაა. ეს არის დუალისტური რელიგია, რაც იმას ნიშნავს, რომ მასში ორი ძალა - კეთილი და ბოროტი - უპირისპირდება ერთმანეთს. სიკეთეს წარმოადგენს აჰურა მაზდა - უმაღლესი ღვთაება; ბოროტებას - აჰრიმანი, წყვდიადის მეუფე. ატროშანის აღმსარებლები ანუ მაზდეანები, ცეცხლს იმიტომ ეთაყვანებიან, რომ მასში აჰურა მაზდას სულს ხედავენ. ატროშანის (მაზდეანობის) დამაარსებელია წინასწარმეტყველი ზარატუსტრა, ანუ ზოროასტრი. ამიტომ ამ სარწმუნოებას ზოროასტრიზმსაც უწოდებენ.
შეერთო იგი უღმრთოთა - შეუერთდა უღმერთოებს.
დაუტევა ტაძარი თჳსი - დატოვა თავისი სასახლე.
ემბაზი - ნათლისღებისათვის განკუთვნილი ჭურჭელი.
მწყემსი და სამწყსო - ქრისტიანები ღმერთს მოიხსენიებენ მწყემსად, ხოლო მორწმუნეებს - სამწყსოდ. როდესაც შუშანიკი ლოცულობს, რომ მისი შვილები იყვნენ „ყოფად ერთ სამწყსო ერთისა მწყემსისა“, ნიშნავს, რომ სურს, მათ არ შეიცვალონ სარწმუნოება, დარჩნენ ქრისტიანებად.
მწუხრისა ჟამი აღასრულეს - საღამოს ლოცვა დაამთავრეს.
სახლაკი ერთი მცირე - ერთი პატარა სახლი.
მუნ შინა - მასში, იქ.
მიეყრდნა ყურესა ერთსა - მიეყრდნო ერთ კუთხეს.

დააკვირდით

• ავტორი მოვლენას პეროზის გამეფებით ათარიღებს, რაც მიანიშნებს, რომ სპარსეთს დიდი გავლენა ჰქონდა მეხუთე საუკუნის ქართლზე;

• იაკობის ფრაზა „ვითარცა-იგი ვთქუთ“ („როგორც უკვე ვთქვით“) მიგვანიშნებს, რომ მას უკვე უთქვამს რაღაც შუშანიკის ბავშვობის შესახებ;

• ვარსქენზე ნათქვამით: „არც გაჭირვება უნახავს, არც - შიში, არც - მახვილი, არც პატიმრობა ქრისტეს გამო“, ვხვდებით, როგორ ავიწროებდნენ ქრისტიანებს სპარსელები;

• პირველი თავი სიუჟეტური განვითარების საფეხურების შესაბამისად ასეა აგებული: შესავალ ნაწილში ავტორი გვამზადებს რაღაც მოვლენისთვის - ვხვდებით, რომ ვარსქენის წასვლას რაღაც უნდა მოჰყვეს; ძირითადი ნაწილი გვაცნობს ვარსქენს და გადმოგვცემს მის მისვლას მეფესთან; კულმინაცია მის მიერ სარწმუნოების შეცვლაა; დასასრული - პეროზის სიხარული;

• შუშანიკის, როგორც ხალხისთვის მისაბაძი პიროვნების, ღვაწლის მნიშვნელობის წარმოსაჩენად იაკობი წმინდანს მხოლოდ სახელით არ მოიხსენიებს, საგანგებოდ აზუსტებს დანართით: „წარდგა შუშანიკის, ჩვენი დედოფლის, წინაშე“.

კითხვები და დავალებები

1. როგორ ახსნით ნაწარმოების ასეთ დასაწყისს: „და აწ...“ („ახლა კი...“)?
2. რა ინფორმაციას აწვდის ტექსტი მკითხველს ვარსქენ პიტიახშის წარმომავლობის შესახებ?
3. პირველ და მეორე აბზაცებში მოიძიეთ ეპითეტები, რომლებითაც იაკობ ხუცესი მოიხსენიებს შუშანიკ დედოფალს და იმსჯელეთ, როგორ ახასიათებს ისინი პერსონაჟს;
4. როგორ ახასიათებს შუშანიკს შემდეგი სიტყვები: „გული გამუდმებით უგრძნობდა ქმრის უკეთურობას და ყველას ევედრებოდა, მისთვის ელოცათ, რათა ღმერთს მისი უგუნურება ქრისტიანული გონიერებით შეეცვალა“?
5. როგორ დაუმტკიცა ვარსქენმა ერთგულება სპარსთა მეფეს? თქვენი ვარაუდით, რატომ მოიქცა ასე?
6. როგორ ახასიათებს ვარსქენს ის ფაქტი, რომ შუშანიკ დედოფალთან შეუთანხმებლად დაჰპირდა პეროზს საკუთარი ოჯახის გამაზდეანებას?
7. გაიხსენეთ, რა იცით ვახტანგ გორგასლის დროს საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობის შესახებ და იმსჯელეთ, რა ახალი ინფორმაცია გაიგეთ იაკობ ხუცესის ნაამბობითა და აქ დამოწმებული კომენტარებით?
8. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებს ქვეყნის იმდროინდელი ვითარების ამოსაცნობად?
9. თქვენი აზრით, რატომ სურს ვარსქენს, რომ ერთგულივით დაბრუნდეს თავის ქვეყანაში? ამ საქციელით მისი რომელი თვისება მჟღავნდება?
10. როგორ ფიქრობთ, რატომ წაიყვანა დედოფალმა შვილები სასახლიდან ეკლესიაში? რამდენად სწორად მიგაჩნიათ მისი ეს გადაწყვეტილება (თქვენი მოსაზრება ახსენით)?
11. რას ფიქრობთ, როგორ განვითარდება მოვლენები (თქვენი ვარაუდი ჩაინიშნეთ დავალების რვეულში)?
12. უკვე დააკვირდით, კომპოზიციური ელემენტების შესაბამისად პირველი თავი როგორ შეიძლება დავყოთ. მეორე თავში გამოყავით სიუჟეტის განვითარების საფეხურები: შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასასრული. დაასაბუთეთ, რომელი აბზაცი ან ფრაზა გამოხატავს კულმინაციას.



ორნამენტი წუღრუღაშენის მონასტრიდან, XII ს. ქვემო ქართლი



ეპოქის თანადროული ბოლნისის სიონის უძველესი ასომთავრული წარწერა, V ს.

წერითი დავალება

ქვემოთ შემოთავაზებული ორი წერითი დავალებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი, შეასრულეთ და წარადგინეთ კლასში:

1. თხრობა მთხრობლის შეცვლით

პირველ და მეორე თავებში მოთხრობილი ამბავი გადმოეცით ვარსქენ პიტიახშის ან შიკრიკის ხედვის პერსპექტივიდან, დაფიქრდით და დაწერეთ, როგორ მოჰყვებოდა ამბავს თქვენ მიერ შერჩეული პერსონაჟი.
ნაშრომში წარმოაჩინეთ პერსონაჟის განცდები, შეფასებები, რა ამოძრავებს მას და რა მიზანი აქვს.

2. პერსონაჟის დახასიათება

დაახასიათეთ შუშანიკი პირველ და მეორე თავებში გადმოცემული ამბების მიხედვით. გაამახვილეთ ყურადღება, თქვენი აზრით, როგორი მეუღლე და დედაა წმინდანი. პერსონაჟის თვისებებზე საუბრისას დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები ტექსტზე დაყრდნობით; ნამუშევრის შესასრულებლად შემოთავაზებული ცხრილი გადაახაზეთ რვეულში და იმუშავეთ ნიმუშის მიხედვით:

N	თვისება	ციტატა ან მოკლე განმარტება	ჩემი შეფასება	შენიშვნა
1	ბავშვობიდან მორწმუნე	„მოშიში ღმრთისაჲ სიყრმითგან თჳსით“	წარმოჩნდება აღზრდის როლი პიროვნების ჩამოყალიბებაში	თავი I
2				
3				

III. ხოლო ეპისკოპოსი იგი სახლისა მის პიტიახშისაჲ, რომელსა სახელი ერქუა აფოც, არა მუნ იყო, არამედ კაცისა ვისამე წმიდისა ვანად მისრულ იყო კითხვად რაჲსმე სიტყჳსა. და მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანავჰყვანდი ეპისკოპოსსა მას.

> შინიდან სასწრაფოდ მოვიდა ჩვენთან დიაკვანი და გვიამბო ყველაფერი: პიტიახშის მოსვლა და დედოფლის საქმეები. ჩვენ მწუხარებით აღვივსეთ და გამწარებულნი ვტიროდით ჩვენი ცოდვების წარმოჩენის გამო. მე ადრე წამოვედი და იმ დაბას მივაშურე, სადაც ნეტარი შუშანიკი იყო. რადგან იგი გამწარებული დამხვდა, მეც მასთან ერთად ვტიროდი. და ვუთხარი ნეტარ შუშანიკს:

- ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო! ეკრძალე სარწმუნოებასა ქრისტესსა, ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს შენ თანა.



ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე:

- ხუცეს, და მეცა დიდსა ღუაწლსა განმზადებულ ვარ.

და მე ვარქუ მას:

- ეგრჱთ არს. მჴნე იყავ, მოთმინე და სულგრძელ.

ხოლო მან მრქუა მე:

- ჩემდა მარტოჲსა არიან ჭირნი ესე!

ხოლო მე ვარქუ მას:

- ჭირი შენნი ჭირი ჩუენი არს და სიხარული შენი სიხარული ჩუენი არს. ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ, ყოველთა, ვითარცა შვილთა, გუხედევდ.

და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადადრე:

- ვითარ გეგულების, მითხარ მე, რაჲთა უწყოდი და აღვწერო შრომაჲ შენი.

ხოლო მან მრქუა მე:

- რაჲსა მკითხავ ამას?

და მე მიუგე და ვარქუ მას:

- მტკიცედ სდგაა?

და მან მრქუა მე:

- ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა!

მე მიუგე და ვარქუ მას:

- მწარე გონებაჲ აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ.


ხოლო მან მრქუა მე:

- უმჯობეს არს ჩემდა ჴელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ მასმიეს მე პავლჱს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“.

და მე ვთქუ:

- ეგრჱთ არს.

ვიდრე ჩვენ ამის შესახებ ვსაუბრობდით, ერთი სპარსი კაცი მოვიდა, ნეტარ შუშანიკთან შევიდა და ტირილით უთხრა: „ასეთი მშვიდობიანი სახლი როგორ გასაცოდავდა და სიხარული მწუხარებად გადაიქცა“. იგი ვარსქენის თანამზრახველი იყო და ამას მზაკვრულად ამბობდა, ნეტარის გულის მოგება უნდოდა. წმინდანი მიუხვდა ფარულ ზრახვას და თავი მისგან შორს დაიჭირა.



ასომთავრული ანბანის საზედაო ასო „ვ“

არა მუნ იყო - იქ არ იყო.

ვანი - სადგომი, სამყოფელი.

თანა ვჰყვანდი - თან ვახლდი, წაყვანილი ვყავდი.

მტერმან - აქ: ეშმაკმა.

სრსჳლი - სირსველი (კანის დაავადება, ხორცის მჭამელი).

ნუუკუე მტერმან, ვითარცა სრსჳლმან, საძოვარი პოოს შენთანა - ვაითუ ეშმაკმა გაცთუნოს.

ვარქუ - ვუთხარი.

მრქუა - მითხრა.

ეგრჱთ არს - ეგრეა.

ოდენ - არა მარტო, მხოლოდ.

ვითარცა შვილთა გუხედევდ - შვილებივით გვივლიდი.

ხუაშიადად-რე - საიდუმლოდ.

ვითარ გეგულების - როგორც ფიქრობ, რაც გულში გაქვს.

ნუ იყოფინ ჩემდა - ნუ მოხდება ჩემს თავს, ღმერთმა ნუ ქნას.

თუმცა ვეზიარე - რომ შევუერთდე, რომ ვეზიარო.

მწარე გონებაჲ აქუს - ბოროტი განზრახვა აქვს.

გუემა - ცემა.

ჩემი და მისი შეკრებაჲ - მასთან ჩემი შერიგება.

წარწყმედაჲ - დაღუპვა.

რამეთუ მასმიეს - რადგან გამიგონია.

„არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“ - არც ძმა (მამაკაცი) და არც და (ქალი) ერთმანეთს არ ემონებიან, არამედ განშორება შეუძლიათ სარწმუნოებრივი შეუთანხმებლობისას.

დააკვირდით

• ეპისკოპოსი საჭირო ინფორმაციის მისაღებად ვიღაც წმინდა ადამიანთან მიდის. სავარაუდოა, რომ ჯერ არ არის ბევრი ქრისტიანული წიგნი ნათარგმნი და ამიტომ იძულებულია, ზეპირი გზით მოიპოვოს მისთვის საჭირო ცოდნა;

• იაკობ ხუცესი ვიდრე არ დარწმუნდება, რომ დედოფალი მოწამეობას შეძლებს, რომ მას გააზრებული აქვს თავისი ნაბიჯი, მანამ არ აკურთხებს ამ მძიმე ღვაწლისთვის;

• პავლე მოციქულის დამოწმება მიგვანიშნებს, რომ შუშანიკი ცდილობს, ბიბლიური სწავლებების მიხედვით იცხოვროს და ამის შესაბამისად განსაზღვრავს, როდის როგორ მოიქცეს.

კითხვები და დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, ასე საჩქაროდ რატომ აცნობა დიაკვანმა ეპისკოპოსსა და ხუცესს ახალი ამბავი? იაკობიც სწრაფად რატომ გაეშურა დედოფალთან?
2. რა ინფორმაციას გვაწვდის ავტორი თავისი ვინაობის შესახებ?
3. იაკობი თითქოს აფრთხილებს დედოფალს ვარსქენის დაუნდობლობის შეხსენებით. თქვენი აზრით, რატომ იქცევა ასე?
4. რა თვისებები მიაჩნია ავტორს წმინდანისთვის აუცილებლად?
5. რომელი ფრაზა მიგვანიშნებს, რომ იაკობი მწერალი ყოფილა?
6. რაზე მიგვანიშნებს შუშანიკის სიტყვები: „ჩემდა მარტოჲსა არიან ჭირნი ესე“? მის სისუსტედ მიგაჩნიათ თუ სიძლიერედ არსებული სიტუაციის ამგვარი შეფასება (თქვენი მოსაზრება ახსენით)?
7. თქვენი აზრით, რატომ შეახსენებს იაკობი შუშანიკს, რომ იგი მათთვის დედაცაა და დედოფალიც (პასუხი დაასაბუთეთ)?
8. თქვენი აზრით, რატომ იმოწმებს დედოფალი პავლე მოციქულის სიტყვებს?
9. რა დამოკიდებულებას გამოხატავს შუშანიკი სპარსთან მიმართებით:

ა) მორჩილებას;

ბ) სიფრთხილეს;

გ) პატივისცემას;

დ) შიშს.

10. ნაწარმოების მესამე თავის მიხედვით დაახასიათეთ იაკობ ხუცესი.

დისკუსია

„ჩვენ მწუხარებით აღვივსეთ და გამწარებულნი ვტიროდით ჩვენი ცოდვების წარმოჩენის გამო“, - წერს იაკობ ხუცესი, როდესაც ვარსქენის ამბავს იგებენ სასულიერო პირები.

ისაუბრეთ:

• თქვენი აზრით, რის გამო იდანაშაულებენ თავს სასულიერო პირები?

• ვინ არიან ერთმანეთის საქციელზე პასუხისმგებელნი - მეგობრები? ნათესავები? ნაცნობები? ზოგადად, საზოგადოების წევრები?

თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ ლიტერატურული ან ცხოვრებისეული მაგალითების მოშველიებით.

წერითი დავალება

წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტები და შეასრულეთ დავალება.


ა) იაკობ ხუცესისა და შუშანიკ დედოფლის დიალოგი:
მტკიცედ სდგაა?
და მან მრქუა მე:
- ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეზიარე საქმეთა და ცოდვათა ვარსქენისთა!
მე მიუგე და ვარქუ მას:
- მწარე გონებაჲ აქუს მას, გუემასა და ტანჯვასა დიდსა შეგაგდოს შენ.
ხოლო მან მრქუა მე:
- უმჯობეს არს ჩემდა ჴელთა მისთაგან სიკუდილი, ვიდრე ჩემი და მისი შეკრებაჲ და წარწყმედაჲ სულისა ჩემისაჲ, რამეთუ მასმიეს მე პავლჱს მოციქულისაგან: „არა დამონებულ არს ძმაჲ, გინა დაჲ, არამედ განეყენენ“.
და მე ვთქუ:
- ეგრჱთ არს.


ეპოქის თანადროული რელიეფი, აკაურთის ეკლესია, V ს.

ბ) ნიკო ლორთქიფანიძის მინიატიურა „მონა“
ჯვარედინ გზაზე ისმის:
- გასწორდი წელში; ასწიე მაღლა, ამაყათ თავი; მოიღერე კისერი; თავისუფლება მიეც გულ-მკერდს - ისუნთქე მსუბუქი ჰაერი; ნუ ჩამოგიშვია ცხვირი; დაიჭირე მზის სხივები, მიაპყარ სმენა გალობას, დასტკბი ვარდთა ყნოსვით!
- მე მონა ვარ!..
- რა ვუყოთ! იბრძოლე! განთავისუფლდები...
- მე სუსტი ვარ...
- თავისუფლების სიყვარული მოგცემს მოსეს კვერთხს და დავითის შურდულს...
- არ მაქვს იმედი...
- არაფერია, ბრძოლაში იმედიც იბადება.
- მეშინია უარესის...
- მონობაზე უარესი რაღა იქნება?
- სიკვდილი... შიმშილი...
....
- მონა ხარ მართლაც, ჭეშმარიტად, მონა... ნაკლებად საცოდავი, ვიდრე საზიზღარი.


ასომთავრული ანბანის საზედაო ასო „ხ“

მოცემული ტექსტების მიხედვით დაწერეთ ანალიტიკური ესე:
„რთული არჩევანი“
• იმსჯელეთ პერსონაჟთა არჩევანზე;
• იმსჯელეთ, ჩანს თუ არა ავტორების პოზიცია გმირების არჩევანთან დაკავშირებით;
თქვენი თვალსაზრისი დაასაბუთეთ.



ფრაგმენტი „შუშანიკის წამების“ ხელნაწერიდან, პარხლის მრავალთავი, X ს

IV. სამი დღის შემდეგ მოვიდა ვარსქენ პიტიახში. სპარსმა ფარულად უთხრა:

- მე ვითარ მიცნობიეს, ცოლი შენი განდგომილ არს შენგან. და მე გეტყჳ შენ: ნუ რას ფიცხელსა სიტყუასა ეტყჳ მას, რამეთუ დედათა ბუნებაჲ იწრო არს.

მეორე დღეს, როგორც კი ადგა პიტიახში, დაგვიძახა, ჩვენ, ხუცესებს და მივედით. სიხარულით შეგვეგება და გვითხრა:

- ნუ მომერიდებით და ნუ გძულვართ.

ჩვენ მივუგეთ:

- თავი დაიღუპე და ჩვენც დაგვღუპე.

მაშინ კი დაიწყო ლაპარაკი:

- რაჲსა ჴელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? აწ მივედით და არქუთ, ვითარმედ: შენ ჩემი ხატი დაამჴუ. და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ. და შენი ადგილი დაგიტევებიეს და სხუად წარსრულ ხარ.

ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა:

- არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამჴუ. ხოლო მამამან შენმან აღჰმართნა სამარტჳლენი და ეკლესიანი აღაშჱნნა. და შენ მამისა შენისა საქმენი განჰრყუნენ და სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი. მამამან შენმან წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა, ხოლო შენ დევნი შემოიხუენ, მან ღმერთი ცათაჲ და ქუეყანისაჲ აღიარა და ჰრწმენა, ხოლო შენ ღმერთი ჭეშმარიტი უვარ-ჰყავ და ცეცხლსა თაყუანის-ეც. და ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ. და, თუ მრავალი ტანჯვაჲ მოაწიო ჩემ ზედა, მე არა ვეზიარო საქმეთა შენთა!

ეს ყოველივე პიტიახშს ვუამბეთ, ის კი განრისხდა და ბრდღვინავდა ამ ამბის გამო.

V. მერე გაგზავნა თავისი ძმა ჯოჯიკი, მისი ცოლი და თავისი სახლის ეპისკოპოსი და უთხრა: „ასე გადაეცით, გონს მოეგე, ადექი და შენს ადგილას დაბრუნდი, თორემ წამოგათრევ!“

როცა მივიდნენ დედოფალთან, მრავალი დასაჯერებელი სიტყვა უთხრეს, წმინდა შუშანიკმა კი მიუგო:

- კაცნო ბრძენნო, თქუენ კეთილად იტყჳთ, გარნა ნუ დაგიჯერებიეს, თუმცა მე მისა ცოლადღა ვიყავ. მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო და ღმერთი ჭეშმარიტი აღიაროს, და აწ მე მაიძულებთ ამას ყოფად?! ნუ იყოფინ ესე ჩემდა! და შენ, ჯოჯიკ, არღარა ჩემი მაზლი ხარ და არცაღა მე შენი ძმისცოლი, არცა ცოლი შენი დაჲ ჩემი არს, რომელნი მის კერძო და მისთა საქმეთა ზიარ ხართ.

მე ვითარ მიცნობიეს - როგორც შევიტყვე.
ნურას ფიცხელსა სიტყუასა ეტყჳ მას - მწვავედ, უხეშად ნურაფერს ეტყვი მას.
დედათა ბუნებაჲ იწრო არს - ქალი ბუნებით სათუთია (ჭირვეულია).
რაჲსა ჴელ-იწიფა ჩემ ზედა ცოლმან ჩემმან ესევითარისა საქმედ? - როგორ გაბედა ჩემმა ცოლმა, ასე მომქცეოდა?
აწ მივედით და არქუთ - ახლა მიდით და უთხარით.
ხატი - აქ: ღირსება.
შენ ჩემი ხატი დაამჴუ. და საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ - შენ ჩემი ღირსება შეურაცხჰყავი და ჩემი მეუღლეობა შეარცხვინე.
სხუად - სხვაგან.
არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ - მე არ შემიქმნია შენი ღირსება, რომ მევე დავამხო.
სამარტჳლენი - მარტვილთა (წამებულთა) სახელზე აგებული სალოცავები.
განრჰყუნენ - შეურაცხჰყავი.
სხუად გარდააქციენ კეთილნი მისნი - მისი კეთილი საქმეები შეცვალე.
წმიდანი შემოიხუნა სახიდ თჳსა - წმინდანები შემოიყვანა თავის სახლში.
შენ დევნი შემოიხუენ - შენ ავსულები შემოიყვანე.
ჰრწმენა - ირწმუნა.
შემოქმედი - ღმერთი.
ეგრეცა - ისევე.
გარნა ნუ დაგიჯერებიეს - მაგრამ ნუ დაიჯერებთ.
მეგონა მე, ვითარმედ იგი ჩემდა მოვაქციო - ვფიქრობდი, გადმომებირებინა, ჩემკენ მომექცია.
ამის ყოფად - ამის გაკეთებას.
ნუ იყოფინ ესე ჩემდა - ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემს თავს ეს მოხდეს.
მის კერძო და მის საქმეთა ზიარ ხართ - მისი მომხრეები და თანამოზიარენი ხართ.



ეპოქის თანადროული ბოლნისის სიონის მეორე უძველესი ასომთავრული წარწერა, V ს.



ჩუქურთმა,
სვეტიცხოველი, XI ს.

ჯოჯიკმა უთხრა:

- ვიცი, მსახურებს გამოგზავნის და თრევით წაგიყვანენ.

წმინდა შუშანიკმა კი უპასუხა:

- თუ შემკრავს და წამათრევს, გამიხარდება, რადგან ამით გამოჩნდება ჩემი მისგან დაცილება.

ეს რომ მოისმინეს, ყველა ატირდა. ცრემლმორეული ჯოჯიკი ადგა და გარეთ გავიდა. წმინდა შუშანიკმა ეპისკოპოსს უთხრა:

- როგორ მეუბნები, რომ დაგიჯერო, მან ხომ ღმერთი უარყო?!

ჯოჯიკი ევედრებოდა:

- ჩვენი და ხარ, სადედოფლო სახლს ნუ გაანადგურებ.

წმინდა შუშანიკმა უპასუხა:

- ვიცი, და ვარ და ერთად გავიზარდეთ, მაგრამ მაგას ვერ ჩავიდენ, რომ დანაშაული მოხდეს და თქვენ ყველანი ცოდვის თანამონაწილენი აღმოჩნდეთ.

და ვითარცა ფრიად აურვებდეს მას, აღდგა წმიდაჲ და ნეტარი შუშანიკ და თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი, და ტირილით ესრჱთ იტყოდა:

- უფალო ღმერთო, შენ უწყი, ვითარმედ მე გულითად სიკუდილდ მივალ.

ესე თქუა და წარვიდა მათ თანა, და თანაწარიტანა ევანგელჱ თჳსი და წმიდანი იგი წიგნნი მოწამეთანი.

და რაჟამს შევიდა იგი ტაძარსა მას, არა დაჯდა იგი თჳსსა მას გალიაკსა, არამედ სენაკსა შინა მცირესა. და აღიპყრნა ჴელნი თჳსნი ზეცად წმიდამან შუშანიკ და თქუა:

- უფალო ღმერთო, არცა მღვდელთაგანი ვინ იპოვა მოწყალჱ. არცა ერისა კაცი ვინ გამოჩნდა შორის ერსა ამას. არამედ ყოველთა მე სიკუდილდ მიმითუალეს მტერსა ღმრთისასა ვარსქენს.

ვითარცა ფრიად აურვებდეს - ძალიან რომ შეაწუხეს.
თანაწარიტანა - თან წაიღო.
ევანგელჱ - სახარება.
გულითად სიკუდილდ მივალ - ნამდვილად სასიკვდილოდ მივდივარ.
წიგნნი მოწამეთანი - წამებულთა ღვაწლის ამსახველი წიგნები.
გალიაკი - ჩარდახიანი საწოლი, აქ: სადედოფლო ტახტი.
სენაკი - ოთახი.
ერისა კაცი - საერო პირი.
სიკუდილდ მიმითუალეს - სასიკვდილოდ შემატოვეს.

დააკვირდით

• სპარსის მიზანია, შეფარულად და გონივრულად იმოქმედოს ვარსქენმა, რომ ხალხის რისხვა არ გამოიწვიოს;
• ვარსქენი ცდილობს, შუშანიკს გადააბრალოს ოჯახური დაპირისპირება, ურჩ და უღირს ცოლად წარმოაჩინოს ხალხის თვალში;
• შუშანიკი ვარსქენისთვის გაცემული პასუხით ეყრდნობა ბიბლიურ სწავლებას: „შვილი გონიერი რჩეული არს მამისა, ხოლო ურჩი წარსაწყმედელსა მიეცეს“ (იგავნი 13,1), რომლის მიხედვითაც შეახსენებს ქმარს, თუ რა მძიმე ხვედრი ელის ურჩ, მამის საქმეთა უარმყოფელ შვილს;
• წმინდანი მარტოდმარტო ებრძვის განსაცდელს, რაც მის სულიერ ძალას ნათელს ხდის.

კითხვები და დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, რატომ ჩქარობს ვარსქენი სასულიერო პირებთან დალაპარაკებას, მან ხომ გაღვიძებისთანავე იხმო ისინი?
2. შუშანიკის ნათქვამის მიხედვით, როგორ დაახასიათებთ არშუშა პიტიახშს?
3. როგორ შეაფასებთ სასულიერო პირების სიტყვებსა და ქმედებას? მათ მდგომარეობას?
4. თქვენი აზრით, ჯოჯიკი და მისი ცოლი ვის უჭერენ მხარს (მოსაზრება დაასაბუთეთ)?
5. რა შეიტყვეთ, ვისთან ერთად ყოფილა შუშანიკი გაზრდილი?
6. როგორ ფიქრობთ, ჯოჯიკი რას გულისხმობს სადედოფლო სახლის განადგურებაში?
7. რატომ უხარია შუშანიკს, თუ მას ვარსქენი წაათრევს?
8. რომელი წიგნები მიაქვს დედოფალს სასახლეში დაბრუნებისას? თქვენი აზრით, მისი რომელი თვისება წარმოჩნდება ამ ფაქტით?
9. ნაწარმოების მეოთხე და მეხუთე თავების მიხედვით, რა შეიძლება ითქვას ქართლის იმდროინდელ კულტურულ ვითარებაზე (გაითვალისწინეთ წიგნები, საეკლესიო მშენებლობა...)?
10. დედოფალი სასახლეში ბრუნდება - იმსჯელეთ, როგორ შეიძლება შეფასდეს მისი გადაწყვეტილება. ეს უკან დახევაა თუ ბრძოლის დასაწყისი.

ლიტერატურული პარალელები

ღალატი და მოღალატე

1. ყურადღებით წაიკითხეთ ეპიზოდი ჯემალ ქარჩხაძის რომანიდან „ზებულონი“ და იმსჯელეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებზე დაყრდნობით.
მთავარი გმირი - ზებულონი - პირველად შეხვდა მოღალატეს. ავტორი მის ფიქრებსა და განცდებს გადმოგვცემს:

> აქამდე მოღალატე არასოდეს ენახა, მხოლოდ სხვათა ნაამბობით იცოდა, სხვათა ნაამბობს კი, როგორც ახლა მიხვდა, როცა მოღალატე საკუთარი თვალით იხილა, თურმე თავისი ბალღური, გულუბრყვილო წარმოდგენით იმგვარად ავსებდა, რომ ეგონა, მოღალატე უცხო რამ ჯიშის კაცია, რაღაც ისეთი ნიშანი აქვს, ისეთი დამღა, დაინახავ თუ არა, მაშინვე იცნობ. ის კი ჩვეულებრივი ადამიანი იყო და ჩვეულებრივი ადამიანივით იქცეოდა. ამან ზებულონი გააკვირვა.

მერე და მერე, როცა ცხოვრების გზაზე უამრავ მოღალატეს, ქართველსა თუ არაქართველს, გადაეყარა, საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მოღალატე მხოლოდ იმით განსხვავდება სხვათაგან, რომ მოღალატეა, სხვა მხრივ კი ისიც ჩვეულებრივი ადამიანია. აი, სიცილს კი ვერ შეეგუა. ღალატზე მერეც ხშირად უფიქრია. კარგად რომ გარკვეულიყო, ცდილობდა ხოლმე საკუთარი თავი წარმოედგინა მოღალატედ და წარმოუდგენია კიდეც, მაგრამ მოცინარ მოღალატედ ვერც ერთხელ ვერ წარმოიდგინა. თითქოს სიცილი ისეთი რამ ყოფილიყოს, რაც ღალატისთანავე უნდა ჩამოგერთვას და სამუდამოდ აგეკრძალოს.

2. გაავლეთ პარალელი „შუშანიკის წამებასთან“;

3. იაკობ ხუცესისა და ჯემალ ქარჩხაძის ტექსტებზე დაყრდნობით იმსჯელეთ, როგორია სხვადასხვა ეპოქის მწერლების დამოკიდებულება მოღალატის მიმართ;

4. როგორია თქვენი პოზიცია: მიიჩნევთ თუ არა ვარსქენს მოღალატედ? შესაძლოა თუ არა მისი საქციელის გამართლება? რატომ ფიქრობთ ასე?

შეეცადეთ, დაასაბუთოთ თქვენი მოსაზრება ისტორიული ფაქტებითა და სხვა ლიტერატურული პარალელებით.

შემოქმედებითი სახელოსნო

შუშანიკ დედოფალი სასახლეში ბრუნდება.

დაწერეთ მცირე ზომის მხატვრული ტექსტი, რომელშიც ისაუბრებთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

• გაითვალისწინეთ, რომ თხრობითი ტიპის ტექსტში შეგიძლიათ გამოიყენოთ დიალოგი, მონოლოგი. ასევე აღწეროთ პეიზაჟი, პორტრეტი; გამოიყენეთ მხატვრული საშუალებები.

• მოიფიქრეთ ისეთი ამბავი, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავს თქვენს სათქმელს. გაითვალისწინეთ შუშანიკის განწყობა, მისი ემოციები, დამოკიდებულება ვარსქენის მიმართ.



რელიეფი, გომარეთის წმ. გიორგის ტაძარი, XI ს. ქვემო ქართლი

VI. და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი იგი ტაძრად და ჰრქუა მსახურთა თჳსთა:

- დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ, ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად.

როდესაც მოსაღამოვდა, მოიხმეს ჯოჯიკის ცოლი და ერთად ინებეს პურის ჭამა, რათა შუშანიკიც მოეყვანათ. ვახშმის დრო რომ მოახლოვდა, ჯოჯიკი და მისი ცოლი შევიდნენ შუშანიკთან, მისთვისაც რომ ეჭმიათ პური, რადგან ეს დღეები უზმოდ (მშიერს) გაეტარებინა. მეტად აიძულეს და ძალით წაიყვანეს სასახლეში, თუმცა გემო არაფრის გასინჯა, ჯოჯიკის ცოლმა მიართვა ჭიქით ღვინო და აიძულებდა, რომ ეს მაინც შეესვა. წმინდა შუშანიკმა მას რისხვით უთხრა:

- ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!

და განყარა ჴელი და ჭიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღჳნოჲ იგი დაითხია.



მგელი - აქ: ვარსქენი (მეტაფორულად იგულისხმება).
ნუ ვის უფლიედ - ნურავის მისცემთ უფლებას.
განყარა ჴელი - გაიქნია ხელი.
დაითხია - დაიქცა, დაიღვარა.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერჯითა თჳსითა დასთრგუნჳდა მას, და აღიღო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა. და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მჴეცი მძჳნვარჱ, ყიოდა და იზახდა, ვითაცა ცოფი. მაშინ შუელად აღდგა ჯოჯიკ, ძმაჲ მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გუემა იგიცა, და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა, და ჭირით, ვითარცა კრავი მგელსა, გამოუღო ჴელთა მისთა. და ვითარცა მკუდარი, იდვა წმიდაჲ შუშანიკ ქუეყანასა ზედა, და აგინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოჴრებელად სახელ-სდებდა მას.



ეპოქის თანადროული რელიეფი, ბოლნისის სიონი, V ს.

> ვარსქენმა ბრძანა მისთვის ხელები შეეკრათ და ფეხებზე ბორკილები დაედოთ.
>
> როგორც კი ოდნავ გადაუარა გულისწყრომამ (მრისხანებამ), მოვიდა სპარსი და მხურვალედ ევედრებოდა, რომ ბორკილები მოეხსნა წმინდა შუშანიკისთვის. რადგან ძალიან სთხოვდა, ბრძანა მისთვის ბორკილების მოხსნა, ერთ ოთახში შეყვანა და მისი საგულდაგულოდ დაცვა ერთი მსახურის მიერ, რათა სხვა არავინ შესულიყო მის სანახავად, არც - კაცი და არც - ქალი.

VII. და ვითარცა ცისკარ ოდენ იყო, იკითხა და თქუა მსახურისა მიმართ მისისა, ვითარმედ:

- წყლულებისა მისგან ვითარ არს?

ხოლო მან ჰრქუა მას:

- ვერ განსარინებელ არს იგი.

მაშინ თჳთ შევიდა და იხილა იგი. და დაუკჳრდა დიდძალი იგი სიმსივნჱ მისი. და ამცნო მსახურსა მას და ჰრქუა:

- ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა. და თჳთ ნადირობად წარვიდა.

ხოლო მე აღვდეგ და მივედ და ვარქუ მცველსა მას:

- მე ხოლო მარტოჲ შემიტევე და ვიხილო წყლულებაჲ იგი მისი.

ხოლო მან მრქუა მე:

- ნუუკუე ცნას და მომკლას მე?

და მე ვარქუ მას:

- უბადრუკო, არა მისი განზრდილი ხარა და, თუცა მოგკლას შენ მისთჳს, რაჲ არს?

მაშინ შემიტევა მე ფარულად. და ვითარ შევედ შინა, ვიხილე ხატი მისი დაბძარული და განსივებული, და აღუტევე ჴმაჲ და ვტიროდე. ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე:

- ნუ სტირ ჩემთჳს, რამეთუ დასაბამ სიხარულისა იქმნა ჩემდა ღამჱ ესე.

> იაკობმა უთხრა წმინდა შუშანიკს:
>
> - ნება მომეცი, მოგბანო სისხლი სახეზე და ნაცარი, რომელიც თვალში ჩაგცვენია. მალამოსა და წამალსაც წაგისვამ, რათა განიკურნო.

- საჭირო არ არის, ხუცესო. ეს ის სისხლია, ცოდვებისაგან რომ გამწმენდს. - მიუგო შუშანიკმა.

მაშინ იაკობი შეეხვეწა, ლუკმა მაინც გაესინჯა იმ საჭმლიდან, რომელიც სამოელ ეპისკოპოსსა და იოვანეს გამოეგზავნათ. ისინი ფარულად ზრუნავდნენ დედოფალზე და ანუგეშებდნენ მას.

- ხუცესო, არ შემიძლია, ვერ შევჭამ, რადგან ყბები და კბილები ჩამტვრეული მაქვს. - უთხრა წმინდა შუშანიკმა.

იაკობმა ღვინოში დამბალი პური მიაწოდა და შუშანიკმა ცოტა გემო გაუსინჯა. ხუცესი ჩქარობდა. მალე უნდა გასულიყო სენაკიდან. სწორედ ამ დროს უთხრა შუშანიკმა:

- ხუცესო, ხომ არ გავუგზავნო მას სამკაულები? ვინ იცის, მოითხოვოს. მე კი ესენი ამ ცხოვრებაში აღარ გამომადგება!

- ნუ ჩქარობ, იყოს შენთან.

და ჩუენღა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა:

- იაკობ მანდა არსა?

და მე ვარქუ, ვითარმედ:

- რაჲ გინებს?



ასომთავრული ანბანის საზედაო ასო „რ“

იწყო უჯეროსა გინებად - დაიწყო უხამსი გინება.
ფერჯითა ... დასთრგუნჳდა - ფეხით სცემდა.
ასტამი - ცეცხლის საჩხრეკი; ცომის მოსაფხეკი (საბა).
ჩაჰფლა - აქ: კანი გაუჭრა.
დაუბუშტა - დაუსივა.
მჯიღითა სცემდა პირსა მისსა - მუშტს ურტყამდა სახეში.
უწყალოდ - შეუბრალებლად.
ყიოდა და იზახდა - ღმუოდა და ღრიალებდა.
შუელად - მისაშველებლად.
კუბასტიცა ... მოხეთქა - თავსაკრავი მოჰგლიჯა.
ჭირით ... გამოუღო ჴელთა მისთა - გაჭირვებით გამოჰგლიჯა ხელიდან.
იდვა ... ქუეყანასა ზედა - მიწაზე ეგდო.
თესლ-ტომი - ნათესაობა, ჯიშ-ჯილაგი.
სახლისა მაოჴრებლად სახელ-სდებდა - სახლის ამაოხრებელს, ოჯახის დამაქცევარს უწოდებდა.
ვითარცა ცისკარ ოდენ იყო - როგორც კი გათენდა.
ვერ განსარინებელ არს - ვერ გადარჩება.
მე ხოლო მარტოჲ შემიტევე - მარტო მე შემიშვი.
ნუუკუე ცნას - ვაითუ გაიგოს.
ხატი - აქ: სახე.
დაბძარული - დამსკდარი.
აღუტევე ჴმაჲ და ვტიროდე - ხმამაღლა ვტიროდი.
მე ვარქუ, ვითარმედ: რაჲ გინებს? - მე ვუთხარი: რა გნებავს?

და მან მრქუა:

- უწესს პიტიახში.

და მე დამიკვრდა, თუ რაჲსა-მე მიწესს ამას ჟამსა?! და მივისწრაფე და მივედ და მან მრქუა მე:

- უწყია, ხუცეს, მე ბრძოლად წარვალ ჰონთა ზედა? და ჩემი სამკაული მას არა დაუტეო. ოდეს იგი არა ჩემი ცოლი არს, იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს იგი. მივედ და მომართუ იგი ყოველივე, რაჲცა-რაჲ არს!

ხოლო მე მივედ და უთხარ წმიდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთსა და ყოველივე მომიძღუანა. და მივართუ პიტიახშსა და მან მიიღო ჩემგან, აღიხილა და იპოვა ყოველი გებულად. და კუალად თქუა:

- მერმეცა იპოოს ვინმე, რომელმან ესე შეიმკოს.



უწესს - ეძახის, იწვევს.
დამიკვირდა, თუ რაჲსა-მე მიწესს - გამიკვირდა, რატომ მეძახის.
ამას ჟამსა - ამ დროს.
უწყია? - იცი?
ჰონები - ჰუნები - მომთაბარე ტომები, რომლებიც იმ დროს, V საუკუნეში, ჩრდილო კავკასიაში სახლობდნენ.
იპოოს ვინმე - გამოჩნდება ვინმე.
რომელმან განკაფოს - ვინც გაცვეთს, ვინც მოიხმარს.
რაჲც რაჲ არს! - რაც კი არის!
აღიხილნა - შეამოწმა, დათვალა.
იპოვა ყოველი გებულად - ყველაფერი უკლებლივ იყო.



დააკვირდით

• შუშანიკი სასახლეში ყოფნისას უზმოდ იყო, ანუ არაფერი უჭამია; ასევე მოიქცა სუფრასთანაც, სავარაუდოდ, გაითვალისწინა დავით წინასწარმეტყველისეული წესი, რომ თანამეინახედ არ უნდა გაუხდე ბოროტების გზაზე დამდგარ ადამიანს („რომელი ამპარტავან იყო თუალითა და უძღებ გულითა, მის თანა არა ვჭამი“);

• იაკობი პიტიახშის კარზე გაშლილი, სავარაუდოდ, უხვი სუფრიდან მხოლოდ ღვინოზე ამახვილებს ყურადღებას; ასევე, ეპისკოპოსთა მიერ დედოფლისთვის გაგზავნილი საჭმლიდანაც - მხოლოდ ღვინოში ჩამბალ პურზე, რაც მიმანიშნებელია, რომ იაკობისთვის ღვინოსა და პურს ქვეტექსტური შინაარსიც აქვს, ქრისტიანისთვის პური და ღვინო ზიარებასთან ასოცირდება;

• შესაძლოა, ჯოჯიკის მხრიდან გაშვების მცდელობისას ტანსაცმელი დაეზიანებინა ვარსქენს ძმისთვის, თუმცა იაკობი საგანგებოდ შენიშნავს, რომ მან ჯოჯიკს კუბასტი მოჰგლიჯა (ანუ, ქრისტიანთა რწმენით, საფრთხისგან დამცველი თავსაკრავი, რომელშიც ჩაყოლებული იყო 50-ე ან 90-ე ფსალმუნი), რათა კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება, რომ ვარსქენი ანადგურებს ქრისტიანისთვის ძვირფას ნივთებს.

• რამდენად მზრუნველი და სათნო დედოფალი ყოფილა შუშანიკი, რომ მისთვის სიკვდილიც კი ქვეშევრდომის მხრიდან ბუნებრივ საქციელად აღიქმება;

• ვარსქენის მიერ გამოგზავნილი კაცი იაკობს შუშანიკ დედოფლის სიახლოვეს ეძებს, სადაც, წესით, არავინ უნდა იყოს.

კითხვები და დავალებები

1. მოძებნეთ, იაკობი რომელი მეტაფორითა და შედარებებით მოიხსენიებს ვარსქენს და იმსჯელეთ, რამდენად ახერხებს ავტორი თავისი დამოკიდებულების გამოხატვას ამ პერსონაჟის მიმართ. სასურველია, გამოიყენოთ „ორმხრივ ჩანაწერთა დღიური“. ფურცელი გაყავით ორ ნაწილად. ერთ მხარეს ჩამოწერეთ მხატვრული ხერხები, მეორე მხარეს ახსენით მათი როლი ვარსქენის დახასიათებისას;
2. მოძებნეთ ფრაზები, რომლებითაც აშკარავდება, რომ პურობა საგანგებოდ იყო დაგეგმილი შუშანიკის მოსაყვანად;
3. როგორ ახსნით დედოფლის სიტყვებს: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური?!“? თქვენი აზრით, დღეს შემორჩენილია ეს წესი?
4. თქვენი აზრით, იაკობი ორჯერ რატომ გვიამბობს დედოფლისთვის საჭმლის შეთავაზების ამბავს ან რატომაა, რომ სასახლეში პურობისას პირს არაფერს აკარებს და ღვინოს აქცევს, მეორე შემთხვევაში კი მიირთმევს ღვინოში ჩამბალ პურს?
5. როგორ ახერხებს იაკობი ნაგვემი დედოფლის მონახულებას?
6. იაკობის რომელი თვისებები წარმოჩნდება დედოფალთან ურთიერთობის დროს?
7. თქვენი აზრით, რატომ ამახვილებს იაკობი ყურადღებას სამკაულებზე? ან რატომ არ ართმევს მათ დედოფალს? რატომ ურჩევს მას, რომ სამკაულები ჯერ არ დაუბრუნოს ვარსქენს?
8. როგორ ფიქრობთ, მაინცდამაინც იაკობს რატომ დაავალა ვარსქენმა შუშანიკის სამკაულების მოტანა (ხომ შეეძლო ნებისმიერი მსახურის გაგზავნა)?
9. რა ახალი ინფორმაცია გაიგეთ ავტორის შესახებ?
10. რომელი ისტორიული ბრძოლის შესახებ არის ტექსტში საუბარი?
11. მეექვსე და მეშვიდე თავებში გამოყავით სიუჟეტის განვითარების საფეხურები: (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასასრული). დაასაბუთეთ, რომელი აბზაცი ან ფრაზა წარმოადგენს თითოეულ თავში კულმინაციას.



ეპოქის თანადროული სვეტის კაპიტელი, ბოლნისის სიონი, V ს.

წერითი დავალება

ქვემოთ მოცემული წერითი დავალებებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი და შეასრულეთ:

1. ანალიტიკური ესე - ვინმე სპარსი

იმისთვის, რომ ეს დავალება შეასრულოთ, დაწერეთ:
რამდენ ეპიზოდში ჩნდება ეს პერსონაჟი, როგორ იქცევა, რას ამბობს?
როგორი დამოკიდებულება აქვთ ამ ადამიანის მიმართ იაკობ ხუცესს; ვარსქენს; შუშანიკს?
თქვენი აზრით, როგორ იგებს ყველაფერს, რაც სასახლეში ხდება (თუნდაც ეს ფარული პურობა იყოს)?
თქვენი აზრით, რა თვისებებს ამჟღავნებს ვინმე სპარსი; რა მისია და მიზნები შეიძლება ჰქონდეს მას? რატომ უსმენს მას ვარსქენი?

2. პერსონაჟის დახასიათება

მასწავლებლის მითითებით ან საკუთარი სურვილით შეარჩიეთ პერსონაჟი (შუშანიკ დედოფალი, ვარსქენი, იაკობ ხუცესი) და მეექვსე-მეშვიდე თავების მიხედვით დაახასიათეთ.



ბოლნისის სიონი, V ს.

VIII. და ვითარცა მოიწინეს დიდნი იგი მარხვანი, მივიდა ნეტარი იგი შუშანიკ მახლობელად წმიდასა ეკლესიასა და იძია მცირჱ სენაკი და მუნ დაეყუდა. და იყო სენაკსა მას მცირჱ სარკუმელი და დაყო იგი. და იყო ბნელსა მას შინა მარხვით და ლოცვით და ტირილით. და ჰრქუა ვინმე პიტიახშსა საკუთარმან მისმან, ვითარმედ:

- ამათ წმიდათა მარხვათა ნუ რას ეტყჳ მას.

და ვითარ მოიწია აღვსებისა ორშაბათი და მოვიდა პიტიახში ბრძოლისა მისგან ჰონთაჲსა, ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა. და აღდგა და მივიდა ეკლესიად და ეტყოდა ეპისკოპოსსა მას აფოცს:

- გამომეც ცოლი ჩემი, რად განმაშორებ ჩემგან?

და იწყო გინებად და გმობად ღმრთისა სასტიკად. ხოლო ხუცესმან ერთმან ჰრქუა მას:

- უფალო, რაჲსა ეგრე იქმ, და იტყჳ ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა, და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყჳ?

ხოლო მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა. და მან ვერღარა იკადრა სიტყუად. და ეგრეთ წმიდაჲ შუშანიკ თრევით მოითრია თიჯათა შიგან და ეკალთა ზედა ეკლესიით ვიდრე ტაძრადმდე, ვითარცა მკუდარი, მიეთრია; და ადგილდ-ადგილდ ქუე ძეძჳ დაეფინა. და თჳთ ფერჯნი დაიდგნის ძეძუსა მას ზედა, და კუბასტნი შუშანიკისნი და ჴორცნი წულილ-წულილად დაებძარნეს ძეძუსა მას. და ეგრეთ მოიყვანეს იგი ტაძრად. და უბრძანა შეკრვაჲ მისი და ცემაჲ. ბოროტებდა და იტყოდა:

- აჰა, ეგერა, არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი და არცა ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი, და უფალი იგი მათი!



დიდნი იგი მარხვანი - აღდგომის წინა მარხვა, რომელიც შვიდ კვირას გრძელდება.
იძია მცირე სენაკი - მოძებნა პატარა ოთახი.
მუნ დაეყუდა - იქ გაჩერდა.
დაყო - ამოქოლა, დახშა.
აღვსებისა ორშაბათი - აღდგომის ორშაბათი.
ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა - ეშმაკი შეუჩნდა.
ეკლესიად - ეკლესიაში.
გამომეც - დამიბრუნე.
რაჲსა ეგრე იქმ - ასე რატომ იქცევი.
კუერთხი - საგანგებო ჯოხი, რომელიც მაღალი თანამდებობის პირს უჭირავს.
ვერღარა იკადრა სიტყუად - ვეღარ გაბედა ხმის ამოღება.
ძეძჳ - ეკლებიანი ბუჩქოვანი მცენარე.
კუბასტნი - ლეჩაქი და შემოსაცმელი.
წულილ-წულილად დაებძარნეს - წვრილ-წვრილად დაეკაწრა.
არა გერგო შენ ეკლესიაჲ შენი - ვერ გიშველა შენმა ეკლესიამ.
ზურგნი ეგე შენნი ქრისტიანენი - ქრისტიანები, რომლებიც ზურგს გიმაგრებენ.

როცა სამასი კვერთხი დაარტყეს, დედოფალს არც ოხვრა და არც კვნესა არ დასცდენია.

და უთხრა წმინდა შუშანიკმა ურჯულო ვარსქენს:

- შე საცოდავო, საკუთარი თავი არ შეიბრალე, ღმერთს განუდექი, და მე როგორ შემიბრალებდი?!

ვარსქენმა შეხედა შუშანიკს და რომ დაინახა, სისხლი ნაკადად სდიოდა, ბრძანა, კისერზე ჯაჭვი დაედოთ. ერთ-ერთ მესაწოლეს (სენაკაპანს) კი დაავალა, წაეყვანათ ციხეში და ბნელ საკანში ჩაეგდოთ, რათა იქ მომკვდარიყო.

IX. დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაჲ დგა წმიდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაჲთამცა ჰრქუა, თუ: „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაჲ ვერღარაჲ სცალდა სიტყუად, ესთენ ოდენ ჰრქუა: „მტკი...“ და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით.



მესაწოლე (სენაკაპანი) - მსახური, რომელიც ძილის დროს იცავს ბატონს, დარაჯობს საწოლის კართან.

ესთენ ოდენ - მარტო ეს, მხოლოდ ეს.

დადუმნა - გაჩუმდა.

სივლტოლად იწყო სწრაფით - სწრაფად გაიქცა.

მაშინ წარმოიყვანეს და მოჰყვანდა წმიდაჲ შუშანიკ უჯამური და თმაგარდატევებული, ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი, და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად, რამეთუ პიტიახში იგი მჯედრ შეუდგა უკუანა კუალსა მისსა და აგინებდა მას მრავლითა გინებითა. და მივიდოდა წმიდისა მის თან ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლჱ ურიცხჳ, რამეთუ უკუანა შეუდგეს, ჴმაჲ აღემაღლა და ტიროდეს და იჯაჯდეს ღაწუთა მათთა და საწყალობელად დასთხევდეს ცრემლთა მათთა წმიდისა შუშანიკისთჳს.

ხოლო წმიდამან შუშანიკ უკმოჰხედნა ერსა მას და ჰრქუა მათ: „ნუ სტირთ, ძმანო ჩემნო და დანო ჩემნო და შვილნო ჩემნო, არამედ ლოცვასა მომიჴსენეთ. და ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან ამიერითგან, რამეთუ არღარა მიხილოთ ცოცხალი გამოსრული ციხით“.

და ვითარცა იხილა პიტიახშმან ამბოხი იგი და ტირილი მამათა და დედათაჲ, მოხუცებულთა და ყრმათაჲ, მჯედრ მიმოდასდევნინ და მეოტ-ჰყოფნ მათ ყოველთა. და ვითარცა მიიწინეს ჯიდსა მას ციხისასა, ჰრქუა პიტიახშმან წმიდასა შუშანიკს:

- შენდა ეგდენ ყოფად არს ფერჯითა შენითა სლვაჲ, რამეთუ ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა თუ ოთხთა გამოგიღონ.

ციხეში რომ შევიდნენ, ჩრდილოეთის მხარეს ნახეს ერთი ოთახი, მომცრო და ბნელი, იქ დაამწყვდიეს დედოფალი. ჯაჭვი, კისერზე რომ ედვა, ეგრევე დაუტოვეს. მეტიც, ურჯულო ვარსქენმა თავისი ბეჭდით დაბეჭდა.

წმინდა შუშანიკმა თქვა:

- მიხარია, რომ აქ, ამქვეყნად, დავიტანჯები და იქ, საიქიოში, განვისვენებ.

პიტიახშმა უთხრა:

- ჰო, ჰო, განისვენე!

მერე დაუყენა მცველები და დაავალა, შიმშილით მოეკლათ იგი.

- გაფრთხილებთ, თუკი ვინმე შევიდა მასთან, მამაკაცი იქნება თუ დედაკაცი, მე აღარ დამაბრალოთ, რაც მოგივათ თქვენ, თქვენს ცოლ-შვილსა თუ ოჯახს!

ესა თქვა და ციხიდან გავიდა.

უჯამური და თმაგარდატევებული - ფეხშიშველი და თმაგაშლილი.
ვითარცა ერთი ვინმე შეურაცხთაგანი - როგორც ვინმე მდაბიოთაგანი.
თავსა მისსა დაბურვად - მისთვის თავზე დაეფარებინა.
მჯედრ შეუდგა - ცხენზე ამხედრებული მიჰყვებოდა.
ამბოხი მრავალი - მრავალი ხალხი, ბრბო.
უკუანა შეუდგეს - უკან მიჰყვებოდნენ.
იჯაჯდეს ღაწუთა მათთა - ღაწვებს (ლოყებს) იხოკავდნენ.
უკმოჰხედნა ერსა მას - გამოხედა ხალხს.
ჯმნულმცა ვარ მე თქუენგან - გშორდებით, მივდივარ თქვენგან.
მჯედრ მიმოდასდევნინ - ცხენდაცხენ დასდევდა.
მეოტ-ჰყოფნ - დევნიდა, ფანტავდა.
შენდა ეგდენ ყოფად არს ფერჯითა შენითა სლვაჲ - ეგღა დაგრჩა ფეხით გასავლელი.
ოთხთა გამოგიღონ - ოთხი კაცი გამოგიტანს (ანუ - მკვდარს გამოგიტანენ).

დააკვირდით

• წმინდანი დიდმარხვისას სენაკში გადადის, სარკმელს ხურავს და სიბნელეში ლოცვითა და ტირილით ატარებს დღეებს. ცხოვრების პირობების ასეთ დამძიმებას ქრისტიანულად „თვითგვემა“ ეწოდება. წმინდანები თვითგვემას (უფრო ხშირად მარხვებისას) ხორციელი პრობლემების დასაძლევად, სულის გასაძლიერებლად მიმართავდნენ და ამით უფლის პატივისცემასაც გამოხატავდნენ;

• იაკობი მხოლოდ იმას გადმოსცემს, რომ ვარსქენი დაბრუნდა ბრძოლიდან. არ გვაუწყებს, რა შედეგით დამთავრდა ეს ბრძოლა. ამით წარმოჩნდება ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ერთი თავისებურება - მასში არ აისახება ის ამბები, რომლებიც უშუალოდ არ უკავშირდება წმინდანს;

• ვარსქენი დასცინის სასუფეველში განსვენების, ანუ ცხონების, იდეას, რითაც ყველაზე მეტად ცდილობს წმინდანის გაღიზიანებას, რადგან ქრისტიანთათვის ყველაზე ფასეული სამოთხეში მოხვედრის სურვილია.

კითხვები და დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, რატომ ურჩევს ვარსქენს უცნობი პერსონაჟი, რომ დიდმარხვისას არაფერი უთხრას დედოფალს (სათქმელი დაასაბუთეთ)?

2. რა მხატვრული ხერხია „ეშმაკი თხრიდა გულსა მისსა“ (შეარჩიეთ სწორი პასუხი და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი)?

ა) ეპითეტი;

ბ)მეტაფორა;

გ) შედარება;

დ) ჰიპერბოლა;

3. „ორმხრივ ჩანაწერთა დღიურში“ ამოწერეთ ფრაზები, რომლებითაც წარმოჩნდება სასულიერო ფენის მდგომარეობა და მიუწერეთ კომენტარი. თქვენ მიერ გამოტანილი დასკვნა გაუზიარეთ თანაკლასელებს;

4. მოძებნეთ ტექსტში ვარსქენის ირონიული კონტექსტის გამომხატველი სიტყვები და ახსენით, რა მიზნით წარმოთქვამს მათ პიტიახში?

5. სამასი კვერთხის დარტყმის შემდეგ შუშანიკმა მხოლოდ ერთი წინადადება უთხრა ქმარს. მოიძიეთ ეს წინადადება და უპასუხეთ კითხვას - თქვენი აზრით, რა მიზანი ჰქონდა დედოფალს (შეარჩიეთ სწორი პასუხი და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი)?

ა) არ მიიჩნევდა, რომ ვარსქენ პიტიახში დალაპარაკების ღირსი იყო;

ბ) უნდოდა, ვარსქენი დაეფიქრებინა, თუ რა საფრთხეს უქმნიდა საკუთარ სულს;

გ) უნდოდა ქმრის გულის მოლბობა, რომ მეტჯერ აღარ დაერტყა;

დ) ფიქრობდა, რომ ვარსქენი უფრო მეტად დასჯიდა, თუ რაიმეს ეტყოდა;

6. ჩაცმა-დახურვის როგორი წესია აღწერილი მოცემულ ეპიზოდში?

7. შეაფასეთ ხალხის რეაქცია შუშანიკის ციხეში გადაყვანისას;

8. რას სთხოვს წმინდანი უკან მიდევნებულ ხალხს?

9. თქვენი სიტყვებით გადმოეცით ვარსქენის მუქარა შუშანიკის ციხეში შეყვანისას;

10. თქვენი აზრით, ვარსქენი ადამიანებს ენდობა თუ არა (პასუხი რომ გაგიადვილდეთ, ამ თავებიდანაც მოიძიეთ შესაბამისი მაგალითები და გაიხსენეთ იაკობის მიერ ვარსქენისთვის დედოფლის სამკაულების გადაცემის ეპიზოდი)?

ლიტერატურული პარალელები

გაეცანით ანა კალანდაძის ლექსებს: „მოჰყავთ შუშანიკი“, „*(როცა სხივი...)“.**

მოჰყავთ შუშანიკი
მოჰყავთ შუშანიკი, ტანჯული, გვემული...
ფოთოლნი ტირიან ოქროს ფერისანი,
ნისლებს ეფარება ცაი დიდებული,
ქარმა შეარხია რტოი ძეწნისაი.
მთათა მოიხადეს გვირგვინნი მეფურნი,
თვალთა სხივი მოწყდა ელვარებისაი,
ტირიან, მოთქვამენ „დედანი ზეპურნი”,
ტირიან ყვავილნი ცხარედ ველისანი.
მარტვილს მოაცილებს ქარი მგლოვიარე,
კრძალვით კარს უღებენ ძალნი ზეცისანი,
როს “ვითარცა ცოფი, ბდღუენდა პიტიახში”,
ქარმა გადახარა რტოი ძეწნისაი.
– ილოცვიდეთ ჩემთვის! –
უთხრა მტირალ ხალხსა
ხენი თავებს ხრიან ძაძით შენამკობნი
მოკვდა შუშანიკი თთუესა სთულისასა
და ცხოვრებას მისას წერდა იაკობი.

*****(როცა სხივი...)**
როცა სხივი განსასვენად
ყვავილების თეთრ გვირგვინებს
ეახლება და ყვავილი
საალერსოდ რტოებს გაშლის,
ყრმაი ერთი მიადგება უცხო სენაკს,
„ - რაი გინებს?“
„ - ხუცეს, გიწესს პიტიახში...“


შეასრულეთ დავალებები:
ა) შემოთავაზებული ცხრილი გადახაზეთ რვეულში და იმუშავეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:
• პირველ სვეტში დაწერეთ ლექსის სტრიქონი;
• მეორე სვეტში ამოწერეთ შესატყვისი ფრაზა/ფრაზები „შუშანიკის წამებიდან“;
• კომენტარის გრაფაში აღნიშნეთ, რა საშუალებებით გამოხატავს პოეტი „შუშანიკის წამებით“ აღძრულ შთაბეჭდილებას;

ანა კალანდაძის ლექსის სტრიქონი	ფრაზა „შუშანიკის წამებიდან“	კომენტარი

ბ) იმსჯელეთ, რა ახალ შტრიხებს მატებს ანა კალანდაძის ლექსები შუშანიკის სახეს და რა ემოციებს იწვევს მკითხველში?
გ) სურვილის შემთხვევაში მოემზადეთ ლექსის ხმამაღლა წასაკითხად და წარუდგინეთ კლასს.

შემოქმედებითი სახელოსნო

წარმოსახვითი ინტერვიუ
წარმოიდგინეთ, რომ ხართ მეხუთე საუკუნის ცურტავში, ხართ ჟურნალისტი. შეესწარით შუშანიკ დედოფლის ციხეში გადაყვანას.
ჩამოართვით წარმოსახვითი ინტერვიუ რომელიმე პერსონაჟს:
• დიაკვანს;
• ვარსქენისგან დევნილ რიგით მცხოვრებს;
• შუშანიკს;
• ვარსქენს;
• იაკობ ხუცესს;
• შუშანიკის შვილს;
• სხვას, თქვენ მიერ შერჩეულს.
თქვენი წარმოსახვითი ინტერვიუ წარუდგინეთ კლასს.



ფრაგმენტი „შუშანიკის წამების“ ხელნაწერიდან, პარხლის მრავალთავი, X ს

X. და მესამესა კვრიაკესა მოუწოდა მცველსა ერთსა, და ჰკითხა მას და ჰრქუა:

- აქამომდე ცოცხალღა არსა საწყალობელი იგი?

ხოლო მან ჰრქუა:

- უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს, ვიდრე სიცოცხლით, რამეთუ შიმშილითა უფროჲს ხოლო მოკუდების, რამეთუ არა რას მიიღებს საზრდელსა.

ხოლო მან ჰრქუა:

- ნურა რაჲ გგლიან, უტე, მოკუდეს!

ხოლო მე მრავლითა ვედრებითა ვარქუ მცველსა მას და უქადე ჭურჭერი ერთი სამისოჲ. და ძნიად თავს-იდვა შეტევებაჲ ჩემი და მრქუა მე:

- რაჟამს დაღამდეს, მოვედ შენ ხოლო მარტოჲ.

და ვითარ შემიყვანა მცველმან მან და ვიხილე ტარიგი იგი ქრისტესი შუენიერად, ვითარცა სძალი, შემკული საკრველთა მათგან, და მე ვითარ ვერ დამითმო გულმან, ვტიროდე ფრიად.

ხოლო წმიდამან შუშანიკ მრქუა მე:

- კეთილისა ამისთჳს სტირა, ხუცეს?

ხოლო მცველმან მან მრქუა მე:

- ესეღა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ.

ხოლო მე ვიწყე სიტყუად და განმტკიცებად მისა, რაჲვდენი ღმერთმან მომცა მე სიტყუად. და ვიჯმენ მისგან და წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა.

> პიტიახში კი დარუბანდში წავიდა. მისი ძმა ჯოჯიკი შუშანიკის დაპატიმრების ამბავს არ შესწრებია. ამიტომ, როცა გაიგო, მაშინვე გაედევნა პიტიახშს. ჰერეთის საზღვართან დაეწია. მთელი სულით და გულით ეხვეწებოდა, ბორკილებისაგან მაინც გაეთავისუფლებინა დედოფალი. არ მოეშვა, გასაქანი არ მისცა და იმან ბოლოს ბრძანა, მხოლოდ ბორკილები და ჯაჭვი ახსენითო.
>
> მოვიდა ჯოჯიკი და მოხსნა კისერზე დადებული ჯაჭვი. ბორკილების ახსნა კი შუშანიკმა არ ისურვა და იყო შებორკილი სიცოცხლის ბოლომდე.

რამეთუ ექუსი წელი ციხესა მას შინა აღესრულა და წესიერებითა საღმრთოჲთა ყუაოდა: მარხვითა, მარადის მღჳძარებითა, ზედგომითა, თაყუანის-ცემითა უწყინოდ და კითხვითა წიგნთაჲთა მოუწყინებელად: განაბრწყინა და განაშუენა ყოველი იგი ციხე სულიერითა მით ქნარითა.

XI. და მიერითგან განითქუა ყოველსა ქართლსა საქმჱ მისი. და მოვიდოდეს მამანი და დედანი აღნათქუემთა შესაწირად და, რაჲ ვის უჴმდა, მიემადლებოდა წმიდითა ლოცვითა ნეტარისა შუშანიკისითა, რომელსა მისცემდა მას კაცთმოყუარე ღმერთი: უშვილოთა - შვილი, სნეულთა - კურნება, ბრმათა - თუალთა ახილვაჲ.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულსმოდგინებითა ჯელთა აღიხუნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა, რომლითა-იგი დღჱ და ღამჱ ზესკნელითა მის მეუფისა მიმართ სათნოსა მას გალობასა შესწირვიდა ცრემლით.

და უთხრეს ნეტარსა შუშანიკს, ვითარმედ:

- შვილნი იგი შენნი მოაქცინა მოგობასა.

მაშინ იწყო თაყუანის-ცემად ღმრთისა მიმართ ტირილითა დიდითა და თავსა თჳსსა ქუე დამართ სცემდა, სულთ-ითქუნა და თქუა:

- გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნესვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს. ვითარცა გნებავს, იყავნ ნებაჲ შენი, უფალო, და დამიცევ მე საქმეთაგან მტერისათა.

მესამესა კვირიაკესა - მესამე კვირას.



მოუწოდა - დაუძახა.

უფალო - ბატონო.

ნურა რაჲ გგლიან, უტე, მოკუდეს! - ნუ გენაღვლება, გაუშვი, მოკვდეს!

უქადე - დავპირდი.

ჭურჭერი - აქ: საჩუქარი.

ძნიად თავს იდვა შეტევებაჲ ჩემი - ძლივს გადაწყვიტა ჩემი შეშვება.

ტარიგი - „კრავი უბიწო“ (საბა), მოწამის აღმნიშვნელი მეტაფორა.

სძალი - რძალი (ანუ ქრისტეს რჩეული, წმინდა ადამიანი).

შემკული საკრველთა მათგან - ბორკილებით შემკული (იგულისხმება, რომ ფიზიკური ტანჯვის ატანა მოწამეს სულიერად ამაღლებს, ამკობს).

ვერ დამითმო გულმან - გულმა ვერ მომითმინა.

ესეღა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტევე შენ - ეს რომ მცოდნოდა, არ შემოგიშვებდი.

ვიწყე სიტყუად - დავიწყე ლაპარაკი.

ვიჯმენ მისგან - წამოვედი მისგან.

წარვედ სწრაფით ვანად ჩემდა - სწრაფად წამოვედი შინ.

წესიერებითა საღმრთოჲთა ყუაოდა - ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა საღვთო ცხოვრების წესს.

ზედგომითა, თაყუანის-ცემითა უწყინოდ - დაუჯდომლად ლოცულობდა, მოუწყენლად ეთაყვანებოდა (უფალს).

სულიერითა მით ქნარითა - 1. გალობით; 2. მოწამის სულიერი საქმიანობით, მის მიერ ქმნილი საქმეებით.

განითქუა ყოველსა ქართლსა საქმჱ მისი - მთელმა ქართლმა გაიგო მისი ამბავი.

აღნათქუემთა შესაწირად - აღთქმულის, დანაპირების შესაწირავად.

რაჲ ვის უჯმდა - ვის რა სჭირდებოდა.

მიემადლებოდა - ეძლეოდა.

ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა - აბრეშუმით ხელსაქმის ნაცვლად.

ჯელთა აღიხუნა დავითნი - ხელში აიღო დავითნი (დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები).

ასერგასისი - ას ორმოცდაათი.

ზესკნელისა მეუფე - უფალი ღმერთი, რომელიც ზეცას, ანუ ზესკნელს, განაგებს.

მოაქცინა მოგობასა - ცეცხლთაყვანისმცემლობა მიაღებინა.

თავსა თჳსსა ქუე დამართ სცემდა - თავს მიწას ურტყამდა.

სულთ ითქუნა - ამოიოხრა.

მტერი - აქ: ეშმაკი.

იაკობი მივიდა და ინახულა წმინდა შუშანიკი, ტირილისაგან გამშრალი და არაქათგამოლეული. ეპისკოპოსს საჭმელი გამოეგზავნა. ძალიან სთხოვა, ცოტა მაინც მიირთვიო. შუშანიკმა ოდნავ გემო გაუსინჯა, რამაც იაკობი ძალიან გაახარა.

უწინ შვილები თავისუფლად მიდიოდნენ დედის მოსანახულებლად, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცეცხლთაყვანისმცემლობა მიიღეს და ღმერთი უარყვეს, ნახვას ვეღარ ბედავდნენ. შუშანიკს მათი სახელის გაგონებაც კი ზარავდა.



ჩუქურთმა, აკვანების ტაძარი, VI ს. ქვემო ქართლი

XII ამის შემდეგ მოციქულები გაუგზავნა ვარსქენმა შუშანიკს, დააბარა:

- აღასრულე ჩემი ნება და დაბრუნდი სასახლეში, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვირზე შეგსვამ და დარუბანდში ან სამეფო კარზე გაგგზავნი.

წმინდა შუშანიკმა კი შეუთვალა:

- უბედურო და უგუნურო, თუ დარუბანდში გამგზავნი, ვინ იცის, იქნებ ამ ბოროტებას თავი დავაღწიო და იქ სიკეთეს ვეწიო. პიტიახშს გულზე მოხვდა დედოფლის სიტყვები, „იქნებ იქ სიკეთეს ვეწიო“, იფიქრა, რომელიმე მთავართაგანს არ მისთხოვდესო და მას შემდეგ აღარავინ გაუგზავნია მასთან. წმინდა შუშანიკი კი ტანჯვასა და განსაცდელს გულისხმობდა, რომელთაც ითმენდა, რათა უფლისთვის სათნო (მოსაწონი) ყოფილიყო.

შემდეგ თავისი ძუძუმტე მიუგზავნა ვარსქენმა, რათა სასახლეში დაებრუნებინა. როდესაც მან უთხრა წმინდა შუშანიკს:

- ისმინე ჩემი და დაბრუნდი სასახლეში, ნუ აოხრებ შენს ოჯახს.

დედოფალმა უპასუხა:

- წადი და მოახსენე იმ ურჯულოს, შენ მე მომკალი და მითხარი, რომ ცოცხალი ვერ გამოვიდოდი ციხიდან და, თუ მკვდრის გაცოცხლება შეგიძლია, ჯერ გააცოცხლე დედაშენი, რომელიც ურდშია დამარხული. თუ ამას ვერ შეძლებ, ვერც მე გამომიყვან ციხიდან, მხოლოდ ძალით თუ გამომათრევ.

როდესაც დედოფლის სიტყვები გადასცეს პიტიახშს, მან თქვა:

- ნამდვილად ასე ვთქვი.

მეორე დღეს ვიღაც შემოვიდა წმინდა შუშანიკთან და უთხრა:

- რა კარგად უპასუხე ვარსქენს, მას შენი გადაბირება უნდოდა. ავს შეგამთხვევდა, ბოროტი განზრახვა ედო გულში.

წმინდა შუშანიკმა კი მიუგო:

- და შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს, რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა. რამეთუ იტყჳს თჳთ უფალი: „მე მიუგო სიტყუაჲ თქუენ წილ“.

დარუბანდი - ჩორი (ძველი ქართულით), ციხე-ქალაქი კასპიის ზღვის სანაპიროზე.

ურდი - გეოგრაფიული სახელი, ზუსტი მდებარეობა უცნობია.

ძილსა შინა ნუ გგონიეს - მძინარე ხომ არ გგონია.

რომელმან განუმზადნის სიტყუანი პირსა კაცისასა - იგულისხმება: ღმერთი წინასწარ უმზადებს ადამიანს სათქმელს.

დააკვირდით

• ვარსქენი მცველს შუშანიკის ამბავს რომ ეკითხება, თითქოს ებრალება იგი. მაგრამ, როგორც კი მცველისგან თანაგრძნობით სავსე სიტყვას მოისმენს, სადღაც ქრება მასში სიბრალული და მრისხანედ ამბობს: „ნუ გენაღვლება. მოკვდეს!“

• ჰაგიოგრაფი არ გადმოგვცემს, რა მიზნით წავიდა ვარსქენი დარუბანდში. ეს კიდევ ერთი მიმანიშნებელია იმისა, რომ ავტორი მხოლოდ წმინდანთან დაკავშირებულ ამბებს უღრმავდება;

• შუშანიკს გამორჩეულობის ნიშნად ღვთისგან მიემადლა კურნების ნიჭი, რაც მის წმინდანობაზე მიგვითითებს. ავტორის რწმენით, აქედან მოყოლებული, იგი უკვე სრული წმინდანია;

• ვარსქენი ჯიუტად ცდილობს შუშანიკის სასახლეში დაბრუნებას;

• დედოფალი ცდილობს, იქადაგოს ქრისტეს სიყვარული, როგორც კი ამისი შესაძლებლობა მიეცემა. ამიტომ უხსნის მასთან შესულ, მკითხველისთვის უცნობ პერსონაჟს, მორწმუნის როგორი მხარდაჭერა იცის ღმერთმა.

კითხვები და დავალებები

1. რა გზით მოახერხა იაკობმა შუშანიკის მონახულება?

2. როგორ ფიქრობთ, რატომ იბარებს მცველი იაკობს შეღამებისას?

3. მოძებნეთ ფრაზა, რომლითაც წარმოჩნდება, რომ მცველი ნანობს იაკობის შეშვებას დედოფალთან;

4. თქვენი აზრით, რას გულისხმობს შუშანიკი, როდესაც იაკობს ეუბნება: „ამ სიკეთისთვის ტირი“?

5. მოძებნეთ ფრაზა, რომლითაც წარმოჩნდება, თუ როგორი მონდომებით ცდილობდა იაკობი წმინდანის გამხნევებას;

6. თქვენ უკვე იცით, რა არის „თვითგვემა“. დედოფლის რომელი საქციელი მიგვანიშნებს მის თვითგვემაზე?

7. როგორ კურნავდა წმინდანი ხალხს?

8. როგორ ფიქრობთ, რატომ არ უნდა ვარსქენს, რომ შუშანიკი ვინმე მთავართაგანს გაჰყვეს ცოლად?

9. თქვენი აზრით, რა მიზნით ახსენებს შუშანიკი ვარსქენს ურდში დამარხულ დედას? შეაფასეთ დედოფლის მოქმედება.

წერითი დავალება

დაწერეთ პირადი მოსაზრების გამომხატველი თხზულება „დედა და შვილები“ („შუშანიკის წამების" მიხედვით).

ნამუშევარში გადმოეცით:

• როგორ დედად მიგაჩნიათ შუშანიკი;

• როგორ აფასებთ მის დამოკიდებულებას შვილების მიმართ;

• შეეცადეთ, ამოიცნოთ იაკობის პოზიცია, რატომ აღნიშნა მან წმინდანის შესახებ, რომ შვილების სახელების გაგონებაც კი აღარ სურდა?

თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ ტექსტზე დაყრდნობით.

დისკუსია

მოაწყვეთ დისკუსია თემაზე: „შეიძლება თუ არა ძალადობა სილაჩრის გამოვლინებად მივიჩნიოთ“

დისკუსიის დაწყებამდე ყურადღებით წაიკითხეთ ფრაგმენტები ჯემალ ქარჩხაძისა და ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებებიდან, შემდეგ გამოხატეთ თქვენი მოსაზრებები სადისკუსიო კითხვებზე დაყრდნობით.

ა) ფრაგმენტი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან „ანტონიო და დავითი“

ანტონიო ესაუბრება დავითს (ყაჩაღს):

„კაცს იარაღი მხოლოდ იმიტომ დააქვს თან, რომ ეშინია. კაცი სიავეს მხოლოდ იმიტომ სჩადის, რომ ეშინია. ლაჩარი და ბოროტი ერთი და იგივეა.

შიშის დამალვა უფრო ადვილია, ვიდრე შიშის დაძლევა, წაქცევა უფრო ადვილია, ვიდრე - წამოყენება, სიძულვილი უფრო ადვილია, ვიდრე - სიყვარული.

შენ შენს თანდაყოლილ შიშს ვერ გაუძელი, ლაჩრად იქეცი და იოლი გზა აირჩიე. შენ ხომ არაფერი ისეთი არ ჩაგიდენია, რასაც შეგიძლია სიმამაცე უწოდო! შენ ხომ მუდამ მხოლოდ იმას ჩაგრავდი, იმას ძარცვავდი და იმას კლავდი, ვისი დაჩაგვრაც, ვისი გაძარცვაც და ვისი მოკვლაც ადვილი იყო! შენ ხომ ყოველთვის უხიფათო გზას ეძებდი! შენზე უფრო ძლიერს რომ გადაეყარო, ხომ მაშინვე სამალავს დაუწყებ ძებნას! შენ ცდილობ, ყველა მონად გაიხადო, თავად კი საკუთარი შიშის მონა ხარ და მუდამ იმას აკეთებ, რასაც შიში გიბრძანებს.

ბ) ფრაგმენტი ოთარ ჩხეიძის რომანიდან „ბორიაყი“

მთავარი გმირი ამბობს:

„კაცი თუ დაშინდა, იმაზე საცოდავი აღარაფერია; სხვაგვარად თუ ვიტყვით, დაშინებული კაცი და ცხოველი აღარაფრით განირჩევა ერთმანეთისგანა, ხოლო გაცხოველებული ადამიანი თუ რა იქნება, შენ თვითონვე მიხვდი... ლაჩარზე მძვინვარე, საშინელი, გაუტანელი არცა ყოფილა, არც იქნება, და რაც რამ უბედურება დატრიალებულა ამ ქვეყნადა, ლაჩართაგან დატრიალებულა“.

კითხვები:

- ჯემალ ქარჩხაძისა და ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებთა მიხედვით, რით და როგორ გამოვლინდება სილაჩრე? როგორ იქცევა ლაჩარი ადამიანი?
- როგორ ფიქრობთ, უკავშირდება თუ არა ამ ნაწარმოებებში გამოთქმული მოსაზრებები ვარსქენის ქცევას - შეიძლება თუ არა ვარსქენის საქციელი სილაჩრით აიხსნას? თქვენი აზრით, რისი შიში შეიძლება ჰქონდეს პიტიახშს (თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ ტექსტებზე დაყრდნობით)?



რელიეფი, აკვანების ტაძარი, VI ს. ქვემო ქართლი


XIII. საპყრობილეში გატარებული მეექვსე წელი რომ სრულდებოდა, დიდმა ტანჯვამ და განსაცდელმა შუშანიკ დედოფალი დააავადა, რასაც ვუწინასწარმეტყველებდი კიდეც. ციხეში ყოფნის პირველივე დღიდან დედოფალს ბალიშზე თავი არ დაუდვია, მხოლოდ აგურს იდებდა სასთუმლად. ქვესაგებლად კი ერთი ძველი ნაბადი ეფინა. სხვათა დასანახავად პატარა ბალიში და უხეში ტყავის ნაჭერი ჰქონდა. და ლოცვისას თაყვანისცემისთვის ერთი პატარა ბეწვიანი ტყავის ნაგლეჯი ჰქონდა დაფენილი.

ზაფხულში ამ მხარეში მზე ცეცხლივით წვავს, ცხელი ქარი უბერავს და წყალი მავნებელია. ამ ადგილის მკვიდრნი დაავადებულნი არიან - შეშუპებულნი, გაყვითლებულნი, დამუწუკებულნი, გამოფიტულნი, მუნითა და კეთრით სნეულნი, სახედასივებულნი, დღემოკლედ მცხოვრებნი. მოხუცებული არავინ არის ამ მხარეში. ასეთ პირობებში შუშანიკ დედოფალმა, ბორკილებდადებულმა, ექვსი წლის განმავლობაში ადიდა უფალი.

საპყრობილეში ყოფნის მეშვიდე წელს წმინდა და სამგზის სანატრელ დედოფალს სხეული დაუწყლულდა.

შიგნით ძაძა ეცვა და არავინ იცოდა ამის შესახებ, ჩემ გარდა; გარედან ადამიანთა დასანახავად ანტიოქიური პალეკარტი ემოსა.

XIV. როდესაც ჯოჯიკმა გაიგო, რომ ნეტარი და წმინდა შუშანიკის სიკვდილი მოახლოებულიყო, წაიყვანა თავისი ცოლი, შვილები, მსახურები და ციხეში მივიდა მარტვილი დედოფლის სანახავად. როდესაც საკანში ძალით შევიდა, თაყვანი სცა პატიოსან ჯვარს, შემდეგ გვერდით დაუჯდა წმინდა შუშანიკს და მისი სატკივრით დაინტერესდა. დედოფალმა უთხრა: კარგად ვარ, როგორც უფლის ნებაა, ყველას მიერ გასავლელ გზას მეც შევუდგები.



ფრაგმენტი „შუშანიკის წამების“ ხელნაწერიდან, პარხლის მრავალთავი, X ს

ხოლო ჯოჯიკ მსწრაფლ აღდგა ზე და პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუვარებდა და ევედრებოდა წმიდასა შუშანიკს და ეტყოდა:

ქვესაგებელი - ქვეშ დასაფენი, აქ: ზეწარი.

ძაძა - თხის მატყლის ძაფით ნაქსოვი უხეში ქსოვილის სამოსი,ძირითადად, შავი ფერის; ბიბლიის მიხედვით, გლოვის ან ცოდვების მონანიების მიზნით იცვამდნენ.

ანტიოქია - ქალაქი სირიაში.

პალეკარტი - მოსასხამი.

პირველთა მათ უწესოთა საქმეთა აღუვარებდა - თავის ადრინდელ ცოდვებს აღიარებდა.

- სძალო და მხევალო ქრისტესო, ითხოვე ღმრთისაგან, რაჲთა მომიტევენ მე მრავალნი შეცოდებანი ჩემნი.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა მას:

- ღმერთმან მოგიტევნეს შენ.

ვითარ შეატყუა ჯოჯიკ, ვითარმედ მას დღესა განვალს წმიდაჲ იგი ჴორცთა ამათგან, ჰრქუა:

- მაკურთხე მე და ცოლი ჩემი, მჴევალი შენი, და შვილნი ჩემნი და მონა-მჴევალნი ჩემნი. და თუ რაჲმე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროჲსათა და სოფლისმოყუარეთა, მოგჴტევენ და ნუ მოიჴსენებ მედგრობათა ჩუენთა.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა ჯოჯიკს და ცოლსა მისსა:


- ჰყავთ წარმდებად საქმე ესე ჩუენი, რამეთუ არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაჲ და ტკივილი ჩემთჳს, რომელმანცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა.

ხოლო მათ ჰრქუეს:

- ჩუენ თჳნიერ შენსა ფრიად დავშუერით, გარნა არა იყო სმენაჲ, არცა სიტყუაჲ.

მაშინ ჰრქუა წმიდამან შუშანიკ:

- განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, სადა-იგი არა არს თუალ-ღებაჲ წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა, სადა არა არს რჩევა მამაკაცისა და დედაკაცისა, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქუათ წინაშე ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესა. მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა და დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა. ღმერთმან საჯოს მის შორის და ჩემ შორის. ხოლო მე აწ ამას ვჰმადლობ ღმერთსა, რამეთუ ტანჯვითა მისითა მე ლხინებაჲ ვპოვო და გუემათა და თრევათა მისთათჳს მე განსუენებასა მივემთხჳო და უგულისჴმოებისა და უწყალოებისა მისისათჳს მე წყალობასა მოველი იესუ ქრისტეს მიერ, უფლისა ჩემისა.



მეტეხის ტაძარი,
თბილისი, XIII ს.

ხოლო იგინი ამას ყოველსა ზედა სიტყუასა მისსა ტიროდეს მწარედ და ჰრქუეს:

- მოგჴტევენ ბრალნი ჩუენნი და გუარჯურთხენ, წმიდაო მოწამეო და მარტჳლო სანატრელო ქრისტეს ღმრთისაო.

ხოლო წმიდამან შუშანიკ ჰრქუა:

- ღმერთმან მოგიტევენინ, რომელ-რაჲ-იგი ჰყავთ.

მაშინღა აკურთხნა ჯოჯიკ და ცოლი მისი და შვილნი მისნი და მონა-მჴევალნი მისნი, და ყოველი ეზოჲ და პალატი მისი. და ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა და ეტყოდა, ვითარმედ:

- ესე ყოველი ცხორებაჲ, ვითარცა ყუავილი ველთაჲ, წარმავალ არს და დაუდგრომელ და, ვინ სთესა, მოიმკო, და, ვინ განაბნია გლახაკთათჳს, შეიკრიბა, და რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი, რომელმან ადიდა იგი.

და გამოგზავნნა იგინი მშჳდობით.

სძალო და მხევალო ქრისტესო - ქრისტეს რძალო და მსახურო.

განვალს ... ჴორცთა ამათგან - გარდაიცვლება.
მონა-მჴევალნი - მსახური კაცები და ქალები.
კაცთა საწუთროჲსათა - წუთისოფლის მოყვარე ადამიანები.
მედგრობა - უმოქმედობა, სიზარმაცე, ბოროტება, სიავე, ლაჩრობა.
ჰყავთ წარმდებად საქმე ესე ჩემი - დაუდევრად, უგულოდ, გულშეუტკივრად მომექცით.
არავინ იპოვა კაცთაგანი - არავინ გამოჩნდა ადამიანთა შორის.
რომელსაცა აქუნდა წყალობაჲ და ტკივილი ჩემთვის - რომელსაც შევებრალებოდი და თანამიგრძნობდა.
რომელმანცა შეაჴცერა - რომელიც დაარწმუნებდა.
საწუთროსა მეუღლესა - ამქვეყნიურ მეუღლეს.
ჩუენ თჳნიერ შენსა ფრიად დავშუერით - უშენოდ ძალიან ვეცადეთ.
გარნა არა იყო სმენაჲ, არცა სიტყუაჲ - არც არაფერი გაიგონა, არც არაფერი თქვა.
განვისაჴნეთ მუნ - გავსამართლდებით იქ.
სადა არა არს თუალღებაჲ - სადაც არ არსებობს მიკერძოება.
წინაშე მსაჴულის მის მსაჴულთაჲსა და მეუფისა მის მეუფეთაჲსა - იესო ქრისტეს წინაშე.
სწორი სიტყუაჲ ვთქუათ - თანასწორად ვილაპარაკებთ.
მიაგოს მან უფალმან - ღმერთმა გადაუხადოს.
უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოსთულნა - ჩემი ნაყოფი უდროოდ დაკრიფა (მეტაფორაა - იგულისხმება, უდროოდ გამანადგურა).
სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო - ჩემი სანთელი ჩააქრო და ჩემი ყვავილი დააჭკნო (მეტაფორაა - იგულისხმება, სიცოცხლე მომისპო და გამინადგურა).
შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა - (მეტაფორაა) იგულისხმება, ბედნიერება უბედურებად მიქცია.
დიდებაჲ ჩემი დაამდაბლა - ჩემი დიდება დაამხო.
ღმერთმან საჴოს მის შორის და ჩემ შორის - ღმერთმა გაგვასამართლოს.
განსუენება - შვება.
უგულისხმოება - უგუნურობა.
უწყალოება - სისასტიკე, ულმობლობა.
მარტჴლი - (ბერძნ.) მოწამე, შესაბამისად „მარტვილობა“ ნიშნავს „წამებას“, შეგვიძლია, სინონიმურად ვთქვათ: „შუშანიკის წამება“, „შუშანიკის მარტვილობა“.
რომელ-რაჲ-იგი ჰყავთ - რაც ჩაიდინეთ.
პალატი - სასახლე.
დაუდგრომელი - არამყარი, შეუჩერებელი.
განაბნია - აქ: დაურიგა, დახარჯა.
რომელმან წარიწყმიდოს თავი თჳსი, მან პოოს იგი - ვინც თავს გაწირავს, მსხვერპლად გაიღებს, ის იპოვის მას (ღმერთს).
მსგავსად მისვე სახისა - ასევე.

XV. ჯოჯიკის შემდეგ დედოფალს ეწვივნენ მთავარეპისკოპოსი სამოელი და მისი მოყვასი ეპისკოპოსი იოანე, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ამხნევებდნენ და გვერდში ედგნენ დედოფალს, მის ღვაწლს იზიარებდნენ, მადლობით წარგზავნიდნენ ქრისტეს ნავსადგურში (ზეციურ საუფლოში).



მსგავსად მისვე სახისა აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს.

და მოიწია დღე იგი წოდებისა მისისაჲ და მოუწოდა ეპისკოპოსსა მისისა სახლისასა აფოცს და მადლსა მისცემდა მისა მიმართ მოწლეობისა მისისათჳს. ვითარცა მამასა და მამამძუძესა, შემვედრა მე, კაცი ცოდვილი და გლახაკი ესე. და შეჰვედრებდა ნეშტთა მათ ძუალთა მისთასა და უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას, ვინაჲცა-იგი პირველად გამოითრიეს და ეტყოდა:

- უკუეთუ ღირს რაჲმე ვარ უკუანაჲსკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენაჯისაჲ, იყვენით ყოველნი კურთხეულ უკუნისამდე ჟამთა. და ჰმადლობდა ღმერთსა და თქუა:

- კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მშჯდობით მასა ზედა დავწევ და დავიძინე. და შეჰვედრა სული თჳსი უფალსა, ყოველთა შემწყნარებელსა.

დავჰკრძალენით წმიდანი იგი და დიდებულნი და პატივცემულნი ნაწილნი წმიდისა შუშანიკისნი განმზადებულსა მას ადგილსა. და მას ღამესა ანგელოზთა სახედ ღამე იგი გავათიეთ და დავითის ქნარითა მით ყოვლადძლიერსა ღმერთსა და ძესა მისსა, უფალსა ჩუენსა, იესუ ქრისტესა, ვადიდებდით.

> იგი აღესრულა ჩვიდმეტ ოქტომბერს, წმინდა და სანატრელ მოწამეთა - კოზმა და დამიანეს - ხსენების დღეს, ხუთშაბათს. ეს დღე დავაწესეთ წმინდა შუშანიკის სადიდებლად და საქებლად ღვთისა - მამისა, ძისა და სულიწმიდისა - რომელსაც შეჰფერის საუკუნო დიდება, ამინ!



აზნაურნი დიდ-დიდნი - დიდებულები, დიდგვაროვანნი.
ზეპურნი დედანი - დიდგვაროვანი ქალბატონები.
უაზნონი - არადიდგვაროვანნი.
მოიწია დღე იგი წოდებისა მისისაჲ - დადგა მისი გარდაცვალების დღე.
მოუწოდა - დაუძახა, მოუხმო.
მადლსა მისცემდა - მადლობას გადაუხდიდა.
მოწლეობისა მისისათჳს - გულშემატკივრობისათვის.
მამამძუძე - აღმზრდელი მამაკაცი.
უბრძანებდა დასხმად ადგილსა მას - უბრძანებდა, დაემარხათ ამ ადგილას.
ვინაჲცა იგი პირველად გამოითრიეს - საიდანაც პირველად გამოათრიეს.
უკუანაჲსკნელი ესე მეათერთმეტე მოქმედი ვენაჯისაჲ - შუშანიკი გულისხმობს „სახარებისეულ“ იგავს „ვენახის მუშების საზღაური“, რომლის მიხედვითაც ვენახის პატრონს (ღმერთს) მუშები ხანგამოშვებით შეჰყავდა ვენახში სამუშაოდ და გაწეული შრომისთვის ძალიან დიდ ანაზღაურებას ჰპირდებოდა. სულ 12-საათიანი სამუშაო დღე იყო, ვიღაც დილიდანვე მუშაობდა, ვიღაც შემდეგ იყო მისული. ვენახში სულ ბოლოს, მეთერთმეტე საათზე, მოსულმა მუშაკმა მხოლოდ ერთ საათს იმუშავა. ვენახის პატრონმა კი ყველას თანაბრად გადაუხადა დაპირებული თანხა. .ამით მიენიშნება, რომ მიუხედავად იმისა, რომელ ეპოქაში ცხოვრობს წმინდანი, რამდენ ხანს გაგრძელდა მისი მოღვაწეობა, ნებისმიერ მოწამეს ერთნაირად აფასებს უფალი. შუშანიკი იმედოვნებს, რომ მის ღვაწლს ერთ საათს მაინც გაუტოლებს ღმერთი და ამით იგი მოწამეთა დასს შეუერთდება.
ანგელოზთა სახედ - ანგელოზთა მსგავსად.
დავითის ქნარით - აქ: დავითის ფსალმუნების გალობით, დავით წინასწარმეტყველი ქნარზე უკრავდა და ისე გალობდა.

დააკვირდით

• ავტორი გადმოგვცემს, როგორი თავგანწირვით მოღვაწეობს დედოფალი ციხეში, რათა კიდევ ერთხელ გაამახვილოს ყურადღება მის მოწამეობასა და უფლის სიყვარულზე;

• ციხის გარემო, იქაური ბუნებრივი პირობები, ადამიანთა სიცოცხლის მომსპობი და დამაავადმყოფებელი, მიგვანიშნებს, თუ რამხელა ძალა აქვს რწმენას, რადგან წმინდანმა უფლის სიყვარულითა და მტკიცე ნებისყოფით ჯოჯოხეთურ პირობებს გაუძლო და ბორკილებდადებულმა ექვსი წლის განმავლობაში უდრტვინველად ადიდა უფალი;

• შუშანიკი მტკიცედ იტანს ნებისმიერ სატანჯველს, აუღელვებლად ხვდება სიკვდილსაც. გაიხსენეთ, ადრე ნაცემი, ნაგვემი, იაკობს ანუგეშებდა, ახლა კი დაწყლულებული, სიკვდილის პირას მისული, მასთან გამოსამშვიდობებლად მისულ ჯოჯიკს მშვიდად ეუბნება: „კარგად ვარ, როგორც უფლის ნებაა, ყველას მიერ გასავლელ გზას მეც შევუდგები“;

• წმინდანის სიძლიერე იმითაც წარმოჩნდება, რომ იგი მარტო ეგებება ნებისმიერ განსაცდელს, რაც მინიშნებულია მისი სიტყვებით: „არავინ იპოვა კაცთაგანი, რომელსამცა აქუნდა წყალობაჲ და ტკივილი ჩემთჳს, რომელმანცა შეაჯერა უღმრთოსა მას საწუთროსა მეუღლესა“;

• ყოველგვარი განსაცდელისა თუ ტკივილისთვის დედოფალი მხოლოდ მადლობას ეუბნება უფალს, ერთხელაც კი არ დასცდენია საყვედური;

• როგორც ნახეთ, მედგარი/მედგრობა ძველ ქართულ ენაში მრავალი მნიშვნელობით გვხვდებოდა, დღეს კი სიმტკიცეს, სიმყარეს, უდრეკობას ნიშნავს. ეს ერთ-ერთია იმ სიტყვებიდან, რომელთაც დროთა განმავლობაში მნიშვნელობა შეიცვალეს. ამ მაგალითით წარმოჩნდება ენის ცოცხალი ბუნება, მისი მარადიული განახლება;

• იაკობს მამამძუძე სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდაა (მრჩეველს და დამრიგებელს აუცილებლად მიიჩნევდნენ 30 წლის ასაკამდე, რადგან ამ ასაკში დაიწყო იესომ მოღვაწეობა. ამიტომ დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა და მხოლოდ საკუთარი თავისთვის მინდობა ადამიანს 30-ის რომ გახდებოდა, მერე შეეძლო).

კითხვები და დავალებები

1. თქვენი აზრით, რის თქმა სურს ავტორს იმით, რომ წმინდანი კიდევ ერთხელ აღნიშნავს თავის მარტოობას (თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ)?

2. როგორ ფიქრობთ, შუშანიკს ძაძის ზემოდან რატომ აცვია პალეკარტი?
შეარჩიეთ სწორი პასუხი და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი;

ა) არ შეიძლება, დედოფალს შავი სამოსი რომ ეცვას;

ბ) ვარსქენმა რომ არ გაიგოს ამ საქციელის შესახებ;

გ) მიბაძავენ მას და ყველა მცხოვრები ძაძას ჩაიცვამს;.

დ) ხალხის თვალში დედოფლად რომ დარჩეს;

3. თქვენი აზრით, გულწრფელია ჯოჯიკი, როცა შუშანიკთან საუბრობს ცოდვებზე, ვარსქენზე და თავის თავს „საწუთროს კაცსა და სოფლის მოყვარეს“ უწოდებს (პასუხი დაასაბუთეთ)?

4. როგორც შენიშნეთ, მედგარი/მედგრობა ძველ ქართულ ენაში მრავალი კონტექსტით გვხვდებოდა; თქვენი აზრით, ჯოჯიკი შუშანიკისგან მედგრობისთვის მიტევებას რომ ითხოვს, ამ სიტყვის რომელ მნიშვნელობას გულისხმობს?

5. შუშანიკი მეტაფორულად ამბობს: „ნა-

ყოფნი ჩემნი მოსთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭნო და შუენიერებაჲ სიკეთისა ჩემისაჲ დააბნელა“? შეეცადეთ, განმარტოთ ყველა მეტაფორა.

6. როგორ გესმით: „ამცნებდა სლვად გზათა ღმრთისათა“?

7. რა მხატვრული ხერხია: „ესე ყოველი ცხორებაჲ, ვითარცა ყუავილი ველთაჲ“?

8. რომელი სოციალური ფენებისგან შედგება ქართლის მოსახლეობა მეხუთე საუკუნეში?

9. თქვენი აზრით, რა თვისებას ამჟღავნებს შუშანიკი, როცა არ მიიჩნევს თავს „უკუანაჲსკნელ, მეთერთმეტე ჟამის“, ანუ ერთი საათის განმავლობაში გარჯილ, მუშაკადაც კი (სათქმელი დაასაბუთეთ)?

10. იმდროინდელ ქართლში მიცვალებულის გაპატიოსნების როგორი წესი ყოფილა?

11. მოიძიეთ ინფორმაცია, ამჟამად სად არის დაკრძალული წმინდა შუშანიკი.

წერითი დავალება

დაწერეთ „შუშანიკის წამების“ მოკლე შინაარსი. დავალების შესრულება რომ გაგიიოლდეთ:

• გონებაში გადაარჩიეთ უმნიშვნელოვანესი ამბები „შუშანიკის წამების“ სამივე ნაწილიდან (შესავალი, ძირითადი, დასასრული) და შეეცადეთ, გადმოსცეთ 2-2 ან 3-3 წინადადებით (შეგიძლიათ, იყოს ქვეწყობილებიც);

• ამ ამბებიდან ამოარჩიეთ ათი, თქვენი აზრით, უმთავრესი სიტყვა და ხუთი, თქვენი შეხედულებით, უმთავრესი ფრაზა;

• შინაარსის გადმოცემისას გამოიყენეთ თქვენ მიერ ამორჩეული უმთავრესი სიტყვები და ფრაზები;

• მიღებული ვარიანტი გადაამუშავეთ, დახვეწეთ და წარუდგინეთ კლასს.

თვალსაზრისი

ამოიცანით ავტორისეული ჩანაფიქრი

წმინდა შუშანიკი, მიუხედავად სულიერი ამაღლებისა, ჯოჯიკთან საუბრისას მაინც წუხს თავისი ტრაგიკული ცხოვრების გამო. აღნიშნეთ, რა მიზეზებს ასახელებს სამდურავის წარმოთქმისას;

მოიძიეთ ტექსტში სხვა ეპიზოდები, რომლებშიც დედოფლის მსგავსი წუხილია გამოხატული და დაფიქრდით, რატომ ამახვილებს იაკობ ხუცესი ყურადღებას ამ ფაქტზე, რა შეიძლება იყოს მისი მიზანი?

პასუხისას შესაძლოა, გამოგადგეთ „სახარებისეული“ ამბავიც, სანამ ჯალათები შეიპყრობდნენ, ქრისტე გეთსიმანიის ბაღში მამა ღმერთს ევედრებოდა, აერიდებინა მომავალი განსაცდელი. ჯვარცმული იესოს უკანასკნელი სიტყვები კი იყო: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?“ (მათე 27, 46).



ლიტერატურული მეგზური

ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნიშან-თვისებები

თქვენ უკვე შეისწავლეთ ჰაგიოგრაფიის რამდენიმე ჟანრობრივი მახასიათებელი.

გააანალიზეთ ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშან-თვისებები და გადაანაწილეთ მოცემულ ცხრილში იმის შესაბამისად, თუ რომელი მიგაჩნიათ „შუშანიკის წამების“, როგორც ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების, ჟანრობრივ მახასიათებლად.

გნებავთ, სრულად ჩაწერეთ საკითხი და გნებავთ ჩამონათვალის ნომრის შესაბამისად.

შენიშვნის გრაფაში მოკლედ ახსენით (პრეზენტაციისას კი - სრულად), რატომ ფიქრობთ ასე.

პრეზენტაციისას შეაჯამეთ, ჰაგიოგრაფიის ჟანრული მახასიათებლების შესახებ რით გამდიდრდა თქვენი ცოდნა „შუშანიკის წამების“ შესწავლის შემდეგ.

1. გვხვდება მხოლოდ გამოგონილი ამბები.
2. ავტორი ერთ-ერთი მოქმედი გმირია.
3. გვხვდება მხოლოდ რეალურად მომხდარი ამბები.
4. პერსონაჟები მხოლოდ ისტორიული პირები არიან.
5. დაწერილია პირველ პირში.
6. სიტყვიერი პოლემიკაა გამართული სხვა რელიგიასთან.
7. გვხვდება ბიბლიური სახეები, ბიბლიის დამოწმებანი.
8. გვხვდება მხოლოდ ორიგინალური მხატვრული ხერხები, რადგან ავტორი ცდილობს, ყველასგან გამოირჩეოდეს მისი სტილი და წერის მანერა.
9. გვხვდება უარყოფითი პერსონაჟი, რომელიც სხვადასხვა თვისებით ხასიათდება.
10. ასახულია მთავარი გმირის მხოლოდ დადებითი თვისებები (ავტორის თვალსაზრისით).
11. პერსონაჟის დეტალური გარეგნული დახასიათება აუცილებელია.
12. გადმოცემულია, თუ რა როლი აქვს შუშანიკის მოღვაწეობას ერისთვის.

	სპეციფიკური ნიშან-თვისება	ორიგინალური ნიშან-თვისება	არადამახასიათებელი ნიშან-თვისება	შენიშვნა
1				
2				

ლიტერატურული პარალელი



გაეცანით თემურ ჩალაბაშვილის ლექსს „ო, დედოფალო“

თემურ ჩალაბაშვილი - ო, დედოფალო!

გარეთ ქარია...
ხორშაკნი ჰქრიან,
ევლება სენაკს ნათლისღებანი,
ო, დედოფალო!
სხეული გტკივა,
თუ ცოდვის შვილთა შეცოდებანი?!
... ვიწრო სენაკში შუქად კიაფობ,
ამაყობ კიდეც გულის წიაღში.
ფეხმორთხმით ზის და
მოსთქვამს იაკობ:
- ტანჯვას მოგაწევს ხვალ პიტიახში!..
ო, დედოფალო!
უარყავ რწმენა -
კვლავ ჩაგქირქილებს მარტვილს სატანა,
... და წუთით, თითქო, დაგეხშო სმენა...
უბრძანებ სხეულს მეტის ატანას...
ო, დედოფალო!
იცვალენ მხარი,
თორო - დაწყლულდენ წყლულზე წყლულები.
დასთმე სასახლე და შმაგი ქმარი...
ვითა ბრჭყვიალა სამკაულები...
გარეთ ქარია...
ხორშაკნი ქრიან,
ევლება სენაკს ნათლისღებანი,
ო, დედოფალო!
სხეული გტკივა
თუ ცოდვილ შვილთა შეცოდებანი?!

შეასრულეთ დავალებები:

ა) შემოთავაზებული ცხრილი გადახაზეთ დავალების რვეულში და შეავსეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:

• პირველ სვეტში დაწერეთ ლექსის სტრიქონი;
• მეორე სვეტში ამოწერეთ შესატყვისი ფრაზა/ფრაზები „შუშანიკის წამებიდან“;
• კომენტარის გრაფაში აღნიშნეთ, რა ახალ შტრიხებს მატებს თემურ ჩალაბაშვილის ლექსი შუშანიკის სახეს და რა ემოციებს იწვევს მკითხველში?

თემურ ჩალაბაშვილის ლექსის სტრიქონი	ფრაზა „შუშანიკის წამებიდან“	კომენტარი

ბ) სურვილის შემთხვევაში მოემზადეთ ლექსის ხმამაღლა წასაკითხად და წარუდგინეთ კლასს.

შემოქმედებითი დავალება

შეასრულეთ დავალება და წარადგინეთ კლასის წინაშე.

პროექტი - მეხუთე საუკუნის ქართლი „შუშანიკის წამებისა“ და ისტორიული წყაროების მიხედვით.

შეისწავლეთ შუშანიკის მოღვაწეობის პერიოდის ქართლის მდგომარეობა და წარმოადგინეთ ნამუშევარი.

საამისოდ:

ა) გაითვალისწინეთ, მასალა სრულყოფილი რომ გამოვიდეს, აუცილებელია, ქვეყნის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოაგროვოთ ხუთი მიმართულებით:

- პოლიტიკური ვითარება;
- სოციალური ვითარება;
- ეკონომიკური ვითარება;
- სარწმუნოებრივი ვითარება;
- კულტურული ვითარება.

ბ) „შუშანიკის წამებიდან“ ამოკრიბეთ მასალა ქვეყნის იმდროინდელ ვითარებაზე;

გ) მოიძიეთ მასალა ისტორიიდან;

დ) წარმოაჩინეთ მთავარი ინფორმაცია;

ე) გამოკვეთეთ კონკრეტული დეტალები.

ვ) პროექტი წარუდგინეთ კლასს;

ზ) მუშაობის დამთავრების შემდეგ გაიაზრეთ, რა მოგცათ პროექტზე მუშაობამ და სხვა დროს რას გააუმჯობესებთ.



ხელნაწერის ფრაგმენტი, ურბნისის ოთხთავი, XI ს.

დისკუსია

გამართეთ დისკუსია თემაზე: **გამართლებულია თუ არა მიზნის მიღწევა ნებისმიერი საშუალებით (გზით)**

• კარგად გაიაზრეთ დავალების პირობა;
• აირჩიეთ ერთ-ერთი პერსონაჟი (შუშანიკი, ვარსქენი, იაკობი) და იმსჯელეთ მის ქცევებსა და მოტივებზე, შეაფასეთ მისი მიზნები და გადაწყვეტილებები;
• გაითვალისწინეთ ისტორიული კონტექსტი;
• პარალელი გაავლეთ სხვა ნაწარმოებებთან, ან ცხოვრებისეულ ეპიზოდებთან;
• არგუმენტებისა და მაგალითების მოშველიებით დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

წერითი დავალება

ჯოჯიკის სახე

ნაწარმოების ერთ-ერთი საინტერესო გმირია ჯოჯიკი, რომელიც არაერთ ეპიზოდში გვხვდება. გაიხსენეთ ეს მონაკვეთები და დაწერეთ ჯოჯიკის დახასიათება.

• თავდაპირველად შეადგინეთ დახასიათების გეგმა;
• იმსჯელეთ ჯოჯიკის თვისებებზე; ყურადღება გაამახვილეთ მის დამოკიდებულებაზე შუშანიკ დედოფლისა და ვარსქენის მიმართ;
• გამოკვეთეთ თქვენი დამოკიდებულება პერსონაჟის მიმართ.

შემოქმედებითი დავალება

დაწერეთ ესე - იაკობ ხუცესი - ავტორი და პერსონაჟი

• იმსჯელეთ იაკობ ხუცესზე, როგორც მწერალზე - როგორ ქმნის პერსონაჟთა სახეებს, მიმართავს ბიბლიურ ალუზიებს, იყენებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს;
• იმსჯელეთ მასზე, როგორც ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ გმირზე, გამოკვეთეთ მისი პიროვნული თვისებები. შეაფასეთ მისი დამოკიდებულება შუშანიკ დედოფლის, ვარსქენისა და სხვა პერსონაჟების მიმართ;
• დაიმოწმეთ ციტატები ტექსტიდან;
• გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება იაკობ ხუცესის, როგორც ავტორისა და პერსონაჟის მიმართ;
• გაავლეთ პარალელი თანამედროვეობასთან; იმსჯელეთ, დღევანდელობაში როგორ გამოიკვეთება ჭეშმარიტ ხელოვანთა როლი;
• დაიცავით ენობრივი ნორმები.

ციფრული ლაბორატორია - სიუჟეტური ნახატი

• ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმენით სიუჟეტური ნახატი შუშანიკისა და ჯოჯიკის ოჯახის დიალოგის მიხედვით;
• დახატეთ სიუჟეტური ნახატის კადრები (ჩარჩოები); გამოსახეთ მოქმედება, პერსონაჟები და გარემო;
• გამოიყენეთ „დიალოგის ღრუბელი“ - ტექსტი უნდა იყოს მოკლე, გასაგები;
• გამოხატეთ პერსონაჟების ემოციები მიმიკით, ჟესტებით;
• დაამატეთ საჭირო დეტალები, რომ ამბავი შთამბეჭდავი იყოს.

ამ დავალების შესრულება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისევე - ჯგუფურადაც.

შემოქმედებითი დავალება

ჯგუფური პრეზენტაცია


დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ 10-12-წუთიანი პრეზენტაცია: „მაგალითის ძალა“ (შუშანიკისა და ქეთევან დედოფლის მოწამებრივი გზის შესახებ). პრეზენტაცია წარადგინეთ კლასში და უპასუხეთ შეკითხვებს.

პრეზენტაციაში:

• მოკლედ მიმოიხილეთ შუშანიკ დედოფლის მიერ გავლილი მოწამებრივი გზა;
• წარმოაჩინეთ ინფორმაცია ქეთევან დედოფლის შესახებ;
• შეადარეთ ერთმანეთს ეპოქები, რომლებშიც შუშანიკი (V საუკუნე) და ქეთევანი (XVII საუკუნე) ცხოვრობდნენ: გამოკვეთეთ, რა იყო ამ ხანებში მთავარი პოლიტიკური საფრთხე, როგორი იყო დამპყრობლების სტრატეგია, რა მსგავსებაა ამ ისტორიულ ეპოქებს შორის;
• შეადარეთ ერთმანეთს ორი დედოფლის პიროვნული მახასიათებლები; გადმოეცით, რა არჩევანის წინაშე იდგნენ ისინი, რა მსხვერპლი გაიღეს, რა იყო მათი მთავარი იარაღი;
• ორი დედოფლის ცხოვრების გზისა და აღსასრულის მიხედვით, იმსჯელეთ, რით არის მნიშვნელოვანი განსაცდელის ჟამს საზოგადოებისთვის ავტორიტეტული ადამიანების არჩევანი;
• წარმოაჩინეთ, რა მაგალითს აძლევს თანამედროვე ადამიანს ღირსეულ წინაპართა ცხოვრება;
• გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი წყარო: სახელმძღვანელო, ვებგვერდები;
• წარმოაჩინეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (მაგ.: ფოტოები, ნახატები, სქემები), შეარჩიეთ მუსიკა სათანადო განწყობის შესაქმნელად - მუსიკალური ფონის სახით.

გადასადგმელი ნაბიჯები
პრეზენტაციის მომზადებისას:

• დაიყავით 4-5-კაციან ჯგუფებად;
• წინასწარ გაინაწილეთ ჯგუფში სამუშაო, მაგ.: ზოგიერთი წევრი იმუშავებს მასალების მოძიება-შერჩევაზე, ზოგი - ვიზუალურ მხარეზე, ზოგი - მუსიკალურ გაფორმებაზე, ზოგი - ტექნიკურ მხარეზე;
• მოძიებული მასალის საფუძველზე მოამზადეთ ჩანაწერები (რვეულში ან ფურცელზე), რომლებსაც წარადგენთ პრეზენტაციის დროს;
• ნამუშევრის წარსადგენად შეარჩიეთ 2-3 პრეზენტატორი.



ფრაგმენტი „შუშანიკის წამების“ ხელნაწერიდან, პარხლის მრავალთავი, X ს

იოვანე საბანისძე

აბოს წამება



ჩუეულებისაებრ მამულისა სვლა

არაბეთის სახალიფო აბო თბილელის ეპოქაში

საინტერესოა, რა კულტურული სამყაროდან მოვიდა აბო თბილისში?

VIII საუკუნის შუა წლებში არაბეთის ხალიფატის მართვა-გამგებლობა აბასიდების ხელში გადადის. ამ დინასტიის სათავეში დგას აბას იბნ აბდ ალ-მუთალიბი, წინასწარმეტყველ მუჰამედის ბიძა.

აბასიდების პირველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ის იყო, რომ არაბეთის დედაქალაქი დამასკოდან ბაღდადში გადაიტანეს. ეს მოხდა 762 წელს, დაახლოებით იმ დროს, როდესაც აბო დაიბადა.

ხალიფა მუჰამედ ალ მაჰდის მმართველობისას იწყება არაბეთის აღორძინება.

არაბეთი უფრო სტაბილური ხდება. სწრაფად ვითარდება ვაჭრობა, ხელოსნობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა.

არაბები წარმატებებს აღწევენ ისეთ დარგებსა და საგნებში, როგორებიცაა: მედიცინა, ფილოსოფია, მათემატიკა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია.


შემთხვევითი არ არის, რომ მათ დაამკვიდრეს ცნობილი ტერმინები: „ალგებრა“, „ციფრი“, „ალგორითმი“, „სინუსი“.

მედიცინაში შემოაქვთ ბერძნული, რომაული და სპარსული ტრადიციები. პრაქტიკაში ნერგავენ ანტიკური ავტორების, გალენისა და ჰიპოკრატეს, მეთოდებს.

ხელს უწყობენ ლიტერატურის განვითარებას. დიდ პოპულარობას მოიპოვებს აბუ ნუვასი თავისი ლექსების წიგნით „დივანი“.

VIII საუკუნის მეორე ნახევარს ისტორიკოსებმა „არაბული აღორძინების“ დასაწყისი უწოდეს.

სწორედ ამირა მაჰდიმ გაათავისუფლა ნერსე ერისთავი ბაღდადის ციხიდან.



„აბოს წამების“ ხელნაწერის ფრაგმენტი, X ს. პარხლის მრავალთავი.

ხალიფატი (არაბ. „მემკვიდრეობა“) - არაბების დაპყრობითი ომების შედეგად შექმნილი სახელმწიფო.

ხალიფა (არაბ. „მოადგილე“, „ნაცვალი“) - ხალიფატის მმართველი. ითვლებოდა მუჰამედის მოადგილედ.

აბოს ცხოვრებისა და წამების დრო

აბო VIII საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა. „აბოს წამების“ დაწერის დრო კი VIII საუკუნის მიწურულია.

ამ დროს მნიშვნელოვანი ამბები ხდება ევროპასა და აზიაში:

ევროპის სანაპიროებს თავს ესხმიან სკანდინავიელი ვიკინგები.

კარლოს დიდი ქმნის ფრანკთა იმპერიას, რომელიც საფრანგეთის, გერმანიისა და იტალიის ტერიტორიებს აერთიანებს.

ბიზანტიაში ხატმებრძოლეობაა (მიმდინარეობა, შემდგომში არამართებულად მიჩნეული, რომელიც ხატების თაყვანისცემას კერპთაყვანისმცემლობასთან აიგივებდა), რომლის გამო ბევრმა მღვდელმსახურმა და მორწმუნემ თავი გაწირა.

არაბთა ხალიფატს „ოქროს ხანა“ უდგას - ქმნიან ისლამს და მასზე დაფუძნებით დიდ სახელოვნებო და ყოფით კულტურას. ამავე დროს, ისინი იპყრობენ შუა აზიას და მათი იმპერია უკვე ატლანტიკის ოკეანიდან ინდოეთამდე არის გადაჭიმული.

ამირები თავიანთ ძალაუფლებას განამტკიცებენ აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთი საქართველო, ანუ აფხაზეთი, კი ბიზანტიის გავლენის ქვეშ რჩება.

თბილისის ამირა, ბაღდადის ხალიფას წარმომადგენელი, მთელი ქართლის მმართველად მიიჩნევა.

მკაცრდება, ეგრეთ წოდებული, „დაცვის სიგელი“, რომელიც გადასახადის ორ სახეს გულისხმობს: „ჯიზია“ (სულადობრივი გადასახადი) და „ხარაჯა“ (მიწის გადასახადი), რაც ამძიმებს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას.


წელთაღრიცხვის სისტემები და აბოს წამების თარიღი

ძველ საქართველოში წელთაღრიცხვის სისტემებიდან ყველაზე გავრცელებული იყო სამი ტიპი: „დასაბამიდან“, ან „ადამს აქეთ“ (რომელსაც ახლა ჰქვია „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“), „ქრისტეს აქეთ“ (ანუ „ჩვენი წელთაღრიცხვით“) და ქორონიკონი.

„დასაბამიდან“ და ქორონიკონი კაცობრიობის ისტორიას იწყებენ ადამის შექმნიდან, „ქრისტეს აქეთ“ - ქრისტეს დაბადებიდან.

იმისათვის, რომ თქვენთვის საინტერესო ამბებისა თუ მოვლენების დათარიღება შეძლოთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ადამის შექმნიდან ქრისტეს დაბადებამდე გავიდა 5604 წელი. თუ გვსურს, მაგალითად, გამოვითვალოთ, „დასაბამითგან“ რომელ წელს გარდაიცვალა შუშანიკ დედოფალი, 5604-ს უნდა მივუმატოთ ჩვენი წელთაღრიცხვით მისი გარდაცვალების წელი - 475, მივიღებთ 6079-ს.

ხოლო, თუ გვსურს, ჩვენი წელთაღრიცხვით გამოვითვალოთ, მაშინ დასაბამის წელს უნდა გამოვაკლოთ ქრისტემდე გასული წლები. მაგალითად, ვარსქენ პიტიახში ვახტანგ გორგასალმა სიკვდილით დასაჯა 6086 წელს. ამ რიცხვს გამოვაკლებთ 5604-ს და მივიღებთ 482-ს.



„აბოს წამების“ ხელნაწერის ფრაგმენტი, X ს. პარხლის მრავალთავი.

„აბოს წამების“ მესამე თავს იოვანე საბანისძე იწყებს თარიღით, თუ როდის იმარტვილა წმინდა აბომ. ჰაგიოგრაფის თქმით, ეს იყო „დასაბამიდან ექვსი ათას სამას ოთხმოცდაცხრა წელს, ექვს იანვარს, პარასკევს“. ჩვენი წელთაღრიცხვით ეს არის 785 წელი (რადგან 6389-5604=785).

იოვანე საბანისძე

„აბოს წამების“ ავტორის ვინაობის დასადგენად ფასდაუდებელი წყაროა სამოელ ქართლის კათალიკოსის ეპისტოლე (წერილი), რომელიც მან იოვანე საბანისძეს მისწერა და სთხოვა, აბოს წამების ამბავი დაეწერა. წერილის პირველივე ფრაზით, მისალმებით, ვიგებთ ავტორის სახელსა და მამის სახელს:



იოვანე საბანისძე

„მე, სამოელ, ქრისტჱს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანის ძესა, სულიერად შვილსა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა და საყუარელსა ჩუენსა, ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ“.

კათალიკოსის თხოვნა გვაფიქრებინებს, რომ იოვანე საბანისძე სახელგანთქმული მწერალი ყოფილა, თანაც სამოელი ისეთი ნაწარმოების დაწერას სთხოვს, რომელიც დაიდება ეკლესიაში შემდგომი თაობებისთვის.

კათალიკოსი რამდენიმე მიზეზსაც ასახელებს, რატომ სთხოვს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების დაწერას მაინცდამაინც იოვანეს. ამით ვიგებთ ავტორის თვისებებსა და შესაძლებლობებს. ეს მიზეზებია: განსწავლულობა, ნიჭიერება, კეთილმსახურება, საქმეში გულმოდგინება. რაც მთავარია, სამოელისთვის ცნობილია, რომ იოვანემ ბევრი რამ იცის აბოს შესახებ, ამიტომ შეუძლია, სიმართლით ასახოს მისი ღვაწლი.

წერილით ხერხდება იოვანე საბანისძის ცხოვრების დროის დადგენაც. იგი აბოსა და კათალიკოსის თანამედროვეა, ანუ მერვე საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა.

სამოელ კათალიკოსის წერილი რომ არ შემორჩენილიყო, ჩვენ გვეცოდინებოდა მხოლოდ ავტორის სახელი და მამის სახელი, რომლებიც ნაწარმოების სრულ სათაურშივეა გადმოცემული („გამოთქუმული იოვანე ძისა საბანისი“) და „აბოს წამების“ მეოთხე თავში არსებული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, აბო და იოვანე მეგობრები ყოფილან.

სამწუხაროდ, ისიც კი არ ვიცით ზუსტად, იოვანე საერო პირი იყო თუ სასულიერო, ამის შესახებ ქართველ მეცნიერებს სხვადასხვა მოსაზრება აქვთ; რადგან ქართულ გვართა გარკვეული ნაწილი მამის სახელებიდანაა მიღებული, ამიტომ დღეს, „საბანის ძის“ გარდა, „საბანისძესაც“ წერენ და გვარად მოიაზრებენ (საგულისხმოა, რომ რაჭაში არსებობს გვარი „საბანაძე“).

რაც შეეხება იოვანეს მიერ სამოელისთვის გაგზავნილ საპასუხო ეპისტოლეს, ავტორი თავისი მხრიდან ჭიანჭველას ტვირთის წამოკიდებად მიიჩნევს აბოს შესახებ წერას, თუმცა ვერ ეურჩება კათალიკოსს და მთელი ძალისხმევით ასრულებს მის თხოვნას. ამით საბანისძე უაღრესად თავმდაბალ ადამიანად წარმოჩნდება, რადგან „აბოს წამება“ თავისი ბიბლიური პარალელებით, ქვეტექსტით, მხატვრული ენით საუკეთესო ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებთა შორისაა, მისი ავტორი კი მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანია, რაც გამოიხატა „აბოს წამების“ პოლიჟანრულობითაც (მრავალჟანრიანობით - ამის შესახებ იხ. „აბოს წამების“ კომპოზიცია).

კათოლიკე - ბერძნული სიტყვაა და ჭეშმარიტს, ნამდვილს, საყოველთაოს ნიშნავს.

„აბოს წამების“ კომპოზიცია

„აბოს წამება“ პოლიჟანრული (მრავალჟანრიანი) ნაწარმოებია. იგი ოთხ ჟანრს აერთიანებს:

ეპისტოლარულს (წერილები) - აქ იგულისხმება სამოელისა და იოვანეს ეპისტოლეები;


ეგზეგეტიკურს (ქადაგება, ახსნა-განმარტება) - პირველ თავს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში VIII საუკუნის მეორე ნახევრის ვითარების შესახებ ქადაგება და იესო ქრისტეს სახელებისა და ღვაწლის ახსნა-განმარტებაა (ეს მეორე ნაწილი არ შედის სასკოლო პროგრამაში);

ჰაგიოგრაფიულს (მეორე და მესამე თავები);

ჰიმნოგრაფიულს (სასულიერო პოეზიას) - მეოთხე თავს, აბოს ქებას.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ იოვანე საბანისძე მრავალმხრივ ნიჭიერი ადამიანია: ღვთისმეტყველიცაა, პროზაიკოსიც და პოეტიც.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნაწარმოების მეოთხე თავი, აბოს ქება, პირველ ქართულ ორიგინალურ საგალობლად მიიჩნევა, იოვანე კი - ქართული სასულიერო პოეზიის დამწყებად.



ეპოქის თანადროული გომარეთის სტელა, VII-VIII სს. ქვემო ქართლი

„აბოს წამების“ დაწერის თარიღი

ქართველი მეცნიერები „აბოს წამების“ დაწერის თარიღის დადგენისას, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობიან ავტორს. იოვანე საბანისძე გვაუწყებს, რომ აბო გარდაიცვალა 6389, ანუ ჩვენი წელთაღრიცხვით 785 წელს (ეს უკვე ისწავლეთ). ცხადია, ამაზე ადრე ნაწარმოები ვერ დაიწერებოდა. ამიტომ პირველი, ანუ ქვედა, თარიღი წმინდანის წამებით დგინდება, ოღონდ ერთი წელი ემატება.

გათვალისწინებულია ის დრო, რომელიც ნაწარმოების შექმნასა და გადამუშავებას დასჭირდებოდა.

მეორე, ანუ ზედა, თარიღის დადგენაში სამოელ ქართლის კათალიკოსისა და იოვანე საბანისძის ეპისტოლეები გვეხმარება. როგორც უკვე იცით, სამოელმა სთხოვა საბნისძეს, დაეწერა „აბოს წამება“, მანაც შეასრულა ეს დავალება და ნაწარმოები კათალიკოსს გაუგზავნა. ცხადია, სამოელი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ამ კათალიკოსის გარდაცვალების თარიღად 790 წელს მიიჩნევენ.

აქედან გამომდინარეობს, რომ „აბოს წამება“ დაწერილია 786-790 წლებში.

კითხვები და დავალებები

1. გამოიანგარიშეთ დასაბამის წელთაღრიცხვით:
ა) რომელ წელს დაიბადა ილია ჭავჭავაძე (ჩვენი წელთაღრიცხვის 1837-ია მისი დაბადების წელი);
ბ) თქვენ რომელ წელს დაიბადეთ;
გ) ახლა რომელი წელია;
დ) რომელი თარიღიც გსურთ.
2. გაიხსენეთ, რომელ ნაწარმოებში შეგხვდათ ხატმებრძოლეობისას დაზიანებული ხატი, რომელიც ქართველებთან მიცურდა და „კარის ღვთისმშობელი“ უწოდეს;
3. თქვენი აზრით, „აბოს წამების“ ავტორად, უპირველეს ყოვლისა, რის გამო შეარჩევდა კათალიკოსი იოვანე საბანისძეს?
4. რით არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი „აბოს წამების“ მეოთხე თავი?
5. როგორ ვადგენთ „აბოს წამების“ დაწერის თარიღს? რომელ ორ მოვლენას უკავშირდება?




ნადირობის სცენა, ეპოქის თანადროული რელიეფი. ატენის სიონი, VII ს. შიდა ქართლი

წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა ქრისტჱსისა ჰაბოჲსი

რომელი იწამა ქართლს შინა, ქალაქსა ტფილისს, ჴელითა სარკინოზთაჲთა, გამოთქუმული იოვანე ძისა საბანისი ბრძანებითა ქრისტჱს მიერ სამოელ ქართლისა კათალიკოზისაჲთა

პირველი თავი: ღმრთისმსახურთა და მარტჳლთმოყუარეთა კრებულისათჳს თხრობაჲ და მოძღურებაჲ და ახლისა ამის მოწამისა ჰაბოჲს ჴსენებაჲ.
მეორჱ თავი: ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა და ნეტარისა ჰაბოჲსი.
მესამჱ თავი: მარტჳლობაჲ წმიდისა ჰაბოჲსი.
მეოთხჱ თავი: ქებაჲ სანატრელისა მოწამისა ჰაბოჲსი.



**"აბოს წამების" ხელნაწერის ფრაგმენტი, პარხლის მრავალთავი, X ს.
დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა
ეროვნულ ცენტრში**

პირველი თავი
მოჴსენებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი



ეპოქის თანადროული სამშვილდის სიონის სარკმელი, VIII ს. ქვემო ქართლი

აწ გლოცავ თქუენ, ქრისტჱს მიმართ სურვიელითა გულითა მომიპყრენით საჩინონი ეგე სასმენელნი თქუენნი და უფროჲსღა საცნობელნი ეგე ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი განჰმარტენით სმენად და მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა.

> ამ წმინდა მოწამის ამბის მოსმენა მხოლოდ ჩემთვის კი არ არის სასურველი, აუცილებელია, თქვენც ჩემთან ერთად დაუკვირდეთ, რადგან მეშვიდე ჟამში ვცხოვრობთ, რომლის შესახებაც უფალი ამბობს, რომ ამ დროს „მრავალი შეცდება“.
>
> ქვეყნის ყურეში ვართ. სასტიკმა და ვერაგმა, ქრისტესგან განდგომილმა დამპყრობლებმა, რომლებიც ამჟამად ჩვენი მმართველები არიან, მრავალი შეაცდინეს და სიმართლის გზიდან გადაახვევინეს.

და ჭეშმარიტებასა ქრისტჱს სახარებისასა შეეცოდნეს, რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱსღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა. მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს, რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკუვარებით. და სხუანი, რომელნი-ესე ვართ მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულ[ნი] და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძჳრ-ძჳრად ზღვეულნი, შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი, ქართაგან ძლიერთა. არამედ ქრისტჱს სიყუარულითა და შიშითა, ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა, ჭირთა მოთმინებითა არა განეშორებიან მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა.

> ასეთ დროს გამოჩნდა ეს მხნე (სულიერად ძლიერი) მოწამე, რომელიც ჩვენიანი კი არ იყო, არამედ - უცხოელი; არც ჩვენი სარწმუნოების შესახებ იცოდა, სხვა რჯულის აღმსარებელი მოვიდა და ჩვენს ღმერთს, ქრისტეს, გაეცნო.
>
> ჭეშმარიტი სარწმუნოება მორწმუნეთათვის დიდი საუნჯეა, მამაო ზეცათაო, სიცოცხლის მომნიჭებელო, შენი მადლით ქრისტიანთა სარწმუნოება დიდი მოძღვრებაა. ამ მადლით თაყვანს გცემენ მართალნი, გაკურთხებენ წმინდანნი, გაღიარებენ და შენთვის დევნილობის ღირსნი ხდებიან მოწამენი.

არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ – ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთა.

აჰა, ესერა, ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა

მკვდრთა და რომელთამე უცხოთა და სხვთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ, უფლისა ჩუენისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ უკუნითი უკუნისამდე, ამჱნ.



მოჴსენებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი - წმინდა აბოს ხსენება.
გლოცავ ქრისტჱს მიმართ სურვიელითა გულითა - დაგლოცავთ ქრისტეს სიყვარულით აღსავსე გულით.
საჩინო სასმენელი - თვალისთვის დასანახი სასმენელი (ყური).
საცნობელი - შემეცნების, გააზრების ფუნქციის მქონე.
მომიპყრენით ... ყურნი გულისა და გონებისა თქუენისანი - მომისმინეთ თქვენი გულისა და გონების ყურით.
განჰმარტენით სმენად - გააღეთ მოსასმენად.
მასპინძელ ექმენით სიტყუათა ამათ ჩემთა - უმასპინძლეთ ჩემს სიტყვებს (გაიგონეთ ჩემი ნათქვამი).
მეშვიდე ჟამი - ბოლო დრო, როდესაც სამყარომ არსებობა უნდა შეწყვიტოს. იგულისხმება მეორედ მოსვლა.
ქვეყნის ყურეში - ქვეყნის, ანუ საქრისტიანოს, განაპირა მხარეს.
ჭეშმარიტებასა ... შეეცოდნენ - ჭეშმარიტების წინაშე შესცოდეს.
რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱსღა შჯულდებულ ყოფილ არიან ...
ნათლისღებისაჲთა - რომლებიც ხუთასი და მეტი წლის წინათ არიან მონათლულნი.
მიერითგან და ვიდრე აქამომდე - იმ დროიდან დღემდე.
ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარძნეს - ქრისტიანთა მოდგმა გადაიბირეს, ქრისტიანთა მოდგმას გული აუცრუეს რწმენაზე.
რომელნიმე მძლავრებით - ზოგი იძულებით.
შეტყუვილით - მოტყუებით.
სიყრმესა შინა უმეცრებით - ბავშვური უმეცრებით.
მზაკუვარებით - მზაკვრობით, ვერაგობით.
მძლავრებასა ქუეშე - ძალით.
ნაკლულევანებითა - სიღარიბით.
სიგლახაკითა - სიღატაკით.
შეკრულნი - შებორკილნი.
ვითარცა რკინითა - როგორც ჯაჭვით.
ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი - მათი გადასახადებისგან გატანჯულნი.
ქენჯნილნი - ნაწამებნი.
ძჳრ-ძჳრად ზღვეულნი - სასტიკად დასჯილნი.
შიშითა განილევიან - შიშისგან კანკალებენ, ილევიან, სულიერად კნინდებიან.
ჩუეულებისაებრ მამულისა სლვისა - მამაპაპურ გზაზე სიარულით.
მხოლოდშობილსა ძესა ღმრთისასა - ღვთის დედისერთა ვაჟს - იესო ქრისტეს.
მხნე - სულიერად ძლიერი, ძველ ქართულად - ახოვანი.
შორიელთა ამათ მკჳდრთა - მოშორებით დამკვიდრებულებმა, ქრისტიანობის ცენტრიდან შორს მცხოვრებლებმა.
წოდებულ არს დედად წმიდათა - წმინდანების დედად იწოდება.
რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა და სხჳთ მოსრულთა - ზოგი აქაური და ზოგი უცხო, სხვა ქვეყნიდან მოსული.
ჩუენ შორის - ჩვენთან.
ჟამად-ჟამად - დროდადრო.
მოწამედ გამოჩინებითა - მოწამედ გამორჩევით.

დააკვირდით

• იოვანე საბანისძე ნაწარმოებს ურთავს სარჩევს, რაც მწიგნობრული კულტურის დასტურია;
• ჰაგიოგრაფი მიიჩნევს, რომ ამბავი, რომელსაც ჰყვება, განსაკუთრებული მნიშვნელობისაა და მის აღქმას ჩვეულებრივი მოსმენა არ ჰყოფნის;
• იოვანე საბანისძე განსაკუთრებით იმის გამო წუხს, რომ ქართველები „გულარძნილნი“, ანუ გულშეცვლილნი, გულაყრილნი გახდნენ, აღარ უყვართ სამშობლო და სარწმუნოება;
• ჰაგიოგრაფი მიიჩნევს, რომ ქრისტიანობა არ არის რომელიმე ხალხის (მაგალითად, ბერძნების) კუთვნილება, არამედ ყველასია და მათ შორის - ჩვენი, ქართველების;
• იოვანე საბანისძე გვთავაზობს ქართლის ახლებურ და ორიგინალურ განმარტება-დახასიათებას: წმინდანთა დედა.

კითხვები და დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, რა მიზანს ისახავს იოვანე საბანისძე, როდესაც ნაწარმოებს მკითხველისადმი მიმართვით იწყებს?
2. რა არგუმენტს იშველიებს იოვანე საბანისძე იმის ასახსნელად, თუ რატომ უნდა იყვნენ მისი თანამედროვენი განსაკუთრებით ფრთხილად?
3. გაითვალისწინეთ, როგორი გეოპოლიტიკური და სარწმუნოებრივი ვითარება იყო ქართლში VIII საუკუნის მეორე ნახევარში და ახსენით, რატომ უწოდებს იოვანე საბანისძე ქართლს ქვეყნის ყურეს, ანუ საქრისტიანოს განაპირა მხარეს? სათქმელი დაასაბუთეთ.
4. იოვანე საბანისძე აღნიშნავს, რომ ხუთასი და მეტი წლის წინ არის ქართლი გაქრისტიანებული.
ა) გაიხსენეთ ჩვენი ქვეყნის გაქრისტიანების ისტორია და დაასახელეთ, რომელ ორ მოვლენას გულისხმობს ავტორი?
ბ) ამ ინფორმაციის მიხედვით, რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ იოვანე საბანისძის ცხოვრების დროის დადგენა?
5. ა) ჩამოთვალეთ ის ხერხები, რომელთა გამოყენებითაც ებრძოდნენ არაბი მმართველები ქრისტიანობას;
ბ) გაავლეთ პარალელი „შუშანიკის წამების“ პირველ თავთან (რომელშიც ვარსქენის შესახებ საუბრისას ქვეტექსტურად იგულისხმება, რა ხერხებს მიმართავდნენ სპარსელები ქრისტიანთა გადასაბირებლად);
გ) რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ?
6. იმსჯელეთ, იოვანე საბანისძის აზრით, რა არის საჭირო იმისთვის, რომ „ჩვეულებისაებრ მამულისა სლვა“ გაგრძელდეს. გაითვალისწინეთ, რომელი ღირებულებებით ცხოვრობენ ამ გზის ერთგული ქართველები და რით განასხვავებს ავტორი მათ „გარდაგულარძნილთაგან“.
7. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, იოვანე საბანისძის აზრით, რატომაა ქართლი „დედა წმიდათა“.
8. წმინდა ნინო კაბადოკიელია, შუშანიკი - სომეხი, იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით მოსული მამები - ასურელები (სირიელები), ევსტათი მცხეთელი სპარსელია, აბო - არაბი... ჰაგიოგრაფის რომელ თვალსაზრისს დაუკავშირებდით ამ ინფორმაციას? სათქმელი დაასაბუთეთ.

წერითი დავალება

ეპოქის ანარეკლი „აბოს წამების“ პირველ თავში

ორმხრივ ჩანაწერთა დღიურის პირველ სვეტში მოცემულია ფრაზები „აბოს წამების“ პირველი თავიდან. მოიძიეთ შესაბამისი ისტორიული ფაქტები, ცნობები, წყაროები, დაუკავშირეთ ისინი ტექსტის ამ მონაკვეთებს და ნიმუშის მიხედვით ფანქრით შეავსეთ ცხრილი:

ეპიზოდები „აბოს წამებიდან“	ისტორიული ფაქტები, წყაროები
სასტიკმა და ვერაგმა, ქრისტესგან განდგომილმა დამპყრობლებმა, რომლებიც ამჟამად ჩვენი მმართველები არიან, მრავალი შეაცდინეს და სიმართლის გზიდან გადაახვევინეს.	
რომელნი ხუთასის წლისა ჟამთა და უწინარჱსღა შჯულდებულ ყოფილ არიან წმიდითა მადლითა ნათლისღებისაჲთა.	
მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტეანეთანი გარდაგულარძნეს, რომელნიმე მძლავრებით, რომელნიმე შეტყუვილით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმეცრებით და რომელნიმე მზაკუვარებით.	
და სხუანი, რომელნი-ესე ვართ-ღა მორწმუნენი, მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი.	არაბებმა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას დააკისრეს მძიმე გადასახადები: მიწით სარგებლობისთვის - ხარაჯა და სულადობის მიხედვით - ჯიზია.
არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოვებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ – ჩუენცა, შორიელთა ამათ მკჳდრთა.	
აჰა, ესერა ქართლისაცა მკჳდრთა აქუს სარწმუნოვებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკჳდრთა და რომელთამე უცხოთა და სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა ქრისტე იესუჲს მიერ.	

• ნამუშევრის წარდგენისას იმსჯელეთ, როგორ აისახა ნაწარმოებში ისტორიული რეალობა, ჰაგიოგრაფიული მწერლობის რომელ პრინციპს იცავს ავტორი;

• დააკვირდით, იგრძნობა თუ არა მწერლის დამოკიდებულება ტექსტში ასახული მოვლენების მიმართ, ჩანს თუ არა მისი პოზიცია, ემოციები.

მეორჱ თავი
ქართლად შემოსლვაჲ და ნათლისღებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი

იყო დრო, როდესაც ქართლის ერისმთავარი, სახელად ნერსე, ძე ადარნერსე კურაპალატისა და ერისმთავრისა, ბაბილონის ქვეყანაში იხმო სარკინოზთა იმჟამინდელმა მმართველმა ამირა აბდილა მუმნიმ, რომელიც მის მიერვე დაარსებულ ქალაქ ბაღდადში იყო. ბოროტ კაცთა დასმენით მან ნერსე ერისთავი სამი წლით საპყრობილეში ჩასვა. ღვთის ნებით მოკვდა ამირა აბდილა მუმნი და მის ნაცვლად ტახტზე ავიდა მისი ძე მაჰდი, რომელმაც გაათავისუფლა ნერსე, გამოუშვა საპყრობილიდან და კვლავ ერისმთავრად დააბრუნა ქართლში.

ქრისტესმოყვარენო, ახლა კი მსურს გიამბოთ წმინდა და სანატრელი მოწამის, აბოს, შესახებ, როგორ და საიდან მოვიდა აქ.

ესე ნაშობი იყო აბრამეანი, ძეთაგან ისმაელისთა, ტომისაგან სარკინოზთაჲსა, რომლისაჲ მამაჲ მისი და დედაჲ მისი და ძმანი და დანი მისნი იყვნეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა. და ესე იყო ყრმა, ჭაბუკ, ვითარ ათრვამეტის წლის, გინა უკნინჱს - აჩვდმეტის წლის. ამან ინება წარმოსლვაჲ თჳსი აქა ერისმთავრისა მის ნერსჱს თანა და შეეყო იგი მსახურად მისა, და იყო



იგი ჯელოვან, კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა, და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთაჲთა, ძეთა ისმაელისთა, ძეთა აბრაჰამისთა, ნაშობთა აგარისთა.

ჩვენს ქვეყანაში იგი არათუ თავისი განზრახვით, არამედ ღვთის ნებით მოვიდა. როგორც ქალდეველთა ქვეყანაში მყოფ აბრაამს უთხრა ღმერთმა: „გამოდი შენი ქვეყნიდან, მამაშენის სახლიდან, განეშორე ნათესავებს და მიდი ქვეყანაში, რომელსაც გიჩვენებ“, ასევე მან, აბრაამის შთამომავალმა, არა თავისი გონებით, არამედ ღვთის მინიშნებით დატოვა დედ-მამა, და-ძმა, ნათესავები, ქონება, სახნავ-სათესი მიწები და ქრისტეს სიყვარულით გამოჰყვა ნერსეს.

ქართლში მოსული აბო ცხოვრობდა ნერსე ერისთავთან, თავისი სათნოებით ყველას შეაყვარა თავი. ისწავლა ქართული წერა-კითხვა და თავისუფლად საუბარი.

ნერსე - ნერსე II - ქართლის ერისთავი VIII საუკუნის II ნახევარში (781 წლამდე), ადარნასე კურაპალატისა და ერისთავის ძე.



ამირა მუმნი აბდილა - იგივე აბუ ჯაფარ ალ-მანსური, არაბთა ხალიფა 754-775 წლებში.

მაჰდი - იგივე მუჰამად იბნ მანსურ ალ-მაჰდი, ხალიფა 775-785 წლებში.

ესე ნაშობი იყო აბრამეანი - დაბადებით აბრაამის შთამომავალი იყო.

აბრაამი - ბიბლიური პატრიარქი, ცხოვრობდა ძვ. წ-აღ. 1813-1638 წ.წ.-ში. მას მამამთავარად მიიჩნევენ ებრაელები, ქრისტიანები და მაჰმადიანები (მუსლიმანი არაბები).

ძეთაგან ისმაელისთა - ისმაელის შთამომავალთაგან.

ისმაელი - ბიბლიური პერსონაჟი. აბრაამის უკანონო ვაჟი. ისმაელის დედა იყო აბრაამის ეგვიპტელი ხარჭა (უკანონო ცოლი) აგარი. სარამ, აბრაამის მეუღლემ, აგარი და ისმაელი უდაბნოში გააძევებინა. ეს დედა-შვილი არაბული ტომების წინაპრებად მიიჩნევა. ამიტომ არაბებს „ისმაიტელებს“ ან „აგარიანებს“ უწოდებდნენ (დაბადება 16,1 – 16; 21, 9 – 21).

სარკინოზები - მაჰმადიანი არაბები.

მუნვე ქალაქსა მას შინა - იმავე ქალაქში.

ბაღდადი - არაბთა სახალიფოს დედაქალაქი, დაარსებულია 762 წელს. მისი სახელი მომდინარეობს სპარსულიდან და „ღვთის ნაბოძებს“ ნიშნავს.

ბაბილოვანი - ბაბილონის სამეფო; აგრეთვე, მისი დედაქალაქი. აქადურ ენაზე ნიშნავს „ღვთის კარიბჭეს“.

ვითარ ათვრამეტის წლის - დაახლოებით თვრამეტი წლისა.

გინა უკნინჱს აჩჳდმეტის წლის - ან სულ მცირე ჩვიდმეტი წლისა.

შეეყო იგი მსახურად მისა - მსახურად დაუდგა მას.

ჯელოვან - ოსტატი.

კეთილად შემზავებელ სულნელთა მათ საცხებელთა - სურნელოვანი ნელსაცხებლების (ზეთების) დამამზადებელი; მენელსაცხებლე.

სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთაჲთა - იცოდა არაბული წერა-კითხვა.

აბრაამის წასვლა - ბიბლიის ერთ-ერთ წიგნში („გამოსვლათაში“) გადმოცემულია, რომ ღმერთმა უბრძანა აბრაამს, წასულიყო თავისი ქვეყნიდან იქ, სადაც მიუთითებდა. ასე მიიყვანა მან აბრაამი ქანაანში.

მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ-ჰყოფდა მას, და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენნ წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ საწინაწარმეტყუელოთა და მოციქულთა. და მრავალთაგან შჯულისმეცნიერთა იკითხავნ და ისწავებნ, ხოლო რომელთამე რეცა-თუ ცილობით წინააღუდგებინ, არამედ მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას.

და ესრჱთ სრულ-იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტჱს მიერ. მაშინ უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევა და შეიყუარა ქრისტჱ ყოვლითა გულითა. არამედ ვერ განიცხადებდა თავსა თჳსსა სრულად ქრისტეანედ, ხოლო ფარულად ილოცავნ და იმარხავნ ქრისტჱს მიმართ და ეძიებდა ადგილსა კრძალულსა, სადამცა მოიღო ნათელი ქრისტჱსი, რამეთუ ეშინოდა სოფლისა მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგან.



იმხანად სარკინოზთა ხელმწიფე ისევ განურისხდა ნერსე ერისთავს და არაბებმა ძალიან შეავიწროვეს. ამიტომ იძულებული გახდა, ქართლიდან გაქცეულიყო. ღმერთმა დაიცვა მტრისგან და მშვიდობიანად გავლო ოსეთის კარი, რომელსაც დარიალი ეწოდება. ნერსეს თან სამასი მამაკაცი ახლდა, მათ შორის იყო სანატრელი მონა ქრისტესი აბო. ქართლიდან ლტოლვილი ნერსე მივიდა ჩრდილოეთის ქვეყანაში, ეახლა ხაზართა მეფეს, რომელმაც იგი უცხოობისა და მტრისაგან დევნილობის გამო მიიღო და მასაც და მის ხალხსაც მისცა საკვები და სამოსელი.

როდესაც ნეტარი აბო დარწმუნდა, რომ განშორებულია სარკინოზების საშიშროებასა და ძალადობას, იჩქარა, მიახლებოდა ქრისტეს და მოინათლა მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით პატიოსანი მღვდლების მიერ, რადგან ჩრდილოეთის ამ ქვეყანაში მრავლად არის ქალაქები და სოფლები, რომლებშიც ქრისტეს მორწმუნენი მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობენ.

ამის შემდეგ ქრისტეს მადლით სავსე ნეტარმა აბომ დაუბრკოლებლად დაიწყო მარხვა და ლოცვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნერსე შეევედრა ჩრდილოეთის მეფეს, რომ გაეშვა იგი აფხაზეთში, სადაც თავიდანვე გაეგზავნა დედა, ცოლი, შვილები, ქონება და სახლეული (მსახურები), რადგან აფხაზთა ქვეყანა დაცული იყო სარკინოზთა საშიშროებისგან. ღმერთმა მიანიჭა სიბრძნე ჩრდილოეთის მეფეს და გაუშვა ნერსე მრავალი საჩუქრით. გამოემართნენ სიხარულით, მადლობდნენ უფალს და

ზედამიწევნა - სწავლა, გაგება, გაცნობიერება.



საღმრთონი წიგნნი ძუელისა და ახლისა შჯულისათა - ძველი და ახალი აღთქმის საღმრთო წიგნები, ანუ ბიბლია. ბიბლია ორ ნაწილად იყოფა: „ძველი აღთქმა“ წინასწარმეტყველთა წიგნებია, ხოლო „ახალი აღთქმა“ - იესო ქრისტესა და მოციქულების მოღვაწეობის ამსახველი წიგნები.

მეცნიერ-ჰყოფდა - ასწავლიდა, ცოდნას აძლევდა.

მოვიდის - მოდიოდა ხოლმე.

მარადის ისმენნ - გამუდმებით ისმენდა.

საკითხავნი ... საწინასწარმეტყუელოთა და მოციქულთა - წინასწარმეტყველთა და მოციქულთა წიგნები.

შჯულისმეცნიერი - ღვთისმეტყველი.

იკითხავნ და ისწავებნ - ეკითხებოდა და სწავლობდა.

რომელთამე რეცა-თუ ცილობით წინააღუდგებინ - ზოგიერთს თუ არ ეთანხმებოდა.

მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას - ამის გამოც სწავლობდა.

ესრჱთ - ასე.

სრულ-იქმნა იგი ყოვლითა მოძღურებითა - სრულყო თავისი თავი მოძღვრების ყოველმხრივი შესწავლით.

კათოლიკე ეკლესია - საყოველთაო ეკლესია.

ქრისტჱს მიერ - ქრისტესგან.

უდებ-ყო შჯული იგი მაჰმედისი - მიატოვა მაჰმადიანობა.

წესი იგი მამულისა მის ლოცჳსაჲ დაუტევა - მიატოვა მამაპაპური ლოცვის წესი.

ვერ განიცხადებდა თავსა თჳსსა სრულად ქრისტიანედ - სახალხოდ ვერ აცხადებდა, რომ ქრისტიანი იყო.

ილოცავნ და იმარხავნ - ლოცულობდა და მარხულობდა.

ეძიებდა ადგილსა კრძალულსა - უსაფრთხო ადგილს ეძებდა.

სადამცა მიიღო ნათელი ქრისტჱსი - სადაც ქრისტიანად მოინათლებოდა.

სოფლისა მპყრობელნი - ქვეყნის ბატონ-პატრონები.

ზედამდგომელნი - ზემდგომნი, მბრძანებელნი.

განვლეს წარმართთა ქვეყანა, სადაც არ იციან ღმერთი. სამი თვის განმავლობაში, დღისითა და ღამით, უშიშრად მიდიოდნენ. ხოლო ნეტარი აბო ამ მოგზაურობის ჟამს ლოცულობდა, მარხულობდა და მოუწყინებლად კითხულობდა ფსალმუნებს.

და როდესაც მიაღწიეს აფხაზეთს, ამ ქვეყნის მთავარმა ნერსე და მისი ხალხი შეიფარა. ნერსემ იხილა დედოფალი, თავისი დედა, ცოლი და ძენი, ყველა სიხარულით აკურთხებდა ღმერთს და მადლობას სწირავდა, რომ ცოცხალნი და უვნებელნი მშვიდობით შეხვდნენ ერთმანეთს.

აფხაზთა მთავარმა როცა შეიტყო, რომ აბო ახლად მონათლული იყო, თავის ხალხთან ერთად გაიხარა. მთავარმა, ეპისკოპოსმა, მღვდლებმა მოიხმეს აბო, აკურთხეს, ანუგეშეს, მოუთხრობდნენ ქრისტესა და საუკუნო ცხოვრების შესახებ. თავად აბო მადლობას უხდიდა ჭეშმარიტი სარწმუნოების სწავლებისათვის, მისი გულმოდგინება უკვირდათ და ადიდებდნენ ღმერთს.



რელიეფი. ატენის სიონი,
შიდა ქართლი, VII ს.

და ნეტარი ჰაბო უფროჲსღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი სავსჱ ქრისტჱს სარწმუნოებითა და არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად იპოვების საზღვართა მათთა.

ხოლო წმიდამან და ნეტარმან ჰაბო, ვითარცა იხილა კაცთა მათ მის ადგილისათა გარდამატებული ღმრთისმოყუარებაჲ და ლოცვაჲ ყოვლისა მის ერისაჲ დაუცადებელი, შური საღმრთოჲ აღიღო, რამეთუ მოიჴსენა მან სიტყუაჲ იგი წმიდისა მოციქულისაჲ, ვითარმედ: „კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის“, იწყო მანცა დღეთა მათ ზამთრისათა თთუესა მას იანვარისასა ათჩჳდმეტსა მის თთჳსასა, ჴსენებასა წმიდისა მამისა ანტონისსა, აღიღო მანცა ფიცხელი იგი შრომაჲ და შორის ქალაქსა, ვითარცა უდაბნოსა ზედა, ეწყვებოდა მტერსა მას ეშმაკსა; და დუმილითა და მარხვითა მოაუძლურებდა იგი ჴორცთა მათ სიჭაპუკისა თჳსისათა. მოიჴსენა მან მაცხოვრისა ჩუენისაჲ, ვითარ-იგი შემდგომად წმიდისა მის ნათლისღებისა უდაბნოდ განსრულმან, ჰსძლო ეშმაკსა ლოცვითა მით და მარხვითა მით წმიდითა ორმეოც დღე. ეგრჱთვე ნეტარი ესე ჰაბო სამ თთუე დაადგრა მარხვით და დუმილით.

ნერსეს ქართლიდან გაქცევის შემდეგ ღვთის ბრძანებით მაჰდი ამირა მუმნმა ქართლის ერისმთავრად დაადგინა სტეფანოზ გურგენ ერისთავის ძე, ნერსეს დისწული. ნერსეს გაუხარდა, რომ ღმერთმა მის ოჯახს არ მოაშორა ერისმთავრობის პატივი. მან მოციქულები გაუგზავნა ამირას და სთხოვა, საკუთარ ხალხთან ერთად ქართლში უშიშრად დაბრუნების ნება მიეცა.

და ვითარცა წარმოემართნეს იგინი ქუეყანით აფხაზეთით, მაშინ ნეტარსა ჰაბოს მიუწოდა მთავარმან მან აფხაზეთისამან და ჰრქუა მას:

- ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყანით, რამეთუ ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ, და არა გიტეონ შენ ქრისტეანებით მათ შორის; და მეშინის მე შენთჳს, ნუუკუე კუალად განგდრიკონ შენ სარწმუნოებისაგან ქრისტჱსისა ნეფსით, გინა უნებლებით, და ესოდენი შრომაჲ შენი წარჰსწყმიდო.

ხოლო ნეტარმან მან ჰაბო ჰრქუა მას:

- სადაღა შემიწყნარა მე ქრისტემან და განმაშოვრა ჩემგან ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისა ჩემისაჲ და ღირს-მყო მე ნათელსა მას მისსა, არასადა უვარ-ვყო

უფროჲსღა ჰმადლობდა - მეტად მადლობელი იყო.
არავინ ურწმუნოთაგანი მკჳდრად იპოვების საზღვართა მათთა - იქ ურწმუნო (არაქრისტიანი) არავინ იყო.
კაცთა მათ ადგილისათა - იმ მხარის მცხოვრებთა.
გარდამატებული - უმეტესი, ძლიერი, ფრიადი.
დაუცადებელი - განუწყვეტელი.
შური საღმრთოჲ - ღვთისკენ მისწრაფება.
აღიღო - 1. აიღო, დაიწყო; 2. მარხულობა დაიწყო.
მოიჴსენა - გაიხსენა.
„კეთილ არს ბაძვაჲ კეთილისათჳს მარადის“ (პავლე მოციქული, გალატელთა მიმართ 4,18) - სასიკეთოა მუდმივი მცდელობა სიკეთისათვის.
წმინდა ანტონი დიდი - ეგვიპტელი სასულიერო მოღვაწე, მეუდაბნოე ბერი. გარდაიცვალა 356 წლის 17 იანვარს.
ფიცხელი - მკაცრი, სასტიკი.
შრომაჲ - ღვაწლი, მსახურება.
შორის ქალაქსა - ქალაქში.
ვითარცა უდაბნოსა ზედა - როგორც უდაბნოში.
ეწყვებოდა მტერსა - ებრძოდა მტერს.
მოაუძლურებდა - ასუსტებდა, თრგუნავდა.
ჴორცთა მათ სიჭაპუკისა თჳსისათა - თავის ახალგაზრდულ სხეულს.
მოიჴსენა მან მაცხოვრისა ჩუენისაჲ - გაიხსენა იესო ქრისტე.
უდაბნოდ განსრულმან - უდაბნოში გასულმა.
ჰსძლო ეშმაკსა - დაამარცხა ეშმაკი.
ეგრჱთვე - ასევე.
ნუ განხუალ - ნუ წახვალ.
ქუეყანაჲ იგი ქართლისაჲ სარკინოზთა უპყრიეს - ქართლი არაბებს აქვთ დაპყრობილი.
არა გიტეონ შენ ქრისტიანებით - არ გაპატიებენ, რომ ქრისტიანი ხარ.
ნუუკუე კუალად გარდაგდრიკონ - ვაითუ ისევ გადაგიბირონ.
უნებლებით - უნებურად, ძალდატანებით.
ესოდენი შრომაჲ შენი წარჰსწყმიდო - შენი ამოდენა ღვაწლი გაანადგუროო.
სადაღა შემიწყნარა მე ქრისტემან - რაკიღა ქრისტემ მიმიღო.
ბნელი იგი პირველისა მის უმეცრებისაჲ ჩემისაჲ - ჩემი თავდაპირველი უმეცრების სიბნელე.
არასადა - არასდროს.



მე სახელი მისი; დაღაცათუ ბევრეული ოქროჲსაჲ და ვეცხლისაჲ მომცენ მე, გინა თუ ტანჯვითა და გუემითა განმიკითხონ მე, ვერ განმაშორონ მე სიყუარულსა ქრისტეს უფლისა ჩემისასა. და აწ შენ ნუ დამაყენებ მე, ღმრთისმსახურო, რამეთუ რაჲ მადლ არს ჩემი აქა ყოფაჲ, სადა არა არს შიში, არცა სიკუდილი ქრისტჱსთჳს? აწ გევედრები, განმიტევე მე, რაჲთა ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობაჲ ჩემი ქრისტჱსმბრძოლთა მათ, რამეთუ მესმა მე წმიდისაგან სახარებისა თქუმული იგი მაცხოვრისა ჩუენისა მიერ, ვითარმედ: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჯჯმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა; ეგრე ბრწყინევდინ ნათელი თქუენი წინაშე კაცთა“. და აწ მე რაჲსათჳს დავფარო ჭეშმარიტი ესე ნათელი, რომლითა განმანათლა მე ქრისტემან? არასადა დავემალო მე შიშისაგან სიკუდილისა, რამეთუ მე სასუფეველსა ვეძიებ ქრისტჱსგან.

ასე დაარწმუნა აბომ მთავარი, მანაც გაუშვა იგი. წამოვიდა ნერსესთან ერთად ქართლში და შემოვიდა თბილისში, აღარ მალავდა თავის ქრისტიანობას. როცა იქ მყოფმა სარკინოზებმა, რომლებიც ადრეც იცნობდნენ აბოს, გაიგეს ამის შესახებ, დაიწყეს მისი დევნა, ზოგი საყვედურობდა, ზოგი ლანძღავდა, ზოგი აშინებდა, ზოგიც ტკბილი სიტყვით არწმუნებდა.

ხოლო იგი განმტკიცებულ იყო ქრისტჱს მიმართ და არავისგან შეძრწუნდებოდა, არამედ სამისა წლისა ჟამთა იქცეოდა ქალაქსა მას შინა და გარემოჲს ყოველსა სოფლებსა განცხადებულად ქრისტეანედ, არამედ „ვერვინ მიყვნა ჯელნი მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არღა მოწევნულიყო ჟამი მისი“, ხოლო კაცთა ქრისტჱსმოყუარეთა, რომელთა იცოდეს ღმრთისა მიმართ კეთილი სათნოვებაჲ მისი, იღუწიდეს მას საზრდელითა და სამოსლითა.

დაღაცათუ - თუნდაც.

ბევრეული - ძალიან ბევრი.

გინა თუ ტანჯვთა და გუემითა განმიკითხონ - თუნდაც მტანჯონ და მცემონ.

ვერ განმაშოვრონ სიყვარულსა - სიყვარულზე უარს ვერ მათქმევინებენ.

ნუ დამაყენებ - ნუ მაყოვნებ, ნუ მაჩერებ.

რაჲ მადლ არს - რა სიკეთეა, რისი მომტანია.

განმიტევე მე - გამიშვი.

რაჲთა ეუწყოს განცხადებულად ქრისტეანობაჲ ჩემი - რათა ცხადად დაინახონ, რომ ქრისტიანი ვარ.

ქრისტესმბრძოლნი - ქრისტიანობის მტრები.

„არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჯჯმირსა“ (მათე 5, 15) - არავინ ანთებს სანთელს და დგამს მას ხვიმირის (მარცვლეულის ჩასაყრელი) ქვეშ.

არასადა დავემალო მე შიშისაგან სიკუდილისა - არასდროს დავემალები სიკვდილის შიშს.
განმტკიცებულ იყო ქრისტჱს მიმართ - მტკიცე ქრისტიანი იყო.
არავისგან შეძრწუნდებოდა - არავისი ეშინოდა.
სამისა წლისა ჟამთა - სამი წლის განმავლობაში.
გარემოჲს ყოველსა სოფლებსა - ყველა ახლომდებარე სოფელში.
განცხადებულად ქრისტიანედ - აშკარა ქრისტიანად.
ვერვინ მიყვნა ჴელნი მის ზედა - ვერავინ შეეხო.
არღა მოწევნულ იყო ჟამი მისი - მისი დრო ჯერ არ დამდგარიყო.
ღმრთისა მიმართ ... სათნოვებაჲ - ღვთისადმი მისი სიყვარული.
იღუწიდეს მას საზრდელითა და სამოსლითა - ეხმარებოდნენ მას საკვებითა და ტანსაცმლით.

დააკვირდით

• რამდენად მძიმე პოლიტიკური ვითარებაა ქართლში; არაბი მმართველები თავიანთ ნებაზე მოქმედებენ: ერისთავის ბედიც კი მათზეა დამოკიდებული, სურთ, ციხეში სვამენ, სურთ, ათავისუფლებენ, ერისთავსაც ისინი ნიშნავენ;
• იოვანე საბანისძე საგანგებოდ შენიშნავს, რომ აბოს ნათესავებიც ჰყავს და მდიდარიცაა, რათა დაარწმუნოს მკითხველი, რომ იგი გაჭირვების გამო ან უკეთესი პირობების საძებნელად არ წამოჰყოლია ნერსეს;
• რომელიმე ბიბლიურ პერსონაჟთან ან წინა პერიოდის ცნობილ მოღვაწესთან მიმსგავსებით ჰაგიოგრაფია წარმოაჩენდა ახალი წმინდანების ღირსეულობასა და უფლის რჩეულობას. ამიტომ საგანგებოდ შენიშნავს იოვანე საბანისძე, რომ აბო აბრაამის მსგავსად წამოიყვანა უფალმა თავისი ქვეყნიდან;
• ჰაგიოგრაფი მიანიშნებს მკითხველს, რომ კამათში იბადება ჭეშმარიტება, რადგან, რასაც ედავებოდნენ აბოს, იმ საკითხებს უფრო მეტად უღრმავდებოდა;
• აბო ანტონი დიდის ხსენების დღეს იწყებს მარხვასა და დუმილს. რადგან ეს წმინდანი პირველი მეუდაბნოეა (განმარტოებით მოღვაწე უდაბნოში), აბო ჰბაძავს მას და ქალაქში იქცევა ისე, როგორც უდაბნოში განმარტოებული: დუმს და მარხულობს;
• ჰაგიოგრაფი იმოწმებს იოანე მახარებლის მიერ ქრისტეზე ნათქვამს: „ვერვინ მიყვნა ჴელნი მის ზედა ბოროტებით, რამეთუ არღა მოწევნულიყო ჟამი მისი“, ამით მკითხველს მიანიშნებს, რომ აბოც, იესოს მსგავსად, სამი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა.

კითხვები და დავალებები

1. გადმოეცით, რატომ და რამდენ ხანს იყო ნერსე ერისთავი ბაღდადში;
2. ეთანხმებით ავტორს თუ არა, რომ აბოს ქართლში წამოსვლა ღვთის ნება იყო, როგორც აბრაამისა - ქანაანში? სათქმელი დაასაბუთეთ. სასურველია, პასუხისას არაბი ჭაბუკის ასაკიც გაითვალისწინოთ;
3. ჩამოთვალეთ, რა ხერხებს მიმართავს აბო მისთვის საინტერესო საკითხების სიღრმისეულად შესასწავლად;
4. როგორ ფიქრობთ, ჰაგიოგრაფი დაწვრილებით რატომ გადმოსცემს, აბომ რა გზა გაიარა ნათლისღებამდე? სათქმელი დაასაბუთეთ;

5. შეაფასეთ ხაზართა მეფის საქციელი;
6. რატომ მოინათლა აბო ხაზარეთში? დააკვირდით ტექსტსა და სქოლიოს და მიახლოებით გამოთვალეთ აბოს დაბადებისა და ნათლობის წლები; აღნიშნეთ, რამდენი წლის იქნებოდა გარდაცვალებისას;
7. იოვანე საბანისძის მონათხრობის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის რომელ ნაწილში ბატონობდნენ არაბები?
8. როგორ ფიქრობთ, რამ უბიძგა აბოს, რომ მარხვისთვის დუმილიც დაემატებინა და ამით უფრო დიდ საქმეს შესჭიდებოდა?
9. გარდა ანტონი დიდისა, კიდევ ვის და რაში ჰბაძავს აბო?
10. რატომ ჰგონია აფხაზთა მთავარს, რომ აბოს ქართლში დაბრუნება სახიფათოა?
11. როგორ ფიქრობთ, რატომ ელაპარაკება აბო აფხაზეთის მთავარს ბიბლიურ ციტატათა მოშველიებით?



წერითი დავალება

გეგმის შედგენა და შინაარსის გადმოცემა

შეადგინეთ მოცემული ტექსტის თხრობის გეგმა და შემდეგ ამ გეგმის მიხედვით დაწერეთ მოკლე შინაარსი.
ა) იმისათვის, რომ გეგმა იყოს ნათელი, თანმიმდევრული და გასაგები, გაითვალისწინეთ რამდენიმე რჩევა:
• ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და გაიაზრეთ შინაარსი - რა ხდება, ვინ მონაწილეობს, სად ხდება მოქმედება.
• განასხვავეთ ძირითადი მოვლენები და დამატებითი დეტალები. გეგმა უნდა მიჰყვებოდეს სიუჟეტის განვითარებას.
• არ გამოტოვოთ არცერთი ძირითადი მოვლენა. ჩამოწერეთ პუნქტებად. გეგმის პუნქტები უნდა იყოს მოკლე და გასაგები.
ბ) შეურჩიეთ სათაური მოკლე შინაარსს, მიჰყევით გეგმის პუნქტებს და თქვენი სიტყვებით გადმოეცით მონაკვეთში აღწერილი ამბავი.



თვალსაზრისი

წერითი დავალება - ნერსე ერისთავის სახე
როგორც ნაწარმოების მეორე თავიდან იცით, აბოს გზა დაკავშირებულია ნერსე ერისთავთან, რომლის შესახებაც ისტორია დუმს. თუმცა იოვანე საბანისძის „აბოს წამება“ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მასზე. მოირგეთ მკვლევრის როლი, ტექსტი გამოიყენეთ, როგორც ისტორიული წყარო და წერილობით იმსჯელეთ ნერსე ერისთავზე, როგორც პოლიტიკოსზე. იფიქრეთ, რა შეიძლება განაპირობებდეს არაბთა დამოკიდებულებას ნერსეს მიმართ. ასევე ყურადღება მიაქციეთ მის ურთიერთობას აბოსთან, ხაზარებთან, აფხაზთა მთავართან.

წერითი დავალება

დაწერეთ ანალიტიკური ესე - აბოს გზა სულიერ ამაღლებამდე

• იმსჯელეთ აბოს ვინაობაზე, მის წარმომავლობაზე, განათლებაზე...
• როგორ და ვისგან შეიტყო მან ქრისტიანობის შესახებ, როგორ შეიმეცნა და აირჩია ეს რელიგია.
• როგორ ვლინდება აბოს შიში და როდის ახერხებს მის დაძლევას.
• როგორ ვლინდება მისი სულიერი ამაღლება ნათლისღებიდან ქართლში დაბრუნებამდე.
თქვენი აზრით, რატომ საუბრობს იოვანე საბანისძე ასე დაწვრილებით აბოს შინაგან გარდასახვაზე. რატომ არის აბოს გზა მნიშვნელოვანი და რას ასწავლის მკითხველს მისი მაგალითი?

ციფრული ლაბორატორია

სიუჟეტური ნახატი
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით შექმენით სიუჟეტური ნახატი აფხაზთა მთავრისა და აბოს დიალოგის მიხედვით.
• დახატეთ სიუჟეტური ნახატის კადრები (ჩარჩოები); გამოსახეთ მოქმედება, პერსონაჟები და გარემო;
• გამოიყენეთ დიალოგის „ბუშტები” - ტექსტი უნდა იყოს მოკლე, გასაგები;
• გამოხატეთ პერსონაჟების ემოციები მიმიკით, ჟესტებით;
• დაამატეთ საჭირო დეტალები, რომ ამბავი შთამბეჭდავი იყოს.
ამ დავალების შესრულება შესაძლებელია როგორც ინდივიდუალურად, ისევე - ჯგუფურადაც.



ეპოქის თანადროული სამშვილდის სიონის ნანგრევები, ქვემო ქართლი, VIII ს.

მესამჱ თავი
წამებაჲ წმინდისა ჰაბოჲსი



ქრისტეს მიერ გვირგვინოსანი წმინდა მოწამე აბო აღესრულა ქალაქ თბილისში დასაბამიდან ექვსი ათას სამას ოთხმოცდაცხრა წელს, ექვს იანვარს, პარასკევს. ეს ამბავი ასე იყო:

ნეტარი აბო სიკვდილით დასჯამდე ცოტა ხნით ადრე შეიპყრეს და მიჰგვარეს მსაჯულს, არაბ ამირას. ქრისტეს აღიარებისათვის წმინდანი საპყრობილეში ჩააგდეს. რამდენიმე დღის შემდეგ იგი გამოიხსნა ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა, გამოიყვანა საპყრობილიდან და გაუშვა.

მცირე ხნის შემდეგ კვლავ გამოჩნდნენ გაბოროტებული, განრისხებული და შურით სავსე მაბეზღარნი, შეკრეს პირი წმინდა აბოს წინააღმდეგ და მივიდნენ ახლად დანიშნულ ამირასთან, რომელიც წინამორბედი მსაჯულის ნაცვლად დაედგინათ თბილისში. უთხრეს მას:

- ამ ქალაქში არის ჭაბუკი, რომელიც წინაპართა მსგავსად იყო სარკინოზი, გაიზარდა და ცხოვრობდა მუჰამედის რჯულით. ახლა უარყო ჩვენი რწმენა და თავს ქრისტიანად აცხადებს, უშიშრად დადის ქალაქში და ბევრ ჩვენიანს ქრისტიანობას უქადაგებს. ბრძანე, რომ შევიპყროთ და ტანჯვა-გვემა არ მოაკლო, სანამ კვლავ მაჰმადიანობას არ დაუბრუნდება. თუ უარს იტყვის, მოკალი, რომ მიმბაძველნი არ გამოუჩნდნენ.

ქრისტიანებმა გაიგეს ამის შესახებ და აფრთხილებდნენ აბოს, რომ შეპყრობასა და ტანჯვას უპირებდნენ, არწმუნებდნენ, აქაურობას განრიდებოდა და დამალულიყო.

ხოლო მან ჰრქუა მათ:

- მე არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტჱსთჳს, არამედ სიკუდიდცა.

და გამოვიდა იგი სიხარულით და იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად.

მაშინ მსახურნი იგი მის მსაჯულისანი შეემთხჳნეს და შეიპყრეს ნეტარი ჰაბო და შეიყვანეს იგი წინაშე მსაჯულისა მის.

და ჰრქუა მას მსაჯულმან მან:


- რაჲ არს რომელი-ესე მესმის შენთჳს, რამეთუ ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ და დაგიტევებიეს მამული შჯული და ქრისტეანეთა თანა შეცთომილ ხარ? აწ განემზადე და ილოცე შჯულითა მით, რომლითა განგზარდეს მშობელთა შენთა.

ხოლო ნეტარი ჰაბო განძლიერდა ქრისტჱს მიერ და აღივსო სულითა სარწმუნოვებისაჲთა და ჰრქუა მსაჯულსა მას ამირასა:

- ეგე კეთილად სთქუ, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოზ, შობილვე მას შინა მამულად და დედულად; განსწავლულ ვიყავ შჯულითა მით მაჰმედისითა და ვცხონდებოდე მას შინა, ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ, ხოლო ოდეს სათნო-ყო ღმერთმან, რომელმან გამომირჩია მე ძმათა და ნათესავთა შორის ჩემთა და გულისხმა-მიყო მე უმჯობჱსი იგი კეთილი, მაშინ დაუტევე მე პირველი იგი კაცთა ჴელოვნებითა შეთხზული შჯული და ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული რწმუნებაჲ, და აწ შეუდეგ მე ჭეშმარიტსა ქრისტჱს მიერ მომადლებულსა სარწმუნოვებასა და აწ ქრისტეანე ვარ თჳნიერ ყოვლისა ცილობისა.



ქრისტეს მიერ გვირგვინოსანი - ქრისტეს მიერ წმინდანად აღიარებული.
მუჰამედის რჯული - მაჰმადიანობა, ისლამი. ალაჰი მუსლიმანთა ღმერთია, ხოლო მუჰამედი, იგივე მაჰმადი, მისი წინასწარმეტყველი და უკანასკნელი მოციქული, ისლამის დამაარსებელი.
ჰრქუა - უთხრა.
მე არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტჱსთჳს, არამედ სიკუდიდცა - მზად ვარ, ქრისტესთვის არა მარტო ვიტანჯო, არამედ მოვკვდე კიდეც.
იქცეოდა შორის უბანთა განცხადებულად - დაუფარავად დადიოდა ქალაქის უბნებში.
რაჲ არს რომელი-ესე მესმის შენთჳს - რა არის ეს, რაც შენზე მესმის.
ხარ შენ ნათესავით და ტომით სარკინოზ - წარმოშობით და გვარ-ტომით არაბი ხარ.
დაგიტევებიეს მამული შჯული - მიგიტოვებია მამაპაპური სარწმუნოება.
ქრისტიანეთა თანა შეცთომილ ხარ - ქრისტიანებთან შემცდარხარ (ქრისტიანებს შეუცდენიხარ).
ილოცე შჯულით მით - ილოცე იმ რჯულზე.
ეგე კეთილად სთქუ - ეგ კარგად თქვი.
ბუნებით სარკინოზ - წარმოშობით არაბი.
მამულად და დედულად - მამით და დედით.
ვცხონდებოდე მას შინა - ვცხოვრობდი მასში.
ვიდრე უმეცრებასა შინა ვიყავ - სანამ უმეცარი ვიყავი.
სათნო-ყო - სიყვარული გამოიჩინა.
გამომირჩია - გამომარჩია.
გულისხმა-მიყო მე უმჯობჱსი იგი კეთილი - მიმახვედრა, თუ რა იყო ჩემთვის საუკეთესო.
დაუტევე - მივატოვე, დავტოვე.
კაცთა ჴელოვნებითა შეთხზული შჯული - ხელოვნურად შექმნილი სარწმუნოება.
ზღაპრობისა სიბრძნითა ღონისძიებული - მოგონილი ამბებით შეთხზული.
რწმუნება - მტკიცება, დაჯერება.
თჳნიერ ყოვლისა ცილობისა - უდავოდ, ყოველგვარი ეჭვის გარეშე.



„აბოს წამების“ ხელნაწერის ფრაგმენტი, პარხლის მრავალთავი, X ს.

ჰრქუა მას მსაჯულმან მან:

- დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვაჲ შენი და უკუეთუ ნაკლულევანებისა შენისათჳს შედგომილ ხარ შენ ქრისტეანეთა, მე უფროჲსღა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ.

ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო:

- ოქროჲ და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა; მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტჱსმიერი, გჳრგჳნი ცხოვრებისაჲ და უხრწნელებისაჲ და პატივი საუკუნოჲ ცათა შინა.

მაშინ მსაჯულმა ბრძანა, რკინის ბორკილები დაედოთ ხელებსა და ფეხებზე და ასე შეეგდოთ საპყრობილეში. ხოლო ნეტარ აბოს უხაროდა და მადლობდა ღმერთს, რომ მისთვის სასჯელისა და პატიმრობის ღირსი გახდა.

ეს მოხდა ოცდაშვიდ დეკემბერს, სამშაბათს, ქრისტეს წმინდა მოციქულის, პირველდიაკვნისა და პირველმოწამის, მოწამეთა ერისთავის, სტეფანეს, ხსენების დღეს. ეს დღე იმიტომაც იყო დიდებული, რომ პირველმოწამე წმინდანი სხვა მოწამეებთან ერთად შეეწეოდა აბოს, რათა ეს უკანასკნელი არ დაბრკოლებულიყო და წინამორბედთა მსგავსად განმტკიცებულიყო.

საპყრობილეში მყოფი აბო მარხულობდა, ლოცულობდა, დღედაღამ მოუწყინებლად ფსალმუნებდა, ქველ საქმეს აკეთებდა. მან გაყიდა ყველაფერი და აპურებდა მშიერ და გლახაკ თანამოსაკნეთ. ცრუმოძღვარნი და დამბეზღებელნი კი არ ცხრებოდნენ: ზოგი ეპირფერებოდა და არწმუნებდა, რომ აბო გაჰფრთხილებოდა თავის სიჭაბუკესა და სიცოცხლეს და ქრისტეს გამო თავი არ გაეწირა, არ დაემწუხრებინა მოძმენი და ახლობლები; ზოგი აშინებდა და ეტყოდა:

- რა სარგებელს ელი ქრისტესგან, ვინ გიხსნის ჩვენი ხელიდან, შენთვის ცეცხლი და სატანჯველი მზად გვაქვს, თუ არ მოექცევი კვლავ ჩვენს რჯულზე.

ხოლო ნეტარი იგი არა ისმენნ მათსა, არამედ ილოცავნ და უღარღილოდ ფსალმუნებნ გონებითა თჳსითა. და შემდგომად-ღა მრავლისა სიტყჳსა მათისა ჰრქუა მათ:

- ჩემდამო რასა იტყოდეთ, რამეთუ მე, ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა, რომლისა თანა არა არს პირსა მისსა სიტყუაჲ, რამეთუ მე უფალსა ვესავ.

და ვითარცა ვერ შეძრეს მართალი იგი, გამოვიდეს მიერ სირცხჳლეულნი.

და იყო ნეტარი აბო საპყრობილეში ცხრა დღე, მუდამ მარხვითა და ღამისთევით, განთიადამდე ზედგომით განადიდებდა ღმერთს. მეცხრე დღეს თანაპყრობილთ უთხრა:

- ხვალ ჩემი სული განეშორება ხორცს და მივალ ღმერთთან, იესო ქრისტესთან. - ეს თვით უფალმა გამოუცხადა თავის მოწამეს.

მაშინ აბომ გაყიდა სამოსელი, რათა ეყიდათ მისთვის დიდი სანთლები (კერეონები) და საკმეველი და გაგზავნა ყველაფერი ქალაქის ეკლესიებში, რომ აენთოთ. შეევედრა მღვდლებს, ელოცათ მისთვის, რათა არ დაბრკოლებულიყო, განმტკიცებულიყო მისი რწმენა ქრისტეს მიმართ და თანაზიარი გამხდარიყო სხვა მოწამეთა ღვაწლისა.

აბომ წმინდა დღესასწაულის, ნათლისღების, ღამეს მოატანინა ორი დიდი სანთელი, დაიჭირა ხელში, საკნის შუაში მდგომმა განთიადამდე დაუჯდომლად იკითხა ფსალმუნნი, ვიდრე არ დაასრულა და სანთელიც არ ჩამოეღვენთა ბორკილდადებულ ხელებზე.

და როცა გათენდა მეათე დღე, მაცხოვრის ნათლისღების დღესასწაული, ექვსი იანვარი, პარასკევი, ნეტარმა თქვა:



დაუტევე სიცოფისა ეგე განზრახვაჲ - შეცვალე ეგ სულელური გადაწყვეტილება.

ნაკლულევანება - სიღარიბე.

უფროჲსღა ნიჭი და პატივი აწვე მიგცე შენ - ახლავე მოგცემ გაცილებით მეტ ქონებას და პატივს მოგაგებ.

წარსაწყმედელად შენდა - შენს დასაღუპავად.

კაცთაგან - ადამიანებისგან.

ნიჭი ქრისტჱსმიერი - საჩუქარი ქრისტესგან.

გჳრგჳნი ცხორებისაჲ და უხრწნელებისაჲ - მარადიული და უჭკნობი სიცოცხლის გვირგვინი.

პატივი საუკუნოჲ ცათა შინა - ცათა სასუფეველში შესვლის პატივი.

სტეფანე პირველმოწამე - პირველი ადამიანი, რომელიც ეწამა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, ქრისტეს მოციქული (70-თაგანი - იესო ქრისტეს, საყოველთაოდ ცნობილი 12 მოციქულის გარდა, 70 სხვა მოწაფეც ჰყავდა), პირველდიაკვანი. ქრისტეს აღსარების გამო ჩაქოლეს 34 წელს.

არა ისმენნ მათსა - არ უსმენდა მათ.

უღარღილოდ - განუწყვეტლივ, სიტყვების უხმოდ, ტუჩების მოძრაობით გამოთქმით.

ფსალმუნებნ გონებითა თჳსითა - უხმოდ გალობდა ფსალმუნებს.

მე, ვითარცა ყრუსა, არა მესმოდა, რომლისა თანა არა არს პირისა მისისა სიტყუაჲ - მე ისევე არ მესმოდა, როგორც ყრუს, რომელსაც ლაპარაკი არ შეუძლია.

რამეთუ მე უფალსა ვესავ - რადგან უფლის იმედი მაქვს.

ვერ შეძრეს - ძვრა ვერ უყვეს, ვერ შეაგონეს.

სირცხჳლეულნი - შერცხვენილნი.

ნათლისღება - ერთ-ერთი დიდი საუფლო დღესასწაული; დღე, როდესაც იესო ქრისტე მოინათლა მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ. ეკლესია აღნიშნავს მას 6 (ანუ ახალი სტილით - 19) იანვარს.

- დიდ არს ჩემდა დღჱ ესე, რამეთუ ვხედავ ორკერძოვე ძლევასა უფლისა ჩემისა იესუ ქრისტჱსსა, რამეთუ დღეს ასწაულსა ამას შთაჴდა მდინარესა მას იორდანისასა განშიშულებული ნათლისღებად. ჯერ-არს ჩემდაცა დღესა ამას, რაჲთა განვიძარცო შიში ჴორცთა ამათ ჩემთაჲ, რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა და შთავჴდე, ვითარცა სიღრმესა წყალთასა, შორის ქალაქსა ამას და ნათელ-ვიღო სისხლითა ჩემითა და კუალად დღესა ამას პარასკევსა მეცა თანა-მაც, რაჲთა განუჴდე ბრძოლად მტერსა მას ქრისტეანეთასა და ვჰსძლო მას ქრისტჱსმიერითა შეწევნითა.

მაშინ მოითხოვა წყალი და განიბანა პირი თჳსი და იცხო ზეთი თავსა თჳსსა და თქუა:

- მაშინ სადამე ვიყავ თჳთ მენელსაცხებლე, კეთილად-შემზავებელ სულნელთა მათ ნელსაცხებელთა, ხოლო ესე საცხებელი დღედ დაფლვისა ჩემისა არს, ამიერითგან არღარა ვიცხო განქარვებადი ესე მწირობისა ჩემისა ზეთი, არამედ ვითარცა „ქებასა შინა ქებათასა“ ბრძენმან სოლომონ მასწავა მე: „სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი“, ქრისტე, რომელმან აღმავსე მე სიყუარულისა შენისაჲთა. იცი შენ, უფალო ჩემო, რამეთუ შეგიყუარე შენ უფროჲს თავისა ჩემისა!



სამწევრისის ტაძარი, VIIს. შიდა ქართლი.

ეს რომ თქვა, გაგზავნა კაცნი და ეკლესიიდან მოჰგვარეს წმინდა საიდუმლო, ხორცი და სისხლი ქრისტესი. ნათლისღების დღესასწაულის დღის მესამე საათი იყო, როცა ეზიარა ნეტარი აბო ჭეშმარიტ და განმაცხოველებელ საიდუმლოს, მადლობდა ღმერთს, რომ უფლის სიცოცხლისმომნიჭებელი ხორცისა და პატიოსანი სისხლის ღირსი გახდა და განმტკიცდა. „თუნდაც ვიარო სიკვდილის აჩრდილთა შორის, ვერ შემაშინოს ბოროტმა, რადგან შენ, უფალი, ჩემთანა ხარ“, - თქვა აბომ და კიდეც მოვიდნენ მსაჯულის მსახურნი. გამოეთხოვა ნეტარი თანაპყრობილ ქრისტიანებს და უთხრა:

- ლოცვისას მომიხსენიეთ, რადგან ვეღარ მიხილავთ წუთისოფელში!

ორკერძოვე - ორმაგად.
შთაჴდა - ჩავიდა.
ჯერ არს ჩემდაცა დღესა ამას - დღეს მეც მევალება.
განვიძარცო შიში ჴორცთა ამათ ჩემთაჲ - დავივიწყო ხორციელი შიში, უშიშარი გავხდე.
რომელნი სამოსელ არიან სულისა ჩემისა - რომელიც ჩემი სულის სამოსელია.
ნათელ ვიღო სისხლითა ჩემითა - მოვინათლო ჩემი სისხლით.
თანა-მაც, რაჲთა განუჴდე ბრძოლად მტერსა მას - მევალება, რომ მტერს ბრძოლით დავუხვდე.

ვჰსძლო - ვძლიო.
სადამე ვიყავ - ოდესღაც ვიყავი.
მენელსაცხებლე - ნელსურნელოვან საცხებელთა (ზეთების) დამამზადებელი, დღევანდელი ტერმინით - პარფიუმერი.
ესე საცხებელი დღედ დაფლვისა ჩემისა არს - ეს ზეთი ჩემი დასაფლავების დღისაა.
არღარა ვიცხო განქარვებადი ესე ... ზეთი - აღარ წავიცხებ ამ ამოწურვად, წარმავალ ზეთს.
მწირობა - უცხოობა, მარტოობა, ყარიბობა.
მწირობისა ჩემისა ზეთი - საწუთისოფლო ზეთი, უცხოობაში ყოფნის დროს გამოსაყენებელი ზეთი.
„სულნელებასა ნელსაცხებელთა შენთასა ვრბიოდი“ - შენი ნელსაცხებლების სურნელებისკენ მოვრბოდე (ქებათა-ქება სოლომონისა 1, 3-4.)
განუქარვებელითა მით სულნელებითა სარწმუნოვებისა - სარწმუნოების მარადიული ნეტარებით.
შეგიყუარე შენ უფროჲს თავისა ჩემისა - ჩემს თავზე მეტად შეგიყვარე.
უფლის სიცოცხლისმომნიჭებელი ხორცისა და პატიოსანი სისხლის ღირსი გახდა - ეზიარა (ერთ ყლუპ ღვინოში ჩამბალი 3-4 ნამცეცი პურით).

დააკვირდით

• აბო სიხარულით ხვდება მოსალოდნელ ტანჯვა-წამებას, რადგან ეს მას მოწამეობას უქადის. გაიხსენეთ, შუშანიკ დედოფალიც მშვიდად და სიხარულით ხვდებოდა ტანჯვას, როგორც იმქვეყნიური ბედნიერების მომასწავებელს;
• ჰაგიოგრაფია პოლემიკას უმართავდა და სიტყვიერად უპირისპირდებოდა სხვა სარწმუნოებებს, ცდილობდა ქრისტიანობის დაცვას. ამიტომაც აბო მსაჯულს ქრისტიანული რელიგიის შესახებ ესაუბრება.
• იოვანე საბანისძე საგანგებოდ აღნიშნავს აბოს დაპატიმრების შესახებ: „ეს მოხდა ოცდაშვიდ დეკემბერს, სამშაბათს, ქრისტეს წმინდა მოციქულის, პირველდიაკვნისა და პირველმოწამის, მოწამეთა ერისთავის, სტეფანეს, ხსენების დღეს“. ამით გამოხატავს, რომ ამ ფაქტს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს - პირველმოწამე დაეხმარება და გააძლიერებს არაბ ჭაბუკს;
• იოვანე საბანისძემ აბოს მაგალითით მკითხველს გაუზიარა ერთ-ერთი გზა, როგორ ემზადებოდნენ ქრისტიანები სიკვდილთან შესახვედრად. როგორც კი ეუწყა თავისი გარდაცვალების დღე, წმინდანმა ყველა ნაბიჯი გათვალა, რომ, რაც შეიძლება ბევრი რამ გაეკეთებინა თავისი სულისთვის სასარგებლო: სანთლები დაგზავნა ეკლესიაში, რათა მისთვის ელოცათ; ამქვეყნად ყოფნის ბოლო ღამე ლოცვით გაათია; განიბანა; იცხო ზეთი; ეზიარა; ნაცნობებსაც სთხოვა, მისთვის ელოცათ.

კითხვები და დავალებები

1. აბოს მეორედ დასაბეზღებლად რით ისარგებლეს მისმა მოწინააღმდეგეებმა და რა მთავარი მიზეზი დაუსახელეს ამირას მის შესაპყრობად?
2. მსაჯულთან საუბრისას აბო რით ხსნის ქართლში ჩამოსვლასა და გაქრისტიანებას?
3. მსაჯული რა მიზეზით ხსნის აბოს გაქრისტიანებას?
4. რა თვისებას ამჟღავნებს აბო, როდესაც ამბობს: „მე პატივსა კაცთაგან არა ვეძიებ“?
5. გაიხსენეთ „აბოს წამების“ პირველი თავი. იოვანე საბანისძის თქმით, რა ხერხებს მიმართავდნენ არაბები მმართველები ქრისტიანთა წინააღმდეგ? მათგან რომლები გამოიყენეს აბოს შესაცდენად?
6. რა ხერხს მიმართა აბომ, რომ მისი გადაბირების მოსურნეთაგან თავი დაეცვა?
7. გადმოეცით, რატომ მიიჩნევს აბო, რომ ორმაგი სიხარულით დააჯილდოვა ღმერთმა.
8. რა პარალელს ავლებს აბო უფლის სამოსელსა და თავისი სულის სამოსელს შორის?
9. რა თვისებებს ამჟღავნებს აბო საპყრობილეში ყოფნისას?

წერითი დავალება

მოცემული ეპიზოდის მიხედვით, დაწერეთ ანალიტიკური ესე - საქმით მეტყველი სული

• იმსჯელეთ, როგორ იკვეთება რწმენით გაძლიერებული აბოს ქცევაში ქრისტიანული ცხოვრების წესი. როგორ აქცევს წმინდანი ქრისტიანული მრწამსის თეორიულ ცოდნას საქმედ;
• ყურადღება მიაქციეთ მის დამოკიდებულებას მატერიალური ნივთების, სულისა და ხორცის, თანამესაკნეების მიმართ. აღნიშნეთ, როგორ ემზადება იგი უფალთან შესახვედრად;
• გაავლეთ პარალელი ასეთივე „საქმით მეტყველ სულებთან“;
• იმსჯელეთ, დღევანდელ ვითარებაში ვინ მიგაჩნიათ ასეთ ადამიანად/ადამიანებად.

ლიტერატურული სახელოსნო

თხრობა მთხრობლის შეცვლით

• ეპიზოდში მოთხრობილი ამბავი გადმოეცით ისე, თითქოს მას აბოს ერთ-ერთი ქრისტიანი თანამესაკნე ან ციხის რომელიმე დარაჯი ჰყვება.
• ყურადღება მიაქციეთ ამ პერსონაჟის დამოკიდებულებას ეპიზოდში გადმოცემული ამბის მიმართ;
• წარმოიდგინეთ აბოსა და თანამესაკნის/დარაჯის დიალოგი და შემდეგ - მთხრობლის ფიქრები;
• გაითვალისწინეთ, რომ მკაფიოდ უნდა ჩანდეს მთხრობლის განცდები, შეფასებები და მიზანი;
• გადმოეცით, თქვენი ფიქრით, რაიმე გავლენას იქონიებდა თუ არა აბოსთან ურთიერთობა თქვენ მიერ არჩეულ პერსონაჟზე.



გამოიყვანეს ხელებსა და ფეხებზე ბორკილებდადებული და ასე მიჰყავდათ ქალაქში. ნაცნობები და ქრისტიანები ხედავდნენ მას და ტიროდნენ, წმინდა აბომ კი უთხრა მათ:

- ნუ სტირთ ჩემ ზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მივალ; ლოცვით წარმგზავნეთ და მშჳდობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ!

ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ-ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა. და სულითა თჳსითა მოგზაურქმნული თჳთ იტყოდა ფსალმუნსა ამას ას და მეათრვამეტესა: „ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“, და საგალობელად მუჴლისა მის თქჳს შემდგომად სიტყუაჲ იგი ნეტარისა მის ავაზაკისაჲ: „მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხჳდე სუფევითა შენითა“.

ასე მივიდა მსაჯულ ამირას სასახლესთან, კარს გაბედულად გადასწერა ჯვარი, თავადაც აღიბეჭდა პირჯვარი. წარდგა ამირას წინაშე, რომელმაც უთხრა:

- რაჲ არს ჭაბუკო, რაჲ განიზრახე თავისა შენისაჲ, კეთილი ანუ ბოროტი?

ხოლო წმიდაჲ მოწამჱ აღივსო სულითა წმიდითა და ჰრქუა მას:

- მე განვიზრახე და ქრისტეანე ვარ!

ჰრქუა მას მსაჯულმან მან:

- არღარა დაგიტევებიესა სიცოფჱ იგი და უგუნურებაჲ შენი?

ჰრქუა მას ნეტარმან ჰაბო:

- უკუეთუმცა უმეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ, არამცა ღირს-ვიქმენ შედგომად ქრისტჱსა!

უფლისა ჩემისა მივალ - ჩემს უფალთან მივდივარ.



ლოცვით წარმგზავნეთ - ლოცვით გამაცილეთ.

დაგიცვენინ თქუენ! - დაგიცვათ თქვენ!

მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ-ექმნის მკუდარსა - ისე მიდიოდა, გეგონებოდა მკვდარს მიჰყვებაო.

ეგრე ჰხედვიდა თჳსსა მას გუამსა - ისე უყურებდა თავის სხეულს.

„ნეტარ არიან უბიწონი გზასა, რომელნი ვლენან შჯულსა უფლისასა“ - ნეტარ არიან მართალნი, რომლებიც უფლის წესზე დადიან (ფსალმუნნი 118, 1). 118-ე ფსალმუნი - იგივე „ჭირის კანონი“, იკითხება მიცვალებულის სულის მოსახსენიებლად.

ნეტარი ავაზაკი - უფლის მარჯვნივ ჯვარცმული ავაზაკი, რომელმაც ჯვრიდან მიმართა უფალს , ამ სიტყვებს ავაზაკის ლოცვა ეწოდება.

„მომიჴსენე მე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა“ (ლუკა 23, 42) - გამიხსენე მე, **უფალო, როცა მიხვალ შენს სასუფეველში** - ავაზაკის ლოცვა.

რაჲ განიზრახე თავისა შენისაჲ - რა მოიფიქრე, რა გადაუწყვიტე შენს თავს.

არღარა დაგიტევებიესა სიცოფჱ იგი და უგუნურებაჲ შენი? - აღარ ანებებ თავს მაგ შენს სისულელესა და უჭკუობას?

უკუეთუმცა უმეცრებასა და უგუნურებასა შინა ვიყავ - უმეცრებასა და უგუნურებაში რომ ვყოფილიყავი.

ჰრქუა მას მსაჯულმან მან:

- არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ?

ჰრქუა მას წმიდამან ჰაბო:

- უკუეთუ მოვკუდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტჱს თანა ვცხონდე, ხოლო შენ რაჲსა განაგრძობ? რაჲ გეგულების ჩემ ზედა, იქმოდე, რამეთუ მე ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრეთ არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი, ხოლო გონებაჲ ჩემი ქრისტჱს თანა არს ზეცას!

ჰრქუა მას მსაჯულმან მან:

- რაჲ ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს ქრისტჱს შენისაგან, რომლითა სიკუდილადცა არა გეწყალის თავი შენი?

ხოლო ჰრქუა მას წმიდამან ჰაბო:

- უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი, შენცა გრწმენინ ქრისტჱ და ნათელ-იღე მისა მიმართ და მაშინღა ღირს-იქმნე სიტკბოებასა მისსა ცნობად.

მაშინ განრისხდა მსაჯული და ბრძანა, რომ გარეთ გაეყვანათ და თავი მოეკვეთათ. მსახურებმა გამოიყვანეს წმინდა აბო სასახლის ეზოში, მოხსნეს რკინის ბორკილები ხელებსა და ფეხებზე. ნეტარმა აბომ სწრაფად გადაიწერა პირჯვარი და თქვა:


- გმადლობ და გაკურთხებ, წმინდაო სამებაო, რადგან მაღირსე, ვეზიარო შენს წმინდა მოწამეთა ღვაწლს!

ხელები ზურგს უკან გადაიჯვარედინა, მხიარული სახითა და ამაღლებული სულით შეღაღადა უფალს და მოუდრიკა თავი მახვილს. სამჯერ მოუქნიეს მახვილი, ეგონათ, შეაშინებდნენ და ქრისტეს განაშორებდნენ.

ხოლო წმიდაჲ იგი მარტჯლი დუმილით მჴნედ მიითუალვიდა მახჯლსა, ვიდრემდის შეჰვედრა სული თჳსი უფალსა.

როდესაც წმინდა აბოს დამბეზღებელმა ღვთის მტრებმა გაიგეს, რომ ნეტარი აბო ქრისტესთვის აღესრულა და კეთილად იღვაწა, შურით აღივსნენ, ამირასთან მივიდნენ და უთხრეს:

- ჩვენ ვიცით, რომ ქრისტიანებს ასეთი ჩვეულება აქვთ: თუ ვინმე ქრისტესთვის თავს გაწირავს, მოიპარავენ მის ცხედარს, დაკრძალვით პატივს მიაგებენ და ხალხში ტყუილს გაავრცელებენ, თითქოს სასწაულები აღესრულება, ადამიანები იკურნებიან. უბრძანე, გადმოგვცენ მისი სხეული, რომ წავიღოთ და დავწვათ, რათა საცდური აღარ ჰქონდეთ ქრისტიანებს, შეშინდნენ და ჩვენს რჯულზე მოექცნენ, ჩვენიანები კი არ ეზიარონ მათ მოძღვრებას.



„აბოს წამების“ ხელნაწერის ფრაგმენტი, პარხლის მრავალთავი, X ს

მსაჯულმა უთხრა:

- ისე მოიქეცით, როგორც გსურთ!

მივიდნენ და აიღეს წმინდა აბოს გვამი, სამოსლითურთ ჩადეს გოდორში. მიწა, რომელზედაც წმინდანის სისხლი დაიღვარა, ამოთხარეს, რათა არაფერი დაეტოვებინათ, ისიც ჭურჭელში მოათავსეს და დადეს ურემზე მსგავსად ორმოცი მოწამისა, რადგან წმინდა აბოს თავი მოჰკვეთეს სწორედ ორმოცი მოწამის სახელობის ეკლესიის კართან, რათა ამ ახოვან წმინდანებს მიმსგავსებოდა.

წმინდა მოწამის გვამი ქალაქგარეთ წაიღეს და მიიტანეს იმ ადგილას, რომელსაც საგოდებელი (სასაფლაო) ეწოდება. იქ არის ამ ქალაქის მცხოვრებთა საფლავები. გადმოიღეს ურმიდან, მოიტანეს შეშა, თივა და ნავთი. ნავთი დაასხეს წმინდანის ცხედარს, წაუკიდეს ცეცხლი და დაწვეს. ეს მოხდა ქალაქის ციხის აღმოსავლეთით, კლდის პირას, რომლის ძირში მიედინება მტკვარი. სანამ



ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ტაძარი თბილისში

არამცა ღირს ვიქმენ შემდგომად ქრისტჱსა - ქრისტეს მიმდევრობის ღირსი არ ვიქნებოდი.

არა გიცნობიესა? - ვერ მიხვდი?

სიტყუანი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ - ეგ შენი სიტყვები შენს სიკვდილს მოასწავებს.

უკუეთუ მოვკუდე - თუ მოვკვდები.

მრწამს მე, რამეთუ ქრისტჱს თანა ვცხონდე - მჯერა, რომ ქრისტესთან ვიქნები.

რაჲ გეგულების ჩემზედა, იქმოდე! - რასაც მიპირებ, შეასრულე!

ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ - როგორც მაგ კედელს, რომელსაც მიყრდნობილხარ.

ეგრეთ არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი - ისევე არ მესმის ეგ შენი ცუდი ლაპარაკი.

რაჲ ეგოდენი სიტკბოებაჲ გაქუს ქრისტჱს შენისაგან - იმდენი რა სიკეთე გაქვს მაგ შენი ქრისტესგან.

რომლითა სიკუდილადცა არა გეწყალის თავი შენი - რომლის გამო სასიკვდილოდაც არ გეცოდება შენი თავი.

უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი - თუ გინდა გაიგო მისი სიკეთე.

შენცა გრწმენინ - შენც იწამე.

ნათელ იღე - მოინათლე.

მაშინღა ღირს-იქმნე სიტკბოებასა მისსა ცნობად - მხოლოდ მაშინ გეღირსება მისი სიკეთის გაგება.

მარტჳლი - წამებული.

დუმილით მჴნედ მიითუალვიდა მახჳლსა - ჩუმად, ვაჟკაცურად ხვდებოდა მახვილს.

ვიდრემდის შეჰვედრა სული თჳსი უფალსა - სანამ სული უფალს არ მიაბარა.

წმინდა აბოს სხეული არ დაწვეს, ქრისტიანებს იქ მისვლის უფლება არ მისცეს. მოწამის ძვლები ცხვრის ტყავში გაახვიეს და ჩაყარეს მდინარეში, იმ ხიდის ქვეშ, რომელზეც აღმართული იყო პატიოსანი ჯვარი.



მაშინ ქალაქში მცხოვრებმა ქრისტიანებმა დაძლიეს მოძალადეთა შიში. ხალხმა იმ ადგილს მიაშურა, სადაც მოწამის ცხედარი დაწვეს. მოხუცებულნი ჯოხებით გარბოდნენ, კოჭლები - ხტომით, როგორც ირმები, ბავშვები ერთმანეთს ასწრებდნენ, ქალები კი იმ მენელსაცხებლე დედებს ჰგავდნენ, რომელთაც სირბილით მიჰქონდათ იესო ქრისტეს წმინდა საფლავზე ნელსაცხებლები. ნამდვილად ემსგავსებოდნენ მათ, რადგან წმინდა აბოს წამების ადგილას ტირილით მიარბენინებდნენ სანთლებსა და საკმეველს. ყველას უხაროდა და ქრისტეს მადლიერი იყო. მრავალი სნეული მიდიოდა და მალევე იკურნებოდა. ყოვლადძლიერმა ღმერთმა პატივი მიაგო თავის მარტვილს და სასწაული მოავლინა, რათა ყველას შეეტყო, რომ აბო ჭეშმარიტად უფლის მოწამე იყო.

ღამის პირველ საათზე ნეტარის წამების ადგილას უფალმა გადმოავლინა კაშკაშა ვარსკვლავი, როგორც ცეცხლის ლამპარი. ყველა ხედავდა მას - მსაჯული, ქალაქის მკვიდრი ქრისტიანები, სარკინოზები, სხვა მხრიდან მოსული ადამიანები... არაბებს ეგონათ, რომ ქრისტიანებმა აანთეს ლამპარი

და ამირას მსახურები მივიდნენ მის სანახავად. როდესაც მიუახლოვდნენ იმ ადგილს, დაინახეს, რომ ვარსკვლავი ცაში მაღლდებოდა და ვეღარ გაბედეს ახლოს მისვლა, რადგან საღვთო შიშმა შეიპყრო ისინი.

მეორე ღამეს კი წყალმა გამოსცა საოცარი ნათელი, რომელსაც ქალაქის მცხოვრებლები ხედავდნენ, რათა ყველას ერწმუნა, რომ აბო ნამდვილად უფლის ძის, იესო ქრისტეს, მოწამე იყო და შეეგნოთ ქრისტიანებსა და ურწმუნოებს, რომ ჭეშმარიტია ქრისტეს სიტყვები: „ვინც მე მემსახურება, მას პატივს მიაგებს მამა ჩემი, რომელიც არის ზეცაში“.

ხიდი, რომელზეც აღმართული იყო ჯვარი - ამჟამად მეტეხის ხიდი თბილისში, ეს არის თბილისის პირველი ხიდი, რომლის შესახებაც გვაქვს წერილობითი წყარო „აბოს წამების“ სახით.



მენელსაცხებლე დედები - ქალბატონები, რომლებიც, „სახარების“ მიხედვით, მიდიოდნენ მაცხოვრის საფლავისკენ, რათა მიცვალებული იესოსთვის სურნელოვანი ნივთიერებანი ეცხოთ, სწორედ მათ იხილეს ცარიელი საფლავი და ანგელოზისგან შეიტყვეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ.

დააკვირდით

• იოვანე საბანისძე გადმოსცემს, თუ როგორ წარმოიდგინა აბომ თავი გარდაცვლილად და სულად გარდაქმნილი როგორ მიაცილებდა თავის სხეულს. ასეთი სურათი (ანუ პერსონაჟის ფანტაზია თუ ფიქრები, რომლებიც ჰაგიოგრაფმა წარმოიდგინა) არადამახასიათებელია ჰაგიოგრაფიის, როგორც რეალურად მომხდარი ამბების ამსახველი ჟანრისთვის. ამით ავტორი ორიგინალურ სახეს ქმნის;

• მსაჯულთან მიმავალი აბო თავის თავს უკითხავს 118-ე ფსალმუნს, ანუ „ჭირის კანონს“, რომელსაც ჭირისუფალი კითხულობს მიცვალებულისთვის;

• ძალიან კარგად გვიცნობენ არაბები, იციან ჩვენი წეს-ჩვეულებანი;

• არაბებს შეეძლოთ, აბოს ფერფლი და დაწვას გადარჩენილი ძვლები ნებისმიერი ფორმით გადაეყარათ მტკვარში, თუმცა მათ მაინცდამაინც ცხვრის ტყავში გაახვიეს, ამით მტრის ხელითაც კი უფლის ნება აღსრულდა, გაცხადდა, რომ აბო წმინდა კრავი, ანუ შეწირული მსხვერპლია.

კითხვები და დავალებები

1. რით ჰგავს ერთმანეთს მსაჯულთან მიმავალი აბოსა და ციხისკენ მიმავალი შუშანიკის სიტყვები, რომლებითაც ისინი მიმართავენ ხალხს? თქვენი აზრით, რით არის ეს მსგავსება გამოწვეული?
2. თქვენი აზრით, როგორია მსაჯულთან მიმავალი აბოს სულიერი მდგომარეობა?
3. რომელი მხატვრული ხერხია: „მე ვითარცა კედელსა მაგას, რომელსა მიყრდნობილ ხარ, ეგრეთ არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყუანი შენნი“?
4. რომელი მხატვრული ხერხია: „გონებაჲ ჩემი ქრისტჱს თანა არს ზეცას!“?
5. რომელ თვისებებს ამჟღავნებს აბო მსაჯულთან საუბრისას?
6. რამ განარისხა ამირა?
7. თქვენი აზრით, სიტყვა „ვეზიარო“ რას გულისხმობს აბოს სამადლობელ სიტყვაში: „მაღირსე, ვეზიარო შენს წმინდა მოწამეთა ღვაწლს“:

ა) მაღირსე, გავეცნო მათ ცხოვრებასა და ფიქრებს; ბ) მაღირსე, მათ გვერდით და-

ვუდგე სასუფეველში; გ) მაღირსე, მათ შესახებ მჭევრმეტყველურად ვიქადაგო; დ) მაღირსე, მათი წამების ადგილები მოვილოცო.
8. რატომ მოინდომეს არაბებმა აბოს გვამის დაწვა?
9. რით ემსგავსება აბო ორმოც მოწამეს და ამ მსგავსების შესაძლებლობასა თუ აუცილებლობას რით ხსნის იოვანე საბანისძე?
10. იმსჯელეთ, როგორ გახდა აბოს მიერ შიშზე გამარჯვება საზოგადოებრივი შიშის დაძლევის საწინდარი. მსჯელობისას დაიმოწმეთ კონკრეტული ეპიზოდი;
11. აბოს აღსასრულის შემდეგ რომელი სასწაულები მოუვლინა უფალმა ხალხს და, ჰაგიოგრაფის თქმით, რისთვის ხდებოდა ეს ყოველივე?

ლიტერატურული პარალელები

შეასრულეთ ქვემოთ ჩამოთვლილი დავალებები:
1. ყურადღებით წაიკითხეთ XX საუკუნეში მცხოვრები ქართველი პოეტების ლექსები:
ა) ტერენტი გრანელის ლექსში „წუხელ სიზმარში მიმიძღოდა ჩემი ცხედარი“, ვკითხულობთ:

„წუხელ სიზმარში მიმიძღოდა ჩემი ცხედარი,
და მივდიოდი, მივკიოდი საშიშ ქარიშხალს.
ზარი რეკავდა: სამარადოდ იყავ ნეტარი!
წუხელ ანაზდად უკუნეთმა თავი აიშვა.
.....
წუხელ სიზმარში მიმიძღოდა ჩემი ცხედარი“.

ბ) ნიკო სამადაშვილი კი ლექსში „ჩემი პორტრეტი“ წერს:

„ნამტირალევი მოვდივარ დღესაც,
სადაც არ მივალ, ყველგან ღამეა:
ნეტავ ჩემ გულში ჩამოგახედათ,
რამდენი კვნესა და ვარამია.
ბოღმა კვამლივით მედება ყელზედ,
ირგვლივ რიყეა, უდაბნოს ქვები.
ისე დავდივარ ამ ქვეყანაზე
თითქოს საკუთარ ცხედარს მივყვები“.



ასომთავრული ანბანის საზედაო ასო „მ“

2. დაფიქრდით და უპასუხეთ კითხვებს:
ა) ეს ლექსები „აბოს წამების“ რომელ ეპიზოდს ეხმიანება (პასუხი დაასაბუთეთ);
ბ) რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ ლექსებსა და „აბოს წამების“ თქვენ მიერ მოხმობილ ეპიზოდს შორის?
პასუხი რომ არ გაგიჭირდეთ, დაფიქრდით:
• რა ჩვენებას ხედავს სამივე?
• ორიოდე სიტყვით შეაფასეთ ტერენტი გრანელისა და ნიკო სამადაშვილის ლექსების ლირიკული გმირებისა და აბოს სულიერი მდგომარეობა (თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ);
• როგორ ფიქრობთ, რომელ ტექსტში იგრძნობა მეტი სიმშვიდე და, თქვენი აზრით, რა არის ამისი მიზეზი?
• რა ფიქრი აღგიძრათ სხვადასხვა ეპოქის (ერთმანეთისგან 12 საუკუნით დაშორებული) ადამიანების ურთიერთმსგავსმა ხედვამ?

ლიტერატურული პარალელები

ყურადღებით წაიკითხეთ შოთა ნიშნიანიძის ლექსი „ჰაბო ანუ ფერფლის ლეგენდა'' და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

უკან დარჩა უდაბნო...
და ბაღები ფშატის,
ლომთა კმინვა... თუთიყუშთა კვიწინი...
ბრუნდებოდა ნერსე ნაჩუქარი ფაშატით,
უკან ბიჭი მოსდევდა არაბული კვიცივით.
- რატომ მოსდევ, ბიჭო,
მაგ ურჯულო გიაურს, გაანებე თავი,
ჯანდაბის გზით იაროს!
საით მისდევ, უგუნურო,
სად სიკვდილში მისდევ,
რად არჩიე მაჰმადს
წამებული ქრისტე?!
რად არჩიე უზარმაზარ გამარჯვებულ
ხალიფატს
ერთი მუჭა მიწა დამარცხებულ
ხალიბთა?
საით, ცოდვის შვილო, შეჩერდი!..
შეჩერდი!...
მაჰმადის მახვილივით ლაპლაპებდა
მეჩეთი...

II

ფერფლი ესხა,
ჭვარტლი ესხა გადათქერილ ხარდანს
და მზე ჰგავდა ცხენის ფლოქვით
ახრჩოლებულ ღადარს.
არსად ჩიტი... არც პეპელა...
მხოლოდ კანტიკუნტად
ყვავი გადიყრანტალებდა,
როგორც ჭვარტლის გუნდა.
ცხენის ფლოქვით დადაღული
მტევანი თუ ფერფლი
კბილებს კრეჭდა, ქირქილებდა,
ვით სიკვდილის ღერბი.
ეს ღერბები მწუხარების არაბესკად ესხა
ქართულ ციხე–ეკლესიას,
სიმღერას თუ ფრესკას.

III


რაც არ უნდა დიდი იყოს საქართველოს
მსხვერპლი,
სიყრუე და გულქვაობა გადამთიელ
ხეპრის,
იმ ფერფლს,
შავ ფერფლს,
სიძულვილის აუწონელ ზღვა ფერფლს
აბოს ფერფლი გადასწონის,
ერთი მუჭა ფერფლი...

ფშატი - მოთეთროფოთლებიანი ბუჩქი ან დაბალი ხე, რომლის ნაყოფიც იჭმება.
კმინვა - ამოკვნესა.
კვიწინი - ნაწყვეტ-ნაწყვეტი კვნესა.
ფაშატი - დედალი ცხენი.
გიაური - უღვთო, ურჯულო.
ხალიბები - ანტიკური ხანის მწერლობის მიხედვით, ხალიბებად იხსენიებიან ქართველური ტომები.
აქ: ზოგადად, საქართველო.
მეჩეთი - მაჰმადიანთა სალოცავი.
ჭვარტლი - შავი ფერის ნადები, რაღაცის დაწვის შემდეგ გაჩენილი.
ხარდანი - ყურძნის, ვაზის ჭიგო, სარი.
ღადარი - ნაცარში არეული ნაკვერჩხალი.
არაბესკა - აღმოსავლური ორნამენტი.

დავალებები:

1. გაიხსენეთ „აბოს წამების“ შესწავლილი ეპიზოდები და იმსჯელეთ, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში გადმოცემული რომელი ამბავია ასახული ლექსში;
2. მოიძიეთ ლექსის ის მონაკვეთები, რომლებითაც ავტორი წარმოსახვით აღწერს ქართლის იმდროინდელ მდგომარეობას; თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის ვითარების შესახებ ემთხვევა პოეტის ნააზრევს?
3. თქვენი აზრით, რატომ აცოცხლებენ მწერლები ძველ ამბებს?
4. მოიძიეთ ტექსტში მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები და იმსჯელეთ მათ დანიშნულებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ფერფლის სიმბოლოს.

მეოთხჱ თავი
ქებაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოჲსი



„აბოს წამების“
ხელნაწერის ფრაგმენტი,
პარხლის მრავალთავი, X ს

გიხაროდენ, სანატრელო მოწამეო, უფლისა მიერ! რამეთუ შენ, უკუანაჲსკნელი ესე მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეათერთმეტისა ამის ჟამისაჲ მდღევრთა მათ თანა აღმსთობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი!.

გიხაროდენ უფლისა მიერ, მოწამეო, რამეთუ შენ მიემსგავსე უკუანაჲსკნელსა მას მოციქულსა პავლეს მამულთა მათ შჯულთა და მოძღურებათა განგდებითა, და ქრისტჱს, ძისა ღმრთისა, აღსაარებისათჳს მსგავსადვე მისა თავი მოგეკუეთა.

აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ, ჭეშმარიტად საქებელსა? მნებავს ქებად შენდა, ყოვლადქებულო ქრისტჱსმოწამეო, არამედ ვერ ვიკადრებ, რამეთუ უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოვებისა შენისაჲ, და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტჱსმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავ-ღა სოფელსა ამას შინა ჩუენსა.

შენთჳს ფრიად დამიკჳრდების ჩუენ, წმიდაო მოწამეო, რამეთუ ჟამსა ამას მეფობისა ისმაიტელთა დიდებასა შენ ნეფსით სიმდაბლჱ ქრისტჱსთჳს აღირჩიე და მახჳლითა პყრობილი იგი შჯული განაგდე და ჭეშმარიტი იგი აღიარე და ჯუარცუმულსა მას თავყუანის-ეც უფლად და ღმრთად!

შენ ჭეშმარიტად მარჯუენითსა მას ავაზაკსა მიემსგავსე, შენ ავაზაკსა მას ესწორე სარწმუნოებითა და სამოთხესა განეწესე!

შენ გამო, წმიდაო მოწამეო, სიყუარული იგი ქრისტჱსი ჩუენდამო და სარწმუნოებაჲ იგი ჩუენი მისა მიმართ კუალად განახლდა, რამეთუ აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულისა განდგომილსა ქრისტჱსგან, ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყუარესა. ხოლო აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტჱ და ჩუენ გულისხმავყავთ კუალად შიში მისი და სიყუარული მისი და მადლსა მისსა ღირს-ვიქმნენით

ვითარცა კრავი უმანკოჲ, შეიწირე, შემწუარი ცეცხლითა.

ქრისტემან ისმაიტელთა შორის, ვითარცა ვარდი ეკალთაგან, გამოგირჩია და მიგიპყრა თჳსსა მას ეკლესიასა!

ვითარ-მე გაქებდე შენ, ღუაწლისამძლეო წმიდაო მოწამეო? რამეთუ შენ, ახალი ეგე ქრისტჱს მორწმუნჱ, მოძღუარ ჩუენდა იქმენ; სწავლულნი უფროჲს გულისხმიერ-ჰყვენ, შერყეულნი უფროჲს განამტკიცენ, განმტკიცებულნი განამხიარულენ, წარმართნი წადიერ-ჰყვენ ქრისტჱს მონებად, საჯსენებელი მარტჳლობისა შენისაჲ ჩუენ დაგჳტევე, სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ-ვიქმნენით!

მუშაკი მაცხოვრისა ჩუენისაჲ მეათერთმეტისა ამის ჟამისაჲ მდღევრთა მათ თანა აღმსთობილთა მიეწიფე და მათ თანა სასყიდელსა მათსა არა დააკლდი!
- მეთერთმეტე საათზე მისული მუშაკი ადრე გაღვიძებულ, მთელი დღის განმავლობაში გარჯილებს გაუთანაბრდი და იგივე გასამრჯელო მიიღე; - ჰაგიოგრაფი ეყრ-

დნობა იგავს: „ვენახის მუშების საზღაური“ და გულისხმობს, რომ აბო ბოლოს შეუერთდა მოწამეებს, თუმცა მათ მსგავსად ინეტარებს სასუფეველში.

პავლე მოციქული - უწინდელი სავლე. თავიდან ქრისტეს მტრობდა და ქრისტიანებს დევნიდა. მას შემდეგ, რაც ქრისტე გამოეცხადა, ირწმუნა მაცხოვარი, დაირქვა პავლე და გახდა მოციქული. პავლე „უკანასკნელ მოციქულად“ იწოდება, თუმცა მაცხოვრის 12 მოციქულს შორის არ შედის. ის მიიჩნევა ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთ უდიდეს მოძღვრად. დიდი ღვაწლის გამო მოციქულთა თავად არის აღიარებული. პავლე მოციქულს თავი მოჰკვეთეს იმპერატორ ნერონის დროს, ახალი წელთაღრიცხვის 67 წელს.

მამულთა მათ შჯულთა და მოძღურებათა განგდებითა - მამაპაპური რჯულისა და მოძღვრების უარყოფით.

აწ ვინ-მე ღირსად გაქებდეს შენ? - ვის შეუძლია ღირსეულად შეგაქოს?

მნებავს ქებად შენდა - მინდა გაქო.

არამედ ვერ ვიკადრებ - მაგრამ ვერ ვბედავ.

უფროჲს გონებისა ჩემისა აღმაღლდა ქებაჲ სათნოვებისა შენისაჲ - ჩემს გონებას აღემატება შენი სათნოების ქება.

კუალად მეშინის მე დადუმებად - ამავე დროს, გაჩუმებისაც მეშინია.

ვიდრე იყავ-ღა სოფელსა ამას შინა - სანამ ამქვეყნად იყავი, სანამ ცოცხალი იყავი.

შენთჳს ფრიად დამიკჳრდების ჩუენ - შენ ჩვენ ძალიან გვაკვირვებ.

ჟამსა ამას მეფობისა ისმაიტელთა - ისმაიტელთა (არაბების) ბატონობის დროს.

ნეფსით სიმდაბლჱ ქრისტჱსთჳს აღირჩიე - შენი ნებით აირჩიე ქრისტესთვის თავმდაბლობა.

მახჳლითა პყრობილი იგი შჯული განაგდე - მახვილით განმტკიცებული რჯული უარყავი.

ჯუარცმულსა მას თავყუანის-ეც - ჯვარცმული (იესო ქრისტე) აღიარე.

მარჯუენითსა მას ავაზაკსა - (იესო ქრისტეს) მარჯვნივ ჯვარცმულ ავაზაკს.

ესწორე - გაუთანასწორდი, გაუთანაბრდი.

სამოთხესა განეწესე - სამოთხეში მოხვდი.

ჩუენდამო - ჩვენ მიმართ.

კუალად - კვლავინდებურად.

აღვერიენით ერსა უცხოსა შჯულითა - შევერიეთ რჯულით უცხო ტომს.

განდგომილსა ქრისტჱსგან - ურწმუნოს.

ნათესავსა საწუთროჲსა ამის მოყუარესა - წუთისოფლის მოყვარე ხალხს.

აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტჱ - ახლა შენი ძალისხმევით დაგვიახლოვდა ქრისტე.

გულისხმა-ვყავთ კუალად - აქ: ისევ დავიბრუნეთ.

მადლსა მისსა ღირს-ვიქმნენით - მისი მადლის ღირსი გავხდით.

შეიწირე - შეეწირე.

მიგიპყრა - წაგიყვანა.

ვითარ-მე გაქებდე - როგორ გაქო.

ღუაწლისამძლეო - დიდი ღვაწლით გამარჯვებულო.

მოძღუარ ჩუენდა იქმენ - ჩვენი მოძღვარი გახდი.

სწავლულნი უფროჲს გულისხმიერ-ჰყვენ - განათლებულნი კიდევ უფრო დააფიქრე.

შერყეულნი - რწმენაშერყეულნი.

წარმართნი წადიერ-ჰყვენ ქრისტეს მონებად - წარმართებს გაქრისტიანების სურვილი გაუჩინე.

საჴსენებელი მარტჳლობისა შენისაჲ ჩუენ დაგჳტევე - შენი წამების მოსახსენებელი დაგვიტოვე.

სახელისა შენისა მითხრობად ყოველთა ქადაგ-ვიქმნენით! - ყველას შენ შესახებ ველაპარაკებით.

დააკვირდით

• მეოთხე თავი აბოს ქებაა, სასულიერო პოეზიის ნიმუშია, ამიტომ აღარ გვხვდება ჰაგიოგრაფიისთვის დამახასიათებელი მესამე პირში თხრობა; ავტორი მიმართავს წმინდანს, აქებს და განადიდებს მას. ამიტომ „ქება“ მეორე პირშია დაწერილი.

• „ქება აბოსი“ საგალობელია, ამიტომ მნიშვნელოვანია არა რითმა (ალბათ, შეამჩნიეთ, რომ გარითმული არ არის), არამედ - შინაარსი და მელოდია; უმთავრესი სიტყვებია „გიხაროდენ“ და „შენ“ სხვადასხვა თანდებულით, რათა ხოტბის სახე მიიღოს ჰიმნმა;

• ჰაგიოგრაფის მიზანია პერსონაჟის განდიდება. ამიტომ ადარებს მას ბიბლიურ პერსონაჟებს, მოიშველიებს ბიბლიურ იგავებს;

• ამ ნაწარმოებში უკვე მეორედ გვხვდება ნეტარი ავაზაკი, რომელიც სასუფეველში შესული პირველი ადამიანია (ადამისა და ევას სამოთხიდან გამოძევების შემდეგ სამოთხის კარი დაკეტილი იყო იესოს ჯვარცმამდე. ქრისტემ მისცა ავაზაკს სამოთხეში შესვლის ნება და კარიც მის წინ გაიღო);

• იოვანე საბანისძისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სამშობლოს მდგომარეობა, იგი პატრიოტიზმით გამოირჩევა, ამიტომ განსაკუთრებით გამოკვეთს აბოს მოწამეობის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნისთვის.

კითხვები და დავალებები

1. გაიხსენეთ, „შუშანიკის წამებაშიც“ შეგვხვდა იგავი „ვენახის მუშების საზღაური“ და იმსჯელეთ, რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ დამოწმებებს შორის;

2. თქვენი აზრით, რა მსგავსებაა აბოსა და პავლე მოციქულს შორის? სათქმელი დაასაბუთეთ.

3. რა შეიტყვეთ ნაწარმოების ავტორის შესახებ მეოთხე თავის მიხედვით? რა აიძულებს დაწეროს ეს ნაწარმოები? რა თვისებებს ამჟღავნებს იგი? სათქმელი დაასაბუთეთ.


4. რატომ უკვირს იოვანე საბანისძეს აბოს საქციელი და, თქვენი აზრით, რამდენად გულწრფელია იგი? სათქმელი დაასაბუთეთ.

5. თქვენი აზრით, რისი თქმა სურს ავტორს, როდესაც აბოს ავაზაკს უთანასწორებს? სათქმელი დაასაბუთეთ.

6. როგორ გესმით იოვანე საბანისძის ნათქვამი: „აწ შენ მიერ მოგუეახლა ქრისტჱ (ახლა შენი ძალისხმევით დაგვიახლოვდა ქრისტე)?

7. როგორ გესმით მეტაფორა: „აბო - ვარდი ეკალთაგან გამორჩეული“? სათქმელი დაასაბუთეთ.

8. დაუფიქრდით ნაწარმოების ბოლო აბზაცს, ჩამოთვალეთ აბოს დამსახურებანი და იმსჯელეთ თითოეულ მათგანზე. აღნიშნეთ, დამაჯერებელია თუ არა თქვენთვის, რომ ერთი ადამიანის საქციელმა შესაძლოა, ბევრი რამ შეცვალოს ქვეყანაში. სათქმელი დაასაბუთეთ.



ასომთავრული წარწერის ფრაგმენტი, სამშვილდის სიონი, VIII ს. ქვემო ქართლი

მარადიული ღირებულებები

თემა ზეპირი მსჯელობისთვის: „რწმენისა და პრინციპების ერთგულება გზაა პიროვნული თავისუფლებისაკენ“
ამ თემაზე მსჯელობა რომ არ გაგიჭირდეთ:
1. გაიხსენეთ აბოს ცხოვრების გზა მოწამებრივ აღსასრულამდე;
2. ყურადღებით წაიკითხეთ ოთარ ჭილაძის (1933-2009) პოემა “ადამიანი გაზეთის სვეტში” (შემოკლებული ვერსია);

ა) ოთარ ჭილაძე - „ადამიანი გაზეთის სვეტში“

(შემოკლებული ვერსია)

პანამის არხის ზონაში მომხდარი სისხლისმღვრელი შეტაკების დროს დაღუპულ ჯარისკაცთაგან ერთი თავისიანებმა მოკლეს. მან არ ინდომა მონაწილეობა მიეღო პანამელი პატრიოტების დასჯაში
(გაზეთებიდან)

ამერიკელი ჯარისკაცი კრუს ხიმენესი სისხლის გუბეში აგდია პირქვე. ჯერ არ შემწყდარა ექო სროლისა და ირევიან ცაში ჩიტები, მავთულებიდან აფრენილები...

არა სხეულის, არამედ სულის საჭურისობას ნიშნავს მონობა, და ვინც სხვას ართმევს თავისუფლებას, მონაა ისიც. ბედნიერია ყოველი თვალი, თუკი სიმართლეს უყურებს იგი...

ჩემი სხეული სისხლის გუბეზე ხიდივითაა გადამხობილი დასასჯელებს და დამსჯელებს შორის...

ჩემი სიკვდილის ერთადერთ მიზეზს სიცოცხლე ჰქვია.....

სამარადისოდ მოვწყდი ქვეყანას, რადგან სამხედრო წესდების მუხლებს მთლად ვერ დაემთხვა ჩემი სურვილი...

ფიქრის უფლება ყოფილა თურმე ყველაზე ძვირი, რადგან ცხოვრების ავანჩავანი ფიქრში ირკვევა....

ბევრი კანონი არსებობს ქვეყნად, მაგრამ მე მწამდა ერთი კანონი: თავისუფლების და სიყვარულის...

არ შეიძლება, რომ უსასრულოდ მხოლოდ ძლიერი იყოს მართალი, მაგრამ თუ სხვებიც არ მიეხმარნენ, როგორ დაიცავს სიმართლეს სუსტი...

ადამიანი უფრო მეტია, ვიდრე ჰგონია, მაგრამ აქამდე ვერ უპოვნია საბრალოს თავი და გადის მისი მოკლე ცხოვრება შურში, მტრობასა და სიძულვილში...



შენ რატომ უნდა გეძინოს ცუდად, მე თუ რაღაცით ვარ ბედნიერი... ან რატომ უნდა გეძინოს მშვიდად, როცა მე ვწევარ სისხლის გუბეში...

უცნაურია, მაგრამ ჩემსავით ბევრს ჩაუყლაპავს ბოლო ცრემლები: სიმწრის, სიბრაზის და სინანულის...

მეც, რა თქმა უნდა, ვნანობ სიცოცხლეს... ძალიან მალე დასრულდა იგი, მაგრამ არ ვნანობ, ასე რომ მოვკვდი; რაღაცას ნიშნავს ასე სიკვდილიც;

რაღაცას ნიშნავს, რადგან ამქვეყნად, ბოროტის გარდა, არის კეთილიც.

როგორც ტყიდან მეორე ტყეში გადააქვთ ქარებს თესლი ხეების, ისე გადადის გულიდან გულზე ჩვენი ფიქრები და სურვილები.

დავალებები:

• დააკვირდით, რა აერთიანებთ სხვადასხვა ეპოქისა და ეროვნების ადამიანებს (წმინდა აბოს, კრუს ხიმენესს);

• როგორია თითოეული მათგანის დამოკიდებულება მოსალოდნელი განსაცდელის მიმართ, რა გზით ახერხებენ სიკვდილის შიშთან გამკლავებას;

• არის თუ არა სიკვდილი ყოველთვის დამარცხება (პასუხი დაასაბუთეთ).

შემოქმედებითი დავალება

წარმოსახვითი ინტერვიუ იოვანე საბანისძესთან.

• მოირგეთ ჟურნალისტის როლი და ჩამოართვით ინტერვიუ იოვანე საბანისძეს;

• დაუსვით 5-7 შეკითხვა და დაწერეთ სავარაუდო პასუხებიც;

• გაითვალისწინეთ, კითხვები ისე უნდა შეარჩიოთ, რომ მიიღოთ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია.

ნამუშევარში:

• გაითვალისწინეთ, რომ ინტერვიუს უნდა ჰქონდეს სათაური, შესავალი (რომელშიც მოკლე ინფორმაციას მიაწვდით მკითხველს ავტორის შესახებ), კითხვები და პასუხები, დასკვნა;

• წარმოაჩინეთ, როგორია რესპონდენტის დამოკიდებულება თქვენთვის საინტერესო საკითხების მიმართ. თითოეულ პასუხში უნდა ჩანდეს ტექსტში გამოკვეთილი პრობლემების ავტორისეული გააზრება.

შემოქმედებითი დავალება

რეპორტაჟი - მერვე საუკუნის ქართლი

• დაიყავით ჯგუფებად, მოირგეთ შესაბამისი როლი (მაგალითად, ჟურნალისტი, ოპერატორი, მემონტაჟე....) და მოამზადეთ 10-12 - წუთიანი რეპორტაჟი მერვე საუკუნის ქართლზე;

• შეგიძლიათ სიუჟეტის მოსამზადებლად ამოირჩიოთ ამ ეპოქის თბილისის ქუჩები, სადაც შეხვდებით ქართველებს (ქრისტიანებსა და გამაჰმადიანებულებს), არაბებს, სხვა ქვეყნებიდან მოსულ მოგზაურებს...

• გააშუქეთ მოვლენები, გამოკვეთეთ ფაქტები და მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირები;

• წარმოაჩინეთ მთავარი ინფორმაცია და გამოკვეთეთ კონკრეტული დეტალები, რომლებიც ემოციურ ზეგავლენას მოახდენს მსმენელზე.

გაითვალისწინეთ:

• რეპორტაჟი უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისაგან: შესავალი, ძირითადი ნაწილი და შეჯამება.

შესავალში მსმენელს გააცნობთ თემასა და მიზანს;

ძირითად ნაწილში ისაუბრებთ მერვე საუკუნის ქართლზე;

რეპორტაჟის დასასრულს შეაჯამებთ საკითხს;

• რეპორტაჟში უნდა აისახოს ქვეყნის პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-რელიგიური ვითარება, ურთიერთობა მეზობელ ქვეყნებთან;

• რეპორტაჟის მიზანია დაბალანსებული, ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.

ლიტერატურული სახელოსნო

თხრობა მთხრობლის შეცვლით

მოირგეთ მწერლის როლი და გააცოცხლეთ აბოს დამსჯელი ერთ-ერთი ჯალათი, რომელიც მოწმე გახდა წმინდანის მოწამებრივი აღსასრულისა და იმ სასწაულებისა, უფალმა რომ მოუვლინა ადამიანებს.

• წარმოიდგინეთ, რომ ჯალათი, რომელმაც თავად მიიღო მონაწილეობა აბოს დასჯაში და შემდეგ საკუთარი თვალით იხილა ყველაფერი, რაც მოხდა, მარტო რჩება და მომხდარს აანალიზებს;

• გააცოცხლეთ მისი ფიქრები და დაწერეთ მცირე ზომის მხატვრული ტექსტი. სასურველია, შინაგანი მონოლოგის ფორმა მისცეთ;

• თვითონვე დაასათაურეთ თქვენი ნაშრომი.

ნაშრომში უნდა ჩანდეს პერსონაჟის განცდები, ემოციები, მისი დამოკიდებულება მომხდარის მიმართ.

შემოქმედებითი დავალება

წერითი დავალება. პარალელები

მოიმარჯვეთ ფანქარი და შეავსეთ ცხრილი მოცემული მაგალითის მიხედვით. ამისთვის შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

1. ცხრილის პირველ სვეტში ჩამოთვლილნი არიან ის ბიბლიური პერსონაჟები და წმინდანები, რომელთაც ჰაგიოგრაფი ადარებს აბოს ან პარალელს ავლებს მათთან. ტექსტიდან ამოწერეთ შესაბამისი ფრაზა ან გაიხსენეთ, რომელ შედარებას რა საფუძველს უძებნის იოვანე საბანისძე; აღნიშნეთ, თქვენთვის რამდენად დამაჯერებელია ავტორის პოზიცია. სათქმელი დაასაბუთეთ.

#	პერსონაჟი ან წმინდანი	ფრაზა ტექსტიდან	ჩემი კომენტარი	შენიშვნა
1	აბრაამი			
2	ანტონი დიდი			
3	ნეტარი ავაზაკი			
4	პავლე მოციქული			
5	40 სებასტიელი			
6	სტეფანე პირველმოწამე			
7	იესო ქრისტე	1. „(ქრისტე) დღესასწაულსა ამას შთაჯდა მდინარესა მას იორდანისასა ნათლისღებად“ ... „შთავჯდე, ვითარცა სიღრმესა წყალთასა, შორის ქალაქსა ამას და ნათელ-ვიღო სისხლითა ჩემითა“ 2. აბოს გაუხარდა, რომ მასაც პარასკევს აწამებდნენ.	ქრისტე მოინათლა წყლით, ხოლო აბო აპირებს ნათლისღებას სისხლით. რადგან აბოს წამება ნათლისღებას დაემთხვა, ვფიქრობ, ასეთი პარალელის გავლება შესაძლებელი იყო. რადგან იესოც და აბოც პარასკევ დღეს აწამეს, ვფიქრობ, ასეთი პარალელის გავლება შესაძლებელი იყო.	მესამე თავშია მესამე თავშია

2. გამოყავით ერთი ან ორი პარალელი, რომელიც/რომლებიც განსაკუთრებით მოგეწონათ და ახსენით თქვენი ამგვარი შეფასების მიზეზი.

შემოქმედებითი დავალება

ჯგუფური პრეზენტაცია

დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ 6-7-წუთიანი პრეზენტაცია: „აბო და ვარსქენი“. პრეზენტაცია წარადგინეთ კლასში და უპასუხეთ შეკითხვებს.



პრეზენტაციაში:

• მოკლედ მიმოიხილეთ ვარსქენის მიერ გავლილი გზა, შეაფასეთ მისი გადაწყვეტილება სარწმუნოების შეცვლასთან დაკავშირებით და მისი შემდგომი საქციელი;

• მოკლედ მიმოიხილეთ აბოს მიერ გავლილი გზა, შეაფასეთ მისი გადაწყვეტილება სარწმუნოების შეცვლასთან დაკავშირებით და მისი შემდგომი საქციელი;

• იმსჯელეთ, რა მსგავსება-განსხვავებას ხედავთ ამ ორი პერსონაჟის ქმედებებში;

• შეადარეთ ერთმანეთს პერსონაჟების პიროვნული მახასიათებლები; მათი დამოკიდებულება მშობლებთან; სამშობლოსთან; სარწმუნოებასთან; რა არჩევანის წინაშე იდგნენ ისინი;

• იმსჯელეთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობათა მსგავსება-განსხვავების შესახებ მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარსა და მერვე საუკუნის მეორე ნახევარში;

• იმსჯელეთ, პერსონაჟთა თანადროული ეპოქების ქართველი მოსახლეობისთვის რას ნიშნავდა მათი არჩევანი; რა მაგალითს აძლევდნენ ისინი თავიანთ თანამედროვეებს;

• ორივე პერსონაჟს შეხედეთ როგორც შუა საუკუნეებში მცხოვრები, ასევე დღევანდელი ეპოქის ადამიანის თვალით, შეეცადეთ, მათი გადაწყვეტილებები შეაფასოთ როგორც კეთილგანწყობილი მოკავშირის, ასევე - მოწინააღმდეგის პოზიციიდან;

• იმსჯელეთ სინდისის არსსა და რწმენის თავისუფლებაზე;

• გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი წყარო: სახელმძღვანელო, ვებგვერდები;

• წარმოაჩინეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (მაგ.: ფოტოები, ნახატები, სქემები);

• შეარჩიეთ მუსიკალური ფონი სათანადო განწყობის შესაქმნელად.

გადასადგმელი ნაბიჯები პრეზენტაციის მომზადებისას:

• დაიყავით 4-5-კაციან ჯგუფებად;

• წინასწარ გაინაწილეთ ჯგუფში სამუშაო, მაგ.: 1-2 წევრი იმუშავებს მასალების მოძიება-შერჩევაზე, 1 - ვიზუალურ მხარეზე, 1 - მუსიკალურ გაფორმებაზე, 1 - ტექნიკურ მხარეზე.

• მოძიებული მასალის საფუძველზე მოამზადეთ ჩანაწერები, რომლებსაც წარადგენთ პრეზენტაციის დროს;

• ნამუშევრის წარსადგენად შეარჩიეთ რამდენიმე პრეზენტატორი.

ეს საინტერესოა

აბოსთან დაკავშირებული ადგილები თბილისში

აბოსთან დაკავშირებული ადგილები თბილისში მტკვრის ორივე ნაპირზე არსებობს.

მაგალითად, მარჯვენა სანაპიროზეა ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის მამათა მონასტერი. სწორედ მის კარიბჭესთან ახლოს მოჰკვეთეს თავი წმინდა აბოს.

ასევე მარჯვენა სანაპიროზეა აბო თბილელის ქუჩა.

მარცხენა ნაპირზეა სოღდებილი, ანუ საგოდებელის (სასაფლაოს) ადგილი, რომელსაც ამჟამად ევროპის მოედანი ეწოდება.

აქვეა აბოს ნიში, ის ახლად აგებული ტაძრის შიგნით არის მოქცეული.

გადმოცემის მიხედვით, წმინდანის ძვლები მდინარეს გამოურიყავს, მოქალაქეებს აუკრეფიათ და ნიშში შეუნახავთ.

მეტეხის კლდის ეს ნაწილი თავიდანვე საკულტო ადგილად ითვლებოდა. თბილისელებმა არაერთხელ დააპირეს აქ ტაძრის აგება, მაგრამ განზრახვა ვერ შესრულდა.

ბოლოს, 1996 წელს, დაიწყო და 2007 წელს დასრულდა აბო თბილელის სახელობის ტაძრის მშენებლობა.

ტაძრის კედლებისა და სახურავის მასალად გამოყენებულია მტკვრის ხეობის ქვა. შთამბეჭდავია ის, რომ ტაძრის იატაკი თითქმის მტკვრის ზედაპირს უსწორდება.

წმინდა აბოს სახელობის ტაძარი ტურისტულ ზონაში მდებარეობს და აქ ბევრი სტუმარი და დამთვალიერებელი მოდის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან.



აბო თბილელის ეკლესია თბილისში

გიორგი მერჩულე

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

უდაბნოთა ქალაქმყოფელი



ხანძთის მონასტერი,VIII-IX სს. ტაო-კლარჯეთი

ლიტერატურული დღიური

იმისათვის, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ უკეთ გაიაზროთ, დაიწყეთ ლიტერატურული დღიურის შევსება. ლიტერატურული დღიური არის პირადი ჩანაწერი წაკითხულ ტექსტზე, თუ რას გრძნობ, როგორ ფიქრობ და აანალიზებ მას. ეს არ არის მხოლოდ შინაარსის გადმოცემა. ეს არის შესაძლებლობა, „გაესაუბრო“ ტექსტს. აქ მნიშვნელოვანია შენი ხედვა და არა - „სწორი პასუხი“. როგორც პირად დღიურში აღწერ შენს დღეს, ასევე ლიტერატურულ დღიურში წერ იმ გამოცდილებაზე, რომელიც კონკრეტული ტექსტის კითხვის პროცესში შეიძინე.

დღიურის შევსება რომ გაგიმარტივდეთ:

• პირველი ჩანაწერი უნდა იყოს ნაწარმოების სათაური, ავტორი და წაკითხვის თარიღი;

• შეგიძლიათ, რამდენიმე წინადადებით გადმოსცეთ წაკითხული ეპიზოდის მოკლე შინაარსი, იმსჯელოთ პერსონაჟებზე;

• შეგიძლიათ, ამოირჩიოთ ერთი მნიშვნელოვანი მონაკვეთი ან ციტატა და ახსნათ, რატომ მიიქცია მან თქვენი ყურადღება;

• თვითრეფლექსიისთვის დასვით შეკითხვები: რა წავიკითხე? რა ვიფიქრე? რა ვიგრძენი? რა დავინახე ამ ტექსტში მნიშვნელოვანი? რით უკავშირდება იგი თანამედროვეობას, ჩემს გამოცდილებას?

გაითვალისწინეთ!

• დღიური უნდა აწარმოოთ ყოველი ეპიზოდის დასრულებისას და მიუთითოთ თარიღი;

• არ არის აუცილებელი, ყოველი ჩანაწერი ყველა მითითებას აკმაყოფილებდეს.

ტაო-კლარჯეთში დაიწყო დიდი აღმშენებლობა

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელს „უდაბნოთა ქალაქმყოფელს“ უწოდებს. ესე იგი, სადღაც არსებობდა გაუდაბურებული, უმადლო ადგილები, დიდმა მოღვაწემ იქ დასახლებები გააშენა, მონასტრები დააარსა და უღმრთო ადგილი „ზეციურ ქალაქად“ გადააქცია. ეს მოხდა ტაო-კლარჯეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში.

მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ, რასაც შავი ჭირის ეპიდემიაც დაემატა, იქაურობა უდაბნოდ იქცა. ყველაფერი განადგურდა. მხარემ დიდი ხნით მიიძინა.

მამა გრიგოლმა გადაწყვიტა გაეცოცხლებინა ეს ისტორიული ადგილები და თანამოაზრეებთან ერთად წამოიწყო ეკლესია-მონასტრების მშენებლობა.

შემთხვევითი არც ის იყო, რომ აშოტ კურაპალატმა სამეფო რეზიდენცია კლარჯეთის ცენტრში, ციხე-ქალაქ არტანუჯში, გადაიტანა.

ტაო-კლარჯეთის აღდგენა-გაძლიერება საქართველოს აღდგენას მოასწავებდა.

გრიგოლ ხანძთელი მონასტრებს მარტო წირვა-ლოცვისთვის არ აშენებდა. აქ წერდნენ წიგნებს, ასწავლიდნენ წერა-კითხვას, კალიგრაფიას, რიტორიკას, ფილოსოფიას, ისტორიას, მუსიკას, მხატვრობას, ხუროთმოძღვრებას, მშენებლობას, მიწათმოქმედებას, მევენახეობას.

საქართველო ჯერ კულტურულად და ეკონომიკურად უნდა გაძლიერებულიყო, შემდეგ გაერთიანებულიყო და ბოლოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზეც ეფიქრა.

გრიგოლ ხანძთელმა ტაო-კლარჯეთში ქართლის ნაცვალი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი შექმნა. ეს აუცილებელი იყო, რადგან არაბებმა თბილისზე კონტროლის დამყარებით საქართველოს გულის, ქართლის, სასიცოცხლო ეროვნული ენერგია სრულად დაიმორჩილეს, ქვეყანას კი მეთაური მხარე სჭირდებოდა.

თანამედროვე ისტორიკოსების აზრით, ეს იყო გეგმა, რომელიც ნერსე ერისთავმა შეიმუშავა, გრიგოლ ხანძთელმა დაიწყო განხორციელება, ბაგრატიონთა სამეფო სახლმა კი დააგვირგვინა.

XI საუკუნის დამდეგს, ბაგრატ III-ის დროს, საქართველო გაერთიანდა; ერთი საუკუნის შემდეგ დავით აღმაშენებელმა თბილისი გაათავისუფლა არაბთა ბატონობისგან; შემდეგ კი მოვიდა თამარ მეფე და დადგა „ოქროს ხანა“.

ეს ყველაფერი ტაო-კლარჯეთში დაიწყო.



კლარჯეთის პეიზაჟი, იმერხევის ხეობა. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

გიორგი მერჩულე და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“



ხელნაწერი, იოანე ოქროპირის მათეს სახარების თარგმანება, XI ს. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორის შესახებ ცნობები ნაწარმოებშივე გვაქვს. კერძოდ, ვკითხულობთ: „ხანძთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამათ ერთად გულსმოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებაჲ ესე“.

მერჩულე საეკლესიო თანამდებობაა და რჯულის მცოდნესა და მისი სწორად შესრულების მეთვალყურეს, თანამედროვე გაგებით, საეკლესიო სამართლის სპეციალისტს ნიშნავს. ამავე ცნობის მიხედვით, გიორგი ხანძთის მერჩულე, ანუ მერჯულე, ყოფილა. მის შესახებ რაიმე სახის ცნობა არ მოგვეპოვება, ამიტომ მხოლოდ ნაწარმოების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დიდად განსწავლული და უაღრესად თავმდაბალი ადამიანი ყოფილა.


„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია. იგი არა მხოლოდ დიდი მხატვრული ღირებულებებით გამოირჩევა, არამედ უძვირფასესი წყაროა ტაო-კლარჯეთში მიმდინარე სატაძრო მშენებლობების, ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღმავლობისა თუ იმდროინდელი სხვა მოვლენების შესახებ.

გიორგი მერჩულე თავს ღირსად არ მიიჩნევდა, რომ მამა გრიგოლის შესახებ დაეწერა, მაგრამ ძალიან წუხდა იმის გამო, რომ ამ დიდი მამის სახელი დავიწყებას ეძლეოდა. ბრწყინვალე ჰაგიოგრაფს ღრმად სწამდა, რომ „დაბადებად ერს“, ანუ მომავალ თაობებს, აუცილებლად უნდა სცოდნოდათ ამ დიდი მოღვაწის სახელი და საქმიანობა. თავი რომ დავანებოთ მამა გრიგოლის ღვაწლს - გაუდაბურებული ტაო-კლარჯეთის აღდგენა-აყვავებას, დიდ სამონასტრო საქმიანობას, უამრავი მოწაფის აღზრდას, უმნიშვნელოვანესი მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ მან ეროვნული მთლიანობის იდეა იქადაგა - მამულის, ენისა და სარწმუნოების ერთიანობა გვასწავლა, შთაგვაგონა, რომ ყველგან ქართლია, სადაც ქართულად ლაპარაკობენ და ლოცულობენ და ამით ჩაუყარა საფუძველი ერთიანი საქართველოს იდეას. გიორგი მერჩულემ კი ეს ყოველივე დაინახა და ამ საუკეთესო ნაწარმოებით შემოგვინახა.

ავტორი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერის თარიღსაც გვაუწყებს. მამა გრიგოლი გარდაცვლილა 81-ე ქორონიკონს, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით უდრის 861 წელს, ხოლო მისი გარდაცვალებიდან 90 წლის შემდეგ, ანუ 951 წელს, დაუწერია ნაწარმოები. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გიორგი მერჩულე მეათე საუკუნის მოღვაწეა.

გიორგი მერჩულე

შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხორებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებელისაჲ, და მის თანა ჴსენებაჲ მრავალთა მამათა ნეტართაჲ



შატბერდული ხელნაწერი, XI ს. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში



1. „ბრძნად მეტყუელებაჲ ვეცხლი არს წმიდაჲ, ხოლო დუმილი ოქროჲ რჩეული“, - ვითარცა თქუა სოლომონ.

> მე კი ჩემი არასრულყოფილების გამო დუმილი ვერ შევძელი და უმჯობესად მივიჩნიე, ღმერთშემოსილი კაცების - ნეტარი მამა გრიგოლის, მისი ახლობლებისა და მოწაფეების - შესახებ გადმომეცა. ღვთის მადლითა და შეწევნით, როგორც შევძლებდი, მსმენელთათვის წმინდა გრიგოლის მოწაფეებისა და მათი მოწაფეების მიერ მოთხრობილი ჭეშმარიტი ამბები მეუწყებინა.

ნეტართა შორის გამობრწყინდა მადლითა სავსჱ, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღდელი და კეთილად განმგებელი მოღუაწჱ და უდაბნოთა ქალაქმყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი, სანატრელი გრიგოლ, სულიერად მამაჲ და წინამძღუარი და მაშენებელი ხანძთისა და შატბერდისაჲ, ორთა ამათ დიდებულთა მონასტერთაჲ, რომელი ექმნა სახე კეთილის ყოველთა მის ჟამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლად შენებასა მათსა.

> ის იყო დიდებული, მართლმორწმუნე დედ-მამის შვილი, აღიზარდა ნერსე ერისთავის სასახლეში ღვთისმოსავი დედოფლის, ნერსე ერისთავის ცოლის, მიერ, რადგან იყო მისი ძმისწული. დედის მუცლიდანვე, სამოელ წინასწარმეტყველის მსგავსად, უფლისთვის იყო შეწირული და მარხვით იზრდებოდა, როგორც მისი წინამორბედი. ბავშვობიდან ღვინო და ხორცი არ გაუსინჯავს, რადგან მისი სული ქრისტეს სამკვიდრებელი იყო.

ხოლო გულისჴმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკჳრვებელი იყო ფრიად, რამეთუ მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“ და ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ საეკლესიოჲ, სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა და მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნნი ზეპირით მოიწუართნა. ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად, და, რომელი პოვის სიტყუაჲ კეთილი, შეიწყნარის, ხოლო ჯერკუალი განაგდის. და განითქუა სისრულე იგი მისი სახელოვნად ყოველთა შორის. ხოლო გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ.

ბრძნად მეტყუელებაჲ - ბრძნული ლაპარაკი.
წმიდაჲ - სუფთა, ნამდვილი.
რჩეული - საუკეთესო, გამორჩეული.
სოლომონი (დაახლოებით 965 – 928 ჩვენს ერამდე) - ისრაელის გაერთიანებული სახელმწიფოს მეფე. დავით წინასწარმეტყველისა და ბერსაბეს შვილი. ააშენა იერუსალიმის პირველი ტაძარი. ავტორია ბიბლიური წიგნებისა: „იგავნი“, „ქებათა ქება“.



მადლითა სავსჱ - ღვთაებრივი სიკეთით სავსე.
განსრულებული სიბრძნითა - სიბრძნით (გონებით) სრულყოფილი.
კეთილად განმგებელი მოღვაწჱ - საქმეთა კარგად აღმასრულებელი.
უდაბნოთა ქალაქმყოფელი - ადამიანი, რომელიც უკაცრიელ ადგილებს ქალაქად გადააქცევს; ამაღორძინებელი.
უდაბნო - ამ ნაწარმოებში: დაუსახლებელი, უკაცრიელი ადგილი.
ზეცისა კაცი, ქუეყანისა ანგელოზი - სრულყოფილი ადამიანი, რომელიც ღმერთმა ამქვეყნად ანგელოზად მოავლინა.
ხანძთა - მონასტერი კლარჯეთში. დააარსა გრიგოლ ხანძთელმა დაახლოებით 782 წელს.
შატბერდი - მონასტერი კლარჯეთში. დააარსა გრიგოლ ხანძთელმა IX საუკუნის დასაწყისში.
რომელი ექმნა სახე - რომელიც იქცა ნიმუშად.
მის ჟამისა მეუდაბნოეთა მამათა ახლად შენებასა მათსა - იმ დროის ბერებისათვის, რომლებიც ახალ მონასტრებს აშენებდნენ.
ნერსე ერისთავი - ნერსე II - ქართლის ერისთავი VIII საუკუნის II ნახევარში (781-მდე) ადარნასე კურაპალატისა და ერისთავის ძე, შეგვხვდა „აბოს წამებაშიც“.
სამოელ წინასწარმეტყველი - წინასწარმეტყველი, რომელიც დედამისმა, ანნამ, უფალს შობამდე შესწირა, ანუ ღვთის მოსაწონ ადამიანად გაზრდა გადაწყვიტა. პირობა დადო, რომ, თუ ვაჟიშვილი გაუჩნდებოდა, ისე აღზრდიდა, რომ მას არასოდეს დაელია ღვინო, არასოდეს დამთვრალიყო და თმაც არასოდეს შეეჭრა.
წინამორბედი - აქ: იოანე ნათლისმცემელი, იესოს წინამორბედი, რომელიც უდაბნოში იმყოფებოდა ბავშვობიდანვე და მუდამ მარხულობდა.
გულისჴმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკვირვებელი იყო - სწავლის გასაოცარი უნარი ჰქონდა.
მსწრაფლ ხოლო დაისწავლა „დავითი“ - სწრაფად დაიზეპირა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები.
ჴმითა სასწავლელი სწავლაჲ - ზეპირად სასწავლელი.
სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა - საღვთისმსახურო გალობები ქართულ ენაზე.
მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ - მრავალ ენაზე ისწავლა წერა-კითხვა.
ზეპირით მოიწუართნა - ზეპირად ისწავლა.
სიბძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ - საერო ფილოსოფოსთა ნააზრევი.
კეთილად - კარგად.
სიტყუაჲ კეთილი შეიწყნარის - საღ აზრს გაიზიარებდა.
ჯერკუალი განაგდის - ცუდს მოიშორებდა.
განითქუა სისრულე იგი მისი - ცნობილი გახდა მისი სრულყოფილების ამბავი.
სახელოვნად ყოველთა შორის - მთელ ქვეყანაზე გაითქვა სახელი.
გარეშესა მას სიბრძნესა სოფლისასა ჰბასრობნ - არაქრისტიანულ, საერო სიბრძნეს დასცინოდა.

სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა. რაჟამს იტყჳნ, ბრძნად აღაღის პირი თჳსი და წესი განუჩინის ენასა თჳსსა. და ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა, რამეთუ არა იყო, ვითარცა ჭაბუკი, მზუაობარ და ჭამადთა გულის-სათქუმელთა მოყუარჱ, და ესრჱთ მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ ჯორცთა თჳსთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა, რამეთუ ძირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო. ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჯორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო.

2. აღმზრდელებმა, მისმა სანატრელმა დედამ და ხალხმა გრიგოლის მღვდლად კურთხევა მოინდომეს და უთხრეს:

- შვილო, ყოველმხრივ შემკულო, კეთილო, უფლის სარწმუნო მონავ, დადგა დრო, როდესაც უნდა აღსრულდეს დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა“.



შენ გამოგარჩია ღმერთმა სულით წმინდა და ხელით უცოდველი, რათა ახვიდე უფლის მთაზე, დადგე წმინდა ადგილას და შესწირო უსისხლო მსხვერპლი ჩვენი სულისა და ხორცის საოხად.

ნეტარ გრიგოლს, მართალია, სურდა მღვდლობა, მაგრამ ამ საუბარმა ის მაინც შეაშინა, რადგან ძალიან ახალგაზრდა იყო და უთხრა მათ:

– აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის.

მაშინ მიუგეს ბრძენთა მათ მთავართა და ჰრქუეს:

– შენ მოგცა ქრისტემან კეთილი მოხუცებულებაჲ გონებისაჲ. და აწ ნუღარა ურჩ იქმნები, არამედ მორჩილ იქმენ ბრძანებასა ქრისტჱსსა და ჰმონე მას მღდელობითა.

ნეტარი გრიგოლი დაემორჩილა მათ და ღვთის ნებით ხუცად იკურთხა, ამით მთხოვნელთა სურვილი აასრულა და მრავალი ადამიანი გაახარა.

მაშინ მთავრებმა მისი ეპისკოპოსობა განიზრახეს.

სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაჲთა - მისი სიტყვა მადლის მარილით იყო შეზავებული; მადლიანი საუბარი იცოდა.



რაჟამს იტყჳნ - როდესაც ლაპარაკობდა.

ბრძნად აღაღის პირი თჳსი - სიბრძნეს გადმოსცემდა.

წესი განუჩინის ენასა თჳსსა - გონივრულად, დალაგებულად ლაპარაკობდა.

ჰასაკისა ზრდასა თანა სათნოებაჲცა კეთილი იზარდებოდა - ხანი რომ ემატებოდა, რომ იზრდებოდა, სათნოებაც ემატებოდა.

მზუაობარ - ქედმაღალი, ამპარტავანი.

ჭამადთა გულის-სათქუმელთა მოყუარჱ - გემრიელი საჭმელების მოყვარული.

მიიღის საზრდელი საგლახაკოჲ - ღარიბულ საჭმელს მიირთმევდა.

ჴორცთა თჳსთა განსამტკიცებლად - თავისი სხეულის გასაძლიერებლად.

მდაბალმან გულითა და გლახაკმან სულითა - გულით მოკრძალებულმა და სულით თავმდაბალმა.

მყუდრომან ქცევითა - მშვიდმა.

მოწყალემან გონებითა - შემწყნარებელმა, მიმტევებელმა.

ძირი სიწმიდისაჲ მარადის გულსა მისსა დანერგულ იყო - სიწმინდე მის გულში ფესვგადგმული იყო.

ხილვითა დიდ, ჴორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ - შესახედავად დიდი, გამხდარი, ტანით მაღალი.

ყოლად კეთილ სრულიად - ყოველმხრივ კარგი.

გუამითა მრთელ და სულითა უბიწო - ფიზიკურად და სულიერად ჯანმრთელი.

„ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა, არამედ უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა“ (ფსალმუნნი 23, 3-4) - „ვინ ავა უფლის მთაზე ან ვინ დადგება მის წმიდა ადგილზე? ვისაც ხელები სუფთა აქვს და გული სპეტაკი“.

აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის - ამქვეყნიურ დიდებას ვხედავ და სასჯელის მეშინია.

მოხუცებულობაჲ გონებისაჲ - სიბრძნე.

აწ ნუღარა ურჩ იქმნები - ახლა ნუღარ ჯიუტობ.

ჰმონე მას მღდელობითა - ემსახურე მას მღვდლობით.

3. ხოლო ნეტარმან გრიგოლ, ვითარცა იხილა თავი თჳსი ჴორციელად დიდებასა შინა, ფრიად წუხდა გული მისი და განიზრახა ფარულად სივლტოლაჲ თჳსით ქუეყანით საღმრთოჲთა წოდებითა, რომელიცა უძღოდა მას მამამთავრისა აბრაჰამის სახედ, და ვითარცა ისრაჱლნი უდაბნოდ. არამედ აბრაჰამ ქუეყანასა მისგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან, ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისაგან გამოიყვანა ამის მიზეზისათჳს, რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალჱ ზედა სასანთლესა მას მაღალსა ზეთითა მით განუპარველითა, რაჲთა ჴმასა მას და ოხრასა საყჳრისასა აღეტყინოს და განბრწყინდეს სულითა ძლიერითა და მიუძღუეს საქორწინესა მას კრებულსა თანა მოწაფეთა მისთა წმიდათასა.

> ქრისტეს შეწევნით ამ კეთილი განზრახვის აღსასრულებლად ნახა მოკეთეები: საბა, დედამისის დისშვილი, რომელსაც საბან ეწოდა, იშხნის მეორედ მაშენებელი და ეპისკოპოსი; თეოდორე, ნეძვის მაშენებელი და წინამძღვარი და ქრისტეფორე, კვირიკეთის მაშენებელი და წინამძღვარი.

ესე ოთხნი შეანაწევრნა სარწმუნოებამან და საღმრთომან სიყუარულმან შეამტკიცნა ერთ ზრახვად შეკრებულნი, ვითარცა სული ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული.

და სიხარულით წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ არა უმეცარ იყვნეს, უფალი მხოლოჲ უძღოდა მათ, რამეთუ ხედვიდა რაჲ გულსა მათსა წმიდასა და წყაროებრ დაუწყვედელსა ლოცვასა და მოიყვანნა იგინი ქართლით ოპიზას პირველად.



ოპიზა, კლარჯეთი, ახლანდელი თურქეთის ტერიტორია. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო, ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

ვითარცა იხილა თავი თჳსი ჴორციელად დიდებასა შინა - როგორც კი მიიჩნია, რომ ამქვეყნიური დიდება ელოდა.



განიზრახა ფარულად სივლტოლაჲ თჳსით ქუეყანით - გადაწყვიტა ფარულად წასულიყო თავისი კუთხიდან.

საღმრთოჲთა წოდებითა - ღვთის მოწოდებით.

მამამთავრისა აბრაჰამის სახედ - მამამთავარ აბრაამის მსგავსად.

აბრაჰამი - ბიბლიური პატრიარქი აბრაამი. ებრაელთა და არაბული ტომების წინაპარი. ღვთის ჩაგონებით აბრაამმა ებრაელი ერი ქალდეადან გამოიყვანა და აღთქმული მიწისკენ წაიყვანა.

უდაბნოდ - უდაბნოში.

აბრაჰამ ქუეყანასა მისგან ურწმუნოთა ნათესავთაჲსა განაშორა ღმერთმან - აბრაამი ურწმუნო ტომების მიწას განაშორა ღმერთმა.

ხოლო ესე მორწმუნისა და კეთილად მსახურისა ქუეყანისგან გამოიყვანა - ეს კი მორწმუნე და ღვთისმოშიში კუთხიდან გამოიყვანა.

ამის მიზეზისათჳს - ამ მიზნით, ამ მისიით.

რაჲთა უქმთა მათ უდაბნოთა შინა გამობრწყინდეს - რათა ამ გაუდაბურებულ, გაუკაცრიელებულ ადგილებში გამობრწყინდეს.

სანთელი ესე დაუვსებელი - ჩაუმქრალი სანთელი.

ზედა სასანთლესა მას მაღალსა - მაღალ სასანთლეზე (იხ. მათე 5,15. აგრეთვე, იოანე საბანისძის „წამებაჲ წმიდისა ჰაბოჲსი“, II თავი).

ზეთი განუპარველი - ზეთი, რომელსაც არაფერი აკლდება, მიუხედავად იმისა, რომ ანთია (მათეს სახარების იგავიდან: 25, 1-13).

რაჲთა ჴმასა მას ოხრასა საყჳრისასა აღეტყინოს - რათა საყვირის ხმაზე გამობრწყინდეს (ანუ განკითხვის დღეს გამოჩნდეს).

მიუძღვეს საქორწინესა მას კრებულსა - წინ გაუძღვეს საქორწინე გუნდს (აქ იგულისხმება, რომ გრიგოლი და მისი თანამოაზრეები სულიერი ქორწინების, სულიერი ამაღლების გზაზე დგანან).

იშხანი - მონასტერი, მდებარეობს ისტორიულ ამიერტაოში, მდინარე ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ იშხანში (ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა). იგი განაახლა საბამ, ხოლო საბოლოო სახე მიეცა 1032 წელს, ბაგრატ IV-ის მეფობის დროს.

ნეძვი - მონასტერი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, აშენებულია IX საუკუნის 50-იან წლებში, ამჟამად ნანგრევებიღაა შემორჩენილი.

კვირიკეთი - მონასტერი ბორჯომის მუნიციპალიტეტში, აშენებულია IX საუკუნის 40-იან წლებში, ამჟამად ნანგრევებიღაა შემორჩენილი.

შეანაწევრნა - შეაერთა.

შეამტკიცნა ერთ ზრახვად შეკრებულნი - გააერთიანა ერთი ჩანაფიქრით შეკრულნი.

ვითარცა სული ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული - როგორც ერთი სული, ოთხ სხეულში დამკვიდრებული.

წარემართნეს - წავიდნენ.

გზასა მას - გზაზე.

რომელი არა უწყოდეს - რომელიც არ იცოდნენ.

არამედ არა უმეცარ იყვნეს, უფალი მხოლოჲ უძღოდა მათ - მაგრამ იცოდნენ, რომ უფალი მიუძღოდათ.

ხედვიდა რაჲ გულსა მათსა წმიდასა - ხედავდა რა მათი გულის სიწმინდეს.

წყაროებრ დაუწყვედელსა ლოცვასა - წყაროსავით უწყვეტ ლოცვას.

ქართლით - ქართლიდან.

პირველად - თავიდან.

ოპიზა - VIII საუკუნის მონასტერი კლარჯეთში.



ოპიზაში იყო იოანე ნათლისმცემლის სახელობის მცირე ზომის ეკლესია, სადაც ქრისტეს სიყვარულით ბერები შეკრებილიყვნენ. მათმა წინამძღვარმა ამბა გიორგიმ მამა გრიგოლი და მისი ძმები მიიღო არა როგორც მოწაფეები, არამედ, როგორც - აღმატებულნი.

ორი წელი ცხოვრობდნენ მამა გრიგოლი და მისი მეგობრები მათთან, ოპიზაში, მკაცრი მონაზვნური წესებით.

მამასა გრიგოლს სწადოდა მარტოდ დაყუდებაჲ, რამეთუ ესმოდა ანგელოზებრივი ცხორებაჲ მარტოდ მყოფთაჲ მათ სივრცესა მას შინა უდაბნოჲსასა, ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ წმიდაჲ გრიგოლ და კეთილთა ქცევათა მათთა ისწავებნ, რამეთუ ესმინ წმიდათა მათგან, ვითარმედ: „ჰრცხუენისმცა სოფელსა ქცევათაგან ჩუენთა კეთილთა“.

სწადოდა მარტოდ დაყუდებაჲ - უნდოდა მარტოდ ყოფნა.
ანგელოზებრივი ცხორებაჲ - წმინდა ცხოვრება.
ყოველთა მათ ნეტართა მოიხილავნ - ყველა ნეტარ ბერს მოინახულებდა.
ისწავებნ - სწავლობდა.
ესმინ წმიდათა მათგან - წმინდა ბერებისგან იცოდა.
ჰრცხვენისმცა სოფელსა ქცევათაგან ჩუენთა კეთილთა - რცხვენოდეს სოფელს (ქვეყანას) ჩვენს კარგ ქცევათა გამო.

დააკვირდით

• სოლომონ ბრძენის ციტატის დამოწმება იმის ახსნას ემსახურება, თუ ბერმონაზვნური ცხოვრების მოხმობილი ორი წესიდან, რჯულის მიხედვით, რომელია უპირატესი: ლაპარაკი თუ მდუმარება. აქედანვე იგრძნობა და შემდეგში არაერთხელ რწმუნდება მკითხველი, რომ ჰაგიოგრაფი რჯულის კარგი მცოდნეა და ცოდნას სხვებსაც უზიარებს (რაც მისი, როგორც მერჯულის, საქმიანობითაც არის განპირობებული);

• გიორგი მერჩულე პერსონაჟის ხსენებისთანავე მისი დამსახურების შესახებ თითქმის ამომწურავ ინფორმაციას აწვდის მკითხველს;

• ყრმა გრიგოლის განათლების დონით წარმოჩნდება, რომ VIII საუკუნის ქართლში მრავალმხრივი განათლების მიღება და რამდენიმე უცხო ენის შესწავლა შეიძლებოდა, რაც მიგვანიშნებს ჩვენი ქვეყნის დიდ მწიგნობრულ კულტურაზე;

• გიორგი მერჩულე ყურადღებას ამახვილებს მამა გრიგოლის გარეგნულ სრულყოფილებაზეც, რაც არ ახასიათებს ადრეულ ჰაგიოგრაფიას, არამედ რენესანსული იდეალებისკენ იხრება (რის შესახებაც მოგვიანებით შეისწავლით);

• აღმზრდელები და ოჯახთან დაახლოებული საზოგადოება გრიგოლს მღვდლად ირჩევენ არა მხოლოდ საკუთარი შეხედულების, არამედ დავით წინასწარმეტყველის სწავლების შესაბამისად, რაც მათ რწმენასა და ქრისტიანულ განათლებას ადასტურებს;

• მთაზე ასვლა სულიერ ამაღლებას, უფალთან დაახლოებას ნიშნავს;

• მამა გრიგოლი ქართველთა „საქორწინე კრებულის“ მეთაურია - წინამძღოლია ზე-

ციური საქართველოსკენ მიმავალთა;
• უფალი ხედავს მამა გრიგოლისა და მისი ძმების წმინდა გულებს და ამიტომ ეხმარება მათ;
• მამა გრიგოლი დიდი სიფრთხილით დგამს ნებისმიერ ნაბიჯს: ჯერ მღვდლობის შეთავაზებისას აწონ-დაწონა თავისი შესაძლებლობები, შემდეგ - მარტოდ მყოფობის სურვილისას.

კითხვები და დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, გიორგი მერჩულე, მისივე თქმით, მხოლოდ „თავისი არასრულყოფილების გამო“ არღვევს დუმილს, თუ რაიმე სხვა უბიძგებს ამისკენ (სათქმელი დაასაბუთეთ)?
2. ჰაგიოგრაფიული ჟანრისთვის დამახასიათებელ რომელ თავისებურებას ხვდებით მეორე აბზაცში?
3. გამოარჩიეთ მამა გრიგოლის დამახასიათებელი ერთი ან ორი თვისება, რომელიც/რომლებიც, თქვენი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადამიანისთვის; შემდეგ კი იმსჯელეთ, სჭირდება თუ არა ეს თვისებები მომავალ მოღვაწეს, თუ რომელიმეს დაამატებთ ან შეცვლით (სათქმელი დაასაბუთეთ)?
4. როგორ ფიქრობთ, ადამიანის მღვდლად კურთხევის წინ რატომ აქცევს საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას მომავალი სასულიერო პირის წმინდა გულსა და ხელს (სათქმელი დაასაბუთეთ)?
5. რა მხატვრული ხერხია: „ახვიდე უფლის მთაზე, დადგე წმინდა ადგილას და შესწირო უსისხლო მსხვერპლი“?
6. თქვენი აზრით, როგორ პიროვნებად მიიჩნევენ ჭაბუკ გრიგოლს, როდესაც აღნიშნავენ, რომ მას ახასიათებს „კეთილი მოხუცებულებაჲ გონებისაჲ“?
7. რის გამო ადარებენ ჰაგიოგრაფები წმინდა აბოსა და წმინდა გრიგოლს აბრაამ მამამთავარს? რით განსხვავდება მისგან გრიგოლ ხანძთელი (სათქმელი დაასაბუთეთ)?
8. იმსჯელეთ, რის თქმა სურს ავტორს, როდესაც გრიგოლისა და მისი ძმების შესახებ ამბობს: „სული ერთი ოთხთა გუამთა შინა დამტკიცებული“ (სათქმელი დაასაბუთეთ)?
9. იმსჯელეთ, რა ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს უდაბნოში ანთებულ სანთელს? რით განსხვავდება იგი ქალაქში, სასანთლეზე ანთებული სანთლისგან? ხვიმირის ქვეშ დადგმულისგან?
10. იმსჯელეთ, როგორ გესმით: „ჰრცხვენისმცა სოფელსა ქცევათაგან ჩვენთა კეთილთა“ (სათქმელი დაასაბუთეთ)?

თვალსაზრისი

დაახასიათეთ წმინდა გრიგოლ ხანძთელი შემდეგი სქემის მიხედვით:

გრიგოლ ხანძთელი	დაიმოწმეთ ტექსტი
ვინაობა და წარმომავლობა	
განათლება	
გარეგნობა	
შინაგანი სამყარო, პიროვნული მახასიათებლები	
საზოგადოების დამოკიდებულება გრიგოლის მიმართ	
ავტორის დამოკიდებულება	
გრიგოლის დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ	

წერითი დავალება

დაწერეთ არგუმენტირებული ესე - საზოგადოება ყოველთვის აღიარებს და აფასებს მაღალი ზნეობით გამორჩეულ ადამიანებს?

• იმსჯელეთ საკითხზე ნაწარმოების მოცემული ეპიზოდის მიხედვით; დააკვირდით, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება გრიგოლის მიმართ, დაასაბუთეთ და მოიხმეთ მაგალითები ტექსტიდან;

• იმსჯელეთ, ყოველთვის ერთგვაროვანია თუ არა საზოგადოების დამოკიდებულება მაღალზნეობრივი ადამიანის მიმართ. მოსაზრების დასასაბუთებლად მოიხმეთ მაგალითები ლიტერატურიდან, კინოფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან...

ლიტერატურული სახელოსნო

გრიგოლ ხანძთელი ნერსე ერისთავის ოჯახში იზრდებოდა, ამ ოჯახს უკავშირდება წმინდა აბოს სახელიც. სავარაუდოდ, გრიგოლი და აბო ერთმანეთს იცნობდნენ. მოირგეთ მწერლის როლი და შექმენით მცირე ზომის ლიტერატურული ნაწარმოები, რომელშიც აღწერთ ნერსეს კარზე მყოფი გრიგოლისა და აბოს ურთიერთობის თქვენ მიერ წარმოსახულ ეპიზოდს.

4. იმჟამად ხანძთაში იყო მართალი და წმინდა განდეგილი ბერი, რომელსაც ერქვა ხუედიოსი. ნეტარმა ხუედიოსმა ხილვა ნახა არა ძილში, არამედ ცხადად ეჩვენა ის წმინდა ადგილი, სადაც ახლა ხანძთის ეკლესიაა აშენებული. ასევე აუწყა უფალმა სანატრელ მამა გრიგოლს ხუედიოსის ღირსების შესახებ და გამოუცხადა, რომ ეს ადგილი მას (გრიგოლს) ებოძა მონასტრის ასაშენებლად.

მამა გრიგოლი სულიწმიდის წინამძღვრობით მივიდა ხანძთაში წმინდა ბერ ხუედიოსთან. როცა ერთმანეთი იხილეს, ძალიან გაიხარეს და ილოცეს.

შემდეგ ნეტარმა ბერმა უთხრა მამა გრიგოლს:

- მაკურთხე, წმინდაო მამაო, რადგან შენ მღვდელი ხარ.

მამა გრიგოლმა აკურთხა ხუედიოს ბერი და, როგორც დიდი ხნის მეგობრებმა, ისე მოიკითხეს ერთმანეთი. ნეტარმა მამა გრიგოლმა თქვა:

– ვჰმადლობ ქრისტესა, რომელი მომიძღუა საყოფლად შენდა შვილსა შენსა და ღირს-მყო მე თაყუანის-ცემად კუალსა წმიდათა ფერჴთა შენთასა, გამორჩეულო ღმრთისაო!

ხოლო მან ჰრქუა:

– არამედ უფროჲსღა ნაყოფი წმიდათა ლოცვათა შენთაჲ და წმიდაჲ ჯუარი შენი მარადის იყავნ ჩემ ზედა, უძლურისა ამის მოხუცებულისა, წმიდაო ღმრთისაო. დაღაცათუ დღითა უმრწემეს ხარ, საქმითა კულა უხუცეს ხარ

ჩემსა, რამეთუ შენ იყო მწყემსი კეთილი მრავალთა პირმეტყუელთა საცხოვართა ქრისტჱსთა.



განთიადისას ხანძთის ტერიტორია დაათვალიერა მამა გრიგოლმა და ძალიან მოეწონა. შემდეგ უთხრა ხუედიოს ბერს:

- სასწრაფოდ უნდა წავიდე ოპიზაში, ჩემს ძმებთან, და მოვიყვანო ისინი აქ, რათა აკურთხო შენი წმინდა ლოცვით.

როდესაც ოპიზაში დაბრუნდა, ახარა თავის ძმებს წმინდა ბერისა და ხანძთის შესახებ და ისინიც სიხარულით გამოჰყვნენ მამა გრიგოლს. ილოცეს და მოიკითხეს წმინდა ბერი.

რომელი მომიძღუა საყოფლად შენდა - რომელმაც შენთან მომიყვანა.
ღირს-მყო მე თაყუანის-ცემად - ღირსი გამხადა, რომ ვეთაყვანო.
კუალსა წმიდათა ფერჴთა შენთასა - შენი ფეხის ნაკვალევს.
ნაყოფი წმიდათა ლოცვათა შენთაჲ - შენი წმინდა ლოცვის ძალა.
მარადის იყავნ ჩემ ზედა - მარად მიცავდეს.
დაღაცათუ უმრწემეს ხარ, საქმითა კულა უხუცეს ხარ ჩემსა - თუმცა ასაკით უმცროსი ხარ, მაგრამ საქმით ჩემზე უფროსი ხარ.
შენ იყო მწყემსი მრავალთა პირმეტყუელთა საცხოვართა ქრისტჱსთა - შენ გახდები ქრისტეს მრავალი მიმდევრის მწყემსი.



იშხნის სარკმელი, X ს. ტაო, ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

ამის შემდეგ ხუედიოს ბერმა უთხრა მამა გრიგოლს:

- სიკვდილამდე მარტოობის აღთქმა მაქვს უფლისთვის მიცემული. ნეტარო კაცთა შორის, აქვე პატარა გამოქვაბულია, წამიყვანეთ იქ, რათა დარჩენილი დღეები მარტომ გავატარო, რადგან დიდი დრო აღარ დამრჩა. დამპირდით, რომ, სანამ არ აღვესრულები, ამ ადგილას არ გამრავლდებით.

მამა გრიგოლმა და მისმა მეგობრებმა არ იკადრეს შეწინააღმდეგება. მივიდნენ გამოქვაბულში და ილოცეს. ხუედიოს ბერმა კი თქვა:

- ეს არის ჩემი განსასვენებელი, აქ დავრჩები აღსასრულამდე, რადგან ასე მსურს.

შემდეგ ეამბორნენ ერთმანეთს, დაემშვიდობნენ და მამა გრიგოლი და მისი მეგობრები უფლის მიერ სამონასტროდ მითითებულ ადგილას დაბრუნდნენ.

ამის შემდეგ დაიწყო ხანძთის შენება. ჯვარი დასწერეს სამონასტრე ადგილს და დაიწყეს ტერიტორიის დავაკება სენაკებისთვის. რადგან ხანძთის კლდე კლარჯეთის უდაბნოში ყველაზე მყარია, ამისთვის დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. მათ არ გააჩნდათ ცული, წერაქვი, არც სხვა სამუშაო იარაღები. ოპიზელმა ბერებმა მისცეს ყველაფერი, რაც კი ჰქონდათ. ისინი ყოველმხრივ ეხმარებოდნენ. ამ მხარეში იმ დროს, ოპიზის გარდა, სხვა მონასტერი არ იყო, არც ხალხი ცხოვრობდა. კლარჯეთში, ტაოში, შავშეთსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ცოტა ადამიანი დასახლებულიყო აქა-იქ ტყეებში.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და შემდგომად საყუდელი თჳსი და თითო სენაკები ძმათა მათთჳს მცირჱ და ერთი სენაკი საოსტიგნედ დიდი.

და დღითი დღე აღორძნდებოდეს ძმანი, რამეთუ შეეძინებოდეს უფალს მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი მოქმედად ჭეშმარიტსა მას ვენახსა და თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა და მონაწილე წმიდათა მოწამეთა, მჴნდებოდეს რაჲ ღუაწლსა მას მონაზონებისასა მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროჲს მათსა, რამეთუ მარტჳლნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს, ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს სახელისათჳს ქრისტჱსისა.

მას ჟამსა ნეტარი იგი ბერი ჴუედიოს მოხუცებულ იყო ფრიად და მიახლებულ ჴორცთაგან განსლვად... და დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტკბილ ეყო მას ჰრული მისი. ხოლო მამამან გრიგოლ და ძმათა გალობითა წმიდითა დაჰმარხეს.

მაშინ ნებითა ღმრთისაჲთა განმრავლდებოდეს ძმანი ქრისტჱსმსახურნი. ხოლო მამაჲ გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა, არამედ პირველად გამოცადის ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, და უკუეთუ იპოვის გულითა უმანკოჲ, უზაკუველი და უდრტჳნველად სიმდაბლით მორჩილი წადიერად ყოველსა ზედა კეთილისა საქმესა, იგი შეიწყნარის სიხარულით. ამისთჳსცა ყოველნი მოწაფენი მისნი კეთილ იყვნეს ფრიად და ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა წმიდათა და ემსგავსებოდეს მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღვარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა, და ესრჱთ კეთილად ცხონდებოდეს იგინი სულიერად, ხოლო ჯორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს.



პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ - თავიდან ხის ეკლესია ააშენა.
საყუდელი თჳსი - თავისი სამყოფელი.
საოსტიგნე - სასადილო ოთახი.
დღითი დღე აღორძნდებოდეს ძმანი - ყოველდღიურად იზრდებოდა ბერების რიცხვი.
შეეძინებოდის უფალს მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი - ემატებოდნენ უფალს მეთერთმეტე საათის მუშაკები (იხ. მათე 20, 1 -16).
თანაზიარ იქმნებოდეს პირველთა მათ მართალთა - ემსგავსებოდნენ ძველ წმინდანებს.
მონაწილე წმიდათა მოწამეთა - წმინდა მოწამეების თანაზიარნი.
მჴნდებოდეს რაჲ ღუაწლსა მას მონაზონებისასა - მხნეობდნენ ბერმონაზვნური ღვაწლით.
მსგავსად წმიდათა მოწამეთა და უფროჲს მათსა - წმინდა მოწამეთა მსგავსად და მათზე უფრო მეტად.
რამეთუ მარტჳლნი ერთსა ხოლო შინა ჟამსა იწამნეს - მოწამეები მხოლოდ ერთხელ ეწამებიან.
ხოლო ესენი ყოველსა ჟამსა იწამებოდეს - ესენი (ბერები) კი განუწყვეტლივ ეწამებიან.
მიახლებულ ჯორცთაგან განსვლად - სიკვდილს მიახლებოდა.
დაიძინა - მიიცვალა.
ტკბილ ეყო მას ჰრული მისი - ტკბილად მიიცვალა.
არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა - უღირსს არავის გაიკარებდა.
პირველად გამოცადის ... საქმესა - ჯერ საქმეში გამოცდიდა.
უკუეთუ იპოვის გულითა უმანკოჲ - თუ დაინახავდა, რომ წესიერი იყო.
უზაკუველი - უმწიკვლო.
წადიერად - მოწადინებით.
ამისთჳსცა ... კეთილ იყვნეს - ამიტომაც კარგები იყვნენ.
ღირსად შემწყნარებელ სათნოებათა მისთა - ღირსეულად შეითვისებდნენ მის (გრიგოლის) სიკეთეს.
კეთილად ცხონდებოდეს - აქ: სიკეთით ცხოვრობდნენ.
ჯორციელად დიდსა იწროებასა იყვნეს - მატერიალურად ძალიან უჭირდათ.

დააკვირდით

• მამა გრიგოლის სტუმრობა ხუედიოს დაყუდებულთან და ხანძთის მდებარეობა თუ სახე ჩვენება-გამოცხადებით განისაზღვრა. ამით ჰაგიოგრაფი მკითხველს მიანიშნებს, რომ მამა გრიგოლი ღვთის რჩეულია და რომ იგი ყოველ დიდ საქმეს უფლის ნებას უქვემდებარებს. თანაც, ხანძთის კლდე ყველაზე მყარია და მასზე ტაძრის აშენება ძნელია, თუმცა ტაძარი ზუსტად იქ ააშენეს, სადაც, საუფლო ჩვენების საფუძველზე, მიუთითა ხუედიოსმა; ასევე, ხუედიოსის სიცოცხლეში არ გამრავლდა ძმობა ხანძთის ტერიტორიაზე;

• ხუედიოსი მამა გრიგოლს უჩვენებს ღვთისთვის სათნო გზას - მან უნდა აშენოს მონასტრები და გაამრავლოს ძმობა. ამის შემდეგ ამიტომ აღარ ფიქრობს წმინდანი განდეგილობაზე;

• აღთქმის დარღვევა არ შეიძლება, ამიტომ ითხოვა ხუედიოსმა სხვა გამოქვაბულში გადაყვანა;

• ქვეყანაში მურვან ყრუს შემოსევის გამო მძიმე მდგომარეობაა, თითქმის დაცლილია მოსახლეობისგან და, ვინც გადარჩა, ისიც ტყეს აფარებს თავსა და ოჯახს;

• მამა გრიგოლი შუამავალია კაცსა და ღმერთს შორის. მოწაფეები ემსგავსებიან მამა გრიგოლს, მამა გრიგოლი - ქრისტეს, საბოლოოდ ყველა მოწაფე ემსგავსება ქრისტეს.

კითხვები და დავალებები

1. მოძებნეთ რუკაზე ოპიზისა და ხანძთის ტერიტორიები და აღნიშნეთ გზა, რომელიც მამა გრიგოლმა გაიარა ბერ ხუედიოსის გამოქვაბულამდე, ანუ ამჟამინდელ ხანძთის მონასტრამდე;
2. რა თვისებებს ამჟღავნებენ ხუედიოსი და გრიგოლი ერთმანეთთან საუბრისას (სათქმელი დაასაბუთეთ)?
3. რის გამო მიიჩნია ხუედიოს ბერმა მამა გრიგოლი უპირატესად?

ა) ახალგაზრდა ასაკში მარტოდ მყოფობის სურვილის გამო;

ბ) მასთან სულიწმიდის წინამძღვრობით მისვლის გამო;

გ) მხურვალე ლოცვისა და ჯვრის ყველგან ტარების გამო;

დ) სხვა ადამიანების მოძღვრობა-მასწავლებლობის გამო.

4. რატომ მიიჩნევს გიორგი მერჩულე, რომ მოღვაწე ბერები მოწამეებს აღემატებიან?
5. თქვენი აზრით, რა თვისებას ამჟღავნებს მამა გრიგოლი ძმობის წევრის შერჩევისას (სათქმელი დაასაბუთეთ)?
6. იმსჯელეთ, რომელ აუცილებელ თვისებას დაამატებდით ან მოაკლებდით ძმობის მომავალი წევრის სასურველ თვისებებს (სათქმელი დაასაბუთეთ)?

დისკუსია

მოცემულ ეპიზოდში ორი ღვთისმსახური ხვდება ერთმანეთს - ბერი ხუედიოსი, რომელიც უფლის მსახურების გზად მარტოობას ირჩევს (მარტოდ მყოფი განდეგილია) და გრიგოლი, რომელიც თანამოაზრეებთან ერთად იღვწის. ორივეს მიზანი ღმერთთან დაახლოებაა, თუმცა ამისკენ სხვადასხვაგვარად ისწრაფვიან. იმსჯელეთ, თქვენი აზრით, რომელი გზაა უფრო რთული და მნიშვნელოვანი.



ხანძთა, კლარჯეთი, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.
ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

წერითი დავალება

მამა გრიგოლი - პრინციპული ადამიანი და დიდი მოძღვარი

მოცემული ეპიზოდის მიხედვით, იმსჯელეთ მამა გრიგოლზე, როგორც ძმობის წინამძღოლსა და უდრეკ ადამიანზე, რომელიც მიზნის მისაღწევად დაბრკოლებებს არ უშინდება.

დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:

• იმსჯელეთ გრიგოლის ქართლიდან წასვლის მიზეზსა და მიზანზე;

• თქვენი აზრით, რატომ არ დაიწყო სასულიერო მოღვაწეობა ქართლში და წავიდა ტაო-კლარჯეთში?

• იმსჯელეთ მამა გრიგოლზე, როგორც ღმერთის რჩეულსა და „პირმეტყველთა საცხოვართა“ წინამძღოლზე;

• გამოკვეთეთ მისი პიროვნული თვისებები.

ქვემოთ მოცემული დავალებებიდან ამოირჩიეთ ერთ-ერთი და შეასრულეთ:

ა) ერთი დღე ხანძთის მშენებლობაზე

წარმოიდგინეთ, რომ მამა გრიგოლის ერთ-ერთი მოწაფე აღნუსხავს ხანძთის მონასტრის მშენებლობის პროცესს. მოირგეთ ამ მოწაფის როლი და შექმენით მცირე ზომის ტექსტი, რომელშიც აღწერთ მშენებლობის ერთ დღეს; ისაუბრებთ სირთულეებზე, სულიერი ძმების განცდებზე, მოტივაციაზე, მათ დამოკიდებულებაზე მამა გრიგოლისა და ერთმანეთის მიმართ. სასურველია, აღწეროთ გარემო, პეიზაჟი, გამოიყენოთ დიალოგი.



ბ) საუბარი ახალმოსულ ძმასთან

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ აღნიშნულია, რომ „მამაჲ გრიგოლ არავის უდებთაგანსა შეიწყნარებდა“, წარმოიდგინეთ, რომ მამა გრიგოლის ერთ-ერთი სულიერი შვილი საკუთარ ამბავს უყვება ხანძთაში მოსულ ახალგაზრდა კაცს, რომელსაც საძმოს წევრობა სურს, ესაუბრება იმ სირთულეებზე, რომლებიც მამა გრიგოლის მოწაფეობამდე გადალახა.

გააცოცხლეთ მათი საუბარი, მიეცით დიალოგის ფორმა; დიალოგში უნდა ჩანდეს პერსონაჟთა განცდები, მოტივაცია, დამოკიდებულება მამა გრიგოლთან, სხვა ბერებთან.

შემოქმედებითი დავალება

დაწერეთ ესე: „მეთერთმეტე მოქმედი ვენახისა - საქმემან შენმან წარმოგაჩინოს“

იმისთვის, რომ ესეს დაწერა არ გაგიჭირდეთ, გაიხსენეთ და იმსჯელეთ:

• როგორაა განმარტებული „მეთერთმეტე მოქმედი ვენახისა“ სახარებისეულ იგავში?

• რა თვალსაზრისით შეგვხვდა ეს იგავი „შუშანიკის წამებაში“?

• რატომ უწოდებს იოვანე საბანისძე წმინდა აბოს ვენახის მეთერთმეტე ჟამის მუშაკს?

• რატომ მიიჩნევს გიორგი მერჩულე, რომ მამა გრიგოლი და მისი ძმები არიან ჭეშმარიტი ვენახის „მუშაკნი მეათერთმეტისა ჟამისანი“?

• რა დასკვნების გამოტანა შეიძლება იმით, რომ სამივე ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებში გვხვდება ეს სახე? რა საერთოსა და განმასხვავებელს ხედავთ?

• გაავლეთ პარალელი იაკობ მოციქულის სწავლებასთან: „სარწმუნოებაჲ თჳნიერ საქმეთასა მკუდარ არს“;

• დღეს ვის მიიჩნევდით „ვენახის მეთერთმეტე მუშაკად“? სათქმელი შეაჯამეთ და ენობრივად გამართეთ.



ხანძთის სამრეკლო, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

5. იმჟამად ამ მიწებს განაგებდა ღვთისმსახური და კეთილად მორწმუნე ხელმწიფე დიდი აშოტ კურაპალატი, ბაგრატიონი. მეფემ და მისმა დიდებულმა შვილებმა არაფერი იცოდნენ წმინდა გრიგოლის შესახებ.

წმინდა გრიგოლის სავანის მახლობლად ზოგიერთ სოფელს ფლობდა აშოტ კურაპალატის მსახური, დიდებული აზნაური გაბრიელ დაფანჩული, შემკობილი სულიერი და ხორციელი სრულყოფილებით, სიბრძნით, ახოვანებით, სიმდიდრით. იგი, კეთილმორწმუნეობით ქებული, ყოველ საქმეში გამარჯვებული იყო.

როდესაც ნეტარმა გრიგოლმა თავისი მოწაფეების გაჭირვება იხილა, ღვთის ნებით, ეახლა გაბრიელ დაფანჩულს, მაგრამ იგი სახლში არ დაუხვდა. მამა გრიგოლს მიეგება გაბრიელის ღვთისმოყვარე და მორწმუნე მეუღლე მარიამი, სათანადო პატივი სცა და დიდი შესაწირავით გაუშვა. მარიამმა სახლში დაბრუნებულ გაბრიელ მთავარს სიხარულით აუწყა ნეტარი მამის მოსვლის შესახებ. მთავარმა სასწრაფოდ დაწერა წერილი და კეთილ კაცთა ხელით გაუგზავნა წმინდა გრიგოლს. ევედრებოდა, სახლში კვლავ სწვეოდა. ნეტარი მამა გრიგოლი გაბრიელის სიტყვას დამორჩილდა და წარგზავნილ კაცებს გაჰყვა.

როცა გაბრიელმა, აშოტ მეფის აზნაურმა, შეიტყო ნეტარის მისვლის შესახებ, ზე წამოდგა და მიეგება, სიხარულით თაყვანი სცა და ხელზე ეამბორა. წმინდანმა კი ყველაფერს ჯვარი გადასახა. გაბრიელმა პატივით უმასპინძლა თავის სასახლეში, სადაც მრავალი დღით დარჩა ნეტარი გრიგოლი.

გაბრიელ ჰრქუა წმიდასა მას:

– ჩუენ თანა არს ჯორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესენი შევზავნეთ ურთიერთას. თქუენ მონაწილე-გუყვენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა, და ძუალნი ჩუენნი ღირს-ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა და ლოცვაჲ ჩუენთჳს უკუნისამდე განაწესეთ მონასტერსა თქუენსა. წმიდაო მამაო, სავანჱ კეთილი ადგილი დედათათჳს სამკვიდრებელად გამონახეთ. და ვითარცა მიცვალებულთა მამათათჳს ხანძთაჲ განმიწესებია, ეგრჱთვე იყოს სამარხავი მიცვალებულთა დედათაჲ აწ შჱნებულსა მას.

ნეტარმა მამა გრიგოლმა გულმოდგინედ შეარჩია ადგილი გუნათლეს მახლობლად. აქ ააშენეს დედათა მონასტერი, რომელსაც ახლა გუნათლეს სავანე ეწოდება.



გუნათლე (ნუკა საყდარი), კლარჯეთი, IX ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

აშოტ კურაპალატი - აშოტ I დიდი, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის დამფუძნებელი, გამეფდა 809 წელს, ბევრი გააკეთა საქართველოს გაძლიერებისა და დამოუკიდებლობისათვის. ღალატით მოკლეს 826 წელს.

კურაპალატი - (ლათინურ ენაზე: „დარბაზის ზედამხედველი“), უმაღლესი წოდება ბიზანტიის სამეფო კარზე.

გუნათლეს ვანი - იგივე გურნათელი, მეცნიერთა აზრით.

მწირობა - „უდაბნოს“ მონასტერში ცხოვრება.

უდაბნო - აქ: დაუსახლებელი ადგილი.

ჯორციელი კეთილი - მატერიალური სიმდიდრე.

სულიერი კეთილი - სულიერი სიმდიდრე.

ესენი შევზავნეთ ურთიერთას - ესენი შევაერთოთ.

მონაწილე-გუყვენით წმიდათა ლოცვათა თქუენთა - თქვენი წმინდა ლოცვების მონაწილენი გაგვხადეთ.

ცხორებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა - სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ.

ძუალნი ჩუენნი ღირს-ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენსა - დაგვდეთ იმის პატივი, რომ ჩვენი ძვლები თქვენი ძვლების გვერდით დაიმარხოს.

ლოცვაჲ ჩუენთჳს უკუნისამდე განაწესეთ - დააწესეთ სამარადჟამო ლოცვა ჩვენი სულებისათვის.

სავანე კეთილი, ადგილი დედათათჳს სამკჳდრებელად გამონახეთ - გამოძებნეთ კარგი სამონასტრო ადგილი ქალების სამკვიდროდ.

ვითარცა მიცვალებულთა მამათათჳს ხანძთაჲ განმიწესებია - როგორც გარდაცვლილი მამაკაცებისთვის ხანძთა დამიდგენია.

აგრეთვე იყოს სამარხავი მიცვალებულთა დედათაჲ აწ შენებულსა მას - ასევე იყოს სასაფლაო ქალებისათვის ამჟამად მშენებარე მონასტერში.

გაბრიელმა, დიდებულმა აზნაურმა, მრავალი სიკეთით წარგზავნა მამა გრიგოლი ხანძთაში, გააყოლა მშენებლები, მისცა ყველაფერი ქვითკირის ეკლესიის ასაშენებლად. თავის სავანეში დაბრუნებულ წმინდა მამა გრიგოლს სიხარულით შეეგებნენ მოწაფეები და ლოცვით მადლობდნენ ქრისტეს.

ნეტარმა გრიგოლმა დაავაკა ადგილი ეკლესიის ასაშენებლად, ცრემლით წარმოთქვა ლოცვა, ჯვარი დასწერა იქაურობას და იწყეს შენება. ქრისტეს შეწევნით, წმინდა გიორგის მეოხებით, ნეტარი მამა გრიგოლის ლოცვითა და დიდებული გაბრიელ მთავრის მატერიალური დახმარებით ეკლესიის მშენებლობა კეთილად დასრულდა.

6. მაშინ სამცხიდან მოვიდა სანატრელი და სასწაულმოქმედი (სასწაულთა მიერ შემკობილი) დედა ფებრონია და დამკვიდრდა მერეში. მის ღირსეულ ცხოვრებასა და სულიერებას საზღვარი არ ჰქონდა. ეს ნეტარი ღვთისკაცნი - დედა ფებრონია და მამა გრიგოლი, საღვთო სიყვარულით თანამოაზრენი და დიდი მეგობრები იყვნენ.

გაბრიელ ერისმთავარმა ღვთისმსახურ მეფე აშოტ კურაპალატს აუწყა სანატრელი მამა გრიგოლის ღირსება, მისი მწირობა და უქმ უდაბნოში მონასტერთა მშენებლობა, ასევე, მისი მოწაფეების სათნოება. აცნობა წმინდანის დიდებული მშობლების შესახებ, რაც შეეტყო ნეტარის სულიერი შვილებისაგან.

როდესაც კეთილად მსახურმა მეფე აშოტ კურაპალატმა გაიგო ყოველივე, სასწრაფოდ დაწერა წერილი, გამოარჩია ერთი კეთილგონიერი ქვეშევრდომი და გაბრიელის მსახურთან ერთად წარგზავნა მამა გრიგოლთან.

როდესაც ნეტარმა მამამ წაიკითხა კურაპალატისგან პატივით მოწერილი მიწვევის წერილი და ამ კაცთაგანაც მოისმინა ყველაფერი, დაუყოვნებლივ წავიდა ხელმწიფესთან. სასახლესთან მიახლოებულ წმინდანს კურაპალატის ძენი მიეგებნენ, თავად კურაპალატი კი წამოდგა და სასახლის კართან მისულ ნეტარ მამა გრიგოლს ასე შეეგება. მათ დიდი სიმდაბლით მოიკითხეს ერთმანეთი და დასხდნენ.

ხოლო კურაპალატმან ჰრქუა:

– ღმრთისამიერი კურთხევაჲ პირითა შენითა იყავნ ჩუენ ყოველთა ზედა, წმიდაო.

და მან თქუა:

– გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტჱსმან და ყოველთა წმიდათამან, რამეთუ ჭეშმარიტად სამართალ არს სიტყუაჲ ესე: „სადა არს პატივი მთავრობისაჲ, მუნ არს მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ“, რამეთუ თქუენ, ჴელმწიფენი, უფალ-გყვნა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა.



აშოტ კურაპალატი, რელიეფი ოპიზიდან. ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

ღმრთისამიერი კურთხევაჲ პირითა შენითა იყავნ ჩუენ ზედა - ღმერთმა დაგვლოცოს შენი პირით.

სამართალ არს - სამართლიანია.

სადა არს პატივი მთავრობისაჲ ... - სადაც არსებობს მთავრობის პატივი.

მუნ არს მსგავსებაჲ ღმრთეებისაჲ - იქ არის ღვთის მსგავსებაც.

თქუენ, ჴელმწიფენი, უფალ-გყვნა ღმერთმან ქუეყანისა განგებასა - თქვენ, მეფეებს, ღმერთმა მოგცათ ქვეყნის მართვის უფლება.

მაშინ კურაპალატმან ჰრქუა მამასა გრიგოლს:

- მეფეთა ისრაჱლისათა ჟამად-ჟამად წინაჲსწარმეტყველი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა და ზღუდედ შჯულისა, ეგრჱთვე ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადულად.

ხოლო მან ჰრქუა:

- დავით წინაჲსწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ჴელმწიფეო! მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკჳდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათჳსცა ამას მოგაჴსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე.

ამის შემდეგ ხელმწიფის გაგზავნილმა კაცმა წარმოთქვა ხანძთის ქება:

- უდაბნო სავსეა მრავალი სიკეთით, მზის მცხუნვარებითა და ზომიერი ჰავით გამოირჩევა. უხვადაა მშვენიერი, გრილი და საამო წყარო, მდიდარია ტყით, ბევრიც სხვა რამაა სანუგეშო, როგორც უდაბნოს შეეფერება. ხოლო სათესი ყანა და სათიბი საერთოდ არ არის, რადგან ხანძთის მიწა კლდოვანი და უსწორმასწოროა.

ეს რომ მოისმინა დიდებულმა კურაპალატმა, ხანძთას შესწირა ნაყოფიერი ადგილები და სახნავ-სათესად - შატბერდის მიწა. კურაპალატის შვილებმა - ადარნერსემ, ბაგრატმა და გუარამმა - უხვად უბოძეს ხანძთის მონასტერს ყველა საჭირო ნივთი.



ჟამად-ჟამად - დროდადრო.
წინასწარმეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა - ღმერთი წინასწარმეტყველს მოუვლენდა იმედად.
ზღუდედ შჯულისა - სარწმუნოების დამცველად.
შესაწევნელად მორწმუნეთა - მორწმუნეთა დასახმარებლად.
ეგრეთვე ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა - ასევე ჩვენს დროში შენ მოგავლინა.
უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული - იესო ქრისტეს შვილად წოდებული.
მეფობაჲ და სათნოებანიცა დაგიმკჳდრენ ქრისტემან - მეფობა და მრავალი სიკეთე მოგანიჭოს ქრისტემ.
არა მოაკლდეს მთავრობაჲ შვილთა შენთა... ქუეყანათა ამათ - არ მოჰკლებოდეს ხელისუფლება შენს შვილებს ამ ქვეყანაში.
უკუნისამდე ჟამთა - მარადჟამს.



ხანძთის გზა

დააკვირდით

• მამა გრიგოლს დიდი პატივისცემით ხვდებიან გაბრიელ დაფანჩულიც და მისი მეუღლეც და ცდილობენ, ხელი გაუმართონ, რითაც შეუძლიათ. ასევე მასპინძლობენ წმინდა მამას აშოტ კურაპალატი და მისი ძეებიც;

• საგულისხმოა, რომ მამა გრიგოლის გაბრიელის ოჯახში სტუმრობა მხოლოდ ძმათა საჭიროებით არ იყო გამოწვეული, არამედ - სურვილით, რომ საერო პირებიც ჩაერთო აღმშენებლობით საქმიანობაში;

• ოთხი სიმტკიცე-სიმყარის სიმბოლოა (გავიხსენოთ წელიწადის ოთხი დრო, სახლის ოთხი კედელი, დედამიწის ოთხი მხარე...). გიორგი მერჩულეც საგანგებოდ შენიშნავს, რომ მამა გრიგოლი და მისი სამი ძმა ისე მტკიცედ იყვნენ გაერთიანებულნი, როგორც ერთი სული ოთხ სხეულში; ხოლო ხანძთის აშენებისას ოთხი ძალა გაერთიანდა: ღვთის შეწევნა, წმინდა გიორგის მეოხება, მამა გრიგოლის ლოცვა და საერო პირების მატერიალური დახმარება;

• აშოტ კურაპალატი მამა გრიგოლს უფლისაგან ქართველთათვის მოვლენილ წინასწარმეტყველად მიიჩნევს, რითაც მის დიდ ღვაწლსა და მისი მოღვაწეობის მნიშვნელობას წარმოაჩენს;

• მამა გრიგოლი აშოტს დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად მიიჩნევს.

კითხვები და დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, აშოტ კურაპალატისა და გაბრიელ დაფანჩულის დახასიათებისას განსაკუთრებით რომელ თვისებას გამოკვეთს ჰაგიოგრაფი (სათქმელი დაასაბუთეთ)?

2. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, როგორ გაიაზრა გაბრიელ დაფანჩულმა სასულიერო პირებთან ერთობლივი მოღვაწეობა, რა გზით უნდა შეეზავებინათ ხორციელი და სულიერი სიკეთე, რომელ მხარეს რა ევალებოდა?

3. ახსენით, რატომ ააშენეს გუნათლეს მონასტერი?

4. მამა გრიგოლის თქმით, რით მიემსგავსება ღმერთს ხელმწიფე?

5. რატომ შესწირა აშოტ კურაპალატმა ხანძთას შატბერდის მიწა?

წერითი დავალება

აირჩიეთ ქვემოთ მოცემული წერითი დავალებებიდან ერთ-ერთი და შეასრულეთ:

1. დაწერეთ ანალიტიკური ესე - ერის ძლიერების საწინდარი საერო და სასულიერო პირთა შეთანხმებული მოქმედებაა

დავალების შესრულება რომ გაგიმარტივდეთ:

• იმსჯელეთ, როგორ აისახა ეს საკითხი მოცემულ თავებში;

• მსჯელობის დასასაბუთებლად დაიმოწმეთ ტექსტი; შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითები სხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან ან ისტორიიდან;

• გამოხატეთ თქვენი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. იმსჯელეთ, რამდენად უნდა გაითვალისწინოს თანამედროვე საზოგადოებამ ეპიზოდში ასახული ურთიერთობა.

2. დაწერეთ თავისუფალი ესე - რა არის ჩემი, როგორც მოქალაქის, პასუხისმგებლობა

დავალების შესრულება რომ გაგიმარტივდეთ:

• გაითვალისწინეთ, როგორ იკვეთება მოცემულ ეპიზოდში პერსონაჟების პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე;

• გაიხსენეთ მამულისა და მამულიშვილის ურთიერთობის მაგალითები ლიტერატურიდან, ისტორიიდან;

• იმსჯელეთ, დღეს როგორ დგას ეს საკითხი და როგორ გესმით თქვენი, როგორც მოქალაქის, ვალდებულება, ემსახუროთ სამშობლოს.



ბანა, ტაო, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

შემოქმედებითი სახელოსნო

ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან აირჩიეთ ერთ-ერთი და შეასრულეთ:

1. გაბრიელი ესაუბრება აშოტ კურაპალატს

როგორც იცით, აშოტ კურაპალატმა გაბრიელ დაფანჩულისგან შეიტყო გრიგოლ ხანძთელის შესახებ. წარმოიდგინეთ მათი საუბარი და დაწერეთ მცირე ზომის ტექსტი, როგორ დაახასიათებდა გაბრიელი მამა გრიგოლს და შეაფასებდა მის მოღვაწეობას.

2. აშოტ კურაპალატის წერილი

როგორც იცით, აშოტ კურაპალატმა გაუგზავნა მამა გრიგოლს წერილი, რომელშიც სთხოვდა, რომ სწვეოდა მას. მოირგეთ მეფის როლი და მისწერეთ წერილი წმინდა გრიგოლს. დავალების შესრულება რომ არ გაგიჭირდეთ, გაითვალისწინეთ პირადი წერილის ძირითადი ელემენტები: მიმართვა, მისალმება, შესავალი (რომელშიც მოკლედ იტყვით, რატომ წერთ), ძირითადი ნაწილი, გამომშვიდობება, ხელმოწერა.

7. როგორც ხორციელად იზრდებოდა წმინდა კაცთა რიცხვი, ასევე სულიერადაც აღორძინდებოდა საძმო. ამ დროს მოვიდნენ მამა ეპიფანე და მღვდელი მატო ქართლიდან, ასევე დიდი ზენონი სამცხიდან. ეპიფანე და მატო ადრევე იყვნენ წმინდა გრიგოლის მეგობრები და მის გამო ჩამოვიდნენ ხანძთაში.

ზენონი იყო შვილი ერთი გამორჩეული და ცნობილი სამცხელი კაცისა. ღვთისმსახურებაში აღზრდილი, უფლის სიყვარულითა და შიშით სიწმინდით ცხოვრობდა, სურდა მონაზვნობა. როცა მისი მშობლები გარდაიცვალნენ, ქონება ზენონსა და მის დას დარჩათ, ზენონი კი ფიქრობდა, რომ ყველაფერი დისთვის დაეტოვებინა, თავად მონაზვნად აღკვეცილიყო უცხო მხარეში.

და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, დაჲ იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან და ღამე ყოველ წარვიდეს შავშეთს. ხოლო ზენონ ვითარცა ცნა, შეიჭურა საჭურველითა მარტოდ და ამჯედრდა ცხენსა და დევნა-უყო. და ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო, თქუა გულსა თჳსსა, ვითარმედ: „ვარ მე ჭაბუკ სახელოვან და, რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს, დაღაცათუ ვეწიო და მოვკლა, საბრჯე არს სულისა ჩემისაჲ, და უკუეთუ ცუდად უკუნვიქცე სახედ ჩემდა, სირცხჳლ არს ჩემდა, არამედ აღთქუმაჲ მონაზონებისაჲ აწ აღუსრულო უფალსა“.



და ვითარ ამას განიზრახჯდა - სანამ ამას ფიქრობდა.

ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცთუნა ვინმე უკეთურმან კაცმან - ეშმაკის ჩაგონებით ვიღაც უზნეო კაცმა შეაცდინა.

ღამე ყოველ - მთელი ღამის განმავლობაში.

წარვიდეს - წავიდნენ.

ვითარცა ცნა - როგორც კი გაიგო.

შეიჭურა საჭურველითა - შეიარაღდა.

დევნა-უყო - დაედევნა.

და ვითარ დიდი ქუეყანაჲ ვლო - კარგა დიდი მანძილი რომ გაიარა.

თქუა გულსა თჳსსა - გაიფიქრა.

რომელსა ვსდევ, ფრიად შეურაცხ არს - ვისაც მივდევ, ძალიან უღირსია.

საბრჯე არს სულისა ჩემისაჲ - საფრთხეა ჩემი სულისთვის.

უკუეთუ ცუდად უკუნვიქცე სახედ ჩემდა - თუ შინ დავბრუნდი გაწბილებული.


აღთქუმაჲ მონაზონებისაჲ აწ აღუსრულო უფალსა - ბერობის აღთქმა შევუსრულო უფალს.

და ახოვან იქმნა ნეტარი ესე, რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების.

> გადაიწერა პირჯვარი და დაადგა საღვთო გზას, მივიდა მერეში დედა ფებრონიასთან, რადგან იყო მისი ნათესავი. ღვთის ნებით, იქ დახვდა მამა გრიგოლი, რომელსაც დედა ფებრონიამ შეავედრა ზენონი, როგორც უმანკო კრავი - კეთილ მწყემსს და მან მოიყვანა ხანძთაში.

ესე ნეტარი ზენონ მიიწია მოხუცებულებასა და ვიდრე აღსასრულადმდე არა განეშორა ხანძთასა ჭეშმარიტად სულიერი შვილი, მსგავსი მამისაჲ, კეთილი მოწაფჱ, ნაცვალი მოძღურისაჲ, ნეტარი, სათნოებათა საუნჯჱ, კლარჯეთისა უდაბნოთა ზღუდჱ, სულთა უკეთურთა მაოტებელი.

ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა მის კეთილისა მჴეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი მცირედნი იგი ცხოვარნი ქრისტჱსნი განბნეულ იყვნეს თითოჲ, ანუ თუ ორ-ორი, სივრცესა მას უდაბნოთასა, ხოლო მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა ცხოვარნი იგი განმჴნდეს და მჴეცნი იგი ეშმაკნი განიოტნეს და ყოველი წესი საღმრთოჲ განემართა.



ხელნაწერის ფრაგმენტი, XII-XIII საუკუნეების ჰაგიოგრაფიული კრებული. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ახოვან იქმნა - გამხნევდა.
რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსების - რადგან ქონების დათმობა სისხლის დაღვრას ჰგავს.
მიიწია მოხუცებულებასა - დაბერდა.
ვიდრე აღსასრულადმდე არა განეშორა ხანძთასა - სიცოცხლის ბოლომდე ხანძთიდან არსად წასულა.
ნაცვალი მოძღურისაჲ - მოძღვრის (გრიგოლის) მოადგილე.
ზღუდჱ - აქ: მცველი.
მაოტებელი - განმდევნელი.
ვიდრე მოსლვადმდე გრიგოლ მწყემსისა - გრიგოლ წინამძღვრის მოსვლამდე.
მჴეცთაგან უხილავთა ლტოლვილნი - ეშმაკეული ძალისგან დევნილნი.
განბნეულ იყვნეს - გაბნეულნი იყვნენ.
მოსლვასა წმიდისა გრიგოლისსა - გრიგოლი რომ მოვიდა.
ცხოვარნი იგი - აქ: ბერები.
განმჴნდეს - გამხნევდნენ.
განიოტნეს - განდევნეს.
განემართა - გასწორდა, გაიმართა.

დააკვირდით

• დის ამბის გაგებისას ზენონი ცხარობს, მაგრამ მალევე იკავებს თავს და ინარჩუნებს ფხიზელი ანალიზის უნარს;
• გიორგი მერჩულე ქონების დატოვებას ზენონის განსაკუთრებულ დამსახურებად მიიჩნევს, რითაც ეყრდნობა ლუკა მახარებლისეულ სწავლებას: „სადაცა არს საუნჯე თქუენი, მუნცა (იქ) იყოს გული თქუენი“ (ლ. 12, 34). ზენონმა კი შეძლო უზარმაზარი ქონების დაუნანებლად მიტოვება;
• ჰაგიოგრაფი მამა გრიგოლს კეთილ მწყემსს უწოდებს, ზენონს კი - უმანკო კრავს. „მწყემსი კეთილი“ და ცხვარი, როგორც მოძღვრისა და მოსწავლის მეტაფორები, „შუშანიკის წამებაშიც“ გვხვდება. მწყემსს მინდობილი ცხვარი დაცულია ეშმაკისგან და სწორად ცხოვრობს. ამით მერჩულე მიანიშნებს მკითხველს, რომ ზენონის მონაზვნური ცხოვრების გზა პირველი დღიდანვე მამა გრიგოლის მეთვალყურეობითა და რჩევებით წარიმართა. ამიტომაც კეთილი მოწაფე მოძღვრის მსგავსი გახდა.

კითხვები და დავალებები

1. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ მონაზონს სამი რამ ამშვენებს: უცხო მხარეში ყოფნა, სიგლახაკე (სიღარიბე, უქონლობა) და დუმილით მოთმინება. თქვენი აზრით, ზენონმა შეასრულა თუ არა ეს მოთხოვნები (სათქმელი დაასაბუთეთ)?
2. იმსჯელეთ ზენონის პიროვნებაზე. შეაფასეთ იგი, როგორც - ძმა, როგორც - შვილი, როგორც - დიდი ქონების პატრონი (სათქმელი დაასაბუთეთ);
3. თქვენი აზრით, როგორი ადამიანი შეიძლება მივიჩნიოთ „სათნოებათა საუნჯედ“? წარსულსა და დღევანდელ ღირებულებებს შორის არის თუ არა განსხვავება (სათქმელი დაასაბუთეთ)?
4. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, გიორგი მერჩულის თქმით, როგორ შეიცვალა ტაოკლარჯეთი მას შემდეგ, რაც იქ მამა გრიგოლმა დაიწყო მოღვაწეობა.

წერითი დავალება

დაწერეთ ანალიტიკური ესე - საკუთარი თავის ძლევა ყველაზე დიდი გამარჯვებაა
დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:
• მოკლედ გადმოეცით ეპიზოდში აღწერილი ამბავი;
• იმსჯელეთ ზენონის შინაგან კონფლიქტზე, იმაზე, თუ რამდენად რთულია პატივმოყვარეობასა და შურისძიებაზე უარის თქმა. როგორი ადამიანები ახერხებენ ამას?
• აღნიშნეთ, რომელი ფრაზით გამოხატა ავტორმა თავისი დამოკიდებულება ზენონის მიმართ და იმსჯელეთ მასზე;
• შეგიძლიათ მოიხმოთ პარალელი რომელიმე ლიტერატურული ტექსტიდან ან ისტორიიდან;
• ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და იმსჯელეთ, რატომ არ კარგავს ეს თემა აქტუალურობას.

დისკუსია

გამართეთ დისკუსია თემაზე - ხანდახან ერთი გადაწყვეტილება ადამიანის მომავალს განსაზღვრავს

• გაიხსენეთ, ზენონმა შური არ იძია და ამით საკუთარ თავზე გაიმარჯვა, რამაც მთლიანად შეცვალა მისი შემდგომი ცხოვრება;

• იმსჯელეთ, თქვენი აზრით, დამოკიდებულია თუ არა მიღებულ გადაწყვეტილებებზე პიროვნების მომავალი;

• თქვენი მსჯელობის დასასაბუთებლად მოიხმეთ მაგალითები ლიტერატურიდან, კინოფილმებიდან, ისტორიიდან, თანამედროვე ცხოვრებიდან...

შეგიძლიათ იმუშაოთ როგორც ინდივიდუალურად, ასევე - ჯგუფურად.

ლიტერატურული სახელოსნო

აირჩიეთ ქვემოთ ჩამოთვლილი ვარიანტებიდან ერთ-ერთი, მოირგეთ მწერლის როლი და დაწერეთ მცირე ზომის მხატვრული ტექსტი:

1. ზენონის დის ნაამბობი (შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორ გაიცნო „უკეთური“ კაცი; რა ურთიერთობა ჰქონდა ძმასთან; რას ფიქრობდა შავშეთის გზაზე მიმავალი; როგორ შეაფასებდა ძმის გადაწყვეტილებას);

2. ზენონის ერთ-ერთი მსახურის ნაამბობი (რა აზრის არის ზენონზე, მის დაზე, მათ ურთიერთობაზე; იცოდა თუ არა გოგონას სიყვარულის ამბავი; როგორ აფასებს მის გაპარვას; რას ელის ზენონისგან და როგორ აფასებს ამბის დასასრულს);

3. ზენონმა შური იძია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები ამის შემდეგ;

დავალების შესასრულებლად:

• მოიფიქრეთ ისეთი ამბავი, რომელიც, თქვენი აზრით, საუკეთესოდ გამოხატავს თქვენს სათქმელს. გაითვალისწინეთ არჩეული პერსონაჟის განწყობა, მისი ემოციები, დამოკიდებულება შექმნილ სიტუაციასთან;

• შეგიძლიათ გამოიყენოთ დიალოგი, მონოლოგი. ასევე აღწეროთ პეიზაჟი, პორტრეტი, მოქმედების სცენა;

• დაიცავით აზრობრივი შესაბამისობა ტექსტის ნაწილებს შორის;

• გამოიყენეთ მხატვრული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელი ენა და სტილი.

8. ხოლო მამაჲ გრიგოლ გულს-ეტყოდა, ვითარმედ:

– წეს არს წესი საღმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიასა შინა ჩემსა დაწესებად ბრძენთაგან განუკითხველი.

ამის გამო განიზრახა წასვლა „ქრისტეს საჭურჭლეში“, კონსტანტინოპოლში, რომელსაც უწოდებენ მეორე იერუსალიმს. ასევე, სურდა საბერძნეთის ყველა წმინდა ადგილის ხილვა და მოლოცვა. სწორედ ამ დროს შეხვდა იერუსალიმში მიმავალი მეგობარი, რომელსაც მამა გრიგოლმა საბაწმინდის წესის გადმოწერა და ჩამოტანა სთხოვა. ხანძთელ ძმებს მეურვეები მიუჩინა, გამოემშვიდობა და სწრაფად დაბრუნება აღუთქვა.



იერუსალიმი, თანამედროვე ფოტო

თან წაიყვანა საბა, თავისი დეიდაშვილი, და კიდევ ერთი მოწაფე. გაემართა საბერძნეთისკენ, მივიდა კონსტანტინოპოლში და თაყვანი სცა „ძელსა ცხორებისასა“ (ჯვარს, რომელზედაც ქრისტე აცვეს), სხვა წმინდა ნაწილებს. რადგან მრავალი ენა იცოდა და ყოველმხრივ განსწავლული იყო, სიხარულით მოვლო ყველა წმინდა ადგილი და სალოცავი. ასე

გულს-ეტყოდა - ფიქრობდა.

წესი... საეკლესიოჲ - საეკლესიო წესდება.

ბრძენთაგან განუკითხველი - ბრძენთაგან დაუწუნარი.

კონსტანტინოპოლი - ბიზანტიის მაშინდელი დედაქალაქი, ამჟამად - სტამბოლი (თურქეთი), მდებარეობს მარმარილოს ზღვის უბეში, ევროპისა და აზიის შეხვედრის ადგილას.

საჭურჭლე - საგანძური.



სტამბოლი (ძველი კონსტანტინოპოლი)

აივსო გული ახალ აღთქმასთან დაკავშირებული სიწმინდეების მოლოცვით და მადლით სავსე, განმხიარულებული წამოვიდა თავისი სამყოფელისკენ.

ტაოში მოსულებმა იქაურებისგან შეიტყვეს, რომ აშოტ კურაპალატი მოეკლათ და მის ნაცვლად მისი შვილები ხელმწიფობდნენ. ღვთისმსახური მეფის სიკვდილმა ძალიან დაამწუხრა მამები, მწარე ცრემლი ღვარეს და ტირილით ილოცეს მიცვალებული მეფისთვის. ნეტარი გრიგოლი მადლობდა ღმერთს და გლოვით ამბობდა:

„ჱ, მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტეანეთაო, სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით ჴელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკჳრველი ეგე დიდებული, ღმრთისმსახური ჴელმწიფჱ!“

ამის შემდეგ ილოცეს აშოტის შვილებისთვის, დიდებული ხელმწიფეებისთვის, რათა უფალმა დაიცვას ისინი, იყვნენ დღეგრძელნი და კეთილი ღვთისმსახურებით იღვაწონ.

იშხნის მახლობლად როდესაც მოვიდნენ, ღმერთმა ნეტარ გრიგოლსა და ღირს საბას გამოუცხადა იშხნის თავდაპირველი დიდებულების შესახებ, რომ აქ იყო წმინდა ეკლესია და ეუწყათ წმინდა მამებს, რომ ტაძარს უწინდელი სახე უნდა დაჰბრუნებოდა და განახლებულიყო საბას ხელით.

რადგან იმჟამად ეს ადგილი კაცთაგან მიუვალი იყო, ეცნობათ მისასვლელი გზაც. როცა მივიდნენ იშხანში, ფრიად გაიხარეს ამ დიდებული ადგილის პოვნით. აქ იყო ყველაფერი სულისა და ხორცისთვის ნუგეშის საცემელი. საბას მაშინვე სურდა აქ დარჩენა, ნეტარმა გრიგოლმა კი უთხრა, რომ უკეთესი იქნებოდა, ჯერ ხანძთას მყოფი ძმები ენახათ და შემდეგ ღვთის ნებითა და სულიერი ძმების ლოცვით დაბრუნებულიყო ამ წმინდა ადგილას.

წამოვიდნენ კურაპალატის შვილებთან, ლოცვით ანუგეშეს მამის სიკვდილის გამო. აქედან გამოემართნენ ხანძთას, მოვიდნენ თავიანთ მონასტერში, მოაბრძანეს წმინდანთა ნაწილები, ხატები და სხვა სიწმინდეებიც. ნახეს ძმები ცოცხლები და განმხიარულებულნი საღვთო სიყვარულით, გაიხარეს, რადგან მაცხოვრის მადლმა კვლავ შეკრიბა ღვთის ნების მორჩილნი.

მცირე ხნის შემდეგ წმინდა გრიგოლმა საბა გაუშვა იშხანში და ორი მოწაფეც გააყოლა, თავად კი უფლის ნებისამებრ განაგებდა ხანძთის სულიერ ცხოვრებას.

მალე იერუსალიმიდან დაბრუნდა კაცი, რომელმაც მოართვა საბაწმინდის მონასტრის წეს-განგება.



პალესტინა, საბაწმინდის მონასტერი, V ს.

ზღუდეო ქრისტიანეთაო - ქრისტიანთა დამცველო.
სადაჲთ-მე მოგელოდი - საიდან მოგელოდე.
აღმოსავალით-მე - აღმოსავლეთიდან?
ჩრდილოჲთ-მე - ჩრდილოეთიდან?
ყოველთა ზედა ნათესავთა - ყოველ ხალხზე.
წყობით ჴელმწიფეთა დაიმორჩილებდ - ბრძოლით მეფეებს იმორჩილებდი.

ხოლო ნეტარმან გრიგოლ მას ჟამსა განაწესა წესი თჳსისა ეკლესიისაჲ და მონასტრისაჲ, სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინვებული და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასჱ დაულევნელთა კეთილთაჲ.

ხოლო ამ წესთა მათგანი სულიერთაჲ მცირედი რაჲმე გჳპყრიეს, ვითარმცა ზღჳსაგან წუეთი ერთი წყალი ვინმე აღმოიღო.

არამედ პირველთა მათ დღეთა ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისთა ფიცხელ იყო ფრიად კანონი მოწაფეთა მისთაჲ, რამეთუ სენაკთა მათთა შინა იყო მცირე სარეცელი და შეურაცხი საგებელი და თითოჲ სარწყული წყლისათჳს. ხოლო სხუაჲ ნუგეშინის-საცემელი ჴორცთაჲ არა აქუნდა საჭამადისაჲ და სასუმადისაჲ ყოლადვე, არამედ რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჭამიან, მით იყო ცხორებაჲ მათი. და მრავალნი მათგანნი არა სუმიდეს ღჳნოსა ყოლადვე. და რომელნიცა მიიღებდეს, მცირედ იჴუმევდეს. და სენაკებსა მათსა საკუამი არა აქუნდა, რამეთუ ცეცხლი არა აღეგზებოდა, და არცა ღამჱ სანთელი აღანთიან, არამედ ღამჱ იყო ფსალმუნებაჲ და დღისი წიგნის-კითხვაჲ და ლოცვაჲ მარადის, ვითარცა იტყვის დავით: „დღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამე - გალობაჲ მისი“.

განაწესა წესი - შემოიღო წესდება.
სიბრძნით განსაზღვრებული - ბრძნულად შედგენილი.
მეცნიერებით განბრწყინვებული - ცოდნით ნათელმოსილი.
ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული - ყველა წმინდა მონასტრიდან ამორჩეული.
საფასჱ დაულევნელთა კეთილთაჲ - მარადიული სიკეთის საუნჯე.
ამ წესთა მათგანი... მცირედ გჳპყრიეს - ამ წესებიდან მცირეოდენიღა შემოგვრჩა.
პირველთა მათ დღეთა - თავდაპირველად.
ფიცხელ იყო ფრიად კანონი - ძალიან მკაცრი იყო წესდება.
სარეცელი - საწოლი.
შეურაცხი საგებელი - ღარიბული ქვეშაგები.
სარწყული - წყლის ჭურჭელი.
ნუგეშინის-საცემელი ჴორცთაჲ არა აქუნდა საჭამადისაჲ და სასუმადისაჲ - სანოვაგე არაფერი ჰქონდათ, არც - საჭმელი, არც - სასმელი.
რომელი ტრაპეზსა ზედა ერთბამად ჭამიან - რასაც საერთო სუფრასთან შეჭამდნენ.
ყოლადვე - საერთოდ, სრულიად.
მიიღებდეს - აქ: დალევდა..
მცირედ იჴუმევდეს - ცოტას მოსვამდა.
საკუამი - საკვამური.
ცეცხლი არა აღეგზებოდა - ცეცხლი არ ინთებოდა.
ფსალმუნებაჲ - ფსალმუნების გალობა.
„დღისი ამცნო უფალმან წყალობაჲ მისი და ღამე გალობაჲ მისი“ - „დღისით გამოგზავნის უფალი თავის წყალობას და ღამით ვუგალობებ მას ჩემთან“ (ფსალმუნნი 41, 9).

დააკვირდით

• მამა გრიგოლი ცდილობს, მონასტრებს შეუქმნას საუკეთესო, დაუწუნებელი წეს-განგება, რომელსაც ბრძენი ადამიანებიც კი ვერ დაიწუნებენ;
• კონსტანტინოპოლს „ქრისტეს საჭურჭლეს“, ანუ განძთსაცავს უწოდებდნენ, რადგან ამ ქალაქში იყო თავმოყრილი ქრისტესთან დაკავშირებული მრავალი სიწმინდე;
• კონსტანტინოპოლის გარდა, მცხეთასაც მოიაზრებდნენ „მეორე იერუსალიმად“, რადგან მიიჩნევდნენ, რომ ასეთი სახელდებაც კი განწმენდდა და გააძლიერებდა ამ ქალაქებს. ამავე მიზეზით, ქრისტიანულ ქვეყნებში ხშირად გვხვდებოდა ადგილებისა თუ ტაძრების დასახელებებში ქრისტეს მოღვაწეობასთან დაკავშირებული სახელები: ბეთლემი, ბეთანია, სიონი, გეთსიმანია, გოლგოთა..;
• ჰაგიოგრაფი ხანძთის ძმობის დასახასიათებლად ამბობს: „ღვთის ნების მორჩილნი“, რაც სინერგიის გამოხატულებაა („სინერგია“ ადამიანის ნების უფლის ნებისთვის დამორჩილებაა);
• ცხოვრების წესს ძმობა ბიბლიურ წიგნებზე (ამ შემთხვევაში - „დავითნზე“) დაყრდნობით განსაზღვრავს, ასე იქცეოდნენ შუშანიკი და აბოც. ამით წარმოჩნდება, რომ ქრისტიანები ბიბლიურ სწავლებებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ.



ხანძთა, გუმბათის ყელი. კლარჯეთი, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

კითხვები და დავალებები

1. მამა გრიგოლის რა თვისებები წარმოჩნდა ამ ეპიზოდში (სათქმელი დაასაბუთეთ)?
2. იმსჯელეთ, მამა გრიგოლის დატირების მიხედვით, როგორი ხელმწიფე ყოფილა აშოტ კურაპალატი?
3. კიდევ რომელი მონასტერი აშენდა ჩვენება-გამოცხადებით? თქვენი აზრით, გიორგი მერჩულე რატომ ურთავს თხრობაში ამ ამბებს?
4. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, როგორი იყო წეს-განგება და ამ წესების შესაბამისად როგორ ცხოვრობდნენ ძმები; მათი ცხოვრების წესი შეაფასეთ ზეპირი კომენტარით.

წერითი დავალება

დაახასიათეთ წმინდა გრიგოლი, როგორც ორგანიზატორი და რეფორმატორი.
დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:
• წარმოაჩინეთ მისი თვისებები: სიბრძნე, ცოდნის წყურვილი, პასუხისმგებლობა. იმსჯელეთ კონსტანტინოპოლში წასვლის მიზანზე, წეს-განგების შექმნის მნიშვნელობაზე, მოწაფეებთან დამოკიდებულებაზე;
• გააანალიზეთ, როგორ გარდაქმნის წმინდა გრიგოლი „ქაოსს წესრიგად“;
• ყურადღება მიაქციეთ სიმბოლოებს: „მწყემსი“, „ცხოვარნი ქრისტჱსნი“, „მჴეცნი იგი ეშმაკნი“, „უდაბნო“;
• იმსჯელეთ, როგორ აღადგენს მამა გრიგოლი სულიერ ერთობას, საეკლესიო წესრიგს;
• შეაჯამეთ საკითხი და აღნიშნეთ, რა როლი აქვს ლიდერს თანამედროვე საზოგადოებაში.
• აღნიშნეთ, რა როლი აქვს რეფორმატორს თანამედროვე საზოგადოებაში.

ლიტერატურული სახელოსნო

საინფორმაციო ბროშურის მომზადება: აშოტ კურაპალატი
მოიძიეთ ინფორმაცია აშოტ კურაპალატის შესახებ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ისტორიის სახელმძღვანელოები, ვებგვერდები, დოკუმენტური ფილმები.
(იხ. QR კოდი გვ. 238).

შექმენით ოთხგვერდიანი ბროშურა აშოტ კურაპალატის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.
ბროშურაზე მუშაობისას გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანია შემდეგი თანმიმდევრობის დაცვა:

პირველ გვერდზე უნდა განთავსდეს:
• სათაური (მაგალითად, აშოტ კურაპალატი - პირველი ბაგრატიონი მეფე);
• სურათი (პორტრეტი ან ეპოქის ილუსტრაცია);
• თქვენი სახელი/კლასი.

მეორე-მესამე გვერდები (ძირითადი ნაწილი):
• ვინ იყო აშოტ კურაპალატი?
• მისი წარმომავლობა და სტატუსი;
• რა დამსახურება მიუძღვის ქვეყნის წინაშე?
• კავშირი ეკლესიასა და კულტურასთან;
• მოწამებრივი აღსასრული.

მეოთხე გვერდი - მეფის მოღვაწეობის მნიშვნელობა და შეფასება:
• რატომ არის მნიშვნელოვანი დღესაც აშოტ ბაგრატიონის ღვაწლის გააზრება?
• რას გასწავლით მისი ცხოვრება?
• რამდენიმე წინადადებით გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება მის მიმართ.
გაითვალისწინეთ, რომ მნიშვნელოვანია ბროშურის დიზაინი!

• გამოიყენეთ სათაურები და ქვესათაურები;
• ტექსტი უნდა იყოს ლაკონიური და თანმიმდევრული;
• დაამატეთ სურათები, შეგიძლიათ თავად დახატოთ, ზომიერად გამოიყენეთ განსხვავებული ფერები.
აუცილებელი პირობა - ბროშურა უნდა იყოს ხელნაწერი.

თვალსაზრისი

დებატები

იმსჯელეთ თემაზე - ცხოვრების მკაცრი პირობები ადამიანს პიროვნულად ზრდის თუ მის შესაძლებლობებს ზღუდავს?

გაიყავით ორ ჯგუფად. ერთმა ჯგუფმა დაიცვას მოსაზრება - ცხოვრების მკაცრი პირობები ადამიანს პიროვნულად ზრდის, მეორემ - ცხოვრების მკაცრი პირობები ადამიანის შესაძლებლობებს ზღუდავს.

მოსაზრებების დასასაბუთებლად გამოიყენეთ მოცემული ეპიზოდი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“; მოიხმეთ პარალელები ლიტერატურიდან, კინოფილმებიდან, ისტორიიდან, რეალური ცხოვრებიდან.



ტაძრის ნანგრევი არტანუჯში (კლარჯეთი, ახლანდელი თურქეთის ტერიტორია), სადაც აშოტის სავარაუდო საფლავი აღმოაჩინეს.

9. ხოლო პირველითგან მოყუასთა მათ კეთილთა ნეტარისა გრიგოლისთა, თეოდორეს და ქრისტეფორეს, აქუნდა გულსა მათსა საღმრთოჲ შური მონასტრისა შენებისაჲ და არა გამოუცხადეს მამასა გრიგოლს განზრახვაჲ მათი, არამედ ფარულად წარვიდეს აფხაზეთს და თანა ძმანიცა ვინმე წარჰყვეს.

სამცხეში როდესაც მივიდნენ, ღმრთის ბრძანებით დაიმოწაფეს დიდი მირეან აზნაურის ძე, არსენი, რომელსაც შემდგომში ეწოდა დიდი არსენი, ქართლის კათალიკოსი და მცხეთის საყდრის (ეკლესიის) დაუჭკნობელი გვირგვინი. მაშინ იგი ექვსი წლის ყრმა იყო და მამამისის სახლში იზრდებოდა. ამ ღვთის კაცებმა, მირეანის სურვილისამებრ, ბავშვი მოწესედ შემოსეს (ბერის სამოსი ჩააცვეს) და მირეანს შეჰპირდნენ, რომ გრიგოლ ხანძთელს დაუმოწაფებდნენ.

ძმები აფხაზეთში წავიდნენ. აფხაზთა მეფე დემეტრემ მათ დიდი პატივი სცა და კარგ ადგილას დაამკვიდრა.

ნეტარმა გრიგოლმა როდესაც შეიტყო თეოდორესა და ქრისტეფორეს წასვლის ამბავი, ძალიან დამწუხრდა, თან წაიყვანა ოთხი ძმა და რჩეული კრავების საძებნელად გაეშურა კეთილი მწყემსი. ქართლში ძმათა ძიებისას შეხვდა ღმრთის ღირს ყრმა ეფრემს, დაიმოწაფა და შეჰპირდა, რომ აფხაზეთიდან მობრუნებული თან წაიყვანდა ხანძთაში.

თვითონ აფხაზეთში წავიდა.

მამა გრიგოლი ხელმწიფესთან რომ მივიდა, იგი წამოდგა, შემოეგება და თავმდაბლად მოიკითხა, გაოცდა მისი სიწმინდის მადლითა და დიდებული სახით.

წმინდანმა ხანგრძლივად ილოცა, მეფე დალოცა და აკურთხა.

და ნეტარმან გრიგოლ ჰრქუა:

– მეფეო ღმრთისმსახურო და დიდებულო, მოწევნულ არიან წმიდანი მამანი, ძმანი ჩემნი, წინაშე შენსა და აწ არიან სამეუფოსა ამას და მათთჳს არს მოსლვაჲ ჩემი აქა, არამედ ბრძანენ ჴელმწიფებამან შენმან და მოვიდენ იგინი ჩუენდა.

ხოლო მეფესა დაუმძიმდა ძიებაჲ მათი და ჰრქუა:

– არა მოსრულ არიან აქა ეგევითარნი მონაზონნი, რომელთასაცა ბრძანებს სიწმიდე შენი.

მაშინ ნეტარი მამაჲ გრიგოლ სიტყუასა ზედა მეფისასა განრისხნა და ჰრქუა:

– მეფეო, ნუ შრომასა შემამთხუევ, მომცენ ძმანი ჩემნი, რომელნიცა მოიწინეს შენდა.

და ვითარ ღონჱ სიტყჳსაჲ არღარა აქუნდა მეფესა მართლმხილებისაგან მის წმიდისა, უბრძანა მოყვანებაჲ ძმათაჲ მათ.

და ვითარ იხილეს მამაჲ გრიგოლ, შეუვრდეს ცრემლით. ხოლო წმიდამან მან აღადგინნა და შეიტკბნა სიყუარულით და ჰმადლობდა ქრისტესა პოვნისა მათისათჳს.

და მეფემან მან ჰრქუა ნეტარსა გრიგოლს:

– წმიდაო მამაო, აჰა, იქმნა წადიერებაჲ ნებისა შენისაჲ, არამედ უფალმან ყავნ ნებაჲცა გულისა ჩემისაჲ, რამეთუ მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შენებაჲ. აწ ბრძანე და მოვიხილნეთ მრავალნი ადგილნი აფხაზეთისანი და, სადაცა სიწმიდემან შენმან ინებოს, მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი.

პირველითგან მოყუასთა - ძველ მეგობრებს.

აქუნდა გულსა მათსა საღმრთოჲ შური მონასტრისა შენებისაჲ - გულში ჰქონდათ მონასტრის აშენების საღვთო სურვილი, მიბაძვა სურდათ (მამა გრიგოლისთვის).

არა გამოუცხადეს - არ გაუმხილეს.

წარჰყვეს - წაჰყვნენ.

მოწევნულ არიან... წინაშე შენსა - შენთან არიან მოსული.

მათთჳს არს მოსლვაჲ ჩემი აქა - აქ მათი გულისთვის მოვედი.

ბრძანენ... და მოვიდენ იგინი ჩუენდა - ბრძანე და მოვიდნენ ისინი ჩვენთან.

დაუმძიმდა ძიებაჲ მათი - გაუჭირდა მათი გამოჩენა.

არა მოსრულ არიან აქა ეგევითარნი მონაზონნი - ასეთი ბერები აქ არ მოსულან.

სიტყუასა ზედა მეფისასა განრისხნა - მეფის სიტყვაზე განრისხდა.

ნუ შრომასა შემამთხუევ - საქმეს ნუ გამირთულებ.

მომცენ ძმანი ჩემნი - დამიბრუნე ჩემი ძმები.

მოიწინეს - მოვიდნენ.

ღონჱ სიტყვისაჲ არღარა აქუნდა - პასუხის გაცემა აღარ შეეძლო.

მართლმხილებისაგან - სამართლიანი მხილებისაგან.

უბრძანა მოყვანებაჲ - უბრძანა მოეყვანათ.

შეუვრდეს - ფეხებში ჩაუვარდნენ.

აღადგინნა და შეიტკბნა სიყუარულით - ფეხზე წამოაყენა და გულში ჩაიკრა.

იქმნა წადიერებაჲ ნებისა შენისაჲ - აღსრულდა შენი ნება.

უფალმან ყავნ ნებაჲცა გულისა ჩემისაჲ - ჩემი სურვილის შესრულებაც უფალმა ინებოს.

მაქუს სულსა ჩემსა მონასტრისა ახლად შენებაჲ - სულით მწადია მონასტრის აშენება.

ბრძანე - ინებე.

მონასტრად აღვაშენოთ ადგილი იგი - იმ ადგილას მონასტერი ავაშენოთ.



ჩუქურთმა ტბეთიდან,
შავშეთი, X ს.

და მოვლნეს ქუეყანანი, საგონებელნი სამონასტრედ, და არა სთნდეს წმიდასა მას.

და ჰრქუა მეფესა მას:

– არა არს მიწაჲ, არცა წყალი ქუეყანასა ამას, სადამცა მონასტერი აღეშენა, რამეთუ ტალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ არს, და ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა.

და შეწუხნა ფრიად მეფჱ იგი ამის მიზეზისათჳს და ჰრქუა მათ:

– არა სამართალ არს კეთილთა თქუენთაგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ.

მაშინ მამამან გრიგოლ, სარწმუნოებისაებრ მეფისა, აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი მისი უბჱ, და ილარიონ ვინმე იერუსალჱმით მოსრული, სარწმუნოჲ მოხუცებული, დაადგინა მამასახლისად, რამეთუ ხანძთით წარყოლილ იყო იგი თეოდორეს და ქრისტეფორეს თანა და აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი. და მამამანცა გრიგოლ თჳსნი წიგნნი, რომელ აქუნდეს, და-ვე-უტევნა მონასტერსა მას.

სიხარულით აღვსილმა ხელმწიფემ კი მონასტრის ასაშენებლად დიდი შესაწირავი გაიღო

წამოსვლისას მეფე დემეტრემ მამა გრიგოლს გამოჰკითხა კლარჯეთის გარემო პირობებისა და მონასტრების შესახებ. მამა გრიგოლმა უთხრა:

– ღმრთისმსახურო მეფეო, დაღაცათუ ფრიად განვამრავლო სიტყუაჲ, ვერვე მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად შენდა, არამედ ვთქუა მრავლისაგან მცირედი, ესრჱთ: რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა, რამეთუ არცა ფრიადი სიცხჱ შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა – უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზუარჱ. ხოლო წყალი კეთილი და შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქჳშათა მათ შინა, ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ.

საგონებელნი სამონასტრედ - მონასტრისთვის გამოსადეგი.



არა სთნდეს - არ მოეწონა.

სადამცა მონასტერი აღეშენა - სადაც მონასტერი აშენდებოდა.

ტალანტი მონაზონისაჲ მარხვაჲ არს - ბერმონაზვნობის მაძღლი მარხვაა.

ამას მიწასა ზედა ვერ ეგების მარხვაჲ - ამ მიწაზე მარხვა შეუძლებელია.

სულისაგან ხორშაკისა მაკუდინებელისა - ცხელი, მომაკვდინებელი ქარის გამო.

შეწუხნა ფრიად მეფჱ იგი - ძალიან შეწუხდა მეფე.

არა სამართალ არს... თქუენთაგან უნაწილობაჲ ამის ქუეყანისაჲ - უსამართლობა იქნება, წილი რომ არ დაიდოთ ამ კუთხის აღმშენებლობაში.



უბისა, იმერეთი, IX ს.

სარწმუნოებისაებრ მეფისა - მეფის დაჟინებული თხოვნით.
უწოდა სახელი მისი უბჱ - უწოდა სახელად უბე.
უბჱ (უბისა) - სამონასტრო კომპლექსი ზემო იმერეთში, სოფელ უბისასთან, მდინარე ძირულას ხეობაში, ზესტაფონიდან 15 კილომეტრის დაშორებით.
სარწმუნოჲ - სანდო.
კეთილნი წიგნნი - წმინდა წიგნები.
და-ვე-უტევნა - დაუტოვა.
დაღაცათუ ფრიად განვამრავლო სიტყუაჲ - თუნდაც ძალიან ბევრი ვილაპარაკო.
ვერვე მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად - ჩემი გონება ვერ შეძლებს გადმოგცეთ იმ უდაბნოთა სიკეთე.
ბუნებით ერთგუამ არს - ბუნებით ერთგვაროვანია.
კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა - მზისა და ჰაერის კარგი შეზავებაა.
არცა ფრიადი სიცხჱ შესწუავს - არც ძლიერი სიცხე წვავს.
არცა გარდარეული სიცივე შეაურვებს - არც მეტისმეტი სიცივე შეაწუხებს.
არამედ განწესებით დგას თჳსსა საზღვარსა - მყარად დგას თავის ნორმაზე.
უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზუარჱ - მშრალი, ზომიერი კლიმატის მქონე, უტალახო, მზიანი.
წყალი კეთილი - კარგი წყალი.
შეშაჲ ნებისაებრ უნაკლულოდ - ხე-ტყე რამდენიც გინდა.
ქჳშათა მათ შინა - ქვიშნარზე.
ურიცხჳ მაღნარი და სიმრავლჱ წყალთაჲ ჰამოთაჲ - უამრავი ტევრი და სასიამოვნო წყაროები.

მონასტრები უგზო და მიუვალ ადგილებში, სოფლებიდან მოშორებით მაღალ მთებზეა აშენებული, თანაც დაცულია - ერთი მხრიდან მთები აკრავს, მეორე მხრიდან - შავშეთის წყლები.

მონასტრებს არა აქვს სათიბი მიწები, არც - სახნავი ყანები, ბერებს დიდი წვალებით ააქვთ როჭიკი ვირების ზურგით. მცირე ვენახები და ბაღები დიდი გაჭირვებით გაუშენებიათ, მხალი კი ურიცხვი მოდის. ამ ყველაფერთან ერთად, გული არ უშინდებათ არაქრისტიანთა თავდასხმის მოლოდინით, მშვიდობიანად, მყუდროდ არიან და ღმერთს ადიდებენ.

მისცა ღმერთმან ჴელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად საყდართა საეპისკოპოსოთა და ქალაქთა სოფლებითურთ და ყოველსა ერსა ზედა მთავარ ყვნა, ხოლო სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან, ვინაჲთგან მოჰრიდეს საშუებელთა საწუთროჲსათა ნებსით.

მეფმან სიყუარული დაამტკიცნა გულსა მისსა უდაბნოთა მიმართ კლარჯეთისასა და ესრჱთ მშჳდობაჲ დაუტევეს ჴელმწიფესა მას და წარმოვიდეს აფხაზეთით.



როჭიკი - საზრდო, საკვები, რომელსაც მოსახლეობა სწირავდა ეკლესიას.
მისცა ღმერთმან ჴელმწიფებაჲ მორწმუნეთა მეფეთა აღშენებად - ღმერთმა მორწმუნე მეფეებს მისცა მშენებლობის უფლება.
ყოველსა ერსა ზედა მთავარ ყვნა - ყველა ხალხის მეთაურად დაადგინა.
სარწმუნონი და ჭეშმარიტნი მონაზონნი - სანდო და მართალი ბერები.
ქუეყანასა ზედა არა ვისსა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან - ამ ქვეყნად არავის ემორჩილებიან.
მოჰრიდეს საშუებელთა საწუთროჲსათა ნებსით - ნებით გაერიდნენ წუთისოფლის სიამეებს.
მეფემან სიყუარული დაამტკიცნა გულსა მისსა უდაბნოთა მიმართ კლარჯეთისასა - მეფეს გულით შეუყვარდა კლარჯეთის უდაბნოები.
მშვიდობაჲ დაუტევეს - დაემშვიდობნენ.
წარმოვიდეს აფხაზეთით - წამოვიდნენ აფხაზეთიდან.



დააკვირდით

• თეოდორე და ქრისტეფორე იპარებიან მონასტრის ასაშენებლად, მამა გრიგოლს არ სთხოვენ გზის დალოცვას, რაც მიგვანიშნებს, რომ ისინი შეცდომას უშვებენ და ჯერ სათანადოდ მომზადებულნი არ არიან დამოუკიდებლად მოღვაწეობისთვის. შესაძლოა, მამა გრიგოლი ამიტომ არ ტოვებს რომელიმე მათგანს უბისის მონასტრის წინამძღვრად;

• ამ ეპიზოდში ვეცნობით საქართველოს ეკლესიის ორ გამორჩეულ მოღვაწეს: არსენ საფარელსა და ეფრემ მაწყვერელს, რომლებიც ბავშვობიდანვე აღიზარდნენ ხანძთაში;

• მამა გრიგოლი გარეგნულადაც გამორჩეული იყო, დემეტრე ხელმწიფე გაოცდა მისი სიწმინდის მადლითა და დიდებული სახით;

• საერო პირი, თვით ხელმწიფეც კი, დამოუკიდებლად, სასულიერო პირთან შეთანხმებისა და სამონასტრო ტერიტორიის მის მიერ არჩევის გარეშე, არ აშენებს მონასტერს, რითაც წარმოჩნდება საერო პირთა მხრიდან სასულიერო წოდების პატივისცემა.



ტბეთი, შავშეთი, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

კითხვები და დავალებები

1. გიორგი მერჩულე წერს: „რჩეული კრავების საძებნელად გაეშურა კეთილი მწყემსი“. ახსენით ეს მხატვრული სახე და გაიხსენეთ, თქვენ მიერ შესწავლილ სხვა რომელ ნაწარმოებში და ამავე ნაწარმოების რომელ ეპიზოდში შეგვხვდა ეს მხატვრული სახე? იმსჯელეთ ამ მაგალითების მოშველიებით;
2. თქვენი აზრით, რატომ მალავდა ხელმწიფე თეოდორესა და ქრისტეფორეს (სათქმელი დაასაბუთეთ)?
3. რატომ იწუნებს მამა გრიგოლი სამონასტრო ადგილებს აფხაზეთში და ბოლოს რატომ იღებს უბისის აშენების გადაწყვეტილებას?
4. კლარჯეთის გარემო პირობების მამა გრიგოლისეული აღწერიდან ჩამოთვალეთ ის არსებითი ნიშნები, რომელთა გათვალისწინებითაც არჩევდნენ სამონასტრო ტერიტორიას (მოსაზრების დასასაბუთებლად დაიმოწმეთ ტექსტი);
5. მამა გრიგოლი რა არგუმენტის მოშველიებით ასაბუთებს, რომ სასულიერო პირი საერო ხელისუფლებას არ უნდა ემორჩილებოდეს?
6. იმსჯელეთ, მამა გრიგოლის რა თვისებები წარმოჩნდა ამ ეპიზოდის მიხედვით (მოსაზრება დაასაბუთეთ)?

წერითი დავალება

1. დაწერეთ ესე - თეოდორე და ქრისტეფორე
დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:
• ისაუბრეთ ამ პერსონაჟების ვინაობაზე;
• იმსჯელეთ, რა იყო თეოდორესა და ქრისტეფორეს აფხაზეთში წასვლის მიზანი;
• დაფიქრდით და გააანალიზეთ, თქვენი აზრით, რატომ წავიდნენ ხანძთიდან სულიერი ძმები მამა გრიგოლის დაუკითხავად;
• შეაფასეთ მათი ქცევა, იმსჯელეთ როგორც დადებით, ასევე - უარყოფით მხარეებზე;
• იმსჯელეთ, რა თვისებები გამოავლინეს მათ ამ ეპიზოდის მიხედვით.

2. დაწერეთ ანალიტიკური ესე - სად გადის ზღვარი მორჩილებასა და პირად ინიციატივას შორის?
იმსჯელეთ შემდეგი მითითებების მიხედვით:
• გააანალიზეთ თეოდორესა და ქრისტეფორეს აფხაზეთში წასვლის მოტივი: რა მიზანს ისახავენ ისინი? ფარულად რატომ მოქმედებენ?
• როგორ შეაფასებს მათ საქციელს გრიგოლი და მოქმედებს თუ არა იგი პრინციპულად?
• სულიერი შვილები გულწრფელად სთხოვენ შენდობას მოძღვარს თუ არა?
• მორჩილება ყოველთვის გულისხმობს თუ არა პირად ინიციატივაზე, საკუთარ მიზნებზე უარის თქმას?
• რას ასწავლის ეს ეპიზოდი თანამედროვე ადამიანს?
მსჯელობის დასასაბუთებლად მოიხმეთ მაგალითები ლიტერატურიდან, კინოფილმებიდან, ისტორიიდან, თანამედროვე ცხოვრებიდან, პირადი გამოცდილებიდან.

თვალსაზრისი

მოცემული ეპიზოდის მიხედვით, ზეპირად იმსჯელეთ საერო და სასულიერო პირების ურთიერთობაზე
იმისთვის, რომ მსჯელობა დამაჯერებელი იყოს, ყურადღება მიაქციეთ:
• როგორ ხვდება დემეტრე აფხაზთა მეფე მამა გრიგოლს;
• რატომ არ ამბობს მეფე თავიდან სიმართლეს;
• როგორ ახერხებს გრიგოლი მეფეზე გავლენის მოხდენას;
• რას აღნიშნავს მამა გრიგოლი მეფესთან საუბარში საერო და სასულიერო პირების ურთიერთობასთან დაკავშირებით.
თქვენი მოსაზრება ტექსტიდან არგუმენტების მოშველიებით დაასაბუთეთ.



პარხალი, ტაო, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

შემოქმედებითი სახელოსნო

ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი და შეასრულეთ:

ა) მოირგეთ გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთი მოწაფის როლი და წარმოიდგინეთ, რომ წერთ დღიურს, რომელშიც საუბრობთ ეპიზოდში გადმოცემულ ამბავზე.

• იხსენებთ, როგორ გაიგეთ ძმების გაპარვის შესახებ და როგორ ახსენით ეს გადაწყვეტილება;
• აფასებთ მამა გრიგოლის წასვლას მათ საძებნელად;
• აფასებთ მამა გრიგოლის გადაწყვეტილებას, ხანძთაში დაებრუნებინა თეოდორე და ქრისტეფორეს;
• მსჯელობთ, თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს სამივეს (წმინდა მამის, თეოდორესა და ქრისტეფორეს) ქცევის მოტივი.

ბ) წარმოიდგინეთ და დაწერეთ გრიგოლ ხანძთელისა და მეფის დიალოგი მონასტრის ადგილის შერჩევისას.

• დიალოგში წარმოაჩინეთ მეფის სურვილი;
• მოიშველიეთ გრიგოლ ხანძთელის არგუმენტები, რატომ არის კლარჯეთი უკეთესი ადგილი მონაზვნებისთვის, ვიდრე - აფხაზეთი; რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა სამონასტრო ადგილის შერჩევის დროს.

შეეცადეთ, დიალოგში ასახოთ პერსონაჟების ემოცია, ხასიათი, ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულება.

10. მას ჟამსა ბაგრატ კურაპალატმან ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა მოიღო კურაპალატობაჲ ნაცვლად აშოტ კურაპალატისა, მამისა თჳსისა, რამეთუ მიეცა მას ფლობაჲ ჴელმწიფებისაჲ ზეგარდამო. და ძმანი მისნი, ყოველნი კეთილნი და დიდებულნი ჴელმწიფენი, – ადარნერსე უხუცესი და გუარამ მრწემი, – მშუვალესა მას ძმასა მორჩილ ექმნნეს საღმრთოჲსა ძმობისა სიყუარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყვნეს იგინი.

ხოლო ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველითა და ყოვლითა ღმრთისმსახურებისა სისრულითა.

ნეტარი მამა გრიგოლი მივიდა დიდებულ ბაგრატთან და კურაპალატის წოდება მიულოცა. კეთილმსახურ მეფეს ძალიან მოეწონა მის მიერ წარმოთქმული, ბრძენთათვისაც შეუძლებელი, ქებისა და ხოტბის სიტყვები და უთხრა:

- წმინდა მამაო, ღმერთმა შეგამკო სიბრძნით. შენი მოღვაწეობით ჩვენი შუამდგომელი ხარ სიკვდილსა და მარადიულ სიცოცხლეს შორის.

წმინდანმა კი უპასუხა:

- კეთილმსახურო მეფეო, დამბადებლის მარჯვენა გიცავს და დაუღამებელი ნათელი ახლავს შენს მეფობას; ამ სანთლის ბრწყინვალებას მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ. მე გულმოდგინედ ვლოცულობ შენთვის. ახლა ამას გთხოვ: აშოტ კურაპალატმა სახნავი მიწები გვაჩუქა შატბერდში, თუ მიბრძანებ, ღმრთის სადიდებლად და შენი სულის საცხონებლად იქ მონასტერს ავაშენებ და ვიდრე ცა და ქვეყანა იარსებებს, მასში შენთვის ილოცებენ.

სიხარულით დაეთანხმა ბაგრატ კურაპალატი და ასაშენებლად ყველაფერი მისცა.

როდესაც მივიდა ნეტარი მამა გრიგოლი შატბერდში, ჯვარი გადასახა იმ ადგილს და შეუდგნენ ეკლესიისა და სენაკების შენებას. ღვთის შეწევნითა და წმინდა მამის ლოცვით შატბერდს სიმაღლე ყოველდღიურად ემატებოდა. როდესაც მშენებლობა დასრულდა, მამა გრიგოლმა ორივე მონასტერი გააერთიანა (ამის შემდეგ ხანძთის ძმობა ორივე მონასტერში იღვაწებდა).

იმ დროს ნეტარ გრიგოლს საბა იშხნელი გაახსენდა და მის შესახებ კურაპალატსაც უამბო. მეფე ამ ნაამბობის მოსმენამ გაახარა, სასწრაფოდ მისწერა წერილი საბას, ღირსეული ადამიანების ხელით გაუგზავნა და პატივით მოიხმო.

წარგზავნილები დაბრუნდნენ და კურაპალატს აუწყეს:



შატბერდი, კლარჯეთი, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

მას ჟამსა - იმ დროს.
მოიღო - მიიღო.
მიეცა მას ფლობაჲ ჴელმწიფებისაჲ ზეგარდმო - მეფობის უფლება ღვთისგან ებოძა.
უხუცესი - ასაკით უფროსი.
მრწემი - უმცროსი.
მშუვალე - შუათანა.
ერთზრახვა - თანამოაზრე.
ერთსულ - ერთსულოვანი.
ერთნება - ერთი მიზნისა და ერთი განზრახვის მქონენი.
უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა - მათზე ბრძენი იყო.
სიქველე - სიკეთე.

– არა ჰნებავს კაცსა მას ღმრთისასა მოსლვაჲ აქა.

მაშინ კურაპალატმან ჰრქუა ნეტარსა მამასა გრიგოლს:

– განუგებელად ვქმენ. რამეთუ წიგნი არა მიწერად-გეც. აწ, ვითარ წეს არს, მიუწერე!

ისევ დაწერა წერილი და მამა გრიგოლის წერილიც გაუგზავნა. საბა დაემორჩილა კურაპალატის მეორე ბრძანებას, უფრო მეტად კი - მამა გრიგოლის სურვილს და მათთან მივიდა.

კურაპალატი წინ მიეგება, პატივით მოიკითხა და როდესაც დასხდნენ, მეფემ ჰკითხა:

– ჯერ-არს ჴელმწიფეთა მორჩილებაჲ, რაჲსათჳს არა მოხუედ პირველსა წოდებასა, წმიდაო მამაო?

ხოლო მან ჰრქუა:

– დიდებულო მეფეო, შენ ქუეყანისა ჴელმწიფე ხარ, ხოლო ქრისტჱ ზეცისა და ქუეყანისა და ქუესკნელთაჲ. შენ ნათესავთა ამათ მეფე ხარ, ხოლო ქრისტჱ ყოველთა დაბადებულთაჲ. შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფჱ ხარ, ხოლო ქრისტჱ საუკუნოჲ მეუფჱ. და სრული ჰგიეს უცვალებელი, უჟამოჲ, დაუსაბამოჲ, დაუსრულებელი, მეუფჱ ანგელოზთა და კაცთაჲ. და უფროჲს შენსა ჯერ-არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ, რომელმანცა ბრძანა, ვითარმედ: „ვერვის ჴელ-ეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“, არამედ აწ სიტყჳთა ძმისა და მოძღურისა ჩემისა გრიგოლისითა მოვედ წინაშე შენსა.

ხოლო კურაპალატმან ჰრქუა:

– სამართალ არს სიტყუაჲ შენი, წმიდაო.

ამისა შემდგომად კურაპალატი მივიდა იშხანს და ნეტარნი იგი კაცნი მამაჲ გრიგოლ და მამაჲ საბა თანა. და ფრიად შეუყუარდა კურაპალატსა ადგილი იგი. ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა, რომელი წელიწადთა მრავალთა დაქურივებულ იყო. აწ კუალად იქმნა სულიერი ქორწილი და მეორედ აღეშენა ამის ნეტარისა მიერ, ხოლო ჴორციელად მოღუაწებითა ღმრთისმსახურთა მათ მეფეთაჲთა.

არა ჰნებავს - არ სურს.

განუგებელად ვქმენ - არასწორად მოვიქეცი.

რამეთუ წიგნი არა მიწერად-გეც - რადგან წერილი არ მიგაწერინე.

აწ ვითარ წეს არს, მიუწერე! - ახლა, როგორც წესია, მისწერე!

ჯერ-არს ჴელმწიფეთა მორჩილებაჲ - წესია მეფეთა მორჩილება.

რაჲსათჳს არა მოხუედ პირველსა წოდებასა? - რატომ არ მოხვედი პირველ მოწვევაზე?

შენ ქუეყანისა ჴელმწიფე ხარ - შენ ამქვეყნიური ჴელმწიფე ხარ.

ნათესავთა ამათ მეფე ხარ - ამ ხალხის მეფე ხარ.

შენ წარმავალთა ამათ ჟამთა მეფე ხარ, ხოლო ქრისტჱ საუკუნოჲ მეუფჱ - შენ წარმავალი დროის მეფე ხარ, ხოლო ქრისტე მარადიულობის მეუფეა.

და სრული ჰგიეს უცვალებელი - და არის სრულიად შეუცვლელი.

უჟამოჲ - დროზე აღმატებული, მარადიული.

დაუსაბამო - დასაწყისის არმქონე, მარადიული.

უფროჲს შენსა ჯერ-არს სმენაჲ სიტყუათა მისთაჲ - შენზე უფრო მეტად მისი სიტყვების მოსმენა გვმართებს.
„ვერვის ჴელ-ეწიფების მონებაჲ ორთა უფალთაჲ“ - „არავის ძალუძს (შეუძლია) ორი ბატონის მონობა“ (მათე 6, 24).
სამართალ არს სიტყუაჲ შენი - სიმართლეს ამბობ.
თანა - მასთან ერთად.
ფრიად შეუყუარდა - ძალიან მოეწონა.
წელიწადთა მრავალთა დაქურივებულ იყო - დიდხანს გაუქმებული იყო.
იქმნა სულიერი ქორწილი - ამოქმედდა, განახლდა წირვა-ლოცვა.
მეორედ აღეშენა - განახლდა.
ჴორციელად მოღუაწებითა... მათ მეფეთაჲთა - მეფეთა მატერიალური დახმარებით.



იშხანი, ტაო, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.



დააკვირდით

• ქართული წესის მიხედვით, მეფობა ეკუთვნოდა უფროს ძმას, ბერძნულით - უმცროსს, ბიზანტიამ კი კურაპალატად შუათანა ძმა აირჩია;
• ბაგრატი მიიჩნევს, რომ მისი მხრიდან დაუფიქრებელი საქციელი იყო საბას მხოლოდ თავისი ნებით მოწვევა მაშინ, როდესაც მამა გრიგოლიც იქ იმყოფებოდა; ამ დეტალით წარმოჩნდება, თუ როგორ უწევს ანგარიშს საერო ხელისუფლება სასულიერო პირებს;
• უფუნქციოდ, წირვა-ლოცვის გარეშე დარჩენილ, მიტოვებულ ტაძარს გიორგი მერჩულე „დაქვრივებულს“ უწოდებს, ხოლო წირვა-ლოცვის აღდგენას - „სულიერ ქორწილს“. იგი ეყრდნობა „ათი ქალწულის იგავიდან“ მომდინარე მოსაზრებას, რომ ღვთისა და დედამიწის, ასევე - ღვთისა და კაცის, ურთიერთობა გამოისახება, როგორც სულიერი ქორწილი (სიძე - უფალია, სასუფევლის დამამკვიდრებელი - რძალი). ჩვენ ამ საკითხზე უკვე ვისაუბრეთ, როცა აღვნიშნეთ, თუ რატომ მოიხსენიებს იაკობ ხუცესი შუშანიკს წმინდა რძლად.

კითხვები და დავალებები

1. როგორ ფიქრობთ, ბერძნებმა რატომ უბოძეს კურაპალატობა შუათანა ძმას? რა მიზანს ისახავდნენ?
2. ახსენით, როგორ გესმით ჰაგიოგრაფის ნათქვამი აშოტის შვილების შესახებ, რომ ისინი იყვნენ „ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება“;
3. გიორგი მერჩულის აზრით, ბაგრატი რა ნიშან-თვისებებით იყო ძმებზე უპირატესი?
4. ამოარჩიეთ ფრაზა, რომლითაც ყველაზე უკეთ წარმოჩნდება, როგორ აფასებს ბაგრატ კურაპალატი გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობას (მოსაზრება დაასაბუთეთ);
5. იმსჯელეთ, მამა გრიგოლისა და ბაგრატ მეფის დიალოგისას მათ შორის როგორი ურთიერთდამოკიდებულება წარმოჩნდება?
6. თქვენი სიტყვებით გადმოეცით იმ ფრაზების შინაარსი, რომლებითაც საბა ღმერთსა და მეფეს ერთმანეთს ადარებს;
7. იმსჯელეთ, ბაგრატ მეფისა და საბა იშხნელის რა თვისებები ჩანს მათი დიალოგის დროს (მოსაზრება დაასაბუთეთ)?

თვალსაზრისი

საბა იშხნელმა ბაგრატ კურაპალატის მოსაწვევ წერილს უარით უპასუხა და შემდეგ მასთან საუბარში აღნიშნა, რომ სასულიერო ფენის წარმომადგენლები საერო ხელისუფალთ არ ემორჩილებიან.

ზეპირად იმსჯელეთ საბა იშხნელის თვალსაზრისზე, მის დამოკიდებულებაზე ბაგრატ კურაპალატისა და გრიგოლ ხანძთელის მიმართ.

გამოკვეთეთ თქვენი პოზიცია, რამდენად ამართლებთ მის ქცევას. მსჯელობის დასასაბუთებლად მოიხმეთ არგუმენტები ტექსტიდან.



იშხანი, ტაო, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

წერითი დავალება

დაწერეთ ანალიტიკური ესე - ბაგრატ კურაპალატი - ბრძენი მმართველი

დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:

• იმსჯელეთ, როგორ მოიქცა ბაგრატ კურაპალატი, როცა საბა იშხნელმა უარი შემოუთვალა სასახლეში მისვლაზე. შეაფასეთ მეფის ქცევა;

• როგორ მიიღო ბაგრატმა საბას სიტყვები იმის შესახებ, რომ სასულიერო პირები საერო ხელისუფლებს არ ემორჩილებიან, რადგან ისინი დროებითი მმართველები არიან? შეაფასეთ მეფის ქცევა;

• თქვენი აზრით, ყველა მმართველი ისე მოიქცეოდა, როგორც ბაგრატ კურაპალატი მოიქცა? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ არგუმენტებით ტექსტიდან, სხვა ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, რეალური ცხოვრებიდან...

შემოქმედებითი სახელოსნო

მამა გრიგოლის წერილი

მას შემდეგ, რაც საბა იშხნელმა უარი განაცხადა, ბაგრატ კურაპალატს სწვეოდა სასახლეში, მეფემ მამა გრიგოლს სთხოვა, წერილი მიეწერა საბასთვის.

მოირგეთ გრიგოლ ხანძთელის როლი და წარმოიდგინეთ, რომ საბას სწერთ წერილს. თქვენ მიერ დაწერილ წერილში უნდა ჩანდეს გრიგოლ ხანძთელის დამოკიდებულება როგორც სულიერი ძმის ქცევის, ასევე ბაგრატ კურაპალატის (საერო ხელისუფლის) მიმართ.

11. ნეტარი მამა გრიგოლი პატივცემული იყო ღმრთისგან და იმ დროს მის სიტყვებს არავინ ეურჩებოდა, ხელმწიფენიც კი. ერთხელ, როდესაც ერთად იყვნენ მამები და ხელმწიფეები, მამა გრიგოლმა შესთავაზა მათ, რომ მის მიერ აშენებული და კლარჯეთში არსებული სხვა მონასტრებიც მოენახულებინათ.

მოილოცეს რამდენიმე მონასტერი და ბოლოს მივიდნენ ხანძთაში. ხელმწიფეებს გაუკვირდათ აქაური ბერების ცხოვრების წესი და ისინი ზეცის ანგელოზებად მიიჩნიეს. ამ დროს ხანძთაში სხვა მონასტრების წინამძღვრებიც მივიდნენ. ხელმწიფეებმა ბერები უხორცოებს (უსხეულო არსებებს, ანგელოზებს) მიამსგავსეს და უთხრეს:

– წმიდანო მამანო, ვინაჲთგან გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ, არამედ ვჰგონებთ, ვითარმედ ზეცას წმიდათა ბანაკსა დამკჳდრებულ ვართ.

ამისა შემდეგ ეპისკოპოსმა და წმინდა მამებმა მამა გრიგოლი კლარჯეთის მონასტერთა არქიმანდრიტად დაადგინეს და ამის შესახებ ხელმწიფეებსაც მოახსენეს.

და მრავალთა წელიწადთა ვიდრე გარდაცვალებამდე განაგებდა წმიდათა მათ მამათა წესსა კეთილად.



ხანძთა, კლარჯეთი, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

12. რაჟამს-იგი განდიდნა სახელი ნეტარისა მამისა გრიგოლისი და მიიწია ქართლად, და ესმა სანატრელსა დედასა მისსა დიდებულებაჲ ძისა თჳსისაჲ, რამეთუ იყო იგი ცოცხალ და მიწევნულ მოხუცებულებასა. მას ჟამსა განმხიარულდა სულითა და განძლიერდა ჯორცითა და მადლი შეწირა ქრისტჱსა, რამეთუ იგი ხოლო მარტოჲ ესუა შვილად და სიწმიდით დადგრომილიყო ლოცვასა შინა და მარხვასა.

> მისი გული გლოვობდა ძესთან განშორების გამო, თუმცა სიხარულმა განამტკიცა და სასწრაფოდ წამოვიდა სახედრით. თან წამოიყვანა მსახურები, კაცებიც და ქალებიც. მივიდა დედა ფებრონიასთან მერეში. მან სიხარულით მიიღო და წერილით მაშინვე აცნობა ნეტარ გრიგოლს.
>
> წმინდა და უბიწო ძე საჩქაროდ მივიდა მორწმუნე დედასთან, თაყვანი სცა და აკურთხა. ის კი სიხარულით მიეგება შვილს, ეამბორებოდა და ეუბნებოდა:

– შვილო ჩემო ტკბილო, გიხილე, რომლისათჳსცა მსუროდა, რამეთუ ხილვითა შენითა განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი.

და მრავალფერითა სიტყჳთა განგრძობილად იყო უბნობაჲ მათი.

ვინაჲთგან გიხილენით თქუენ - როდესაც გნახეთ.



დაგუავიწყდა მებრ - სრულიად დაგვავიწყდა.
თუ ქუეყანასა ზედა ვართ - რომ მიწაზე ვიმყოფებით.
ვჰგონებთ - გვგონია.
ვითარმედ ზეცას წმიდასა ბანაკსა დამკჳდრებულ ვართ - რომ ზეცაში ვართ ანგელოზთა კრებულთან ერთად.
არქიმანდრიტი - ბერმონაზონთა მონასტრების წინამძღვარი.
განაგებდა წმიდათა მათ მამათა წესსა - აღასრულებდა წმინდა მამების ცხოვრების წესს.
რაჟამს-იგი განდიდნა სახელი... მამისა გრიგოლისი და მიიწია ქართლად - როდესაც მამა გრიგოლმა სახელი გაითქვა, ქართლშიც გაიგეს ეს ამბავი.
ესმა... დიდებულებაჲ ძისა თჳსისაჲ - გაიგო თავისი ვაჟის დიდებულების ამბავი.
მიწევნულ - მიღწეული.
მას ჟამსა - მაშინ.
განმხიარულდა სულითა და განძლიერდა ჯორცითა - სულით გაიხარა და ძალა მიეცა.
მადლი შეწირა ქრისტესა - ქრისტეს მადლობდა.
რამეთუ იგი ხოლო მარტოჲ ესუა შვილად - რადგან ეს ერთი შვილი ჰყავდა.
სიწმიდით დადგრომილიყო ლოცვასა შინა და მარხვასა - წმინდად ცხოვრობდა - ლოცვითა და მარხვით.
გიხილე - გნახე.
რომლისათჳსცა მსუროდა - რაც ძალიან მინდოდა.
განმეშორნეს ყოველნი იგი პირველნი ტკივილნი - ყველა ადრინდელი ტკივილი დამავიწყდა.
მრავალფერითა სიტყჳთა განგრძობილად იყო უბნობაჲ მათი - დიდხანს ისაუბრეს სხვადასხვა თემაზე.

ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა:

– შენდობა იყავნ ჩემდა შენ მიერ, დედაო ჩემო, არამედ არა ნებითა ჩემითა განგეშორე, გარნა ნებასა ღმრთისასა ესრჱთ სათნო-უჩნდა, ვითარცა აწ იქმნა. ხოლო შენ ცხორებასა ამას წუთსა არაჲ გაკლდა ჯორციელად და სულიერად, ვიდრე - აქამომდე, არამედ აწ თანა-მაც მოღუაწებაჲ შენი სულიერად და ჯორციელად მცნებისაებრ უფლისა, რომელსა ბრძანებს პატივისათჳს მშობელთაჲსა. და სიბრძნესა წერილ არს: „შვილო, მიაგე მშობელთა შენთა, რაჲ-იგი მოგაგეს, რამეთუ თვინიერ მათსა შენმცა არა იყავ“.

ნეტარმა ღმრთის კაცმა ნუგეში სცა დედას. სანატრელმა მოხუცებულმა კი პირველად ღმერთი აკურთხა, მერე თავის ძეს მასთან ერთად მოსულები და სახლეული (ოჯახის წევრები და მსახურები) შეავედრა.

მაშინ ნეტარმა დედა ფებრონიამ მოხუცებულს უთხრა:

– ღმრთისმოყუარეო დედაო, შვილისა შენისა და ძმისა ჩემისა გრიგოლის თანა მე ვარ აწ შვილი შენი. და არა დაგაკლდეს ჩუენგან მსახურებაჲ ყოლადვე.

ნეტარმა გრიგოლმა წესისამებრ განაგო დედამისისა და მასთან ერთად მყოფთა ცხოვრება.

მრავალი წლის შემდეგ მამა გრიგოლის სანატრელი მშობელი მერეში გარდაიცვალა და თავის საყვარელ უფალთან მივიდა. ნეტარმან გრიგოლმა კი იღვაწა მისი სულისთვის.



შენდობა იყავნ ჩემდა შენ მიერ - მაპატიე.

განგეშორე - მოგშორდი.

გარნა ნებასა ღმრთისასა ესრჱთ სათნო-უჩნდა - არამედ ეს ღვთის ნება იყო.

ვითარცა აწ იქმნა - როგორც ახლა მოხდა.

ხოლო შენ ცხორებასა ამას წუთსა არაჲ გაკლდა ჯორციელად და სულიერად ვიდრე აქამომდე - ამ წუთისოფელში მატერიალურად და სულიერად აქამდე არაფერი გაკლდა.

აწ თანა-მაც მოღუაწებაჲ შენი - ვალად მაკისრია შენზე ზრუნვა.

მცნებისაებრ უფლისა - როგორც უფალი გვასწავლის.

პატივისათჳს მშობელთაჲსა - მშობელთა პატივისცემის შესახებ.

„შვილო, მიაგე მშობელთა შენთა, რაჲ იგი მოგაგეს, რამეთუ თჳნიერ მათსა შენმცა არა იყავ“ - შვილო, მიეცი მშობლებს ის, რაც მათ მოგცეს, გახსოვდეს, რომ მათგან დაიბადე (სიბრძნე ზირაქისა 7, 28).

არა დაგაკლდეს ჩუენგან მსახურებაჲ ყოლადვე - ჩვენი მზრუნველობა არანაირად არ მოგაკლდება.

13. სანატრელმა მამებმა თეოდორემ და ქრისტეფორემ, როდესაც აღზარდეს ღირსი არსენი და ეფრემი, გადაწყვიტეს წასვლა, რადგან აღარ აბრკოლებდათ მამა გრიგოლისთვის მიცემული ფიცი, რომ ამ მოწაფეთა ჭაბუკობის ასაკამდე არ დატოვებდნენ ხანძთას.

მაშინ რამდენიმე ძმა წაიყვანეს და ღამით ჩუმად წავიდნენ ისევ ქართლისკენ. მამა გრიგოლს უფლისგან ეუწყა, რომ ისინი აღარ დაებრკოლებინა, არამედ დახმარებოდა მათ კეთილი საქმეების აღსრულებაში. მამა გრიგოლი წავიდა ძმების საძებნელად, სამცხეში იპოვა ისინი და უსაყვედურა ფარულად წასვლის გამო.

ხოლო იგინი შეუვრდეს და ჰრქუეს:

– შენდობა იყავნ ჩუენდა, წმიდაო მამაო, რამეთუ ამის მიზეზისათჳს იქმნა გამოსლვაჲ ჩუენი ხანძთით, რაჲთამცა ნაყოფი რაჲმე ნაწილ ჩუენდა ჩნდა ახლად შენებითა მონასტერთაჲთა.



ოშკი, ტაო, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

ხოლო იგინი შეუვრდეს და ჰრქუეს - ხოლო ისინი მუხლებში ჩაუვარდნენ და უთხრეს.

შენდობა იყავნ ჩუენდა - გვაპატიე.

ამის მიზეზისათჳს იქმნა გამოსლვაჲ ჩუენი ხანძთით - ამიტომ წამოვედით ხანძთიდან.

რაჲთამცა ნაყოფი რაჲმე ნაწილ ჩუენდა ჩნდა - რომ ჩვენგან გაკეთებული საქმეც გამოგვეჩინა.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა:

– კეთილ არს განზრახვაჲ ეგე თქუენი ნებითა ღმრთისაჲთა, არამედ მე თანამონაწილე მყავთ გულსმოდგინებასა მაგას, რამეთუ არა ვარ მახრწეველ კეთილისა.

> სამცხესა და ქართლში ძებნის შემდეგ შეარჩიეს ორი სამონასტრო ადგილი, ორივეგან ააშენეს სენაკები. თეოდორეს სავანეს უწოდეს ნეძვი, ხოლო ქრისტეფორესას - კვირიკეწმინდა.

ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა შინა, ხანძთას და შატბერდს, იქცეოდა მარადის და მოძღურებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა თჳსთასა. და ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ, რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად აჴსოვდა. და აქუნდა ჴმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ, ხოლო განსაკჳრვებელ იყო ჴსოვნებაჲ მისი.

რამეთუ აწ არს ხანძთას ჴელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოჲ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან. ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნნი ძუელისაცა შჯულისანი. არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ ენითა მისითა უმეტჱს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა.

> მისი სიბრძნის მდინარით ირწყვებოდა კლარჯეთის მონასტრები. მათი წინამძღვრები კი რჩევების საკითხავად დადიოდნენ მამა გრიგოლთან და მისი სიბრძნის წყალობით ყოველ საქმეს სწორად აგვარებდნენ.



კეთილ არს განზრახვაჲ ეგე თქუენი - კარგია ეგ თქვენი გადაწყვეტილება.

თანამონაწილე მყავთ გულსმოდგინებასა მაგას - მეც ჩამთვალეთ მაგ საქმის თანამონაწილედ.

არა ვარ მახრწეველ კეთილისა - არ ვარ კეთილის დამშლელი.

ორთა მათ მისთა შენებულთა მონასტერთა შინა... იქცეოდა - თავის აშენებულ ორ მონასტერში იმყოფებოდა მუდამ.

მოძღურებისა მისისა სწავლითა აღავსებდა გულსა მოწაფეთა - თავისი მოძღვრების გადაცემით ავსებდა მოწაფეთა გულებს.

ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა - კარგად იცოდა ყველა დღესასწაულის აღსრულების წესი.

რომელიცა დაესწავა - რომელიც ესწავლა.

აქუნდა ჴმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ - ჰქონდა სასიამოვნო და ტკბილი ხმა.



კვირიკეწმინდა, სამცხე-ჯავახეთი, IX ს. შემორჩენილი ფრესკები.

განსაკჳრვებელ იყო ჴსოვნებაჲ მისი - გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა.
ჴელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა - სულიწმიდის მიერ ნაკარნახევი და მისი ხელით დაწერილი.
საწელიწდოჲ იადგარი - საგალობელთა კრებული, რომელშიც შედის მთელი წლის განმავლობაში წირვა-ლოცვის დროს წასაკითხი ტექსტები.
ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნნი - ახალი აღთქმის კანონიკური წიგნები: სახარება-ოთხთავი, საქმე მოციქულთა, ეპისტოლენი, იოვანეს გამოცხადება.
წიგნნი ძუელისა შჯულისანი - ძველი აღთქმის წიგნები: დაბადებიდან წინასწარმეტყველთა წიგნებამდე.
დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი - წმინდა მამების არაკანონიკური წიგნები, რომელთა წაკითხვა მხოლოდ განსწავლულ ადამიანთათვის შეიძლებოდა.
წარმოჲთქუმიდეს უწიგნოდ ენითა მისითა - ზეპირად, უწიგნოდ წარმოთქვამდა.
უმეტჱს ზეშთა ბუნებისა ჩუენისა - ჩვეულებრივ ადამიანურ ბუნებაზე აღმატებულად.

დააკვირდით

• ხანძთის ძმობასთან ურთიერთობა საერო პირებს ამაღლებს მიწიერ ყოფაზე, თავი ზეცაში ჰგონიათ;

• ერთადერთი შვილის წასვლის შემდეგ ისე, რომ არც მისი ადგილ-სამყოფელი იცოდა, არც - ის, ცოცხალი იყო თუ არა, გრიგოლის დედა სულიერად კი არ დაეცა, არამედ ლოცვა და მარხვა გააძლიერა;

• მამა გრიგოლი მშობელთან ურთიერთობის პრინციპის ასახსნელად ათ მცნებასა და სოლომონის სიბრძნეს იმოწმებს, რითაც კიდევ ერთხელ წარმოჩნდება, რომ ღრმადმორწმუნე ქრისტიანები ბიბლიურ სიბრძნეს იშველიებდნენ ცხოვრების მართებული პრინციპების დადგენისას;

• საწელიწდო იადგარი წარმოდგენას გვიქმნის როგორც მამა გრიგოლის ზებუნებრივი ნიჭისა და მეხსიერების, ასევე - უდიდესი განათლების შესახებაც;

• მამა გრიგოლის რჩევებით იმართებოდა, ფაქტობრივად, მთელი კლარჯეთის მონასტრები.

კითხვები და დავალებები

1. თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ადამიანი, რომ ანგელოზად მიიჩნიო? როგორ ფიქრობთ, დღეს არიან ასეთები?

2. თქვენი აზრით, რატომ დასთანხმდა მამა გრიგოლი არქიმანდრიტობას?

3. როგორ შეაფასებთ ფებრონიას სიტყვებს, რომლებითაც მან გრიგოლის დედას მიმართა?

4. როგორ აუხსნეს თეოდორემ და ქრისტეფორემ მამა გრიგოლს ხანძთიდან გაპარვის მიზეზი? თქვენთვის დამაჯერებელია ამგვარი ახსნა?

5. რა მხატვრული ხერხია „მისი სიბრძნის მდინარით ირწყვებოდა კლარჯეთის მონასტრები“?

ა) ეპითეტი.

ბ) მეტაფორა.

გ) შედარება.

დ) ჰიპერბოლა.

6. იმსჯელეთ, რა ახალი თვისებები დაემატა მამა გრიგოლის დახასიათებას ამ ნაწილის მიხედვით.

შემოქმედებითი სახელოსნო

დაწერეთ პატარა მოთხრობა - ერთი დღე გრიგოლ ხანძთელის დედის ცხოვრებიდან

დაწერა რომ არ გაგიჭირდეთ:

• მოირგეთ მწერლის როლი;
• შეურჩიეთ წმინდანის დედას რაიმე სახელი;
• გადმოეცით დედის განცდები, ფიქრები; გამოიყენეთ მონოლოგი, დიალოგი;

• აირჩიეთ დღე, რომლის შესახებაც დაწერთ:
ა) როდესაც გრიგოლი რამდენიმე დღისაა და დედა ფიცს დებს, რომ შვილს უფლისთვის მოსაწონ კაცად გაზრდის;
ბ) როდესაც გრიგოლი მღვდლად აკურთხეს;
გ) როდესაც გრიგოლი სადღაც გაქრა და შეწუხებული დედა ნერსეს მეუღლეს ელაპარაკება;
დ) როდესაც დედა სიკვდილის წინ ელაპარაკება ფებრონიას და ანდერძს უტოვებს.



ანგელოზები, რელიეფი ოშკიდან. X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

გაეცანით რევაზ ინანიშვილის (1926-1991) მოთხრობას:

რევაზ ინანიშვილი - დედა

- დედაზე მე ისეთი რა უნდა ვთქვა, მაგრამ ჩემი მოსაყოლი მაინც უნდა მოვყვე.

შარშან, გვიან შემოდგომაზე, ნოემბერში, ჩემს სოფელში ჩავედი...

მეორე საღამოს, უკვე შებინდებულზე, წამოვედი.

ჩვენი რკინიგზის სადგურამდე ოთხ კილომეტრამდე გზა არის, სულ თავქვე-თავქვე, აქედან კიდევ აღმართი. გამიმართა დედაჩემმა ძველებური ფარანი, ამინთო, - სადგურში რომ ჩახვალ, მორიგესთან დატოვე და ვინმეს ამოვატანინებ მერეო.

დავიწყე მე სიცილი, - რა ფარანი მინდა, დედა, ორმოცი წელიწადია, ამ გზაზე დავდივარ, სულ ქვა-ქვა ვიცი-მეთქი ყველაფერი.

- არაო, შვილოო, ახლა სულ შეცვლილია, სად რას აკეთებენ, სად რასო, თან მოლინჭყულია, ფეხი ცურავსო. ბევრი მეხვეწა, მაგრამ არ წამოვიღე ის ფარანი. გამომაცილა კი კარგა მანძილზე, სანამ დიდი დაღმართი არ დაიწყებოდა. მომყვებოდა იმ წკვარამში, მინათებდა გზას და თან სულ მარიგებდა დედურად.

დიდ დაღმართთან თვითონვე შეჩერდა, ასწია ფარანი ცოტაზე, - წაიღე, შვილოო, - შემეხვეწა ერთხელაც. მე გადავკოცნე ღიმილით - წადი-მეთქი ახლა! - მივაბრუნე, თითქოს გაბრუნდა, წავიდა კიდეც, მივიხედე და დგას ისევ, მაღლა უჭირავს ფარანი, მეორე ხელიც შეუშველებია. - წადი-მეთქი, წადი! გაბრუნდა, წავიდა.

მე თავქვე დავეშვი. ზურგჩანთა მკიდია, თითქმის მივრბივარ, მივიხედავ უკან და რამდენსაც მივიხედავ, იმ წკვარამში ის ფარნის შუქი ისევ ერთ ადგილას დგას, ალბათ, მეჩვენება-მეთქი, გავჩერდები, ვაკვირდები, შუქი მაინც არ იძვრის.

- დე-დაა! დე-დაა!

არავითარი ჩქამი! ნიავი სახეში მცემს, ჩემი ხმა იქამდე ვერ აღწევს.

ისე ჩავედი სადგურში, ისე ავედი მატარებელში, ის შუქი მხოლოდ პატარავდებოდა და არ იძვროდა. ვუყურებდი ვაგონის ფანჯრიდანაც და ვწყრებოდი დედების სიჯიუტეზე...

რატომ იდგა იქ, იმ აღმართის თავზე, სიბნელეში და სიცივეში იმდენ ხანს? ნუთუ მართლა იმას ფიქრობდა, რომ ცოტათი მაინც მინათებდა ფარნით გზას?! ნუთუ ეგონა, ცუდი რომ რამე მომწეოდა, უთუოდ მისწვდებოდა ქვემოდან ხმა?! სამუდამოდ ხომ არ მეთხოვებოდა იმ ფარნით?!

დავუნთებ ხოლმე სანთელს, დავიჩოქებ, მაგრამ ვერაფერს ვშველი ჩემს დარდს...

მოცემული ტექსტის მიხედვით დაწერეთ ანალიტიკური ესე: დედაშვილობა - მარადიული საფიქრალი

• გააანალიზეთ, როგორ აისახება მშობლებისა და შვილების ურთიერთობის საკითხი ამ მოთხრობაში;
• იმსჯელეთ, როგორ ასახავს გიორგი მერჩულე გრიგოლისა და დედამისის ურთიერთობას;
• გაიაზრეთ, რატომ არის აქტუალური ყველა ეპოქაში ფიქრი თაობათა ურთიერთობის შესახებ. როგორ განიხილავენ ამ თემას ძველი და თანამედროვე მწერლები - განსხვავებულია მათი ხედვა თუ ეთანხმებიან ერთმანეთს?
• აღნიშნეთ, როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხთან დაკავშირებით.

თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ!

მუშაობის პროცესი გაგიადვილდებათ, თუ მოცემულ სქემას ფანქრით შეავსებთ, ცხრილში განათავსეთ მთავარი სათქმელი:

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“	რევაზ ინანიშვილი - დედა	ჩემი კომენტარი

ბოლოს მოიფიქრეთ შემაჯამებელი ფრაზა ან ბრძნული გამონათქვამი, რომელშიც მშობლებისა და შვილების ურთიერთობის მნიშვნელობა იქნება გამოხატული და გაუზიარეთ თანაკლასელებს.



„კიდევაც დაიზრდებიან“. მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, ქვემო ქართლი.

შემოქმედებითი დავალება

პრეზენტაცია

5-7-წუთიანი პრეზენტაცია: „მშობლები და შვილები“ („შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით). პრეზენტაცია წარადგინეთ კლასში და უპასუხეთ შეკითხვებს.

პრეზენტაციაში:

• გააანალიზეთ, როგორია მშობლებისა და შვილების ურთიერთობა „შუშანიკის წამებაში“. იმსჯელეთ შუშანიკისა და მისი შვილების, არშუშასა და ვარსქენის, არშუშასა და შუშანიკის (როგორც რძლის) შესახებ;

• გაიხსენეთ, როგორ შეახსენებს მშობლების რჯულს მსაჯული აბოს, წარმოაჩინეთ, როგორ ასაბუთებს წმინდანი, რომ წინაპართა ტრადიციებისაგან განსხვავებული ცხოვრების წესი ამოირჩია;

• გაიხსენეთ, წმინდა გრიგოლისა და დედამისის შეხვედრა და გიორგი მერჩულის თვალსაზრისი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქრისტიანისთვის მშობელთა პატივისცემა;

• იმსჯელეთ, რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ სამი ჰაგიოგრაფის პოზიციათა შეჯამებით? მოიშველიეთ მათ მიერ დამოწმებული ციტატები, მაგ.: - „შვილო, მიაგე მშობელთა შენთა, რაჲ-იგი მოგაგეს, რამეთუ თვინიერ მათსა შენმცა არა იყავ“;

• წარმოაჩინეთ, რა მაგალითს აძლევს თანამედროვე ადამიანს ღირსეულ წინაპართა ცხოვრება;

• იმსჯელეთ, სად გადის ზღვარი წინაპართა პატივისცემასა და ბრმა მორჩილებას შორის;

• თქვენი აზრით, საუკუნეების განმავლობაში შეიცვალა რაიმე მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში?

• გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი წყარო: სახელმძღვანელო, ვებგვერდები;

• წარმოაჩინეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (მაგ.: ფოტოები, ნახატები, სქემები), შეარჩიეთ მუსიკა სათანადო განწყობის შესაქმნელად.

გადასადგმელი ნაბიჯები პრეზენტაციის მომზადებისას:

• იმუშავეთ მასალების მოძიება-შერჩევაზე, ვიზუალურ მხარეზე, მუსიკალურ გაფორმებაზე, ტექნიკურ მხარეზე;

• მოძიებული მასალის საფუძველზე მოამზადეთ ჩანაწერები (რვეულში ან ფურცელზე), რომლებსაც წარადგენთ პრეზენტაციის დროს.

14. პირველჴსენებულნი და ყოლად მოსაჴსენებელნი იგი ღირსნი არსენი და ეფრემ, მოწაფენი და აღზრდილნი გრიგოლისნი, მოვიჴსენნეთ. დიდი ეფრემ უწინარეს მრავლით წლით არსენისა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს. ხოლო შემდგომად დიდი არსენი - კათოლიკე ეკლესიასა, ქრისტჱს კუართისა სამკჳდრებელსა მცხეთას, ქართლისა კათალიკოზ იქმნა. და იყო სიყუარული მათ შორის ერთად ზრდილობისათჳს...

ქართლის ეპისკოპოსები ძალიან ემდუროდნენ მირეანს, არსენის მამას, იმის გამო, რომ მათთან შეუთანხმებლად, მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსის მხარდაჭერით, თითქმის ძალადობით, თავისი ძე კათალიკოსად დაადგენინა.

იმ დროს ხელმწიფე გუარამ მამფალი იყო. მირეანის საქციელით ისიც განაწყენდა. ამიტომ სასწრაფოდ ბრძანა ეპისკოპოსებისა და ბერ-მონაზვნების შეკრება.

ყველანი ჯავახეთში შეიკრიბნენ. მამა გრიგოლი კი არ ჩანდა. არ ჩანდნენ აგრეთვე კლარჯეთის მონასტერთა წინამძღვარნი. ნეტარი გრიგოლი არქიმანდრიტი იყო, ამიტომ დიდი სურვილით მოელოდნენ მის მობრძანებას.

რამდენიმე ეპისკოპოსი ცალკე თათბირობდა არსენის კათალიკოსობის საკითხზე, მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტეს. მაშინ ერუშეთის ეპისკოპოსმა ყველას გასაგონად თქვა:



არწივის რელიეფი ხახულიდან, ტაო, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

– ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაჲ, მაშინ განემართოს საქმე და განზრახვაჲ ყოველთაჲ.

და მათ ჰრქუეს:

– ვისთჳს არს სიტყუაჲ ეგე დამტკიცებითი?

ხოლო მან თქუა:

– გრიგოლ არქიმანდრიტისათჳს, ხანძთისა და შატბერდისა მაშენებლისა.

პირველჴსენებულნი - თავიდან ნახსენებნი.
ყოლად მოსაჴსენებელნი - მარად სახსენებელნი.
მოვიჴსენნეთ - გავიხსენოთ.
სათნო-იყვნა - აქ: აირჩია.
უწინარეს მრავლით წლით არსენისა - არსენზე მრავალი წლით ადრე.
იქმნა ეპისკოპოს - გახდა ეპისკოპოსი.
კათოლიკე - (ბერძნ.) საყოველთაო.
ქრისტჱს კუართისა სამკჳდრებელსა - ქრისტეს პერანგის ადგილსამყოფელში.
ერთად ზრდილობისათჳს - რადგან ერთად იყვნენ გაზრდილი.
ვარსკულავი უდაბნოთაჲ - ბერ-მონაზვნების მონასტერთა ვარსკვლავი.
განემართოს - გამოსწორდეს; აქ: გადაწყდეს/გაირკვეს.
სიტყუაჲ ეგე დამტკიცებითი - ეგ სარწმუნო (დაზუსტებული) სიტყვა.

იმ წამს დაინახეს წმინდანი, ვირზე მჯდომარე, მამების კრებულთან ერთად მომავალი, საოცარი სანახაობა იყო. მოხუცებული მამა გრიგოლის უბრალო სამოსელი ისე ბრწყინავდა, როგორც უდიდესი ნათელი, ხოლო ბერული ქუდი თავზე ძვირფასი თვლებითა და ფასდაუდებელი მარგალიტებით გაწყობილი სამეფო გვირგვინივით ეხურა. როცა მისი ღვთაებრივი დიდებულება იხილეს, ყველანი სიხარულით მიეგებნენ და მის სიტყვას დაელოდნენ.

ამ დროს მოვიდა ეფრემ ეპისკოპოსი, ჯერ მოძღვარი მოიკითხა, შემდეგ - ეპისკოპოსები. ნეტარმა გრიგოლმა ფარულად მოიხმო ეფრემი და უთხრა:

– შვილო, პატივსა მაგას წმიდისა მღდელთმთავრობისასა გაფუცებ, ნუ უშლი სულიერად ძმასა შენსა, არსენის.

ხოლო მან ჰრქუა:

– წმიდაო მამაო, ვერ ეგების ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა ცილობაჲ სამართალისათჳს, და მეცა შემინდვე, რამეთუ არა ვარ ამიერითგან არსენის ცხოვარი და არცა იგი - ჩემი მწყემსი.

მაშინ წმიდამან მან მკსინვარედ ჰრქუა:

– უკუეთუ ამას იქმ, ეფრემ, მე უვარ-მყავ, ვითარ არა შენი მოძღუარი ვარ.

ხოლო ნეტარი ეფრემ სიტყუასა მას ზედა სულიერისა მამისა და მოძღურისასა ატირდა და ჰრქუა:

– ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე, განმკუეთელ უფროჲს მახჳლისა. აწ ნებაჲ შენი იყავნ და ნუ ნებაჲ ჩემი, წმიდაო ღმრთისაო.

ხოლო მან ჰრქუა:


– ეფრემ სანატრელო, გისმინენ ქრისტემან, რაჲცა ითხოო მისგან შენ, უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა, მიმსგავსებულო მოძღუარსა შენსა ქრისტესა. და შენ უწყი სულითა შენითა ღმრთისმხილველითა, ვითარ ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი სისრულისა მისისათჳს, არამედ მირეან, მამამან მისმან, აუგიან-ყო უჟამოდ შესწრაფებითა. აწ შენ კეთილად ჰყავ სმენაჲ ჩემი, რამეთუ გულისწყრომამან კაცისამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის.

ამისა შემდგომად, რაჟამს ესმა გუარამ ჴელმწიფესა მოსლვაჲ ნეტართაჲ მათ, მოეგება წინა სიხარულით და მოიკითხნა სიმდაბლით. და ვითარცა დასხდეს, ბრძანა გუარამ შემოკრებაჲ ყოველთა მოწესეთაჲ და მოვიდეს.

მაშინ ჰრქუა:

– წმიდანო მამანო, ეპისკოპოსნო და მეუდაბნოენო, იცით ყოველთა კანონი შჯულისაჲ, რამეთუ არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოზისა მძლავრებით დაჯდომასა.

ამას სიტყუასა შინა აუგისა სიტყუანი განამრავლნა



იშხანი, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია. ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა.

და ელოდა პასუხსა მათგან. ხოლო თუალნი ყოველთანი ხედვიდეს მამასა გრიგოლს და ეპისკოპოსსა ეფრემს. და მათ დაიდუმეს ჟამ ერთ.

მაშინ ეპისკოპოსთა ჰრქუეს ეფრემს:

– ბრძანე პასუხი, რაჲ ჯერ-არს.

ხოლო მან თქუა:

– სადა მამაჲ გრიგოლ იყოს, მე მუნ არა ვიკადრებ სიტყუად.



პატივსა მაგას მღვდელმთავრობისასა გაფუცებ - ეპისკოპოსობის პატივს გაფიცებ.

ნუ უშლი - ნუ ეწინააღმდეგები.

ვერ ეგების - არ შეიძლება, შეუძლებელია.

ძმათა ჩემთა ეპისკოპოსთა - ჩემს ძმა ეპისკოპოსებთან.

ცილობაჲ სამართლისათჳს - კამათი სამართლიანი საქმის გამო.

ცხოვარი - აქ: მორჩილი, ქვეშევრდომი.

მწყემსი - აქ: უფროსი, მოძღვარი.

მკსინვარედ - მრისხანედ.

უკუეთუ ამას იქმ - თუ ამას იზამ.

მე უვარ-მყავ, ვითარ არა შენი მოძღუარი ვარ - უარმყავი, ჩათვალე, რომ შენი მოძღვარი აღარ ვარ.

ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე - სასტიკია ეგ ნათქვამი.

განმკუეთელ უფროჲს მახჳლისა - მახვილზე უფრო მჭრელი.

აწ ნებაჲ შენი იყავნ - იყოს ნება შენი.

გისმინენ ქრისტემან - გისმინოს ქრისტემ.

უმანკოო გულითა - გულმართალო.

წრფელო გონებითა - გონებით მართალო.

შენ უწყი - შენ იცი.

ღმერთსა ებრძანა კათალიკოზობაჲ არსენისი - არსენის კათალიკოსობა ღვთის ნებაა.

სისრულისა მისისათჳს - მისი სრულყოფილების გამო.

აუგიან-ყო - გააფუჭა.

უჟამოდ შესწრაფებითა - უდროო, არასაჭირო აჩქარებით.

კეთილად ჰყავ სმენაჲ - კარგად მომისმინე (დამიჯერე).

გულისწყრომამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის - გაბრაზება კეთილ სამსახურს ვერ გაგიწევს.

მოიკითხნა სიმდაბლით - თავაზიანად მოიკითხა.

ვითარცა დასხდეს - როცა დასხდნენ.

შემოკრებაჲ ყოველთა მოწესეთაჲ - ყველა ბერ-მონაზვნის მოსვლა.

მეუდაბნოე - ბერი.

კანონი შჯულისაჲ ... არა ბრძანებს ეპისკოპოსისა და კათალიკოსის მძლავრებით დაჯდომასა - საეკლესიო კანონში არ წერია, რომ ეპისკოპოსი და კათალიკოსი ძალით დასვა.

ამას სიტყუასა შინა - ამ ლაპარაკის დროს.

აუგისა სიტყუანი - სალანძღავი სიტყვები.

თუალნი ყოველთანი ხედვიდეს - ყველა უყურებდა.

დაიდუმეს ჟამ ერთ - ერთხანს დუმდნენ.

რაჲ ჯერ-არს - რაც საჭიროა.

სადა მამაჲ გრიგოლ იყოს, მუნ არა ვიკადრებ სიტყუად - სადაც მამა გრიგოლია, იქ სიტყვის თქმას ვერ გავბედავ.

მაშინ გუარამმა უთხრა გრიგოლს:

- მამაო, ყველა შენს მართალ სიტყვას ელოდება. ასაკითაც და ღვთის სიყვარულითაც ყველაზე უფროსი ხარ. საუბარი შენ უნდა დაიწყო.

გრიგოლმა თქვა:

- წესით, პირველი სიტყვა ეპისკოპოსებს ეკუთვნით. მაგრამ შენი ნებართვით ვიტყვი. მომისმინეთ, ჭეშმარიტო ქრისტიანებო, არსენი ღვთის ნებით არის კათალიკოსი და ვინც მას გალანძღავს, ყველა შერცხვენილი იქნება სააქაოსა და მარადიულ სამყოფელში.

შეშინებულმა გუარამმა ეპისკოპოსებს უთხრა:

- თქვენი მოსაგვარებელია ეს საქმე და აბა, რას იტყვით!

- ქრისტესმიერმა სასწაულმა ენა დაგვიდუმა. ჩვენ ხომ თვალნათლივ დავინახეთ გრიგოლის მიუწვდომელი დიდება, - მიუგეს მათ და აღუწერეს ის, რაც გრიგოლის შემობრძანების დროს იხილეს.

ამის გაგონებაზე გუარამს თავზარი დაეცა. თავმდაბალი და ღვთისმოშიში კაცი იყო. მიხვდა თავის შეცდომას. მუხლებში ჩაუვარდა გრიგოლს და პატიება სთხოვა.

- ქრისტემ გაპატიოს ყველა შეცოდება, - უთხრა მამა გრიგოლმა.

მაშინ გუარამ, დიდმან ჯელმწიფემან, კეთილად ისტუმრნა ყოველნი. და ეპისკოპოსთა მათ ერთობით თქუეს:




– ამიერითგან არსენი იყავნ კათალიკოს ქართლისა ყოვლისა და სულიერად მამა ყოველთა და ყოველთა შორის იჭვ პირველი და-მცა-ჴსნილ არს სრულიად, რაჲთა ქრისტეანობისა პატივი ჩუენი მშჳდობით და მყუდროებით აღვასრულოთ.

მას ჟამსა ახარეს არსენის, რამეთუ არა იყო კრებასა მას, ვითარმედ:

– შემდგომად ღმრთისა მოძღუარმან შენმან, გრიგოლ მამამან, დაამტკიცა კათალიკოზობაჲ შენი.


ხოლო იგი სიხარულით ჰმადლობდა ქრისტესა და წმიდასა მას.

ხოლო ეფრემ ეპისკოპოსმან, მცნებისაებრ მამისა გრიგოლისსა, სიყუარული არსენი კათალიკოზისაჲ პირველებრვე განაახლა, რამეთუ მოკლედ დააწყნარა შფოთი გრძელად მოსაცილებელი, რომელი იყო შორის კათალიკოზისა და ეპისკოპოსთა, უფროჲს ხოლო - გუარამ ჴელმწიფისა.



არსენ კათალიკოსი და ეფრემ ეპისკოპოსი ხშირად მოდიოდნენ თავიანთი მოძღვრის, გრიგოლის, სანახავად. ხანძთის ძველი ეკლესია არსენ კათალიკოსმა აკურთხა. მამა გრიგოლის დაკრძალვასაც დაესწრო. იგი ოცდაშვიდი წლის განმავლობაში კათალიკოსობდა.

კეთილად ისტუმრა - კარგად უმასპინძლა.
ერთობით თქუეს - ერთხმად აღნიშნეს.
ამიერითგან არსენი იყავნ კათალიკოს ქართლისა ყოვლისა - დღეიდან არსენი მთელი ქართლის კათალიკოსი იყოს.
იჭვ პირველი და-მცა-ჴსნილ არს - თავდაპირველი ეჭვი გაქრება.
ქრისტეანობისა პატივი ჩუენი მშვიდობით და მყუდროებით აღვასრულოთ - მშვიდად და უშფოთველად წარვმართავთ ჩვენს ქრისტიანულ საქმიანობას.
მას ჟამსა ახარეს არსენის - ამ დროს ახარეს არსენს.
დაამტკიცა კათალიკოზობა შენი - დაადასტურა შენი კათალიკოსობა.
მცნებისაებრ მამისა გრიგოლისსა - მამა გრიგოლის ჩაგონებით.
პირველებრ განაახლა - ძველებურად განაგრძო.
მოკლედ დააწყნარა შფოთი იგი ძნელად მოსაცილებელი - მოკლე ხანში დააწყნარა ძნელად დასაშოშმინებელი შფოთი (შუღლი).
უფროჲს ხოლო - უფრო მეტად კი.



15. დიდი ეფრემ მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა ქუეყანასა ჩუენსა: რამეთუ პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალჱმით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ ქრისტჱსმიერითა ბრძანებითა მიჰრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა იერუსალჱმისა პატრიაქისა განწესებითა და წამებითა სიხარულით. არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა-ყავ“, გინა თუ: „უფალო, შეგჳწყალენ“.

ესე ნეტარი ეფრემ ორმეოც წელ ეპისკოპოსობდა, შემკული სულითა წმიდითა, რამეთუ დაფარულსა კაცთა საქმესა, ვითარცა ცხადსა, ამხილებდა.

მრავლისა კეთილისა მომატყუებელ ექმნა - მრავალი სიკეთე გაუკეთა.

პირველად აღმოსავალისა კათალიკოსთა მიჰრონი იერუსალჱმით მოჰყვანდა - თავდაპირველად აღმოსავლეთის ეკლესიების კათალიკოსებს მირონი იერუსალიმიდან მოჰქონდათ.

ქრისტესმიერითა ბრძანებითა - ქრისტეს ნებით.

განაწესა - დაადგინა, დააწესა.

განწესებითა და წამებითა - დადგენილებითა და დამოწმებით.

ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების - ქართლი (საქართველო) დიდი ქვეყანაა.

ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების - წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

კჳრიელჱსონი - (ბერძნ. „კვირიე ელეისონ“) უფალო, შეგვიწყალე.

დაფარულსა - ფარულს, აქ: ბოროტებას.

დააკვირდით

• გიორგი მერჩულე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ქართლის ეკლესია ქრისტიანული თვალსაზრისით ყველაზე დიდი საუნჯის, ქრისტეს კვართის, მფლობელია - მცხეთას „ქრისტჱს კუართისა სამკჳდრებელს“ უწოდებს. ამით კიდევ ერთი ძველი წყარო (ცნობა) გვაქვს იმის შესახებ, რომ იესოს კვართი სვეტიცხოველშია დაკრძალული (უძველესი ცნობა ამის შესახებ „ნინოს ცხოვრების“ იმ ფრაგმენტებშია დაცული, რომლებიც წმინდანის სიცოცხლეშივე ჩაწერილად მიიჩნევა);

• კრებაზე არავინ საუბრობს იმის შესახებ, რომ არსენი კათალიკოსობისათვის შეუფერებელია და კრებაზე ყოფ-

ნის შემთხვევაში მას მხარს არ დაუჭერდა; აპროტესტებენ მამამისის საქციელსა და იმას, რომ კრებას ეპისკოპოსთა ნაწილი არ ესწრებოდა;

• მამა გრიგოლის სამოსის გაბრწყინებამ „მისი ღვთისმიერი დიდებულება“ წარმოაჩინა, ამიტომ ყველასთვის გასაგები იყო, რომ ღმერთის ნება მისი სიტყვებით უნდა მოესმინათ, აღარავინ შეეწინააღმდეგა და მამა გრიგოლის აზრის მხარდაჭერის მიზეზი გუარამ მამფალსაც აუხსნეს;

• საყურადღებო მოსაზრებაა: „გულისწყრომამან სიმართლე ღმრთისაჲ არა ქმნის“, მართლაც, გაბრაზებული ადამიანი ხშირად მართებულ გადაწყვეტილებას ვერ იღებს;

• კათალიკოსის არჩევისას ყოველგვარი ეჭვი გაფანტეს, რომ მშვიდობით და სიყვარულით წარმართულიყო საეკლესიო ცხოვრება;

• გიორგი მერჩულე სიტყვებით: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ - ერთმანეთს უკავშირებს მამულს (ქართლს), ენას (ქართულს) და სარწმუნოებას (წირვა-ლოცვას), როგორც მოგვიანებით - ილია ჭავჭავაძე (საყურადღებოა, რომ ილიამ არ იცოდა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ არსებობის შესახებ, ორივე ეს მოაზროვნე დამოუკიდებლად ქადაგებდა ამ დიდი სამეულის პატრონობის აუცილებლობას).



აწყურის ციხე, სამცხე-ჯავახეთი, XI ს.

კითხვები და დავალებები

1. გაიხსენეთ არსენისა და ეფრემის დამოწაფების ამბები და ახსენით, როგორ გესმით გიორგი მერჩულის სიტყვები მათ შესახებ: „პირველჴსენებულნი და ყოლად მოსაჴსენებელნი“?

2. გაიხსენეთ, როდის დაადგინეს მამა გრიგოლი არქიმანდრიტად და ახსენით ჰაგიოგრაფის სიტყვები, ყველა მას რატომ ელოდა?

3. რა მხატვრული ხერხია - „ოდეს მოვიდეს ვარსკულავი უდაბნოთაჲ“?
ა) ეპითეტი.
ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

4. როგორ ფიქრობთ, ვინ და რატომ არის მართალი მამა გრიგოლისა და ეფრემის დიალოგისას (მოსაზრება დაასაბუთეთ)?

5. რა მხატვრული ხერხია - „ფიცხელ არს ბრძანებაჲ ესე, განმკუეთელ უფროჲს მახჳლისა“?
ა) ალიტერაცია.
ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.

6. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, როგორ ახსნა მამა გრიგოლმა არსენის კათალიკოსობის მართებულობა და როგორ ახსნა მირეანის როლი ამ საქმეში. იმსჯელეთ, თქვენი აზრით, დამაჯერებელია თუ არა მამა გრიგოლის თვალსაზრისი (მოსაზრება დაასაბუთეთ)?

7. რა მხატვრული ხერხია - „უმანკოო გულითა და წრფელო გონებითა“?
ა) ეპითეტი.
ბ) მეტაფორა.
გ) შედარება.
დ) ჰიპერბოლა.



ჩუქურთმა ტბეთიდან, X ს. შავშეთი, ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

8. როგორ დაახასიათებდით ეფრემს ამ ეპიზოდის მიხედვით?

9. ხასიათის რა თვისებები გამოავლინა მამა გრიგოლმა ჯავახეთის კრებაზე (მოსაზრება დაასაბუთეთ)?

10. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, რა დამსახურება მიუძღვის საქართველოს ეკლესიის წინაშე ეფრემ მაწყვერელს;

11. სულიწმიდისგან რის ნიჭი ჰქონდა მიცემული ეფრემ მაწყვერელს?

12. ახსენით, თქვენი აზრით, რატომ მიიჩნევენ, რომ გიორგი მერჩულის სიტყვებით: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“ - ეროვნული მთლიანობის იდეა იგულისხმება?

დისკუსია

გაიყავით სამ ჯგუფად და მოემზადეთ დისკუსიისთვის:

პირველმა ჯგუფმა დაიცვას არსენის მოწინააღმდეგეთა მხარე; მეორემ - მამა გრიგოლის პოზიცია; მესამეში „მსაჯულები“ გაერთიანდნენ, რომლებიც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებენ.

დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:

• ყურადღებით გაეცანით ტექსტს და მონიშნეთ/ამოიწერეთ საკვანძო ეპიზოდები, ფრაზები, რომლებიც დაგეხმარებათ, დაასაბუთოთ თქვენი პოზიცია;

• ყურადღებით მოუსმინეთ მოწინააღმდეგე მხარეს, არ შეაწყვეტინოთ სიტყვა, ჩაინიშნეთ მათი მოსაზრებები. საუბრისათვის გამოიყენეთ თქვენთვის განკუთვნილი დრო;

• შეგიძლიათ, არგუმენტები მნიშვნელობის მიხედვით დაალაგოთ და ყველაზე ძლიერი ბოლოსთვის შემოინახოთ;

• მსაჯულები არ ერევიან დისკუსიაში, ყურადღებით უსმენენ ორივე მხარეს და საბოლოო სიტყვის უფლებით სარგებლობენ. საკუთარ მოსაზრებას არგუმენტებით ასაბუთებენ.

წერითი დავალება

დაწერეთ ანალიტიკური ესე: ეფრემ მაწყვერელი - როდის უნდა დათმოს ადამიანმა თავისი პოზიცია

ეპიზოდის ერთ-ერთი მთავარი გმირი ეფრემი გარემოებათა გამო რთული არჩევანის წინაშე დგება - დაიცვას საკუთარი პოზიცია ან დაემორჩილოს სულიერ მამას. გააანალიზეთ მოცემული სიტუაცია.

დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:

• აღწერეთ ეფრემის შინაგანი ბრძოლა;

• იმსჯელეთ მის გადაწყვეტილებაზე, დაემორჩილოს მამა გრიგოლს;

• იმსჯელეთ, როდის უნდა დათმოს ადამიანმა თავისი პოზიცია;

• საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიხმეთ მაგალითები ლიტერატურიდან, ისტორიიდან, კინოფილმებიდან...

•სასურველია, საკითხი დაუკავშიროთ პირად გამოცდილებას. თქვენ როდის და რატომ თმობთ პოზიციას?

თხრობა მთხრობლის შეცვლით



ილია ჭავჭავაძე (1837-1907)

ილია ჭავჭავაძემ წმინდა გრიგოლ ხანძთელის შესახებ არაფერი იცოდა, თუმცა იგი მისი სულიერი შთამომავალი და მემკვიდრე იყო. წარმოიდგინეთ, როგორ შეაფასებდა ილია გრიგოლის ღვაწლს, მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო გიორგი მერჩულის ეს ნაწარმოები. მოირგეთ ილიას როლი და დაწერეთ სტატია, რომელშიც ისაუბრებთ ამ დიდ წმინდანზე.

• თავად შეურჩიეთ სტატიას სათაური;

• გაითვალისწინეთ, რომ სტატია უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისაგან: შესავალი, რომელშიც ავტორი მკითხველს აცნობს სტატიის თემასა და მიზანს; ძირითადი ნაწილი - აქ უნდა წარმოჩნდეს წმინდა გრიგოლის ღვაწლი, მისი პიროვნული მახასიათებლები, დამსახურება ქვეყნის წინაშე. დასკვნით ნაწილში ავტორმა უნდა შეაჯამოს გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის მნიშვნელობა და გამოხატოს პირადი დამოკიდებულება მის მიმართ;

• მნიშვნელოვანია, ისაუბროთ მამა გრიგოლისა და ილიას საერთო ღირებულებებზე, აღნიშნოთ, ილია (როგორც სტატიის ავტორი) გრიგოლ ხანძთელის გზის გამგრძელებლად მიიჩნევს თავს თუ არა. მაგალითად, ილიას თავისი სიტყვები: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?” - წარმოუდგენია თუ არა, როგორც ანარეკლი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” გადმოცემული ეროვნული მთლიანობის იდეისა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“;

• შეარჩიეთ პუბლიცისტური წერილისთვის დამახასიათებელი სტილი - ტექსტი უნდა იყოს მსჯელობითი ხასიათისა. მოიხმეთ არგუმენტები, მაგალითები, ციტატები ტექსტიდან. გამოიყენეთ ილია ჭავჭავაძისთვის დამახასიათებელი საუბრის მანერა - სერიოზული, დამაჯერებელი, ეროვნული სულისკვეთებით გაჯერებული.

16. ხოლო ჟამთა ამის წმიდისათა ჴელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშენა ციხე არტანუჯისაჲ საცხორებელად დედუფლისა, მეუღლისა თჳსისა. და მას შინა კეთილად ცხოვნდებოდა მრავალთა წელიწადთა.

ხოლო აცთუნა მტერმან ჴელმწიფჱ იგი და მოიყვანა მან დედაკაცი სიძვისაჲ ციხესა მას შინა. პირველ არა აქუნდა ეგევითარი ჩუეულებაჲ, არამედ ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა. და ვითარცა ესმა ნეტარსა გრიგოლს



არტანუჯის კლდე და ციხე, კლარჯეთი. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

ჟამთა ამის წმიდისათა - წმინდა გრიგოლის დროს.
ციხე არტანუჯისაჲ - ციხე-ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კლარჯეთში. ააგო ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში. არაბთა შემოსევების დროს დანგრეული არტანუჯი აშოტ კურაპალატმა IX საუკუნეში აღადგინა.
კეთილად ცხოვნდებოდა - ღვთის მოსაწონად ცხოვრობდა.
აცთუნა მტერმან - ეშმაკმა შეაცდინა.
დედაკაცი სიძვისაჲ - მეძავი.
პირველ არა აქუნდა ეგევითარი ჩუეულებაჲ - თავიდან ასეთი რამ არ სჩვეოდა.
ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა - ცოდვამ სძლია.

საქმე იგი სულისა განმხრწნელი, შეწუხნა ფრიად. და ამხილა პირისპირ ჴელმწიფესა მას. ხოლო მან აღუთქუა ცოდვისა მის განტევებაჲ და დედაკაცისა მის წარგზავნაჲ, ვინაჲცა მოეყვანა იგი. და ვერ დაამტკიცა თჳსი ბრძანებაჲ, რამეთუ დაემონა გულისთქუმასა.

ნეტარმა გრიგოლმა შეარჩია შესაფერისი დრო, როდესაც კურაპალატი არტანუჯიდან შორს იყო წასული. შატბერდიდან გაემართა და საღამოჟამს ციხის ასასვლელთან მივიდა. კაცი გაუგზავნა იმ დედაკაცს, სთხოვა, საჭმელი ჩამოეგზავნა და თავისი მისვლის მიზეზიც შეუთვალა. ქალმა დიდად გაიხარა და უხვად გამოატანა სანოვაგე წმინდა გრიგოლისა და მისი მოწაფეებისათვის. დილით ხელახლა გაუგზავნა კაცი თხოვნით, ჩამოსულიყო მასთან შესახვედრად.

ისიც, ძალიან გახარებული, ნეტარი კაცის დალოცვას რომ ეღირსებოდა, სასწრაფოდ ეახლა თავის ორ მსახურთან ერთად. გრიგოლმა ჯვარი არ გარდასახა. უბრძანა, მოშორებით დამჯდარიყო. მოწაფეებს თვალით ანიშნა, განზე გადექითო. მათ მსახური ქალებიც მიჰყვნენ. ყველას ჰქონდა რიდი და შიში ამ წმინდა კაცის მიმართ. ნეტარმა გრიგოლმა უთხრა ამ ქალს:

– ჱ, საწყალობელო, რაჲსათჳს შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ წარსაწყმედელად შენდა საუკუნოდ ბოროტითა მით ცოდვითა, რომლითა დამონებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რაჲთმე მიზეზითა საბრჯე ქმნულ ხარ დიდისა ჴელმწიფისადა?

ხოლო მან ცრემლით ჰრქუა:

– წმიდაო ღმრთისაო, მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაჲთგან გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა. და აწ არა უწყი, თუ რაჲ ვყო, რამეთუ ბრძანებამან სიტყუათა შენთამან შემაძრწუნა ფრიად.




არტანუჯის ციხე (ფრაგმენტი), კლარჯეთი. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

შეწუხნა ფრიად - ძალიან შეწუხდა.
ამხილა პირისპირ - პირდაპირ უთხრა.
ცოდვისა მის განტევებაჲ - ცოდვაზე უარის თქმა.
წარგზავნაჲ, ვინაჲცა მოეყვანა - გაგზავნა, საიდანაც მოიყვანა.
ვერ დაამტკიცა თჳსი ბრძანებაჲ, რამეთუ დაემონა გულისთქუმასა - ვერ შეასრულა თავისი სიტყვა, რადგან სურვილს დაემონა.
ჱ, საწყალობელო - ჰოი, საცოდავო.
რაჲსათჳს შორის ცოლ-ქმართა შთაჭრილ ხარ - რატომ ჩამდგარხარ ცოლ-ქმარს შორის.
წარსაწყმედელად შენდა - შენს დასაღუპავად.
საუკუნოდ - სამარადჟამოდ.
საბრჯე ქმნულხარ დიდისა ჴელმწიფისადა - დიდ ხელმწიფეს საფრთხეში აგდებ.
მე თავსა ჩემსა ვერ თავისუფალ ვარ - ჩემს თავს არ ვეკუთვნი.
გარდარეული სიყუარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა - თავდავიწყებით ვუყვარვარ კურაპალატს.
არა უწყი, თუ რაჲ ვყო - არ ვიცი, რა ვქნა.
ბრძანებამან სიტყუათა შენთამან - შენმა ნათქვამმა.
შემაძრწუნა - თავზარი დამცა.



თანამედროვე ქალაქი არტანუჯი, ხედი არტანუჯის ციხიდან. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.



შატბერდული ხელნაწერის ფრაგმენტი, XI ს. დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ხოლო წმიდამან მან ჰრქუა:

– შვილო, იქმენ სრულიად მორჩილ სიტყუათა ჩემ გლახაკისათა და მე თავსმდებ გექმნე ქრისტჱს მიმართ, რაჲთა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შენნი შეგინდვნეს.

და მან ჰრქუა:

– წმიდაო მამაო, ჴელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისაჲ იზრუნე.

მაშინღა ჯუარი დასწერა და აკურთხა ლოცვითა და შეჭურა მადლითა და მისცა თჳსთა ჴამლთა საბელი, რაჲთა სარტყლად შეირტყას. და მან ყო ეგრეთ.

ნეტარმან გრიგოლ უბრძანა მჴევალთა მათ მისთა წარსლვაჲ ციხედვე, და ესრჱთ მოიყვანა იგი მერეს.

დაბრუნდა კურაპალატი ციხე-ქალაქში, მოიკითხა ის ქალი და რომ ვერ ნახა, ძალიან შეწუხდა. მიხვდა, რაც მომხდარიყო. ეშმაკისგან ისე იყო ძლეული, რომ თავმოყვარეობა დაივიწყა. სწრაფად მივიდა მერეში. ნეტარმა ფებრონიამ დამალა დედაკაცი. კურაპალატმა ილოცა ღვთისმშობლის ტაძარში, დედა ფებრონიასგანაც მიიღო დალოცვა და ბოლოს მიმართა მას:

- იცი, დედაო, აქ რისთვის მოვედი?

- უფალმა იცის, რისთვის მობრძანდი, - უპასუხა დედა ფებრონიამ.

- იმიტომ მოვედი, რომ მამა გრიგოლს აქ წამოუყვანია სასახლის საგანძურის მცველი (მეჭურჭლე). მთელი ჩვენი ქონება მის ხელში იყო. დიდძალი დანაკლისი აღმოვაჩინეთ. უბრძანე, ერთხელ მოვიდეს ციხე-ქალაქში, მოგვითვალოს დანაკლისი და ისევ მონასტერში დაბრუნდეს.

ფებრონიამ კი უკმეხად მიუგო:

– მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა.

ესე რაჲ ესმა კურაპალატსა, სირცხჳლეულ იქმნა მართლმხილებისა მისგან კდემული და მყოვარ ჟამ დადუმნა, ვითარცა ძლეული, რამეთუ ჴორციელად ძლიერსა ჴელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს, შეჭურვილთა მათ საღმრთოჲთა შურითა.

ხოლო შეურვებულმან კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა:

– ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს, – და მსწრაფლ ხოლო აღდგა და წარვიდოდა.

ნეტარი ფებრონია კეთილმოსურნედ ეპატიჟებოდა, სთხოვდა, ცოტა ხნით დარჩენილიყო, მაგრამ აშოტმა არ ინება. სინდისი ქენჯნიდა. დანაშაულს მიხვდა და სულიერად გამხნევდა. სიბრძნემ განდევნა ცოდვა.

იქმენ ... მორჩილ - დაემორჩილე.
თავსმდებ გექმნე ქრისტჱს მიმართ - გიშუამდგომლო ქრისტესთან.
თავადმან - თვითონ.
ბრალნი ... შეგინდვნეს - დანაშაული გაპატიოს.
ჴელთა შენთა ვარ - შენს ხელში ვარ.
უმჯობჱსი სულისა ჩემისაჲ იზრუნე - გააკეთე ის, რაც ჩემი სულისთვის აჯობებს.
მაშინღა - მხოლოდ ამის შემდეგ.
შეჭურა - აქ: მისცა, მიანიჭა.
ჴამლთა საბელი - ფეხსაცმლის შესაკრავი ბაწარი.
სარტყლად - ქამრად.
ყო ეგრეთ - ასეც მოიქცა.
უბრძანა მჴევალთა მათ წარსლვაჲ ციხედვე - მის მოახლეებს უბრძანა ციხე-ქალაქში დაბრუნებულიყვნენ.
მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა. - ცოდვის ჩადენის მიზეზებს ეძებენ ადამიანები, რომლებიც უკეთურებას სჩადიან (ფსალმუნები 140, 4).
ესე რაჲ ესმა - ეს რომ გაიგო.
სირცხვილეულ იქმნა - შერცხვა.
მართლმხილებისა მისგან კდემული - სამართლიანი მხილებისგან შერცხვენილი.
მყოვარ ჟამ დადუმნა - დიდხანს დადუმდა.
ვითარცა ძლეული - როგორც დამარცხებული.
ჴორციელად ძლიერსა ჴელმწიფესა - ამქვეყნიური (საერო) ძალით მოსილ ხელმწიფეს.
შეჭურვილთა მათ საღმრთოჲთა შურითა - საღვთო მისწრაფებით შეიარაღებულებმა.
შეურვებულმან - შეწუხებულმა.
გულისა შეჭირვებისაგან - გულისტკივილისგან.
ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს - ნეტა იმ კაცს, რომელიც ცოცხალი აღარ არის.
მსწრაფლ ხოლო აღდგა და წარვიდოდა - სწრაფად წამოდგა და წავიდა.

დააკვირდით

• მამა გრიგოლს გულთან მიაქვს ნებისმიერი ადამიანის სულიერი გასაჭირი, ამიტომ ზრუნავს ხელმწიფეზეც და სიძვის დიაცზეც, რადგან სიძვის ცოდვა, ბიბლიური თვალთახედვით, მცნების დარღვევა და სულის წარწყმედაა;
• მამა გრიგოლი ტაქტიანად იქცევა - განმარტოებით ელაპარაკება ქალს მისი ცოდვის შესახებ, რათა ნათქვამი ვერც მსახურმა ქალებმა გაიგონ და ვერც - მისმა მოწაფეებმა;
• აშკარაა, რომ ქალი მორწმუნეა, როგორც კი მიეცა შესაძლებლობა, უყოყმანოდ დაემორჩილა მამა გრიგოლს და მერეში გაჰყვა;
• ფებრონია აშოტ კურაპალატთან საუბრისას დავით წინასწარმეტყველის სწავლებას იშველიებს, რომ მის მიერ მეფისთვის გაცემულ მკვახე პასუხს ბიბლიური ახსნაც და, შესაბამისად, მყარი საფუძველი ჰქონდეს.

კითხვები და დავალებები

1. როგორ გესმით აშოტზე ნათქვამი: „დაემონა გულისთქუმასა“?
2. თქვენი აზრით, მამა გრიგოლი სანოვაგის სათხოვნელად რატომ არ მივიდა პირდაპირ ციხეში და ქალს თხოვნა რატომ შეუთვალა ციხის მისადგომთან გაჩერებულმა?
3. როგორ ფიქრობთ, ქალს სურდა აშოტთან ყოფნა (მოსაზრება დაასაბუთეთ)?
4. თქვენი თვალსაზრისით, შესაძლოა, მეფის მეჭურჭლედ ქალს ემსახურა (მოსაზრება დაასაბუთეთ)?
5. რომელი ფრაზა მიგაჩნიათ ამ ეპიზოდის მთავარ სათქმელად (მოსაზრება დაასაბუთეთ):

ა) „კურაპალატმან გულისა შეჭირვებისაგან თქუა: - ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“;

ბ) „დანაშაულს მიხვდა და სულიერად გამხნევდა. სიბრძნემ განდევნა ცოდვა“;

გ) „ძლეულ იქმნა ბოროტითა მით ცოდვითა... რამეთუ დაემონა გულისთქუმასა“;

დ) „ჴორციელად ძლიერსა ჴელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს“.

შემოქმედებითი სახელოსნო

თხრობა მთხრობლის შეცვლით

ეპიზოდში მოთხრობილი ამბავი გადმოეცით აშოტ კურაპალატის ან მისი საყვარელი ქალის თვალით. დაფიქრდით და დაწერეთ:

- როგორ მოჰყვებოდა ამბავს თქვენ მიერ შერჩეული პერსონაჟი;
- ამბავს შეურჩიეთ შესაფერისი სათაური.

ნაშრომში წარმოაჩინეთ:

- როგორია თქვენ მიერ შერჩეული პერსონაჟის დამოკიდებულება ეპიზოდში გადმოცემული ამბის, მთავარი პრობლემის მიმართ;
- გაითვალისწინეთ, რომ მკაფიოდ უნდა ჩანდეს პერსონაჟის განცდები, შეფასებები, ქცევის მოტივი და მიზანი.



რელიეფები, ოშკი, ტაო, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

თვალსაზრისი

იმსჯელეთ თემაზე - გრიგოლ ხანძთელი - ზნეობის მასწავლებელი



დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:

• გაიხსენეთ, რომ მამა გრიგოლმა აშოტ კურაპალატი დავით წინასწარმეტყველის შთამომავლად, ქრისტეს ნათესავად მოიხსენია და ამით მეფეს შეახსენა, რომ ხელმწიფე სამართლიანობით ღმერთს უნდა მიემსგავსოს;

• იმსჯელეთ, რა საფრთხეს შეიცავდა აშოტის საქციელი;

• იმსჯელეთ, როგორ იკვეთება მამა გრიგოლის, როგორც სულიერი ლიდერის, მისია;

• შეაფასეთ გრიგოლ ხანძთელის ქცევა, გამოხატეთ თქვენი პოზიცია.

მსჯელობა დაასაბუთეთ არგუმენტებითა და ტექსტიდან მოხმობილი ციტატებით.

ლიტერატურული პარალელები

ზეპირი მსჯელობისთვის

გრიგოლ აბაშიძის რომან „ლაშარელას“ ერთ-ერთ ეპიზოდში მოთხრობილია, როგორ ინანიებს ცოდვებს ლაშა-გიორგის უკანონო ცოლი და მარტომყოფ ბერს დედათა მონასტერში მიჰყვება. ყურადღებით წაიკითხეთ ეს ნაწყვეტი.

„ჯვარაღმართული მოდიოდა მარტომყოფი საბა.

ალაყაფის კარს იქით გაეგება ლილე და მოხუცს ფეხქვეშ ჩაუვარდა, მოეხვია და ხამლი დაულტო ცრემლითა და ამბორით.

- ვინა ხარ შენა, ასულო, და რას ითხოვ ჩემისაგან გლახაკისა?

- მე ვარ ცოდვილი, თანამეცხედრე მეფისა, არასჯულიერ...

- შვილო, ფრიად არიან ცოდვანი შენნი...

- მილხინე, მამაო, ცოდვათაგან ჩემთა და მფარველ მექმენ უფლისა ღმრთისა წინაშე. რამეთუ უსჯულოებათა ჩემთათვის მსაჯნეს მე და სალბუნ ეყოს ძესა ჩემსა და მეფესა უბრალოსა. ნუ გარემიიქცევ პირსა ჩემგან...

- ნუ გეშინია, შვილო! მოგიტევნენ შენ ცოდვანი შენნი! შეუდექ გზასა ჩემსა და მე თავსმდებ გექმნე ქრისტეს მიმართ, რათა მან თავადმან ყოველნი ბრალნი შეგინდვნეს...

- წმიდაო მამაო, ხელთა შენთა ვარ, უმჯობესი სულისა ჩემისა იზრუნე...

საბა გაოცდა, იგი დიდი ბრძოლისა და ქადაგებისთვის იყო შემზადებული სულიერად. ციხე რომ უბრძოლველად



აიღო, თავისი ღონისა და აღჭურვილობის უცდელობა დაენანა და ცოტა შეწუხდა კიდეც. ღვთისნიერი მოხუცი მალე დამშვიდდა: ასე იოლად მიზნის მიღწევაში ნეტარმა საბამ განგების ხელი დაინახა, მუხლზე დაიჩოქა, ღმერთს მადლი შესწირა. მერე ლილეს ჯვარი გარდასახა, ფეხზე წამოაყენა და ჰრქვა:

- შვილო ჩემო, დღეს იქმნა ცხორებაი სულისა შენისა, რამეთუ სანატრელისა დედისა ირინეს წინაშე წაგიყვანებ შენ: წარემართე და ვიდოდე წინაშე ჩვენსა.

ზურგზე ფუთამოკიდებული ლილე თავდახრილი გაუდგა გზას, უკან მისი სულიერი მეგზური, ძნელი საქმის ღვთივბედნიერად დაგვირგვინებით გახარებული მარტომყოფი მიჰყვებოდა“.

შეასრულეთ დავალებები:

• თქვენი აზრით, იგრძნობა თუ არა გიორგი მერჩულის გავლენა მეოცე საუკუნის მწერლის ნაწარმოების ამ ეპიზოდზე?

• იმსჯელეთ ხელმწიფეთა საყვარელი ქალების ბედზე. ვინ არიან ისინი - გარემოებათა მსხვერპლნი თუ დიდებას დახარბებული, გრძნობებს აყოლილი ადამიანები?

• გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება მათ მიმართ. იმისათვის, რომ მსჯელობა დამაჯერებელი იყოს, მოიხმეთ არგუმენტები ორივე ტექსტიდან.

ლიტერატურული პარალელები

ა) ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ვასილ ბარნოვის (ვასილ ბარნაველი; ქართველი მწერალი, პედაგოგი; 1856-1934 წწ.) რომანიდან „ტრფობა წამებული“ და შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

ვასილ ბარნოვი:

„ - შენ უწყი, დედაო, რისთვის მოველ აქ?

- უფალმა უწყის, რისთვის ჰბრძანე აქ მობრძანება.

- ამა მიზეზისათვის იქმნა მოსვლაი ჩემი: სასახლისა ჩემისა მეჭურჭლე ქალი იყო და ყოველი მონაგები ჩვენი ხელთა მისთა ეგო; მამასა გრიგოლს აქა წარმოუყვანია იგი. ფრიად დაგვაკლდა საფასეთა ჩვენთაგან; უბრძანე: ციხედ მოვიდეს, ყოველივე მოგვითვალოს და კვლავ თქვენდავე მოვიდეს, ვითარცა უნდეს.

ჩამოჰკრა თებრონიასათვის წუთმა სასურველმა, როცა უნდა ეჩვენებინა მას შეკრებულთათვის, რა ძლიერი ძალით არის აღჭურვილი სუსტი იგი მხევალი ღვთისა, თუ მოითხოვს მას სჯული ქრისტესი; როგორ უტეხად შეჰხვდება იგი თვით მეფის წყრომას, იტვირთებს თვით ჯვარს ქრისტესი, წამებას სასტიკს. და ეხლა, აქვე!.. თვა-

ლთაგან დაეკვესა ცეცხლი ბოროტი. ჰრქვა მკვეთრად:
- მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთათანა, რომელნი იქმან უსჯულოებასა!..
... მცირედ ჟამს სდუმდა, ვითარცა ძლეული: ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა შეურვებულმან მეფემან გულისა შეჭირვებისაგან სთქვა:
- ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს!
მსწრაფლ აღსდგა და წავიდა.
იძლია მეფე, მაგრამ ვერ აუსრულდა საწადელი ვერც ფებრონიას: მეტოქემ არ იკადრა პირად მასთან შებრძოლება, მონაზონს არ მიეცა შემთხვევა მოწამებრივის სიკვდილისა, არც რამ წამების თუ ტანჯვისა, გინა შეჭირვებისა. უბრალო სახეც კი არ დაუდგა მას წინ მებრძოლი ძალისა. მოუცდა მოლოდინი: მისმა სიტყვებმა დაჰკარგეს ღირებულება მკვეთრის განკიცხვისა“.

ბ) გაიხსენეთ/მოიძიეთ გიორგი მერჩულის თხზულებიდან „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ეპიზოდი, რომელმაც შთააგონა ვასილ ბარნოვი

გ) მოცემული ტექსტების მიხედვით, დაწერეთ ანალიტიკური ესე თემაზე - ერთი პერსონაჟი, ორი ხასიათი

• იმსჯელეთ, როგორ წარმოადგენს გიორგი მერჩულე ფებრონიას ხასიათს;
• იმსჯელეთ, როგორ წარმოადგენს ვასილ ბარნოვი თებრონიას ხასიათს (ყურადღება მიაქციეთ ბოლო აბზაცს);
• როგორ იყენებს ვასილ ბარნოვი გიორგი მერჩულის ტექსტს (გამოყავით ორი ტექსტის საერთო ადგილები)?
• გაითვალისწინეთ, რომ გიორგი მერჩულე მეათე საუკუნის ავტორია, ვასილ ბარნოვი - მეოცისა. ამ თვალსაზრისით, რა სხვაობას ხედავთ მათ ხელწერაში?
• აღნიშნეთ, როგორ იყენებს ვასილ ბარნოვი გიორგი მერჩულის ტექსტს.



რელიეფი, ოპიზა

17. შორის იფქლთა მათ წმიდათა იპოვა ერთი ვინმე, ვითარცა ღუარძლი სარწებს აღმოცენებული, დიაკონებასა შინა და ტფილისს აღზრდილი საჰაკ ამირისა ისმაელის ძისაგან და მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატსა წინაშე, რომელმანცა იხილა ანჩისა ეპისკოპოსი გარდაცვალებული და საჰაკ ამირისა მიერ მოითხოვა ანჩისა საყდარი აშოტ კურაპალატისაგან უკეთურმან მან ცქირმან. და რაჟამს მძლავრებით დაიპყრა ანჩი, კუალად შესძინა ძვრი ძვრსა.

უკეთური ცქირის ბოროტი საქციელი არაერთხელ ამხილეს კლარჯეთის მეუდაბნოეებმა, მამებმა და ეკლესიის სამწყსომ, ყველაზე მეტად - მამა გრიგოლმა, როგორც მთელი კლარჯეთის არქიმანდრიტმა.

ამ ამპარტავანმა ღვთის შიში დაივიწყა, ფარულად მოელაპარაკა ერთ ანჩელ უნამუსო კაცს, ურცხვსა და გლახაკს, რომელიც მშვილდოსნობაში იყო გაწაფული. უთხრა, თუ მამა გრიგოლს მოკლავ, სამ გრივ ფეტვსა (განმარტება იხ. სქოლიოში) და ხუთ თხას მოგცემო. წავიდა ეს მოისარი ხანძთაში მამა გრიგოლის მოსაკლავად. მიმავალმა ვიღაცისგან დაადგინა, რომ მამა გრიგოლი აქ არ არის, ხანძთის მამულშია წასული და შინ დღეს დაბრუნდებაო. ჩაუსაფრდა ხანძთის ტყისპირას და მშვილდი მოამზადა.

ნეტარი მამა გრიგოლი სახნავ-სათესი მიწიდან (აგარაკიდან) მარტო მოდიოდა ხანძთაში და სიარულისას ზეპირად ამბობდა წმინდა მამა ეფრემის საკითხავს, თან მდუღარე ცრემლებით ტიროდა, სულით კი ხარობდა.

მაშინ საბრალო კაცმა დიდი სასწაული იხილა. ცამდე ასული ბრწყინვალე ნათლის სვეტი ადიოდა მამა გრიგოლისგან, ხოლო თავზე ჯვარი ედგა, რომელსაც გარშემო მშვენიერი ცისარტყელა შემორტყმოდა, წვიმის დროს რომ გამოჩნდება ხოლმე.

ესე დიდებაჲ მის ზედა იხილა კაცმან მან და ფრიად ძრწოლამან შეიპყრა იგი, რამეთუ დაჰჭსნდეს ძარღუნი მკლავთა მისთანი და ზარისა მისგან დიდისა დაცემული იდვა ქუეყანასა ზედა.




შორის იფქლთა მათ წმიდათა - წმინდა ხორბალში (ი ფ ქ ლ ი, პირდაპირი მნიშვნელობით, არის შემოდგომაზე ნათესი ხორბალი; გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულად, პატიოსანი ადამიანები, აქ: ბერები).

ვითარცა ღუარძლი - როგორც სარეველა (აქ: ცქირი).

სარწები - ჯეჯილი.

სახარებისეული „იფქლისა და ღვარძლის იგავი“ მოგვითხრობს, რომ სახლის პატრონმა დათესა ხორბალი, ხოლო ღამით ეშმაკმა ჩუმად ჩაამატა ნათესში ღვარძლის თესლი. ღვარძლის დანახვისას ბატონმა ბრძანა, რომ მოეცადათ მკამდე. როცა მოსავლის



აღების დრო მოვიდა, ბატონმა ხელით ააღებინა მსახურებს ხორბალი, შემდეგ კი ღვარძლი დააწვევინა (იხ. მათე 13, 24-30). სახარებაში ეს იგავი ახსნილიცაა. ხორბალი სასუფევლის ძეა, ღვარძლი - ეშმაკის ძე, რომელსაც არ ასცდება ჯოჯოხეთის ცეცხლი (იხ. მათე 13, 36-43).

დიაკონებასა შინა - დიაკვნობაში.

საჰაკ ისმაელის ძე - თბილისის ამირა 831 – 853 წლებში.

მოციქულად მავალი აშოტ კურაპალატის წინაშე - შუამავლად გაგზავნილი აშოტ კურაპალატთან.

ანჩი - ანჩის ეკლესია. დაარსდა VI საუკუნეში.

მძლავრებით დაიპყრა ანჩი - ძალადობით დაეპატრონა ანჩის ეკლესიას.

კუალად - კვლავ.

შესძინა ძჳრი ძჳრსა - ბოროტებას ბოროტება დაუმატა.

შთამოვიდოდა - ჩამოდიოდა.

წმინდა მამა ეფრემის საკითხავი - წმინდა ეფრემ ასურის „სინანულის საგალობელი“, რომელიც ყოველდღიურად იკითხება დიდი მარხვის დროს.

ძრწოლამან შეიპყრა - შიშმა შეიპყრო.

რამეთუ დაჰჴსნდეს ძარღუნი - დამბლა დაეცა.

ზარისა მისგან - შიშისგან.

დაცემული იდვა ქუეყანასა ზედა - მიწაზე ეგდო.

ჰრქუა მას ნეტარმან გრიგოლ:

– ჱ, საწყალობელო, ყავ ბრძანებული მისი, რომელმან მოგავლინა შენ, რამეთუ ხარ უვარისმყოფელი ქრისტეანობისაჲ, ვინაჲთგან უნდოჲსა სასყიდლისათჳს უბრალოჲსა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ. ანუ არა სამისა გრივისა ფეტჳსათჳს და ხუთთა თხათათჳს მოსრულ ხარა მოკლვად ჩემდა, ჱ, უგუნურო?

მაშინ კაცი იგი ტირილით ევედრებოდა მას:

– შემიწყალე, წმიდაო ღმრთისაო, განწირული ესე მკლველი შენი და მიემსგავსე ქრისტესა, მკლველთა თჳისთა მონანულთა შემნდობელსა!

მაშინ წმიდამან მან წყალობით ჯუარი დასწერა და განკურნა იგი, რამეთუ მრავალი გუემაჲ დაცემულ იყო მის ზედა და სიხარულით განუტევა სახიდ თჳსად. ხოლო კაცმან მან ყოველი იგი ყოფილი უთხრა ცქირსა. და უფროჲსღა აღბორგნა და შესძინა სიბრმე სიბრმესა ზედა.

მრავალი ბოროტება შეამთხვია ცქირმა მამა გრიგოლს, სამღვდელოებასა და მორწმუნე ერისკაცებს. ბოლო აღარ უჩანდა მის უკეთურ საქმეებს. მაშინ ყველაფერი აცნობეს მეფე აშოტ კურაპალატს. მეფის ბრძანებით ანჩელმა ეკლესიის მსახურებმა წერილი მისწერეს ქართლის კათალიკოსს. მან სასწრაფოდ გამოგზავნა ეპისკოპოსები, რომლებსაც ბერ-მონაზვნებიც შეუერთდნენ.

სასწაულმოქმედი დედა ფებრონიაც მივიდა წმინდა კრებაზე. ანჩის ყველა მღვდელი და მრევლი იქ იყო. კრებამ პირისპირ ამხილა ცქირი. მოწვეულ ეპისკოპოსებს დაწვრილებით მოახსენეს ამ უკეთურის ბოროტი საქმეების შესახებ.

მაშინ მღვდელმთავრებმა ჩამოართვეს ეპისკოპოსობის ხარისხი. ყველამ ერთხმად განკვეთა საყოველთაო ეკლესიიდან. ღვთისგან უარყოფილი და უღონოდქმნილი, თბილისში წავიდა თავის პატრონთან, ამირა საჰაკ ისმაელის ძესთან. ამირა ჩაერია საქმეში. მეფეს დაუკავშირდა. აშოტ კურაპალატი მასთან ურთიერთობის გართულებას მოერიდა და დაუთმო. ცქირმა ისევ ძალით მიიტაცა ანჩის ეკლესია და გადაწყვიტა გრიგოლზე შური ეძია.

მაშინ შეკრიბა ერი ანჩისაჲ და წარავლინა დარღუევად ხანძთისა. და აღმოსლვასა ოდენ მზისასა მივიდეს. ჰრქუა მათ მამამან გრიგოლ:

– შვილნო, დრო-მეცით მე და ძმათა ჩემთა ვიდრე შუადღედმდე, რაჲთა წმიდასა შინა ეკლესიასა ვყოთ ვედრებაჲ წინაშე ქრისტჱსა და შევიწიოთ წმიდაჲ გიორგი და ყოველნი წმიდანი და ყოს უფალმან სასწაულ კეთილ.

ხოლო მათ ისმინეს სიტყუაჲ მოხუცებულისაჲ. და ჟამსა მას ცრემლით ვედრებისა მათისასა ისმინა უფალმან თხოვაჲ მათი და წმიდისა ანგელოზისა მიერ ეუწყა მათ, ვითარმედ: - საღმრთოჲ შურისგებაჲ ეწია ბოროტსა მას მტერსა თქვენსა.

და მო-ხოლო-იწია კაცი, რომელი ეტყოდა კაცთა მათ:

– ნუღარა იკადრებთ დარღუევად დიდებულსა ხანძთასა, რამეთუ დამარღუეველი მაგისი მოკუდა.

მაშინ განიხარეს კაცთა მათ, სიხარულით წარვიდეს სახით თჳსად და ადიდებდეს ღმერთსა.



ანჩა, IX-X სს. კლარჯეთი. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია. XX საუკუნის დასაწყისის ფოტო. ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ყავ ბრძანებული მისი - შეასრულე მისი ბრძანება.
რომელმან მოგავლინა შენ - ვინც გამოგგზავნა.
ვინაჲთგან - რადგან.
უნდოჲსა სასყიდლისათჳს - უბადრუკი საფასურისთვის.
უბრალოჲსა ბერისა კაცისა სისხლთა გარდაისხამ - უდანაშაულო მოხუცის სისხლში ისვრი ხელს.
გრივი - წონის საწყაო. ერთი გრივი უდრის დაახლოებით 100 კილოგრამს.
მონანული - ვინც ცოდვას ინანიებს.
მრავალი გუემაჲ დაცემულ იყო მის ზედა - მრავალი ავადმყოფობა სჭირდა.
განუტევა სახიდ თჳსად - შინ გაუშვა.
ყოველი იგი ყოფილი - ყველაფერი, რაც მოხდა.
უფროჲსღა აღბორგნა - უფრო განრისხდა.
შესძინა სიბრმე სიბრმესა ზედა - სიბრმავეს სიბრმავე დაუმატა, აქ: ცოდვას ცოდვა დაუმატა.
ერი ანჩისაჲ - ანჩელები, ანჩის მკვიდრნი.
წარავლინა დარღუევად ხანძთისა - გაგზავნა ხანძთის ეკლესიის დასანგრევად.
აღმოსვლასა ოდენ მზისასა - მზის ამოსვლისას.
დრო-მეცით - მადროვეთ.
შევიწიოთ წმიდაჲ გიორგი და ყოველნი წმიდანი - შევევედროთ წმინდა გიორგისა და ყველა წმინდანს.
მო-ხოლო-იწია - მოვიდა.
ნუღარა იკადრებთ - არ გაბედოთ.
დარღუევად - დანგრევა.
დამარღუეველი მაგისი - მისი დამანგრეველი.
წარვიდეს სახიდ თჳსად - შინ წავიდნენ.

დააკვირდით

• ქცირი თბილისშია აღზრდილი საჰაკ ამირას მიერ. როგორც ჩანს, თბილისის ამირა ცდილობს თავისი გავლენის გაფართოებას ტაო-კლარჯეთში;
• მამა გრიგოლი ლოცვისას ტირის, სულით კი ხარობს;
• ანჩელი გლახაკი მამა გრიგოლს სახარებისეულ ამბავს შეახსენებს, თუმცა თავად ამ სწავლებით არ ცხოვრობს, რაც კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ გამოუყენებელ ცოდნას ფასი არ აქვს;
• აშოტი იძულებულია, მოერიდოს თბილისის ამირას და შეასრულოს მისი ნება, ამიტომ განკვეთილ ადამიანს ეპისკოპოსის ხარისხში აღადგენს;
• ღმერთი იცავს მამა გრიგოლსაც და ხანძთასაც.

კითხვები და დავალებები



ჩუქურთმა ტბეთიდან, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

1. იმსჯელეთ, რა ფუნქციას აკისრებს ავტორი „იფქლისა და ღვარძლის“ სახარებისეული იგავის ალუზიას თხრობისას. მოსაზრება დაასაბუთეთ;
2. დაახასიათეთ ქცირი:
• ჩამოთვალეთ მისი თვისებები;
• მოძებნეთ ეპითეტები, რომლებითაც ავტორი მოიხსენიებს ქცირს და იმსჯელეთ მათზე;
• აღნიშნეთ, ქცირის რომელი თვისება მიგაჩნიათ ყველაზე უარყოფითად? მოსაზრება დაასაბუთეთ;
3. დაახასიათეთ მამა გრიგოლი ამ ეპიზოდის მიხედვით:
• მის თვისებებზე საუბრისას დაიმოწმეთ შესაბამისი ფრაზები ტექსტიდან;
• მიაქციეთ ყურადღება, მისი სულიერი მშვენიერება გარეგნულად როგორ გამოვლინდება;
• მამა გრიგოლის რომელი თვისება მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად ამ ეპიზოდის მიხედვით? მოსაზრება დაასაბუთეთ;
4. იმსჯელეთ ხანძთის დასარღვევად მისული ხალხის შესახებ. რა ამოძრავებთ ამ ადამიანებს? რატომ უსმენენ გრიგოლს? გაავლეთ პარალელი მოისართან;
5. იმსჯელეთ, ავტორმა ეს ეპიზოდი რა მიზნით ჩართო თხრობაში?

წერითი დავალება

დაწერეთ არგუმენტირებული ესე - ძალადობა სისუსტის გამოვლინებაა

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ, გაითვალისწინეთ შემდეგი მითითებები:

ა) გაეცანით მოცემულ გამონათქვამებს და იმსჯელეთ მათზე:

• მოძალადე სუსტია, რადგან ეშინია ადამიანების სიბრძნისა და სიმართლისა (პლატონი);

• ძალადობა გამარჯვება არ არის (დალაი ლამა);

• ძალადობა ყოველთვის სუსტი სულის ნიშანია (მაჰათმა განდი).

ბ) დაფიქრდით, რას გამოხატავს ცქირის საქციელი - მის ძალასა და ავტორიტეტს თუ სისუსტესა და შიშს? მოსაზრება დაასაბუთეთ.

გ) გაავლეთ პარალელი ვარსქენ პიტიახშთან, გაიხსენეთ მისი განწყობა, ემოციები, როგორ ასახა იაკობ ხუცესმა მისი შინაგანი მდგომარეობა. გაიაზრეთ, სისუსტეს ავლენს ძალადობით თუ - მრისხანებასა და სიძლიერეს. მოსაზრება დაასაბუთეთ;

დ) იმსჯელეთ, როგორია მოძალადეთა დამოკიდებულება ირგვლივ მყოფებთან და პირიქით. მოსაზრება დაასაბუთეთ;

ე) შეაფასეთ საკითხი თანამედროვე ადამიანის პოზიციიდან. იმსჯელეთ, საუკუნეთა განმავლობაში არსებითად შეიცვალა თუ არა მოძალადეთა ბუნება. მოსაზრება დაასაბუთეთ;

ვ) შეაჯამეთ თქვენი მოსაზრებები და გამართეთ ენობრივად.

წერითი დავალება

დაწერეთ ანალიტიკური ესე - მონანიების ძალა

შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები

ა) ყურადღებით წაიკითხეთ ეპიზოდი ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობიდან „მრისხანე ბატონი“:

მრისხანე ბატონმა ლევანმა თავისი უკანასკნელი სისასტიკე აღასრულა - უდანაშაულო ადამიანებს ბრალი დასდო და სიკვდილით დასაჯა. „ამ სასჯელის შემდეგ შემოვიდა დარბაზში, ტახტზე დაჯდა. ბნელ და ძნელს ფიქრს ფიქრობდა.

იგი გამოარკვია ხმაურობამ. დიდი ქალბატონის ოთახიდან გამოჰქონდათ სკივრი; გამდელი და მოხუცი დედაკაცი ხმამაღლა სტიროდენ. კარებიდან გამოვიდა თვით დიდი ქალბატონი დესპინე.

- დედა, სად მიბრძანდები, ბატონო?

- შორს აქედან, შორს, სადაც უნდა იყოს...

- წაბრძანდი, ბატონო, ბოროტებით აღივსო სახლი. უსათუოთ მონასტერში მიდიხარ... ხელცარიელი ნუ წახ-



ვალ; წაიღე, რაც რამ იყოს თვალ-მარგალიტი, შეამკე ხატები, ტაძარი. ოქროც წაიღე. დაარიგე - მიწირონ, იქნებ შემიმსუბუქდეს სული.

დედამ ვეღარ მოითმინა: ოცი წლის წყრომა დაავიწყა დედის გულს ამ ერთხელ მრისხანე ლევანის გატეხილმა ხმამ, დანაოჭებულმა სახემ, ჩავარდნილმა თვალებმა.

- შვილო, საბრალო ლევან, შენ სადღა გაექცევი შენს სინდისს?

- წავალ... მომეცი, დედა, ხის ხატი, საჯვარეზე რომ ჩამოხსნა მამაჩემმა მეხით გახეთქილ მუხას, სადაც მიმიყვანს, იქ დავრჩები.

მეორე დღეს მსახურთ აღარ უნახავთ ლევანი.

ეპილოგი

მოწამეთის პირდაპირ, მდინარის გაღმა, გამოქვაბულში შეაფარა თავი მოხუცმა. დაყუდებული ბერი ყველას მორჩილებით, მორიდებით ეპყრობოდა. ჩიტები თამამათ სხდებოდენ მის თავზე და ნისკარტს იწმენდდენ თმაზე. შველი, წყალზე ჩამოსული, ხელიდან ართმევდა ჭადის ნატეხს. მოხუცი კი ლოცულობდა ხის ხატის წინ, განუწყვეტლივ კითხულობდა სახარებას; უფალს შენდობას ევედრებოდა ბალახის გადათელვისთვის, მზის სხივის შეურაცხყოფისთვის, ორიოდე ლუკმისთვის, რომელსაც შორიახლოს უტოვებდნენ მცხოვრებნი.

ერთ დილას მწყემსმა ნახა გამოქვაბულში გაცივებული გვამი. გულზე დაკრეფილ ხელებში მიცვალებულს ეჭირა ხის ხატი“.

ბ) გაიხსენეთ, დაქირავებული მკვლელი მას შემდეგ, რაც ნათლით გასხივოსნებული წმინდა გრიგოლის პირისპირ აღმოჩნდება, ვერ შეძლებს მის მოკვლას. ინანიებს საკუთარ შეცდომას და შენდობას ითხოვს წმინდა მამისგან.

გ) დაუკავშირეთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მოცემულ მონაკვეთს „მრისხანე ბატონის“ ეპიზოდი და შეუდექით წერას.

დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:

• შეაფასეთ მოცემული ეპიზოდების პერსონაჟების ქცევა, მათი დამოკიდებულება საკუთარი დანაშაულის მიმართ;

• იმსჯელეთ, რით იწყება სინანული და რის შესაძლებლობას აძლევს ის ადამიანს;

• თქვენი აზრით, სინანული არის თუ არა საკუთარი თავის აღმოჩენისა და გარდაქმნის შესაძლებლობა;

• თქვენი მსჯელობა დამაჯერებელი რომ იყოს, შეგიძლიათ გაიხსენოთ სახარებისეული ამბები: იუდას ღალატი და თვითმკვლელობა, პავლესა და პეტრე მოციქულების ცხოვრების გზები, უფლის მარჯვნივ ჯვარცმული ავაზაკის სიცოცხლის უკანასკნელი წუთები...

• საკითხი დაუკავშირეთ რეალურ ცხოვრებას, შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი პირადი გამოცდილებიდან.

თვალსაზრისი

წაიკითხეთ ამონარიდები ლიტერატურული ტექსტებიდან:

ა) ნოდარ დუმბაძის (1928-1984) რომანში „მზიანი ღამე“ მთავარმა პერსონაჟმა თემურმა შეძლო შეენდო აბიბოსთვის, იმ ადამიანისთვის, რომლის მიმართ შურისძიებაზე დიდხანს ფიქრობდა... უფრო მეტიც, სიკვდილისგან იხსნა იგი. როდესაც თემური სახლში ბრუნდება, აღნიშნავს: „ტანში რაღაც საოცარ სისუსტეს თუ სიმსუბუქეს ვგრძნობდი. რაღაც დიდი, მძიმე, აუტანლად მძიმე დავტოვე წუხელ აბიბოს ოთახში, თუ დამრჩა, იქნებ დავკარგე კიდევაც და მის ნაცვლად რაღაც საოცრად სუფთამ, გამჭვირვალემ, მსუბუქმა და თბილმა ამივსო სხეული, ეს უჩვეულო რაღაც ახლა ბანგივით მათრობდა“.

ბ) ნუგზარ შატაიძე (1944-2009) ნოველაში „მიტრას ბიჭის ნაამბობი“ გვესაუბრება ორ თანასოფლელზე - გოგისა და კოლაზე, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს ქალაქ ტულუზაში ხვდებიან ერთმანეთს. გოგი ტყვედაა ჩავარდნილი, კოლა გერმანელთა რიგებშია, მისი ზედამხედველია... კოლა სასტიკად უსწორდება გოგის. წლების შემდეგ მშობლიურ სოფელში ისინი კვლავ ხვდებიან ერთმანეთს. აქამდე შურისძიების გრძნობით მცხოვრები გოგი კოლაზე ჰყვება: „დამინახა თუ არა, ეგრევე ხელიდან გაუვარდა ჩემოდანი, თვალებდადიდებული მომაჩერდა, სახეზე მიწისფერი დაედო, დააღო პირი - უნდა რაღაცა მითხრას და ხმა არ ამოსდის ყელიდან. მერე არ ვიცი, მუხლთ მოეკვეთა, რა იყო, ჩაიჩოქა ნელ-ნელა და ეგრე, ჩოქელა წამოვიდა, ჩოქელავე შემოვიდა ჭიშკარში, მოვიდა, მომეხვია მუხლებზე და ლუღლუღებს რაღაცა გაუგებარს. დღესაც არ ვიცი, რა მომივიდა, დავცქერი გახევებული, მკლავებჩამოყრილი და ძონძის ტიკინასავით ვქანაობ. არადა, ვინ იცის, სიზმარში თუ ცხადში, რამდენჯერა მყავს ნაცემი, ნაბურთავები, დაკეპილი... ყელში ერთი დიდი რაღაცა ბურთი მომწოლია, ლამის არის დამახრჩოს - მეცოდება, კაცო?! ის კიდევ ლუღლუღებს, იხვეწება, შარვლის ტოტებს ცრემლით მილბობს. ყური მივუგდე - არ მომკლა, გოგიო, არ მომკლა, შენი ჭირიმეო, - დუდუნებს. აბა არ იყო მოსაკლავი? მე კი არ ვეხვეწებოდი იმ დასაწვავ ტულუზაში, ნუ მცემ-მეთქი. მაგრამ არ ვარგა ადამიანის გული, არა - დავჯექი მიწაზე და წამომცვივდა ცრემლები- ვტირივარ, სულ მდუღარე გამდის თვალებიდან“.

გ) გურამ დოჩანაშვილის (1939-2021) მოთხრობაში „ორნი აქა-იქ“ მოქმედება სასუფეველში ხდება. მარიამ ღვთისმშობელი გარდაცვლილ გოგონას უფლის სამსჯავროზე მდგარი მისი მკვლელის გასამართლების უფლებას აძლევს. მკვლელი თავს იმართლებს, რომ მხოლოდ ბრძანებას ასრულებდა...

„ყველანი, დუმდნენ.

ის სამხმოვანებაც კი, მარადიული, ახლა დადუმებულიყო; არაფერი უბიძგებდა არსაითკენ, მხოლოდ თავისით უნდა გამოეტანა მსჯავრი, უმწეოდ მიმოიხედა გოგონამ და, წმინდა ნინოს ვაზის ნასხლევს რომ მოჰკრა თვალი, წამოიძახა:

- გთხოვთ, აპატიოთ, დიდო მარიამ ღვთისმშობელო!

- კარგად დაფიქრდი.

- გთხოვთ, აპატიოთ, შეხედეთ, რა უბედურია...

- კარგად დაფიქრდი. მე არაფერს არა გკარნახობ, მაგრამ არ მინდა, რომ აჩქარდე, შვილო.

- აჩქარებით არ მომსვლია ეს, მე მაგაზე ბევრჯერ ვფიქრობდი. ეგ ალბათ ისე დაიბადა, ისე გაზარდეს...

ისევ ისმოდა ის დიადი სამხმოვანება. სახელითა მამისა და ძისა და სულიწმიდისა – უფრო.

- გთხოვთ, აპატიოთ, ყველაზე დიდო ქალბატონო. ეგა, ცოდოა...

- რატომ, შვილო?

- მაგან აქაურობისა არაფერი იცოდა-რა, წარმოდგენაც კი არა ჰქონდა. აპატიეთ რა, დიდო მარიამ-ღვთისმშობელო.

ღრმად დაფიქრებულიყო ყველაზე დიდ ქალბატონი, წმინდა მარიამ-ღვთისმშობელი, დიდი მარიამი, მზე.

გოგონასათვის, და თავისათვისაც, სიხარულის ცრემლი სდიოდა“.

შეასრულეთ დავალებები:

იმსჯელეთ თემაზე - მიტევების არსი

დასახული ამოცანა რომ გაგიიოლდეთ, გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები:

• იმსჯელეთ მოცემული ტექსტების პერსონაჟებზე. შეაფასეთ მათი ქცევა. აღნიშნეთ, არიან თუ არა ისინი სამაგალითო. თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ;

• გაავლეთ პარალელი გრიგოლ ხანძთელისა და მისი თავდამსხმელის ეპიზოდთან;

• გაიხსენეთ, ჯვარცმული ქრისტეს უკანასკნელი სიტყვებია: „შეუნდე უფალო, რამეთუ არ იციან, რას იქმან“. სახარების თანახმად, ღმერთი ამ სიტყვებით მიტევების უდიდეს მაგალითს აძლევს კაცობრიობას;

• იმსჯელეთ, რამდენად ახერხებენ დღეს ადამიანები ისე მოქცევას, როგორც მოცემული ტექსტების მიმტევებელი პერსონაჟები მოქმედებენ.

თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად შეგიძლიათ მოიხმოთ მაგალითები რეალური ცხოვრებიდან.

18. ნეტარი მამა გრიგოლი, ქრისტეს ნების აღმასრულებელი, დიდებული სასწაულმოქმედი, ძალიან დაბერდა. ას ორ წლამდე მიაღწია. თუმცა სახის ფერი არ შესცვლია. თვალთ არ დაჰკლებია. ძალ-ღონეც შემორჩა. სიცოცხლის ბოლომდე სნეულება არ შეჰყრია. ძალიან უყვარდა შრომა, მხოლოდ ლოცვა და მარხვა კი არა, არამედ - დღედაღამ ხელსაქმობა, მხიარული მასპინძელი და გლახაკთა დამხმარე იყო. უმეტეს დროს შატბერდში ატარებდა. თავისი მონასტრები მამასახლისებს ჩააბარა, ისინი განაგებდნენ და მამა გრიგოლს მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საქმეებზე ეკითხებოდნენ რჩევას.

მამა გრიგოლს სურდა, გარდაცვალებისას შატბერდში ყოფილიყო. ეს რომ ხანძთელმა ძმებმა გაიგეს, შეწუხდნენ და, ვისაც კი სიარული შეეძლო, ყველა წავიდა მამა გრიგოლის სანახავად.

შატბერდელებმა დიდად გაიხარეს ხანძთელთა სტუმრობით. თუმცა, როცა მათი მოსვლის მიზეზი გაიგეს, სიხარული მწუხარებად შეეცვალათ.



შატბერდი, გუმბათის ყელი. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

როდესაც ილოცეს წმიდა ღვთისმშობლის ეკლესიაში, მამა გრიგოლს ძმებმა თაყვანი სცეს, ის კი ყველას ეამბორა და სიყვარულით მოიკითხა, როგორც ტკბილმა და კეთილმა მოძღვარმა.

მაშინ ნეტარმა გრიგოლმა ხანძთელებს ჰკითხა:

- საყვარელო შვილებო და ძმებო, ყველა ერთად რატომ მოხვედით?

მათ კი ასე უპასუხეს:

- ჩვენო მშობელო და მზრუნველო მამაო, ქრისტიანთა იმედო! შენი მოღვაწეობის პირველი ნაყოფი ხანძთაა. აქ იმისთვის გეახელით, რომ გთხოვოთ, ჩვენთან, ხანძთაში, ამობრძანდე. თუ ჩვენს თხოვნას არ შეისმენ, ჩვენც აქ დავრჩებით, უშენოდ ხანძთაში არ დავბრუნდებით.

მაშინ ნეტარმან მამამან გრიგოლ ჰრქუა ყოველთა:

- შვილნო, ბრძანებამან ქრისტჱსმან შეგუკრიბნა დღეს, რაჲთა სიმტკიცჱ ერთობისა და სიყვარულისაჲ აწ დაუმტკიცოთ მომავალთა ჟამთა ორთა ამათ მონასტერთა შინა დამკჳდრებულთა ძმათა სიტყვისაებრ უფლისა, რომელ ჰრქუა მოციქულთა, ვითარმედ: „ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყუარებოდით ურთიერთას“.

მაშინ შევიდა წმიდად ეკლესიად და ცრემლით თავი თჳსი დაჰვედრა მას, მშჳდობაჲ მდუმრიად რაჲ დაუტევა. და გამოსლვასა ბერთა ამბორის-ყოფაჲ მისცა. და ეგრეთ წარემართა ხანძთად კერძო. ხოლო ერი იგი ყოველი ცრემლით მოუდგა. და წმიდაჲ იგი ადგილსა მაღალსა დადგა შორის ერსა მას ღმრთისასა და დიდებაჲ შეწირა ქრისტჱს მიმართ და თქუა:

- შენ, უფალო, მოწყალებით მომიძეღუ მე ქუეყანათა ამათ სამთა თანა მოყუასთა კეთილთა მღდელთა წმიდათა და მრავალთა სულთა ნავთსაყუდელ ჰყვენ იგინი. ტალანტი სიბრძნისაჲ, რომელ სიყრმით ჩემითგან მომეც, განვამრავლე იგი, ვითარცა მონამან სარწმუნომან, შორის მორწმუნეთა შენთა.

და მერმე შატბერდსა ჯუარი დასწერა და ჰრქუა:

– კეთილად აღორძნდი, შატბერდო, და შეიმკვე მადლითა და განძლიერდი ძალითა ღმრთისაჲთა, აწ, ესერა, მშჳდობასა დაგიტევებ შენ. აწ დაღაცათუ ჯორცითა განგეშორები, ხოლო სულითა მარადის შენ თანა ვარ შეწევნად შენდა.

შატბერდელები მწარე ცრემლით ტიროდნენ ამ სიტყვების გაგონებისას, რომ ცოცხალს ვეღარ იხილავდნენ მოძღვარს.

სიტყვის დასრულების შემდეგ მამა გრიგოლი ეამბორა შატბერდელ ძმებს, დიდი თხოვნით დაარწმუნა, რომ თავიანთ მონასტერში დაბრუნებულიყვნენ და ხანძთელებს გაჰყვა, თუმცა ღვთისგან ერთნაირად დაჯილდოვდნენ წასულებიც და დარჩენილებიც, რადგან მოძღვარი ყველას ერთნაირად უყვარდა.

შატბერდიდან ხანძთას დაბრუნებულ გრიგოლს უდიდესი სიხარულით შეხვდნენ. ახლომდებარე მონასტრებიდანაც მოდიოდნენ მის სანახავად. ყველას უნდოდა მიეღო წმინდა მამის ლოცვა-კურთხევა და გახარებული დაბრუნებულიყო თავის მონასტერში.

მომავალთა ჟამთა - მომავალი დროის.

რომელ ჰრქვა - რომელმაც უთხრა.

„ამით ცნან ყოველთა, რამეთუ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ იყვარებოდით ურთიერთას“ (იოანე 13, 35) - ამით გაიგებს ყველა, რომ ჩემი მოწაფეები ხართ, რადგან

ერთმანეთი გეყვარებათ.
თავი თჳსი დაჰვედრა - თავი შეავედრა.
მშჳდობაჲ მდუმრიად რაჲ დაუტევა - მდუმარედ გამოემშვიდობა.
ამბორის-ყოფაჲ მისცა - ეამბორა.
წარემართა ხანძთად კერძო - წავიდა ხანძთაში.
ერი იგი ყოველი ცრემლით მოუდგა - მთელი ხალხი გარს შემოერტყა აცრემლებული.
მომიძეღუ მე - წინ გამომიძეხი, მომიყვანე.
სულთა ნავთსაყუდელ ჰყვენ იგინი - სულის ნავსადგურად (სამოთხედ) გადააქციე ისინი.
ტალანტი სიბრძნისაჲ, რომელ სიყრმით ჩემითგან მომეც, განვამრავლე იგი, ვითარცა მონამან სარწმუნომან - სიბრძნის ტალანტი, რომელიც სიყრმიდანვე მომეცი, გავამრავლე, როგორც ღირსეულმა მონამ (იგულისხმება „ტალანტების იგავი“ (მათე 25, 15-28), რომლის მიხედვითაც, ღმერთი ადამიანებს აძლევს ტალანტებს (ფულის ერთეულია) და სჯის იმას, ვინც მიწაში ჩამარხავს, ხოლო სწორად იქცევა ის, ვინც ამრავლებს ტალანტს, ანუ, პირდაპირი მნიშვნელობით ფულს იყენებს და მიწაში არ მარხავს; გადატანითი მნიშვნელობით, თავისი თავის გასაუმჯობესებლად შრომობს და სიკეთეს თესავს).
აღორძნდი - განვითარდი, გაძლიერდი.
მშჳდობასა დაგიტევებ - გემშვიდობები.
აწ დაღაცათუ - თუკი ახლა.
ჯორცითა განგეშორები - ფიზიკურად გშორდები.
შეწევნად შენდა - შენს დამხმარედ.



შატბერდი, IX-X სს. ჩუქურთმები. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

დააკვირდით

• გიორგი მერჩულის აზრით, მამა გრიგოლის რჩეულობა იმითაც გამოიხატება, რომ ღრმა სიბერემდე დაუძაბუნებლად იცხოვრა;
• მამა გრიგოლი ანდერძს უტოვებს ძმებს და საამისოდ უფლის სიტყვებს იშველიებს;
• მამა გრიგოლი ყველაფრისთვის უფალს ემადლიერება. იმ დიდ საქმეებს, რომლებიც სრულყო, ღვთის ნებით აღსრულებულად მიიჩნევს.

კითხვები და დავალებები

1. რა მხატვრული ხერხია: „შენი მოღვაწეობის პირველი ნაყოფი ხანძთაა“?
2. სახარებისეული თვალსაზრისით (რომელსაც მამა გრიგოლი იმოწმებს), ქრისტიანს რა გამოარჩევს სხვათაგან?
3. ახსენით, როგორ გესმით მონასტრის მეტაფორა: „მრავალთა სულთა ნავთსაყუდელი“?
4. მამა გრიგოლის რა ახალი თვისებები აღმოაჩინეთ ამ ეპიზოდში?

შემოქმედებითი სახელოსნო

წარმოსახვითი ინტერვიუ

მოირგეთ ჟურნალისტის როლი, წარმოიდგინეთ, რომ ხართ მეცხრე საუკუნის შატბერდში და შეესწარით ხანძთელი მამების ჩამოსვლას.
ჩამოართვით წარმოსახვითი ინტერვიუ რომელიმე პერსონაჟს:
• მამა გრიგოლს;
• მამა ზენონს;
• რომელიმე ხანძთელ ბერს;
• რომელიმე შატბერდელ ბერს;
• შატბერდის რომელიმე მცხოვრებს, რომელიც მამა გრიგოლის სულიერი შვილია;
• სხვას, თქვენ მიერ შერჩეულს.
წარმოიდგინეთ, რას გიამბობდათ მიმდინარე მოვლენის შესახებ და მისი პოზიციაც გამოკვეთეთ. თქვენი წარმოსახვითი ინტერვიუ წარუდგინეთ კლასს.



ოთხთა, ტაო, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

19. ამისა შემდგომად უბრძანა დიდსა ზენონს:

– ძმაო, შთავიდეთ ვენაჯად, რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა.

რამეთუ ჟამი იყო სთულისაჲ.

და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაჯსა მას, შენებულსა მისსა, კეთილად ნაყოფიერსა. და ჟამსა მას შინა მოვიდა სანატრელი მამაჲ მაკარი ოპიზელი ხილვად მოძღურისა თჳსისა, მამისა გრიგოლისა. და ვითარცა-იგი ფრიად განიხარეს და სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთას, და რამეთუ იყო ჟამი პურის-ჭამისაჲ, პურად ხოლო დასხდეს. და შემდგომად პურის-ჭამისა განიზრახეს მუნ დადგომაჲ ვიდრე ხვალისადმდე.

და ვითარცა შემწუხრდა, ერთსა შინა სახლსა იყვნეს სამნივე იგი ღმრთისა კაცნი და წართქვნეს წესისაებრ ფსალმუნნი. ხოლო მაკარის ჰრულოდა და სარეცელსა ზედა მიეძინა.

მაშინ ნეტარი იგი მამაჲ გრიგოლ და ზენონ სიტყჳთა მდაბლითა ფსალმუნებდეს. და მადლმან საღმრთომან განაბრწყინვა იგინი ნათლითა დიდებისაჲთა და სახლი იგი ბნელი, ვითარცა მზისა მცხინვარებამან განანათლა. და ვითარცა განეღვიძა მამასა მაკარის, თქუა:

– ვითარ საკჳრველად იხილვებიან წმიდანი ესე!



უბრძანა - აქ: უთხრა.
შთავიდეთ ვენაჯად - ჩავიდეთ ვენახში.
გზასა თანა ოპიზისასა - ოპიზის გზაზე.
ჟამი იყო სთულისაჲ - შემოდგომა იდგა, რთველობის დრო იყო.
შთავიდეს ... ზოგად - ერთად ჩავიდნენ.
ვენაჯსა მას, შენებულსა მისსა - მის გაშენებულ ვენახში.
კეთილად ნაყოფიერი - მსხმოიარე.
მოვიდა ... ხილვად - მოვიდა სანახავად.
ვითარ-იგი - როდესაც.
სურვიელად მოიკითხნეს ურთიერთას - გულითადად მოიკითხეს ერთმანეთი.
პურად ... დასხდეს - პურის საჭმელად დასხდნენ.
მუნ დადგომაჲ ვიდრე ხვალისადმდე - მეორე დღემდე იქ დარჩენილიყვნენ.
შემწუხრდა - მოსაღამოვდა.
წართქვნეს - წარმოთქვეს, თქვეს.
ჰრულოდა - ეძინებოდა, თვლემდა.
სარეცელი - საწოლი.
სიტყჳთა მდაბლითა ფსალმუნებდეს - ხმადაბლა ამბობდნენ ფსალმუნებს.
ვითარცა მზისა მცხინვარებამან - როგორც მზის მცხუნვარებამ.
ვითარ საკჳრველად იხილვებიან! - რა საკვირველი სანახავები არიან.

ჰრქუა მას მამამან გრიგოლ:

– ძმაო მაკარი, რაჲსა გიკჳრს ხილვაჲ ესე, არა გასმიესა წერილისაჲ: „საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“?

და ესრჱთ იხარებდეს სამნივე იგი სამებისა წმიდისა მადიდებელნი და წართქუნეს ცისკრისა საგალობელნი.

როცა გათენდა, ერთმანეთს გამოემშვიდობნენ. მამა მაკარი ოპიზაში წავიდა. მამა გრიგოლი და ზენონი ისევ თავიანთ მონასტერში ავიდნენ. ზენონი დიდ მოძღვარს სათნოებით გაუთანასწორდა. მასზე მამა გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ ყველა ამბობდა, ზენონი კლარჯეთის დიდებულ მონასტერთა მტკიცე ზღუდეაო (გალავანიაო).

20. ნეტარ გრიგოლს გულმა უგრძნო გარდაცვალებისა და უფალთან მისვლის დრო.

მან სთხოვა ძმებს, ყველა მონასტრისთვის დაეგზავნათ ცვილის დიდი სანთლები.

ისინიც მიხვდნენ, რომ ახლოს იყო მისი ამქვეყნიდან გასვლის ჟამი. წმინდა მამები მივიდნენ ნეტარ მოხუცებულთან და დალოცვა სთხოვეს. მან ძალიან გაიხარა. ყველა დალოცა და უთხრა:

- უფალმა მოგანიჭოთ თქვენი შრომის საზღაური.

მათ კი უპასუხეს:

- წმიდაო ღმრთისაო, გიხაროდენ და მხიარულ იყავ, რამეთუ სასყიდელი შენი დიდ არს ცათა შინა, რამეთუ შენ, მსგავსად მოციქულისა პავლეს მართლისა, ღვაწლი კეთილი მოგიღვაწებიეს, სრბაჲ აღგისრულებიეს, სარწმუნოებაჲ დაგიმარხავს საქმითა კეთილითა განსრულებული. ამიერითგან მიგელის სიმართლისა იგი გვირგვინი, რომელი მოგანიჭოს მეუფემან შრომათა წილ შენთა წმიდათა. არამედ ნუ დამივიწყებ ჩუენ, სულიერად შვილთა შენთა, მი-რაჲ-იწიო წინაშე პირსა სახიერისა, მოწყალისა და მწყალობელისა ტკბილისა უფლისასა, მომიჯსენენ სამწყსონი შენნი.

მამა გრიგოლმა ხანძთელებს ასე მიმართა:

- შვილებო, კარგად დაიმახსოვრეთ ის, რასაც თავიდანვე გასწავლიდით თქვენი სულის გადასარჩენად და ნურც მე დამივიწყებთ. ამას კი ანდერძად გიტოვებთ: ძმებთან ერთად დამმარხეთ, რადგან სათნოებით მათზე უკეთესი არა ვარ. ყველას გევედრებით, ნუ დამივიწყებთ, ლოცვისა და წირვის დროს მომიხსენიეთ, ჩემი სხეული მიწას მიებარება, ჩემი სული კი მინდა, უფალმა შეიწყნაროს.

ასე მიაბარა უფალს სული და ანგელოსთა კრებულს შეუერთდა.



ოპიზის ნანგრევი, ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

რაჲსა გიკჳრს ხილვად ესე - რატომ გიკვირს ეს ხილვა.
არა გასმიეს წერილისაჲ? - არ გაგიგია წმინდა წიგნიდან?
„საკჳრველ არს ღმერთი წმიდათა შორის მისთა“ - საკვირველია ღმერთი თავის სიწმინდეთა შორის (ფსალმუნები 67, 36).
წართქვეს ცისკრისა საგალობელნი - წარმოთქვეს ცისკრის საგალობლები.
სასყიდელი შენი დიდ არს ცათა შინა - დიდი ქონება გაქვს ზეცაში, ბევრი კეთილი საქმე გაქვს გაკეთებული.
ღვაწლი კეთილი მოგიღვაწებიეს - დიდი ღვაწლი მიგიძღვის.
სრბაჲ აღგისრულებიეს - ცხოვრების გზა გაგივლია.
სარწმუნოებაჲ დაგიმარხავს - რწმენა დაგიცავს, სარწმუნოებისთვის გიერთგულია.
განსრულებული - სრულყოფილი.
მოგანიჭოს მეუფემან შრომათა ჩილ - ღმერთმა მოგცეს შრომის ფასად.
მი-რაჲ-იწიო წინაშე პირსა სახიერისა უფლისასა - როცა მიხვალ ღმერთთან.
მომიხსენენ სამწყსონი შენნი - შენი სამწყსო მოიხსენიე, შენი სულიერი შვილებისთვის ილოცე.

ხოლო იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ასდამეორესა წელსა, ქრონიკონსა ოთხმეოცდაერთსა. არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისა.

ხოლო ხანძთისა წინამძღურისა და იოვანე ძმისა მისისა და წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა, სამთავე ამათ ერთად გულსმოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებაჲ ესე.

იყო გარდაცვალებაჲ მისი - გარდაიცვალა.



ქორონიკონი - წელთაღრიცხვის სისტემა ძველ საქართველოში. 532 წლიანი ციკლი (საუკუნე) იყო, ჩვენი წელთაღრიცხვით 780 წელს დამთავრდა მორიგი ქორონიკონი და დაიწყო ახალი.

ქრონიკონსა ოთხმეოცდაერთსა - 81-ე ქორონიკონს, ჩვენი წელთაღრიცხვით იგულისხმება 861 წელი (780 + 81= 861).

გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოცდაათისა წლისა - ეს ცხოვრება დაიწერა მისი გარდაცვალებიდან ოთხმოცდაათი წლის შემდეგ.

წიგნისა ამის აღმწერელი - ამ წიგნის ავტორი.

მერჩულე - საეკლესიო კანონების მცოდნე, კანონმცოდნე.

დააკვირდით

• ვენახი, რომლის მონახულება და იქ ლოცვა მოუნდა მამა გრიგოლს, მის მიერ იყო ჩაყრილი ახალგაზრდობაში. კარგი ყურძენი ესხა. გიორგი მერჩულე ამით სიმბოლურად მიგვანიშნებს, რომ ამქვეყნადაც ვენახის მუშაკია მამა გრიგოლი და ზესთასოფელშიც „ვენახის მეთერთმეტე მოქმედად“ წარდგება ღვთის წინაშე;

• მამა გრიგოლმა ღვთის დიდების გამოვლენად მიიჩნია ლოცვისას გამოვლენილი ნათელი და არა - თავის დამსახურებად;

• დალოცვით: „უფალმა მოგანიჭოთ თქვენი შრომის საზღაური“ - მამა გრიგოლი მიანიშნებს ძმებს, რომ ღვთის წინაშე ყველას თავისი საქმეების მიხედვით მიეზღვება;

• მამა გრიგოლმა ანდერძი ორ ნაწილად წარმოთქვა - პირველი ნაწილი ძმებს სულიერი ცხოვრების გზას უქადაგებს, მეორე ნაწილი გამოხატავს იმას, რაც თავისი სულისთვის სურდა;

• გიორგი მერჩულე თვითონ გვაწვდის ინფორმაციას როგორც ნაწარმოების დაწერის თარიღის, ასევე თავისი ვინაობის შესახებ.

კითხვები და დავალებები

1. წმინდანს გარდაცვალების დღეს იხსენიებენ ხოლმე, რადგან ეს დღე მის ნამდვილ დაბადების დღედ მიიჩნევა. საქართველოს ეკლესია გრიგოლ ხანძთელს იხსენიებს 18 ოქტომბერს. რომელ ინფორმაციას დაიმოწმებთ ტექსტიდან ამ თარიღის ასახსნელად?
2. გაიხსენეთ, კიდევ რომელ ეპიზოდებში ჩანს მამა გრიგოლი ნათლით გაბრწყინებული და ახსენით, ამ ეპიზოდებით რის თქმა სურს ავტორს?
3. როგორ გესმით ზენონზე ნათქვამი: „კლარჯეთის დიდებულ მონასტერთა მტკიცე ზღუდეაო (გალავანიაო)“?

4. მამა გრიგოლმა და აბო თბილელმა რა მოიმოქმედეს ერთნაირად, როცა ეუწყათ, რომ მათი გარდაცვალების დღე მოახლოვდა?
5. შუშანიკის ნათქვამს, რომ ღმერთი ყველას სამართლიანად განსჯის, ამ ეპიზოდის რომელი ფრაზა მიესადაგება?
6. გაიხსენეთ, რის მიხედვით ჰგავს აბო თბილელი პავლე მოციქულს და რის მიხედვით - მამა გრიგოლი? იმსჯელეთ ხანძთელი ძმების მიერ მოხმობილი ამ შედარების შესახებ (მოსაზრება დაასაბუთეთ);
7. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, რას სთხოვენ ხანძთელი ბერები მამა გრიგოლს მისი გარდაცვალების წინ;
8. მამა გრიგოლის რა ახალი თვისებები აღმოაჩინეთ ამ ეპიზოდში?

წერითი დავალება

დაწერეთ ანალიტიკური ესე - წმინდა გრიგოლი - „უდაბნოთა ქალაქმყოფელი“
დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:

• შეაჯამეთ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება და მოღვაწეობა. ისაუბრეთ მის დამსახურებაზე ქართველი ხალხის წინაშე. იმსჯელეთ მასზე, როგორც დიდ მოძღვარზე, ერის სულიერ ლიდერზე, ტალანტის გამამრავლებელზე, უდაბნოდ ქცეული ქვეყნის აღმაშენებელზე;

• ნახეთ ფილმი “ადამიანი, რომელიც ხეებს რგავდა” (იხ. QR კოდი გვ. 239) და დაუკავშირეთ ნაწარმოებს;

• გამოხატეთ პირადი დამოკიდებულება წმინდა გრიგოლ ხანძთელის მიმართ. იმსჯელეთ, თქვენი აზრით, რატომ არის მნიშვნელოვანი მისი ღვაწლის გააზრება თანამედროვე ქართველისათვის.



ხახული, ტაო, X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

პრეზენტაცია

დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ 6-7-წუთიანი პრეზენტაცია: „სასანთლეზე ანთებული სანთელი“
პრეზენტაცია წარადგინეთ კლასში და უპასუხეთ შეკითხვებს.

პრეზენტაციაში:
• მოკლედ მიმოიხილეთ, რას გულისხმობს მეტაფორა „სასანთლეზე ანთებული სანთელი“.
დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ, გაიხსენეთ, რომ გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელზე წერს: „სანთელი ესე დაუვსებელი, ბრწყინვალეჲ ზედა სასანთლესა მას მაღალსა“;
ასევე წმინდა აბო აფხაზთა მთავართან საუბარში აღნიშნავს: „არავინ აღანთის სანთელი და შედგის იგი ქუეშე ჯჯმირსა, არამედ ზედა სასანთლესა გადგიან, რაჲთა ჰნათობდეს ყოველთა“;
„შუშანიკის წამებაში“ მსგავსი მხატვრული სახე არ გვხვდება, თუმცა წმინდა დედოფალი „სასანთლეზე ანთებული სანთელია“, რადგან მან თავისი ცხოვრების წესით სხვებსაც გაუნათა უფლისკენ მიმავალი გზა;
• წარმოაჩინეთ ინფორმაცია თქვენ მიერ შერჩეული ადამიანის შესახებ, რომელიც შეიძლება იწოდებოდეს „სანთლად სასანთლესა ზედა“;
• ისაუბრეთ იმ დამსახურებაზე, რომელიც ამ ადამიანს საზოგადოების წინაშე მიუძღვის. იმსჯელეთ სირთულეებზე, რომელთა დაძლევაც მოუხდა მას, მიზნისთვის რომ მიეღწია; გადმოეცით, რა არჩევანის წინაშე იდგა, რა მსხვერპლი გაიღო, რა იყო მისი მთავარი იარაღი;
• განუმარტეთ აუდიტორიას, რატომ გადაწყვიტეთ, ამ პიროვნებაზე მოგემზადებინათ პრეზენტაცია, რა ნიშნით შეარჩიეთ ის;
• წარმოაჩინეთ, რა მაგალითს აძლევს ახალგაზრდებს ღირსეულ ადამიანთა ცხოვრება;
• გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი წყარო: სახელმძღვანელო, ვებგვერდები;
• წარმოაჩინეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (მაგ.: ფოტოები, ნახატები, სქემები), შეარჩიეთ მუსიკა სათანადო განწყობის შესაქმნელად - მუსიკალური ფონის სახით.

გადასადგმელი ნაბიჯები პრეზენტაციის მომზადებისას:
• დაიყავით 4-5-კაციან ჯგუფებად;
• წინასწარ გაინაწილეთ ჯგუფში სამუშაო, მაგ.: 1-2 წევრი იმუშავებს მასალების მოძიება-შერჩევაზე, 1 - ვიზუალურ მხარეზე, 1 - მუსიკალურ გაფორმებაზე, 1 - ტექნიკურ მხარეზე.

• მოძიებული მასალის საფუძველზე მოამზადეთ ჩანაწერები, რომლებსაც წარადგენთ პრეზენტაციის დროს;
• ნამუშევრის წარსადგენად შეარჩიეთ რამდენიმე პრეზენტატორი.

შემოქმედებითი დავალება

პარალელები
ცხრილი გადაიხაზეთ რვეულში და შეავსეთ მოცემული მაგალითის მიხედვით. ამისთვის შეასრულეთ შემდეგი დავალებები:

1. ცხრილის პირველ სვეტში ჩამოთვლილნი არიან ის ბიბლიური პერსონაჟები და წმინდანები, რომელთაც ჰაგიოგრაფი ადარებს მამა გრიგოლს ან პარალელს ავლებს მათთან. ტექსტიდან ამოწერეთ შესაბამისი ფრაზა ან გაიხსენეთ, რომელ შედარებას რა საფუძველს უძებნის გიორგი მერჩულე; აღნიშნეთ, თქვენთვის რამდენად დამაჯერებელია ავტორის პოზიცია. სათქმელი დაასაბუთეთ.

#	პერსონაჟი ან წმინდანი	ფრაზა ტექსტიდან	ჩემი კომენტარი	შენიშვნა
1	აბრაამი			
2	იოანე ნათლისმცემელი			
3	პავლე მოციქული			
4	სამოელ წინასწარმეტყველი			
5	იესო ქრისტე	ემსგავსებოდეს მოძღუარსა კეთილსა, ვითარცა მოძღვარი მათი ემსგავსებოდა ქრისტესა	მამა გრიგოლი წმინდად და პატიოსნად ცხოვრობდა და სხვებსაც ასეთ მაგალითს აჩვენებდა	„კეთილი მწყემსი იყო“

2. გამოყავით ერთი ან ორი პარალელი, რომელიც/რომლებიც განსაკუთრებით მოგეწონათ და ახსენით თქვენი ამგვარი შეფასების მიზეზი.

ოთხი მეფე - ოთხი სიყვარულის ამბავი
სიყვარული ხანდახან ცოდვისკენ უბიძგებს ადამიანს. თუ რამდენად რთულია ამ გრძნობის დამარცხება, რაც საკუთარ თავზე გამარჯვებას ნიშნავს, ისტორია და ლიტერატურა არაერთ მსგავს ამბავს გვიყვება. გაეცანით რამდენიმე მათგანს.

ა) თქვენ უკვე გაეცანით აშოტ კურაპალატის სატრფიალო თავგადასავალს. მოცემულ ეპიზოდში დედა ფებრონიასთან საუბრის შემდეგ მეფე თავის სულიერ მდგომარეობას შემდეგი სიტყვებით გადმოსცემს: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“;

ბ) ბიბლიაში მოთხრობილია დავით წინასწარმეტყველის შესახებ:
ერთ საღამოს დავითმა სასახლის სახურავიდან დაინახა ძალიან ლამაზი ქალი, ბერსაბე, თავისი ერთგული მეომრის, ურია ხეთელის, ცოლი. შეუყვარდა იგი, მისი ქმარი კი ომში გაუშვა. და თან სარდალ იოაბთან წერილი გაატანა, ურია ისეთ ფიცხელ ბრძოლაში გაეშვა, რომ იქიდან ცოცხალი ვერ გამოსულიყო. ხეთელი ბრძოლაში დაიღუპა, რის შემდეგაც დავითმა ბერსაბე ცოლად შეირთო.
ნათან წინასწარმეტყველმა ამხილა ცოდვილი მეფე, მოუთხრო იგავი მდიდარ კაცზე, რომელსაც ბევრი ცხვარი ჰყავდა, მაგრამ ღმერთისთვის მსხვერპლი რომ შეეწირა, ღარიბ კაცს ერთადერთი საყვარელი ბატკანი წაართვა და დაკლა.
მოისმინა დავითმა იგავი, განრისხდა და თქვა, რომ ასეთი კაცი სიკვდილს იმსახურებდა. მაშინ ნათანმა უთხრა: „შენ ხარ ეს კაცი!“

გ) ჟამთააღმწერელი ლაშა-გიორგის შესახებ წერს:
„მისრულმან კახეთს სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულ-კეთილი, და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ და დამვიწყებელმან დავითის და ურიის ცოლისა მიმართისა საქმისამან მსწრაფლ თჳსად მიიყვანა და შეიყუარა ფრიად“;

დ) კონსტანტინე გამსახურდია რომანში „დავით აღმაშენებელი“ გვიყვება დავითისა და დედისიმედის სიყვარულის ამბავს. მონაზვნად აღკვეცილი დედისიმედი სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მეფის სანახავად მიდის. „მეფემ იცნო ლიპარიტ ერისთავის ასული. წამოდგომა დააპირა, ბოლოს, გარღვეულივით დაბარბაცდა და სელს მიაშურა. თავისი გრძელი მარჯვენა თავზე დაადო მის წი-

ნაშე მუხლმოყრილს და წარბმორჭმულმა უთხრა:
„მაპატიე, დაო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად“.
როცა დედისიმედი დარბაზიდან გაჰყავდა მესტუმრეთუხუცესს, დავითმა შენიშნა, მხრისთავები უკანკალებდა შავოსანს“.

შეასრულეთ დავალებები:

• ამ ტექსტებზე სამუშაოდ აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ფორმა: ანალიტიკური ესე, არგუმენტირებული ესე, ზეპირი მსჯელობა, პრეზენტაცია...
• იმსჯელეთ, როგორ იკვეთება მოცემულ ამბებში გრძნობისა და მოვალეობის საკითხი (ყურადღება მიაქციეთ იმას, რომ ოთხივე მეფის სიყვარული როგორც კანონითაა აკრძალული, ასევე მორალურადაც მიუღებელია);
• იმსჯელეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი, რომ მმართველი მთელი ერისთვის ზნეობრივი მაგალითი იყოს;
• თქვენი მოსაზრებების დასასაბუთებლად მოიხმეთ არგუმენტები ლიტერატურიდან, ფილმებიდან, რეალური ცხოვრებიდან.



დოლისყანა, კლარჯეთი, IX-X სს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

მამა გრიგოლის საჯარო გამოსვლა 21-ე საუკუნის საქართველოში

წარმოიდგინეთ, რომ მამა გრიგოლი ჩვენი დროის საქართველოს სტუმრობს. მოირგეთ მისი როლი და საჯარო გამოსვლისთვის მოამზადეთ სიტყვა, რომლითაც იგი მიმართავდა 21-ე საუკუნის ქართველს.

თქვენ მიერ მომზადებულ ტექსტში უნდა ჩანდეს:

- წმინდა მამის ემოცია;
- დამოკიდებულება თავისი სამშობლოს მიმართ;
- რა მოეწონებოდა;
- რის გამოსწორებას ისურვებდა;
- რას ურჩევდა ქართველ ახალგაზრდებს...

დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:

ა) გაითვალისწინეთ, რომ საჯარო გამოსვლის მიზანი შეიძლება იყოს:

- ინფორმაციის მიწოდება;
- აზრის გაზიარება;
- მსმენელის დარწმუნება.

ბ) სიტყვის წარმოთქმისას კი გაითვალისწინეთ:

- გამომსვლელმა უნდა ისაუბროს მკაფიოდ, გასაგებად, დამაჯერებლად.
- ყურადღება მიაქციოს ხმის ტონს, ჟესტებს, თვალით კონტაქტს.

გ) მაგალითისთვის გაიხსენეთ ილია ჭავჭავაძის სიტყვა „წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ და დააკვირდით, როგორ მსჯელობს:

„ერთი ორიოდე სიტყვა მეც მინდა გითხრათ და, ყური რომ მათხოვოთ, მადლობელი ვიქნები.

თქვენში და თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაიბღერტაო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო მდიდარია, უფრო სავსეა...

- მაშ რაღადა ვართ ღარიბნიო? - მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმდიდრე ძევს, სად რა განძია. არ ვიცით - საიდამ რა ამოვიღოთ. აკი ვამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი რამ გვაკლია, სახელდობრ - ისა, რაც კაცს წინ მიუძღვება ხოლმე და უტყუარად ეუბნება: აი აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტატობით - უფრო ადვილად, უფრო ბლომად ამოიღებო. მაგისთანა ღვთისნიერს წინამძღოლს ცოდნა ჰქვიან...

ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც - სინათლე, არც - სიცხოვლე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპსა...

როგორ შევიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელსაც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა ჩვენში ერთი გულმტკივნეული კაცი და გვითხრა: გზას მე გაჩვენებთო... ის კაცი ილია წინამძღვარიშვილია, ის აკვანი - აი ის პატარა შენობაა, რომელიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სოფელს... აქედამ ჩვენი შვილები, თქვენი შვილები, გამოიტანენ იმისთანა ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში ჩაგვახედებს,

ღმერთმა შეგასწროთ იმ დროს, რომ აქედამ, ამ სკოლიდამ გამოსულს შვილს შეჰხაროდეთ“.

დ) ასევე გირჩევთ, წაიკითხოთ ებრაელი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ისრაელის მე-9 პრეზიდენტის, **შიმონ პერესის (1923 – 2016) საჯარო გამოსვლის ნაწილი და დააკვირდეთ, როგორ აგებს სიტყვას:**

„ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა, რომელიც ჩვენ გვერგო, არ იყო საოცნებო. ეს იყო რაღაც პატარა ნაგლეჯი მიწისა. იქ იყო ჭაობები, კოღოები, სამხრეთში უდაბნო და ქვები. წყალი სრულებით არ იყო. არანაირი ბუნებრივი რესურსი არ არსებობდა.

ჩვენ მარტოდმარტო ვიყავით. არ გვყავდნენ არც რელიგიური ძმები, არც - ერთენოვანი დები და არც - ისტორიული მეზობლები. იქ მივედით და არ ვიცოდით, რა გვექნა... ნამდვილად არ ვიცოდით. და მოვიფიქრეთ: ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე არის ადამიანი. ადამიანები ამდიდრებენ მიწას და არა მიწა - ადამიანებს.

გავხდით სწავლულები. ყოველმა ფერმერმა და ყოველმა გლეხმა დაიწყო ფიქრი, თუ როგორ განევითარებინა სოფლის მეურნეობა წყლისა და მიწის გარეშე... და ჩვენ განვავითარეთ ის.

აი თქვენ ნამდვილი საიდუმლო: მომავლისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რაც აღმოაჩინეთ, არამედ ის, რასაც აწარმოებთ.

ადამიანების შესაძლებლობა უსაზღვროა, მაგრამ ისინი ცოტათი ზარმაცები არიან. თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, უნდა იმუშაოთ...

ხანდახან მეკითხებიან: თუ უკან მოიხედავთ, რას შეცვლიდით?

მე ვპასუხობ: იოცნებეთ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანზე! რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო მეტს მიაღწევთ“.

ლიტერატურული პარალელები

გრიგოლ ხანძთელის კვალდაკვალ



ყურადღებით წაიკითხეთ ეპიზოდი ლევან გოთუას (1905-1973) მოთხრობიდან „ხანძთის ზარები” (შემოკლებული ვერსია).

სენაკის სარკმელში ღამურებმა დიდი ხანია უკლეს შმაშურს. ბერის აუშლელ საწოლს რუხად შენისლული ირიბი სხივი ჩამოადგა, მაგრამ გრიგოლ ბერს არაფერი უგრძვნია. იგი განაგრძობდა ეტრატის ფურცვლასა და სწორებას.

ასე დაათენდა თავზე. კანდელს შეხედა, მერმე - შუქჩამდგარ სარკმელს. მხოლოდ ახლა იგრძნო დაღლა... ეტრატის ფურცლებს სირმა დააყოლა და დახურა ხელნაწერი. შემდეგ თითქოს დაენანაო – ისევ დახედა, ყალამი ფრჩხილზე დინჯად გაისწორა, სინგურში ამოაწო და ხატული ხელით ეტრატს ბოლოში მიაწერა:

„ესე ცხოვრებაი წმიდისა გრიგოლ დიდისა ხანძთელისა, ამ სავანის მაშენებელისა, გადავწერე ხანძთასავე: ბერმონაზონმა ხანძთელმა გრიგოლ მცირემ. ნაწერს გაცრილი სილა დააყარა და შეაშრო. ადგა, პირჯვარი ისახა და საწერ კათედრას მოშორდა.

გრიგოლ ხანძთელის კედელხატულს მიუნთო სანთელი. დღეს ხუთი ოქტომბერი იყო – მისი დიდი სეხნას მოხსენიებისა და ლოცვის დღე. ამ დღისათვის ჩქარობდა

„ცხორების” გადაწერას. აკი გაასრულა კიდევაც... და ახლა, ამ დილის ძალზე, ვალმოხდილი მის წინაშე იდგა და შინაგან მყუდროებასა და სულიერ ამაღლებას განიცდიდა.

წმინდა სიხარული სუფევდა მის გულში. თითქოს მოღუშული სიჩუმის დასაძლევად ლოცვა ხმამაღლად წარმოთქვა გრიგოლმა. მოგუგუნე ხმა გაიღო ცარიელმა საყდარმა.

სენაკებსა და კლდეში გამოტენილ სადგომებს შემოუარა. ზოგან ხატს კანდელი მიუნთო, ზოგან ობობას ქსელი ჩამოწმინდა. საოსტიგნესთან საფეხურის მოშლილი აგური შეასწორა, თან საკენკი წამოუღო მტრედებს.

ჩრდილივით დადიოდა: ჩუმი და მაღალი. ხანძთაში არვინ იყო მის მეტი. იგი იყო ერთადერთი, იქნებ უკანასკნელი ხანძთელი. უკვე ხუთი წელია, რაც აქ გადმოვიდა ოპიზიდან. კვლავ აღადგინა დაყრუებული სავანე. ანდერძად დააგდო: აქვე ხანძთის საძვლეში უნდა მიებარებინათ მისი ნეშტი. აკლდამაც კი გაიკეთა. საკუთარი ხელით აიგო ადრევე განსვენებულ ხანძთელთა გვერდით, საყდრის კარიბჭის მახლობლად.

ფრიალო კლდის ძირში დიდი, წაგრძელებულ ოთხკუთხედად გათლილი ქვაა. ამ ქვის ქვეშ კიბეა – ათიოდ საფეხური, დაბლა კლდის გულში კი ეკვდერია, თაღად გამოყვანილი, თლილი ქვით მოპირკეთებული. ხანძთელმა ხელი გადაუსვა ქვას, გადაიკითხა თავისივე ეპიტაფია: „ქრისტე, შეიწყალე ბერმონაზონი ხანძთელი გრიგოლ მცირე; უფალო, შეუნდე, ვინც შენდობა ბრძანოს”.

ეტრატი - საწერი ტყავი, პერგამენტი.
სირმა - ოქროს ან ვერცხლის ძაფი.
ყალამი - მხატვრის ფუნჯი.
სინგური - წითელი ფერის მელანი, რომლითაც ძველ ხელნაწერებში სათაურები იწერებოდა.
საოსტიგნე - საკუჭნაო, სამზარეულო.
ეკვდერი - მცირე სამლოცველო სახლი.

შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები:

• იმსჯელეთ ბერზე, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობიდან საუკუნეების შემდეგ განმარტოებულა ხანძთაში;

• იმსჯელეთ მის დამოკიდებულებაზე თავისი დიდი წინაპრის, გრიგოლ ხანძთელის, მიმართ. თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიხმეთ არგუმენტები ტექსტიდან;

• თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამ ეპიზოდის სათქმელი, იმსჯელეთ, რაზე დაგაფიქრათ მან.

• თქვენი აზრით, რატომ აცოცხლებენ მწერლები ძველ ამბებს?

• იმსჯელეთ, რა ახალ შტრიხებს მატებს ლევან გოთუას მოთხრობა წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახეს და რა ემოციებს იწვევს მკითხველში?

დიდი ათონელები - სამკაულნი ნათესავისა ჩვენისანი



ივირონი, ქართველთა მონასტერი, ათონის მთა, საბერძნეთი, X ს.

სამონასტრო ცენტრები - დაახლოება ევროპასთან

ტაო-კლარჯეთის აყვავებისა და გაძლიერების შემდეგ ქართველი სასულიერო მოღვაწენი ევროპისკენ მიისწრაფვიან.

ადრეული შუა საუკუნეების ბოლოს, X-XI საუკუნეებში, იწყება ახალი ევროპული ცივილიზაციის ჩამოყალიბება. იქმნება რომის იმპერია, რომელიც გერმანიასა და იტალიის ნაწილს აერთიანებს. მთავრდება ბიზანტიის იმპერიის „ოქროს ხანა“.

სულ უფრო პოპულარული ხდება ფილოსოფიური და რელიგიური დისკუსიები.

ვითარდება ეგრეთ წოდებული „თავისუფალი საგნები“: გრამატიკა, რიტორიკა, ლოგიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა.

მთელ ევროპაში იწყება აქტიური მთარგმნელობითი საქმიანობა. ყველა ევროპელი ერი, დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში, სარგებლობს მოწინავე ლიტერატურით, რომელიც იქმნება არაბულ, ლათინურ, ბერძნულ ენებზე.

აქტუალური ხდება კულტურული ცენტრების დაარსება.

ქართველებმა ადრიდანვე აუღეს ალღო კულტურულ ვითარებას. ისინი სამონასტრო ცენტრებს აარსებენ არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებში.

ცენტრების საზღვარგარეთ დაარსება იმით იყო კარგი, რომ მწიგნობრებს ადვილად მიუწვდებოდათ ხელი იმდროინდელ კულტურულ მონაპოვრებზე, ადგილზე ეცნობოდნენ მოწინავე იდეებსა და სააზროვნო სიახლეებს.

ადრეულ შუა საუკუნეებში ბევრი ქართული მონასტერი იქმნება საბერძნეთსა და ახლო აღმოსავლეთში. მათგან აღსანიშნავია შავი მთის, საბაწმინდის, სინას მთის, პეტრიწონისა და იერუსალიმის მონასტრები.



ივირონი

მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ათონის ქართველთა მონასტერი (აიგო 980-983 წლებში), რომელიც ბარდა სკლიაროსის დამარცხების შემდეგ ააშენეს ქართველებმა საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე, ათონის მთაზე, მთაწმინდაზე. ამის შესახებ თქვენ უკვე იცით აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავიდან“.



ივირონი, ქართველთა მონასტერი, ათონის მთა, საბერძნეთი, X ს.

ბერძნები ამ მონასტერს „ივირონს“ ანუ „ქართველთას“ უწოდებენ.

ათონელმა მოღვაწეებმა შექმნეს უდიდესი ლიტერატურული სკოლა, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. ათონმა კიდევ უფრო დაგვაახლოვა და მჭიდროდ დაგვაკავშირა ქრისტიანულ დასავლეთთან.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე წერდა:

„არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს, უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“. ძალიან საგულისხმოა მეცნიერის შეფასება. წარმოიდგინეთ, რა შესაძლებლობისა და ნიჭის ადამიანებს უნდა ეღვაწათ ივირონში, ან რა არსებითი გავლენა უნდა ჰქონოდა ერთ მონასტერს ისეთი, რომლის გარეშეც მთელი ქვეყნის აზროვნების კულტურა შესაძლოა სხვაგვარი ყოფილიყო.

ათონის მთის კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობა კარგად ესმოდათ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს. ამიტომ ყოველმხრივ ეხმარებოდნენ იქ მოღვაწე ქართველებს.


სამწუხაროდ, ქართველმა ბერებმა პოლიტიკური და ეკონომიკური მიზეზების გამო ვერ შეინარჩუნეს ივერთა მონასტერი. XIII საუკუნიდან ბერძენი ბერები გააქტიურდნენ და დროთა განმავლობაში მთლიანად დაეპატრონენ ქართული კულტურის ამ დიდებულ კერას.

ათონზე დღემდე არსებობს უნიკალური ქართული ბიბლიოთეკა. იქ დაცული ხელნაწერები დასტურია იმისა, რომ ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ მაშინდელი მსოფლიოს კულტურულ ცხოვრებაში.

ათონის სავანის ისტორიული მნიშვნელობა იმანაც განაპირობა, რომ აქ დაიწყო ქართული ენის განახლება. ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელებმა შექმნეს ახალი ენობრივი სტილი, რომელმაც წარმოუდგენელ სიმაღლემდე აიყვანა ქართული სალიტერატურო ენა. დღეს ეკლესიაში სახარების თავები რომ იკითხება, ეს ექვთიმესა და გიორგის ქართულია, ათონური ქართული.

გავიცნოთ ეს დიდი მოღვაწეები.

ექვთიმე ათონელი (955 – 1028)



ექვთიმე ათონელი, ფრესკა, ივირონი

მწერალი, მთარგმნელი, ფილოსოფოსი, კალიგრაფი. ათონის ქართველთა მონასტრის წინამძღვარი.

ექვთიმეს მამა, იოანე, დავით კურაპალატის კარზე მიღებული დიდგვაროვანი იყო. მან დააფუძნა ღვთისმშობლის სახელობის ქართველთა მონასტერი ათონის მთაზე.

ექვთიმე საბერძნეთში იზრდებოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ იგი ქართველ უფლისწულებთან ერთად მძევლად იმყოფებოდა ბიზანტიის სამეფო კარზე. ქართული კარგად არ იცოდა. მამამისი ამაზე ძალიან წუხდა.

ერთხელ ექვთიმე მძიმედ დასნეულდა და ლოგინად ჩავარდა. არავის ეგონა, თუ გადარჩებოდა. მამამ ღვთისმშობელს შეავედრა შვილი. ამ დროს ავადმყოფის სენაკში შევიდა ნათლით მოსილი დედოფალი და ქართულად მიმართა:

- რა არის, რა გტკივა ექვთიმე?

- ვკვდები, დედოფალო, - მიუგო ექვთიმემ.

- არაფერი გჭირს. ნუ გეშინია, ადექი და თავისუფლად ილაპარაკე ქართულად! - უთხრა დედოფალმა. ექვთიმე მიხვდა, რომ ეს ღვთისმშობელი იყო.

ამ ამბის შემდეგ ექვთიმე თავანკარა ქართულით ალაპარაკდა და, რაც მთავარია, დაიწყო წიგნების წერა და თა-



ივერიის ღვთისმშობლის ხატი, ივირონი

რგმნა ქართულ ენაზე. იგი თოთხმეტი წლის განმავლობაში წინამძღვრობდა ათონის ქართველთა მონასტერს. შემდეგ დატოვა საეკლესიო სამსახური და მთლიანად სამწერლო საქმიანობას მიუძღვნა თავი.

ექვთიმემ თავისი პირველი წიგნები დავით კურაპალატს გაუგზავნა. მეფემ წაიკითხა და თქვა:

- მადლობა უფალს, რომ ჩვენი დროის ოქროპირი გამოგვიგზავნა (იოანე ოქროპირი (347-407), დიდი ღვთისმეტყველი, ბრწყინვალე ორატორი და მჭევრმეტყველი. ქრისტიანული ეკლესიის მიერ გამორჩეული სამი უდიდესი მამიდან ერთ-ერთია).

ექვთიმემ სამოცამდე წიგნი თარგმნა ბერძნულიდან ქართულ ენაზე.

ქართულიდან ბერძნულად თარგმნა საყოველთაოდ ცნობილი რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისი“, ანუ „ბალავარიანი“. სწორედ ექვთიმეს თარგმანით გაეცნო მსოფლიო ამ დიდებულ ნაწარმოებს.

გიორგი მთაწმინდელი, დიდი ათონელი მოღვაწე, ექვთიმეს ღვაწლს მისი ცხოვრების აღწერისას ასე აფასებს:

- ააყვავა ჩვენი ენა და ქვეყანა თარგმანებით და ყველა გააკვირვა, რადგან ასეთი თარგმანები მას შემდეგ არ გამოჩენილა და აღარც გამოჩნდება.

ექვთიმე ათონელი საქართველოსა და საბერძნეთის ეკლესიების მიერ წმინდანად არის შერაცხილი. მისი ხსენების დღეა 13 მაისი.

გიორგი ათონელი (1009 – 1065)

გიორგი ათონელი წარმოშობით სამცხიდან იყო. მის მშობლებს, მარიამსა და იაკობს, ექვსი შვილი ეყოლათ. მათგან ორი სასულიერო მოღვაწეობას შეუდგა.

შვიდი წლისა იყო გიორგი, როდესაც ტაძრისის დედათა მონასტერს მიაბარეს აღსაზრდელად. იქ მას უფროსი და, თეკლა, ასწავლიდა საღვთო წერილს.

ათი წლისა ხახულის მამათა მონასტერში გადაიყვანეს. შემდეგ ბედმა ისე ინება, რომ კონსტანტინოპოლში წაიყვანეს. იქ თორმეტი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და სწავლობდა საბერძნეთის ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებელში.

ოცდახუთი წლისა ხახულში აღიკვეცა ბერად.

ცოტა ხანში გადაწყვიტა ისევ საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო. რამდენიმე წელი მოღვაწეობდა შავი მთისა და იერუსალიმის მონასტრებში, საიდანაც ათონის მთაზე მივიდა.



ათონის ნახევარკუნძული, საბერძნეთი

ათონზე მთარგმნელობით საქმიანობას მიჰყო ხელი. ამავე დროს, მონასტრის წინამძღვრადაც აირჩიეს. ამ დროს შეხვდა ანტიოქიის პატრიარქს, თეოდოსის, რომელსაც საბუთების მოშველიებით დაუმტკიცა, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია დამოუკიდებელია და არცერთ ზემდგომს არ ექვემდებარება, რაც უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის დაცვისა და განმტკიცების საქმეში.

გიორგის დიდად აფასებდნენ საქართველოს მეფე ბაგრატ IV და ბაგრატის დედა მარიამი. ბაგრატმა გიორგი ხუთი წლით საქართველოში მოიწვია და საეკლესიო რეფორმის ჩატარება დაავალა. მან საეკლესიო რეფორმასთან ერთად სახელმწიფო წყობის გამართვასაც შეუწყო ხელი; შემდეგ, როცა გიორგი კვლავ საბერძნეთში დაბრუნდა, მეფემ თან ოთხმოცი ვაჟი გააყოლა განათლების მისაღებად.

გიორგის შრომების არასრული სია მოცემულია მისი ბიოგრაფის, გიორგი მცირეს, თხზულებაში. ეს ჩამონათვალიც ადასტურებს, თუ რაოდენ დიდი წვლილი შეუტანია მას არა მხოლოდ ლიტერატურის, არამედ, ზოგადად, - აზროვნების განვითარებაში.

საქართველოს ეკლესია წირვა-ლოცვისას დღემდე იყენებს ბიბლიის გიორგი ათონელისეულ ბრწყინვალე თარგმანს.



გიორგი ათონელი, ფრესკა, ივირონი

კითხვები და დავალებები

1. იზიარებთ თვალსაზრისს, რომ ერთმა მონასტერმა, თანაც სამშობლოს მოშორებულმა, შეიძლება შეცვალოს ქვეყნის კულტურული სახე და ხასიათი?

2. როგორ ფიქრობთ, ადამიანები ქმნიან ეპოქას, თუ ეპოქა წარმოაჩენს ხოლმე ღვაწლმოსილ ადამიანებს?

3. თქვენი აზრით, რატომ უწოდა ბაგრატ მეფემ ექვთიმეს „ჩვენი დროის ოქროპირი“?

4. მოიძიეთ ინფორმაცია „ბალავარიანზე“, გაეცანით მას და ნებისმიერი იგავი, რომელიც მოგეწონებათ, წარუდგინეთ კლასს.

პრეზენტაცია

დაიყავით ჯგუფებად და მოამზადეთ 10-12-წუთიანი პრეზენტაცია: „ივირონი და ათონზე მოღვაწე დიდი ქართველები“
პრეზენტაცია წარადგინეთ კლასში და უპასუხეთ შეკითხვებს.

პრეზენტაციაში:

• გადმოეცით ივირონის აშენების ისტორია (დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ, გაიხსენეთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, მასში აღწერილი მოვლენები);

• შესაბამის ვებგვერდებზე მოიძიეთ ინფორმაცია ივირონის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ;

• მოიძიეთ ინფორმაცია ივერიის ღვთისმშობლის ხატის შესახებ;


• გაეცანით „იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრებას“ და ისაუბრეთ იმ დამსახურებაზე, რომელიც ამ დიდ მოღვაწეებს მიუძღვით ქართული კულტურის წინაშე;

• გადმოეცით თქვენი დამოკიდებულება დიდ ათონელებთან (ანუ მთაწმინდელებთან), ახსენით, სწორად მიგაჩნიათ თუ არა მათ მიერ ევროპასთან დასაახლოებლად გადადგმული ნაბიჯები;

• განუმარტეთ აუდიტორიას, შემდგომი პერიოდის ქართველ მოღვაწეთა შორის ვინ მიგაჩნიათ მათი გზის გამგრძელებლებად;

• გამოიყენეთ, სულ მცირე, ორი წყარო: სახელმძღვანელო, ვებგვერდები;

• წარმოაჩინეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (მაგ.: ფოტოები, ნახატები, სქემები), შეარჩიეთ მუსიკა სათანადო განწყობის შესაქმნელად.



ათონის ნახევარკუნძული, საბერძნეთი

ქართული ჰიმნოგრაფია



გრიგოლ ხანძთელი, XVIII ს-ის
მინიატურა, კორნელი კეკელიძის
სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

ქართული ჰიმნოგრაფია

თქვენ უკვე შეისწავლეთ ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ნიმუშები. ჰაგიოგრაფია პროზაული ჟანრია, ჰიმნოგრაფია კი სასულიერო პოეზიაა.

„ჰიმნოს“ ბერძნულ ენაზე ნიშნავს ხოტბას, ქებას, საგალობელს; „გრაფია“ - წერას, აღწერას. ადამიანებს, რომლებიც ჰიმნებს წერენ, ჰიმნოგრაფები ეწოდებათ.

ჰიმნების შექმნის ძირითადი მიზანი უფლისა და ღვთისმშობლის გალობით განდიდება იყო, მოგვიანებით წმინდანთა გმირობისა და ღვაწლის შესახებაც დაიწყეს საგალობელთა შექმნა.

ჰიმნოგრაფებისთვის მნიშვნელოვანი იყო საგალობელთა მელოდია, ამიტომ ჰიმნში ხშირად დაცული არ არის მარცვალთა თანაბარი რაოდენობა სტრიქონებში და არც რითმა გვხვდება სტროფებად დაყოფისას.



გრიგოლ ხანძთელი, ხატმწერი ირაკლი ცინცაძე

თავდაპირველად ეკლესიებში წირვა-ლოცვისას დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები იგალობებოდა. ამ წიგნს ქართულად „დავითნს“ ეძახდნენ. გაიხსენეთ, რომ წმინდა შუშანიკმა ციხეში ყოფნისას დაიზეპირა „დავითნი“ და გალობდა; აბომ გაქრისტიანებისთანავე ისწავლა დავით წინასწარმეტყველის წიგნი; ბავშვობიდანვე დაიზეპირა ფსალმუნები წმინდა გრიგოლ ხანძთელმაც.

ორიგინალური საგალობლების შექმნა მოგვიანებით დაიწყო. შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთი პირველი ორიგინალური საგალობელი იოვანე საბანისძის „აბოს წამების“ მეოთხე თავია, რომელსაც ასევე ასათაურებს ავტორი: „ქებაჲ სანატრელისა მოწამისა ჰაბოჲსი“.

თქვენთვის ცნობილმა სხვა მოღვაწეებმაც სცადეს ბედი ჰიმნოგრაფიაში. თქვენ უკვე იცით, რომ მამა გრიგოლმა შექმნა საგალობელთა კრებული - საწელიწდო იადგარი. მასში ჩაურთო როგორც ორიგინალური ჰიმნები, ასევე - თარგმანები.

მამა გრიგოლ ხანძთელის ერთ-ერთ ჰიმნად მიიჩნევა „გალობანი გიორგისნი“ (იამბიკონი), რომელიც წმინდა გიორგის ეძღვნება. მამა გრიგოლი განადიდებს წმინდა მხედარს, რომელმაც, ქრისტიანული ტრადიციით, ზეციური დიდება მოიხვეჭა.

ცნობილი ქართველი მეცნიერი, პავლე ინგოროყვა, ამ საგალობელს „ნამდვილ პოეტურ შედევრს“ უწოდებდა და მიიჩნევდა: „ცოტაა ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, და არა მარტო ქართულში, არამედ საერთოდ საშუალო საუკუნეთა ბიზანტიურსა და აგრეთვე დასავლურს ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ისეთი ძეგლები, რომელთა დაყენება შეიძლებოდეს გრიგოლ ხანძთელის ამ პოემის გვერდით."

გთავაზობთ ერთ სტროფს ამ საგალობლიდან:

„შუენირებაჲ ბრწყინვალჱ სიკეთისაჲ,
სიმდიდრითა იგი საფასეთა მათ შენთაჲ,
ყუავილი იგი სიჭაბუკისა შენისაჲ,
მხნეო გიორგი! - დააწინდე მოკუდავი
უკუდავებასა, და ცხოველ ხარ შენ ცათა!“

წმინდა გრიგოლის პოეტური ნიჭი მკაფიოდ ჩანს მის ერთერთ თარგმანშიც:

„სოფლისა ზღვაჲ აღძრულ არს
ღელვითა ცოდვისაჲთა,
საშინელად დამნთქამს მე
და მოვივლტი შენდა ნავთსაყუდელსა
და ესრეთ გიღაღადებ:
დანთქმისაგან მიხსენ მე,
მრავალმოწყალე!
ქალწულო დედოფალო,
რომელმან გვიშევ სიტყვაჲ
დაუსაბამოჲ ხორცითა
და მოეც სულსა ჩემსა
სიწმიდე საღმრთოჲ“ („სოფლისა ზღვაჲ აღძრულ არს“).



ჩუქურთმა, იშხანი, ტაო X ს. ახლანდელი თურქეთის ტერიტორია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორი გიორგი მერჩულეც ჰიმნოგრაფი ყოფილა. არსებობს საგალობლის ფორმა „მერჩულეული“, რომელიც მას მიეწერება.

ცნობილი ქართველი ჰიმნოგრაფები არიან მიქაელ მოდრეკილი, იოანე მინჩხი, იოანე-ზოსიმე, სტეფანე ჭყონდიდელი, დემეტრე I და სხვები.

იამბიკონი - იამბიკოთა კრებული.
იამბიკო - ხუთსტრიქონიანი სტროფებისგან შედგენილი საგალობელი.
საფასე - განძი, საგანძური.
ყუავილი ... დააწინდე მოკუდავი უკუდავებასა - მოკვდავი ყვავილი (ადამიანის წარმავალი სიცოცხლე იგულისხმება) დანიშნე, შეაუღლე უკვდავებასთან.
ცხოველ ხარ - ცოცხალი ხარ.
აღძრულ არს - აღელვებულია.
დამნთქამს - ჩამყლაპავს, დამახრჩობს.
მოვივლტი შენდა ნავთსაყუდელსა - მოვისწრაფი შენი ნავსადგურისკენ (სამოთხე იგულისხმება).
ესრეთ გიღაღადებ - ასე შეგთხოვ.
გვიშევ სიტყვაჲ დაუსაბამოჲ ხორცით - ხორციელად გვიშვი მარადიული სიტყვა (იგულისხმება, რომ შვა იესო, რომელიც მეტაფორულად მოიხსენიება სიტყვად).

კითხვები და დავალებები

1. თქვენი აზრით, მამა გრიგოლი როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს წმინდა გიორგის მიმართ? რა ნიშან-თვისებებით ახასიათებს მას?
2. გაიხსენეთ, კიდევ ვინ ადარებს სიცოცხლეს ყვავილს და ცხოვრების სწორ გზად უკვდავებისკენ სწრაფვას მიიჩნევს?
3. თარგმანში „სოფლისა ზღვაჲ აღძრულ არს“ როგორ განმარტავთ ზღვას (დაუკვირდით, წყლის ნაცვლად რისგან შედგება ზღვა)? ჰიმნოგრაფის აზრით, ვინ შეძლებს გადარჩენას (ვინ მიაღწევს ნავსადგურამდე)?
4. საგალობლის ავტორი რას შესთხოვს ღვთისმშობელს?

იოანე ზოსიმე - ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

იოანე-ზოსიმე X საუკუნეში მცხოვრები ქართველი სასულიერო პირი, ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი და ხელნაწერთა შემდგენელ-გადამწერია. იგი მოღვაწეობდა პალესტინაში, ჯერ - საბაწმინდის ლავრაში, ხოლო შემდეგ, X საუკუნის 70-იანი წლებიდან, - სინას მთაზე, ქართველთა მონასტერში, სადაც ღრმად მოხუცებული გარდაცვლილა 987 წელს.

მისი შემოქმედებიდან ყველაზე მეტად ცნობილია ქართული ენის საგალობელი „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“. ეს ჰიმნი ავტორის მიერ სტრიქონებად და სტროფებად დაყოფილი არ არის, გაბმული ტექსტია (რაც გამოწვეული იყო ხელნაწერისთვის საჭირო მასალის სიძვირით, ადგილის დაზოგვის მიზნით). ამიტომ ყველას შეუძლია, სტროფებად და სტრიქონებად თავისი თვალსაზრისით დაყოს. ამჟამად გთავაზობთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის, ვარიანტს.

ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ

დამარხულ არს ენაჲ ქართული
დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად,
რაჲთა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
და ესე ენაჲ
მძინარე არს დღესამომდე
და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქუან.
და ახალმან ნინო მოაქცია
და ჰელენე დედოფალმან,
ესე არიან ორნი დანი,
ვითარცა მარიამ და მართა.
და მეგობრობაჲ
ამისთჳს თქუა მახარებელმან,
ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ
ამას ენასა შინა დამარხულ არს.
და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამისთჳს თქუა დავით წინასწარმეტყუელმან,
რამეთუ „წელი ათასი, ვითარცა ერთი დღჱ“.
და სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათჱსსა,
წილი ზის, რომელ ასოჲ არს
და იტყჳს ყოვლად
ოთხ ათასსა მარაგსა,
და ესე არს ოთხი დღჱ;
და ოთხისა დღისა მკუდარი,
ამითჳს მის თანავე დაფლული
სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა.



დავათის სტელა, მცხეთა-მთიანეთი.
ილია ჭავჭავაძის სახელობის
საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკა.

და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული
სახელითა უფლისაჲთა,
მდაბალი და დაწუნებული,
მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა უფლისასა.
და სასწაულად ესე აქუს
ას ოთხი წელი
უმეტჱს სხუათა ენათა
ქრისტჱს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.
და ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგითხარ,
ას ოთხი ესე წელი
და წილი ანბანისაჲ.



დამარხულ არს - შენახულია.
დღედმდე მეორედ მოსლვისა - ქრისტეს მეორედ მოსვლამდე.
მისისა საწამებელად - მას რომ ვერწმუნოთ.
რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა - რათა ღმერთმა ყველა (მთელი კაცობრიობა) ამ ენაზე განსაჯოს.
მძინარე არს დღესამომდე - დღემდე სძინავს.
სახარებასა შინა - სახარებაში.
ლაზარე - იესოს მეგობარი, რომელიც ღმერთმა ოთხი დღის მკვდარი გააცოცხლა.
ჰრქჳან - ჰქვია.
ახალი ნინო - ნინო მოციქული.
მოაქცია - გააქრისტიანა.
ჰელენე დედოფალი - ბიზანტიის დედოფალი მეოთხე საუკუნეში, კონსტანტინე დიდის დედა.
მარიამი და მართა - ლაზარეს დები.
ვითარმედ - რადგან.
ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს - ამ ენაში ყველა საიდუმლოა დაცული.
წელი ათასი, ვითარცა ერთი დღჱ - ათასი წელი (უფლისთვის) ერთი დღეს უდრის.
სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათჱსსა წილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყჳს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა - მათეს სახარების ქართული თარგმანი „წ“ ასობგერით იწყება, რაც ოთხი ათასს აღნიშნავს. მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისაჲთა - მასთან ერთად, შენახული, რომ ღვთისგან ნათელი მიიღოს.
მდაბალი - თავმდაბალი.
უმეტჱს სხუათა ენათა - სხვა ენებზე მეტი.
დღესამომდე - დღემდე.
წერილ არს - დაწერილია.
მოწამედ წარმოგითხარ - დავიმოწმე.
ესე წილი ანბანისაჲ - ეს ანბანის ასო წილი (წ).

კითხვები და დავალებები

1. რა მხატვრული ხერხია: „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს“?
2. რა მხატვრული ხერხია: „ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული“?
3. როგორ ახასიათებს იოანე-ზოსიმე ქართული ენის იმჟამინდელ მდგომარეობას?
4. იმსჯელეთ, რამდენად არგუმენტირებულია ჰიმნოგრაფის თვალსაზრისი; ჩამოაყალიბეთ მისი არგუმენტები და აღნიშნეთ, თითოეული მათგანი თქვენთვის სარწმუნოა თუ არა (სათქმელი დაასაბუთეთ);
5. ამ ტექსტის მიხედვით, როგორ დაახასიათებდით იოანე-ზოსიმეს, როგორც პოეტსა და პიროვნებას?

ეს საინტერესოა

• ჰიმნოგრაფები განადიდებენ ღმერთს, ღვთისმშობელს ან ცნობილ წმინდანებს. იოანე-ზოსიმეს გადაწყვეტილება, შეექმნა ქართული ენის საგალობელი, მეტად ორიგინალურია და მისი პატრიოტიზმით აიხსნება; თუ გავიხსენებთ დავათის სტელას (წარწერიან და ჩუქურთმიან ქვას), რომელზეც გამოსახულია ქართული ანბანის ცად ამაღლება (ასევე სრულიად ორიგინალური და გამორჩეული ამაღლების კომპოზიციებისგან), ცხადი გახდება, როგორ უყვარდათ ჩვენს წინაპრებს თავიანთი ენა და ანბანი;
• სახარება გადმოგვცემს, რომ ქრისტემ ლაზარეს გარდაცვალებას მიძინება დაარქვა და გაცოცხლებისას ხმამაღალი ძახილით „გააღვიძა“, იოანე-ზოსიმე იმედოვნებს, რომ მეორედ მოსვლისას უფალი „გააღვიძებს“ ქართულ ენას და მთელ კაცობრიობას ქართულად დაელაპარაკება;
• ლაზარე ოთხი დღე იყო მკვდარი, რაც 4000-ს უდრის, რადგან უფლის წინაშე ერთი დღე ათას წელს უტოლდება. ქართულ ანბანში „წ“ ბგერა ნიშნავს 4000-ს, მათეს სახარება კი „წ“-თი იწყება, რადგან პირველი სიტყვაა წიგნი - „წიგნი შობისა იესო ქრისტესი...“ იოანე-ზოსიმე ამ გზით დაასკვნის, რომ ქართული ენა გაცოცხლდება;
• „ას ოთხი წელი უმეტჱს სხუათა ენათა“ გულისხმობს ქართული წელთაღრიცხვის 104 წლით აღმატებას სხვა ენებთან შედარებით, რადგან, როგორც უკვე ისწავლეთ, ადამის შექმნიდან ქრისტეს დაბადებამდე ქართული წელთაღრიცხვით გავიდა 5604 წელი, ხოლო ბერძნულით - 5500.



დავათის სტელა, სქემატური გამოსახულება

ლიტერატურული პარალელები

გაეცანით ქართველ და უცხოელ მწერალთა და მოღვაწეთა გამონათქვამებსა და ლექსებს ქართული ენის შესახებ:

„ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელია ენა ქართული - ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამა-მთავრისა.

მასშია მთელი საქართველო...

გაზაფხულზე გაშლილი პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახალამოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო...

ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი.

სიტყვა მისი მჭრელია, ვით დავით აღმაშენებლის ხმალი; ძლიერია, როგორც სვეტიცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდებული დილის ნამი...

ქართული ენა არის მუსიკა, მაგრამ არა მიწიერი, არამედ ზეციდან გარდამოსული სულიერი მუსიკა! იგია ჩვენი ერისა და ქვეყნის გადამრჩენი“.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

„ენაა იდუმალი და აუხსნელი საუნჯე, რომელსაც განსაკუთრებული მოვლა და პატრონობა სჭირდება“.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II



„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს, წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმიდას“.

გრიგოლ ორბელიანი



„ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს".

ილია ჭავჭავაძე



„დედაენა არის ენა სულისა და გულისა, დედაბოძი ჭეშმარიტი განათლებისა“.

იაკობ გოგებაშვილი



„გულს მისვენია ხატადა, ენა მთისა და ბარისა“.

ვაჟა-ფშაველა



„მშობლიური ენის სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორიც ხმლით დაცვა საკუთრი სამშობლოსი“.

კონსტანტინე გამსახურდია



„ქართული საოცარი ენაა, იგი არცერთ ევროპულ ენას არ ჩამოუვარდება“.

მარი ბროსე



„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რაგინდარა ენით. აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთის ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა, განსაკუთრებით, ცოცხალი ქართული ენა, მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდრულია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“.

ნიკო მარი

გალაკტიონ ტაბიძე - საღამო
(შემოკლებით)



- ილაპარაკეთ, მე თქვენა გთხოვთ, ახლა ქართულად!...
მე დაგიგდებთ ყურს თუნდ მთელი დღე და მთელი ღამე,
მე დაგიგდებთ ყურს თვეობით და წელიწადობით,
ილაპარაკეთ, გევედრებით... ოღონდ ქართულად...
ოღონდ ქართულად ილაპარაკეთ...

ლადო ასათიანი - ქართული ენა



საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხტომა,
მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფანტული ფარის მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,
ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში,
როცა ღამისმთევლებს ლხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა თვლემენ სასთუმალთან...
საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!



ირაკლი აბაშიძე - ხმა კატამონთან

ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან.
ნათესავს ათასს
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დავშორდი,
მორჩა,
ყველა მოთავდა,
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ უკვდავს,
მხოლოდ შენ მარადს,
შენ - ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის კარად.
თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვავდა,
უტკბილეს დღეთა
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენას დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოველის არმთქმელო,
შენ, გმირთა გმირო,
ბრძენო ქართველო,
წარსული ძეგლო, წინ გამხედავო.
ქვესკნელში მძრომო,
ცაში მჭვრეტელო.
ხან - ფუნჯო ჩემო, ხან – საჭრეთელო,
შენ, აკვნის ჰიმნო,
ცრემლო სამარის...
იბერის ენავ,
ენავ თამარის...
შენ, ნიჭო ჩემო,
სრბოლავ და ფრენავ,
დედაო ენავ, დედაო ენავ!
დაეცეს, იქნებ სიმაგრე ყველა,
მოისრას, იქნებ, ყველა ყმა ველად,

დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
დააკვდეს აზრი ნაპოვნის პოვნას.
ყოველ ნერგს, იქნებ, დაატყდეს მეხი,
ყოველ ძეგლს, იქნებ, დაედგას ფეხი,
მხოლოდ შენ უჭკნობს,
შენ ხატად ქცეულს,
რა დრო, რა დასცემს
შენს უკვდავ სხეულს?
ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩემო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთს,
შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან.

მუხრან მაჭავარიანი - ენა ქართული



ქართული მარტო ენაა?! -
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა! -
იმოდენაა!

წერითი დავალება

შემოთავაზებული წერითი დავალებებიდან შეასრულეთ ერთ-ერთი:

ა) დაწერეთ თავისუფალი ესე - რას ნიშნავს ჩემთვის ქართული ენა

• გამოხატეთ თქვენი დამოკიდებულება ქართული ენის მიმართ;
• აღნიშნეთ, რომელი გამონათქვამი/გამონათქვამები ან ლექსი/ლექსები მოგეწონათ განსაკუთრებით და რატომ;
• გაიხსენეთ თქვენთვის ნაცნობი სხვა ნაწარმოები ენასა და მის როლზე ადამიანის ცხოვრებაში;
• გამართეთ თქვენი ნააზრევი და წარუდგინეთ კლასს.

ბ) დაწერეთ ანალიტიკური ესე - ენის სიწმინდის დაცვა თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობაა
დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ:
• იმსჯელეთ ენის როლსა და მნიშვნელობაზე ერის ცხოვრებაში;
• გაითვალისწინეთ, რომ თანამედროვე ქართველს შეუძლია უძველესი ქართული ტექსტების წაკითხვა და გაგება. თქვენი აზრით, რაზე მიანიშნებს ეს ფაქტი?
• იმსჯელეთ, როგორია/როგორი უნდა იყოს თანამედროვე ადამიანის დამოკიდებულება მშობლიური ენის მიმართ.

შემოქმედებითი სახელოსნო

შემოთავაზებული დავალებებიდან ამოირჩიეთ თქვენთვის სასურველი და შეასრულეთ:

ა) დაიყავით 4-5 მოსწავლისაგან შემდგარ ჯგუფებად და შექმენით პოსტერი თემაზე — ქართული ენის სიდიადე, რომელშიც წარმოაჩენთ ქართული ენის მნიშვნელობას, სილამაზეს, ისტორიას, მის როლს ქართველი ერის ცხოვრებაში.

(შეგახსენებთ, პოსტერი არის თემის შესახებ შექმნილი სათანადოდ გაფორმებული ფურცელი, რომლითაც სიტყვებისა და ნახატების საშუალებით გადმოსცემთ მთავარ სათქმელს).

დავალების შესრულება რომ გაგიადვილდეთ, მიჰყევით ინსტრუქციას:
• მოიფიქრეთ თემასთან დაკავშირებული მოკლე, საინტერესო ფრაზა, რომელიც ერთგვარი სათაურის ფუნქციას შეასრულებს;
• პოსტერზე მოათავსეთ ორი-სამი მნიშვნელოვანი მოსაზრება ქართული ენის შესახებ. შეგიძლიათ მოიძიოთ თავად ან გამოიყენოთ ზემოთ შემოთავაზებული მასალა;
• გააფორმეთ ვიზუალური მასალით - შეგიძლიათ გამოიყენოთ ნახატები, ქართული ანბანის ასოები, ორნამენტები, საქართველოს რუკა, სიმბოლოები, ფოტოები ან ილუსტრაციები და სხვ...
• დაიცავით პოსტერის სტრუქტურა: სათაური, ძირითადი ტექსტი, ციტატა, ილუსტრაციები, დასკვნითი ფრაზა;
• ეცადეთ, პოსტერი მხოლოდ ინფორმაციული კი არა, ემოციურიც იყოს - მაყურებელმა იგრძნოს, რატომ არის ქართული ენა განსაკუთრებული და ძვირფასი;

• წარუდგინეთ პოსტერი კლასს და ისაუბრეთ, რა გამოცდილება შეგძინათ ამ საკითხზე მუშაობამ, რაზე დაგაფიქრათ.

ბ) გადანაწილდით წყვილებად და დაწერეთ 5-სტრიქონიანი ლექსი



შეგახსენებთ, 5-სტრიქონიანი ლექსი არის მოკლე შემოქმედებითი ტექსტი, რომლის საშუალებითაც კონკრეტულ თემას, საგანს, ადამიანს ან მოვლენას რამდენიმე სიტყვით ახასიათებთ. ლექსი შედგება 5 სტრიქონისგან და თითოეულ სტრიქონს თავისი დანიშნულება აქვს.
დავალების შესასრულებლად მიჰყევით მითითებებს:
I სტრიქონი — მოიფიქრეთ მთავარ თემასთან დაკავშირებული ერთი არსებითი სახელი;
II სტრიქონი — დაწერეთ ორი ზედსართავი სახელი, რომლებიც დაახასიათებს თქვენ მიერ შერჩეულ არსებით სახელს;
III სტრიქონი — დაწერეთ სამი ზმნა, რომლებიც თემასთან დაკავშირებული არსებითი სახელის მოქმედებას გამოხატავს;
IV სტრიქონი — დაწერეთ მთავარი აზრის გამომხატველი მოკლე ფრაზა (4–5 სიტყვა), რომელიც გამოხატავს თქვენს დამოკიდებულებას ან თემის მიმართ;
V სტრიქონი — დაწერეთ ერთი სიტყვა, რომელიც თემას აჯამებს.
გამოიყენეთ ზუსტი და საინტერესო სიტყვები, ეცადეთ, თითოეულ სტრიქონში მთავარი აზრი მკაფიოდ გამოჩნდეს!

გ) გამართეთ კალიგრაფიის ნიმუშების გამოფენა კლასში, ამისათვის იოანე-ზოსიმეს ტექსტიდან „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ ამოირჩიეთ თქვენთვის სასურველი მონაკვეთი და გადაწერეთ A3 ზომის ფურცელზე.

ნამუშევარი რომ საინტერესო გამოვიდეს:
• გააფორმეთ ორნამენტებით, გამოიყენეთ სხვადასხვა ფერის კალმები/ფანქრები/ტუში;
• ტექსტს შეურჩიეთ ფონი;
• შეგიძლიათ, ჩასვათ ჩარჩოში;
• დავალების შესრულებას გაგიადვილებთ ძველი დროისა და თანამედროვე კალიგრაფთა ნაშრომების გაცნობა, მასალა შეგიძლიათ მოიძიოთ ინტერნეტით.
გაითვალისწინეთ! ნაშრომი უნდა შეასრულოთ ხელით.

დემეტრე-დამიანე - შენ ხარ ვენახი

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ცნობილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ ერთ-ერთ საუკეთესო ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებად მიიჩნევა. მისი ავტორი დემეტრე-დამიანე დავით აღმაშენებლის ძე - საქართველოს მეფე, დემეტრე პირველია. იგი ღირსეულად მეფობდა. არაერთი სახელოვანი გამარჯვებაც მოიპოვა. შემდეგ კი ტახტიდან გადადგა და ბერად აღიკვეცა. როგორც ხშირად ხდებოდა, სახელის პირველი ასო დაუტოვეს ბერად აღკვეცისას და უწოდეს დამიანე. ამიტომ ვიხსენიებთ მას, როგორც დემეტრე-დამიანეს. სავარაუდოა, რომ ბერობისას, დავითგარეჯაში ყოფნისას, დაწერა ეს საგალობელი.

„შენ ხარ ვენახი“ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი იამბიკოა. ავტორი ითვალისწინებს და ზუსტად იცავს ამ ტიპის ლექსის სტრუქტურას. ამიტომ თითოეული სტრიქონი თორმეტმარცვლიანია, სტროფის მარცვალთა რაოდენობა კი უდრის სამოცს. დემეტრე-დამიანეს ეს იამბიკო რითმიანიცაა.



დავითგარეჯა, დავითის ლავრა, VI ს. კახეთი.

შენ ხარ ვენახი

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული,
მორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თჳსით მზე ხარ განბრწყინვებული.



ვაზის ჩუქურთმა,
სვეტიცხოველი, XI ს.

მორჩი - ნერგი, ყლორტი.
სულნელი - სურნელოვანი.
სამოთხით გამოსრული - სამოთხიდან მოსული.
ქებული - შექებული.
თავით თჳსით - შენ თვითონ.

თვალსაზრისი

ზეპირად იმსჯელეთ თემაზე - **რამდენად ესმით ერთმანეთის სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრებ შემოქმედებს?**

დავალების შესრულება რომ გაგიიოლდეთ, გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

• მოისმინეთ ხალხური საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ და შეადარეთ ზაქარია ფალიაშვილის საგალობელს „შენ ხარ ვენახი“;
• იმსჯელეთ, ჩასწვდნენ თუ ვერა დემეტრე-დამიანეს სულს ხალხის წრიდან გამოსული უცნობი კომპოზიტორი ან ზაქარია ფალიაშვილი;
• იამბიკოს სათქმელს შეეფერება თუ არა რომელიმე მელოდია?

QR-კოდები დამატებითი მასალებისთვის

1. შუშანიკის წამება



2. აბოს წამება



3. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება



4. ქართული ჰიმნოგრაფია



წიგნში გამოყენებულია ხელნაწერთა ფრაგმენტების ფოტოები:

გვ. 8-9 - ავალიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტი, VXI-XVII სს.;

გვ. 19, 20, 30, 46, 51, 62 - „შუშანიკს წამების“ ხელნაწერის ფრაგმენტები „პარხლის მრავალთავიდან“, X ს.;

გვ. 6, 64, 65, 69, 86, 92, 98 - „აბოს წამების“ ხელნაწერის ფრაგმენტები „პარხლის მრავალთავიდან“, X ს.;

გვ. 60 - ხელნაწერის ფრაგმენტი, „ურბნისის ოთხთავიდან“, XI ს.;

გვ. 110 - ხელნაწერის ფრაგმენტი, იოანე ოქროპირის „მათეს სახარების თარგმანებიდან“, XI ს.;

გვ. 111, 184 - ხელნაწერის ფრაგმენტი, შატბერდში გადაწერილი კრებულიდან, XI ს.;

გვ. 136 - ხელნაწერის ფრაგმენტი XII-XIII საუკუნეების აგიოგრაფიული კრებულიდან.

გვ.223 გრიგოლ ხანძთელი, XVIII ს-ის მინიატურა, ხელნაწერი S-3269

ყველა ეს ხელნაწერი დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

გარეკანზე გამოყენებულია იოანე ზოსიმეს ხელნაწერის ფრაგმენტი, X ს.

ეს ხელნაწერი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

წიგნში გვ.: 68, 116, 125, 131, 172, 193, 226 გამოყენებულია ფოტოები ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ფონდიდან.

გვ.: 27, 29, 37, 58, 59, 80, 91, 96, 102, 105, 112, 113, 118, 158, 175, 176, 187, 188, 195, 196, 235 გამოყენებულია ფოტოები საქართველოს ეროვნული არქივიდან.

გვ.: 7, 10, 12, 14, 15, 16, 21, 24, 25, 29, 31, 32, 34, 36, 39, 40, 48, 50, 52, 63, 67, 70, 78, 83, 88, 100, 106, 109, 122, 127, 129, 133, 134, 143, 145, 147, 149, 151, 153, 155, 157, 159, 160, 163, 165, 167, 169, 171, 177, 178, 181, 182, 183, 186, 194, 199, 201, 202, 205, 207, 211, 225, 236 გამოყენებულია ლაშა გაბელიას ფოტოები.

შენ ძველი ქართული მწერლობის შესწავლას იწყებ. გაეცნობი დიდი ქართველი მწერლების ნაწარმოებებს, რომლებიც საუკუნეების წინ შეიქმნა და თავადვე დარწმუნდები, რომ ჩვენი წინაპრების ნაფიქრი და ნააზრევი დღესაც მნიშვნელოვანი და აქტუალურია, მათი მემკვიდრეობა კი - მარად ცოცხალი.

იოანე-ზოსიმე - ჰიმნოგრაფი, მთარგმნელი და ხელნაწერთა შემდგენელ-გადამწერი - ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი მოღვაწეობდა ჯერ პალესტინაში, საბაწმინდის ლავრაში, ხოლო შემდეგ, X საუკუნის 70-იანი წლებიდან - სინას მთაზე, ქართველთა მონასტერში. სწორედ აქ 979 წელს შეუქმნია იოანე-ზოსიმეს უმნიშვნელოვანესი კულტურული ძეგლი - პალიმფსესტი (ორშრიანი ხელნაწერი). ხელნაწერის ქვედა შრე V-VII საუკუნეებშია დაწერილი არამეულად (ანუ იმ ენაზე, რომელზეც ლაპარაკობდა იესო ქრისტე), ხოლო ზედა, ქართულენოვანი შრე, იოანე-ზოსიმეს მიერაა შესრულებული.

ეს ხელნაწერი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ წმინდა მიწაზე, სინას მთასა და პალესტინის ქართულ მონასტრებში, უცხო ენებიდან ითარგმნებოდა ქრისტიანული კულტურის ძეგლები, იქმნებოდა ქართული სასულიერო ლიტერატურა.

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერმა დიდი გზა გაიარა: სინას მთიდან გაუჩინარების შემდეგ ის რამდენჯერმე გასხვისდა და ეტაპობრივად ჩნდებოდა გერმანიის, საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა კოლექციაში. საბოლოოდ, 2024 წლის 11 ივნისს, ლონდონში, „კრისტის“ აუქციონზე, ეს უნიკალური წერილობითი ძეგლი გაიყიდა და შემდეგ საჩუქრად გადაეცა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს.



9 789941 889066

26.02.9.1.1